



ახალგაზრდა ადვოკატები  
YOUNG BARRISTERS

# საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების პრობლემატიკის სამართლებრივი ანალიზი

5000

5000

1000

1000

თბილისი 2013 წ.

კვლევაზე მუშაობდა  
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი:

*არჩილ კაიკაციშვილი*  
სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

სამუშაო ჯგუფი:

*არჩილ კაიკაციშვილი*  
*მარიკა არევაძე*  
*თინათინ ნიბლოშვილი*  
*ლევან მჭედელაძე*  
*რობი გეთიაშვილი*  
*ნინო ჯაჯანიძე*  
*სოფიო ლეჟავა*  
*გულიკო ბაკურაძე*

კვლევაში წარმოდგენილი თემების მომზადებაზე  
მუშაობდნენ:

*არჩილ კაიკაციშვილი*  
*ლევან მჭედელაძე*  
*მარიკა არევაძე*  
*ნინი ჯაჯანიძე*

გამოცემის დიზაინი:  
*რობი გეთიაშვილი*

კვლევა მომზადდა ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით  
და ინიციატივით

## შინაარსი

|                |   |
|----------------|---|
| წინათქმა ..... | 3 |
|----------------|---|

თავი პირველი:

|                                                                            |   |
|----------------------------------------------------------------------------|---|
| საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაზრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები ..... | 7 |
|----------------------------------------------------------------------------|---|

|                                                          |   |
|----------------------------------------------------------|---|
| საბჭოთა ანაზრის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი ..... | 7 |
|----------------------------------------------------------|---|

|                                                                        |   |
|------------------------------------------------------------------------|---|
| პოსტსაბჭოთა ქართული ანაზრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი ..... | 7 |
|------------------------------------------------------------------------|---|

|                                                     |   |
|-----------------------------------------------------|---|
| ანაზრების მარეგულირებელი საკანონმდებლო სივრცე ..... | 7 |
|-----------------------------------------------------|---|

|                                                                                 |    |
|---------------------------------------------------------------------------------|----|
| თავი მეორე: კანონი, რომელიც საბჭოთა ანაზრების დაბრუნების საფუძვლებს ქმნის ..... | 11 |
|---------------------------------------------------------------------------------|----|

თავი მესამე:

|                                                                                            |    |
|--------------------------------------------------------------------------------------------|----|
| საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაზრების პრობლემის შესწავლისთვის შექმნილი სახელმწიფო კომისიები ... | 16 |
|--------------------------------------------------------------------------------------------|----|

|                                                                                           |    |
|-------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 90-იან წლების პირველ ნახევარში ანაზრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი კომისია ..... | 16 |
|-------------------------------------------------------------------------------------------|----|

|                                                                                       |  |
|---------------------------------------------------------------------------------------|--|
| 1992–1993 წლებში მოქალაქეთა ანაზრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო |  |
|---------------------------------------------------------------------------------------|--|

|                           |    |
|---------------------------|----|
| მომხსენებელთა ჯგუფი ..... | 17 |
|---------------------------|----|

|                                                                              |    |
|------------------------------------------------------------------------------|----|
| საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია ..... | 22 |
|------------------------------------------------------------------------------|----|

|                                                                         |    |
|-------------------------------------------------------------------------|----|
| თავი მეოთხე: საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად–საკრედიტო პოლიტიკა ..... | 28 |
|-------------------------------------------------------------------------|----|

|                                                                       |    |
|-----------------------------------------------------------------------|----|
| თავი მეხუთე: საბჭოთა ანაზრების საქმე საქართველოს სასამართლოებში ..... | 43 |
|-----------------------------------------------------------------------|----|

|                                      |    |
|--------------------------------------|----|
| საერთო სასამართლოების პრაქტიკა ..... | 43 |
|--------------------------------------|----|

|                                          |    |
|------------------------------------------|----|
| საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ..... | 53 |
|------------------------------------------|----|

|                                                                              |    |
|------------------------------------------------------------------------------|----|
| თავი მეექვსე: ევროსასამართლო საბჭოთა ანაზრების საქმეების გადაწყვეტისას ..... | 61 |
|------------------------------------------------------------------------------|----|

|                                                       |    |
|-------------------------------------------------------|----|
| „ალბერტ რურუა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ..... | 62 |
|-------------------------------------------------------|----|

|                                              |    |
|----------------------------------------------|----|
| „ლედი ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ..... | 66 |
|----------------------------------------------|----|

|                                                  |    |
|--------------------------------------------------|----|
| „უმანგი დონჯაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ..... | 70 |
|--------------------------------------------------|----|

|                                                   |    |
|---------------------------------------------------|----|
| „ანა რეიზაზი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ ..... | 72 |
|---------------------------------------------------|----|

|                                                                          |    |
|--------------------------------------------------------------------------|----|
| თავი მეშვიდე: ანაზრების პრობლემა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ..... | 75 |
|--------------------------------------------------------------------------|----|

|                |    |
|----------------|----|
| ესტონეთი ..... | 77 |
|----------------|----|

|             |    |
|-------------|----|
| ლიტვა ..... | 79 |
|-------------|----|

|              |    |
|--------------|----|
| ლატვია ..... | 85 |
|--------------|----|

|                 |    |
|-----------------|----|
| ბელორუსია ..... | 87 |
|-----------------|----|

|               |    |
|---------------|----|
| მოლდოვა ..... | 88 |
|---------------|----|

|                |    |
|----------------|----|
| ყაზახეთი ..... | 89 |
|----------------|----|

|                 |    |
|-----------------|----|
| ყირგიზეთი ..... | 90 |
|-----------------|----|

|               |    |
|---------------|----|
| უკრაინა ..... | 91 |
|---------------|----|

|              |    |
|--------------|----|
| რუსეთი ..... | 94 |
|--------------|----|

|               |    |
|---------------|----|
| სომხეთი ..... | 97 |
|---------------|----|

|                   |    |
|-------------------|----|
| აზერბაიჯანი ..... | 99 |
|-------------------|----|

|                |     |
|----------------|-----|
| უზბეკეთი ..... | 102 |
|----------------|-----|

|                |     |
|----------------|-----|
| ტაჯიკეთი ..... | 103 |
|----------------|-----|

|                  |     |
|------------------|-----|
| თურქმენეთი ..... | 104 |
|------------------|-----|

|                                                                                 |     |
|---------------------------------------------------------------------------------|-----|
| თავი მერვე: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაზრების სამართლებრივი ასპექტის რაობა ..... | 105 |
|---------------------------------------------------------------------------------|-----|

|                            |     |
|----------------------------|-----|
| თავი მეცხრე: დასკვნა ..... | 123 |
|----------------------------|-----|

თავი მეთე:

|                                                                                              |     |
|----------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| რეკომენდაციები საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიმართ .. | 125 |
|----------------------------------------------------------------------------------------------|-----|

## წინათქმა

20 წელზე მეტია დაზარალებული საბჭოთა მენაბრეები კომპენსაციას ელოდებიან. იცვლება მთავრობები და პოლიტიკური სპექტრი, მიდგომები კი უცვლელი რჩება. საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის ნაცვლად, დემაგოგია და ფუჭი დაპირებები გვრჩება. ასეთი მიდგომები არ უწყობს ხელს საკითხის მოგვარებას და ემსახურება მხოლოდ საზოგადოების დეზორიენტაციას და პრობლემიდან ყურადღების გადატანას. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ეს პრაქტიკა დაიდლოს, რათა შეჯამდეს საკითხის გამოსაკვლევად დღემდე ჩატარებული მუშაობის შედეგები, შეფასდეს სახელმწიფო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები და საქმეში ჩახედულ ექსპერტებთან და საზოგადოებასთან ერთად, სხვა ქვეყნების გამოცდილებათა შესწავლის საფუძველზე, შემუშავდეს დაზარალებულებისთვის ღირსეული კომპენსაციის მოდელი და შესაბამისი კანონმდებლობა.

2013 წლიდან, ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ – „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – აფბამ“ საკითხის ძირეული შესწავლა ორი მიმართულებით – ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების შესწავლით დაიწყო და მათში დაასრულა. თემისადმი ინტერესი პრობლემის მრავალი წლის მანძილზე გადაუჭრელობამ განაპირობა. ქვეყანაში ანაბრების თემა სამართლებრივი საკითხის ნაცვლად, პოლიტიკური პროცესის შემადგენელ ნაწილადაც გადაიქცა. ბევრი ქართველი მენაბრე დღემდე ინახავს შემნახველი სალაროების წიგნაკებს და ელოდება დღეს, როდესაც მოხდება მათი განაღდება, ბევრი მენაბრეც აქტიურად იბრძვის საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ბევრმაც საბოლოოდ დაკარგა ანაბრების დაბრუნების იმედი და აღარც შემნახველი სალაროს წიგნაკის შენახვა მიაჩნია ლოგიკურ ქმედებად, თუმცა საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ერთადერთ გარემოებაზე მიუთითებს, რომ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრები პრობლემაა და მასთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულებას მოითხოვს.

საქართველოში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების პრობლემის მრავალმხრივი კვლევა არასოდეს მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ პერიოდებში გამოქვეყნებულ შეხედულებებს საკითხთან დაკავშირებული ცალკეული ეპიზოდების მიმართ. ამიტომაც, ორგანიზაცია მუშაობის პროცესში გაეცნო პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს, მასალებს, ინტერვიუებს, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ფინანსისტების, ეკონომისტებისა თუ სტატისტიკოსების მოსაზრებებს. წარმოდგენილი დოკუმენტი თემით დაინტერესებული ადამიანებისთვის საყურადღებო და ღირებული უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ პირველად ხდება ფართო მკითხველისთვის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების გაუფასურებასთან დაკავშირებული პროცესის სამართლებრივი ანალიზი, საქართველოს სახელმწიფოს მიერ პრობლემის მოგვარების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება, ხელისუფლების მოქმედებების ეფექტურობისა და მართლზომიერების შესახებ დასკვნის მომზადება, ეროვნული და ევროპული სასამართლოების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების წარმოდგენა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების ვალდებულების შესრულების პროცესში, საქართველოს წარუმატებელი, ხშირ შემთხვევაში, არათანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიმართ, ქვეყნის აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიმართ სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა. კვლევა ინფორმაციულად მდიდარია და გააჩნია საქმიანი დოკუმენტის პრეტენზია. ავტორები მივუთითებთ, რომ დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილი – პირველი ასეთი მცდელობაა პრობლემის მოგვარების მიმართულებით.

ორგანიზაციამ კვლევის მომზადების პროცესში, საჯარო ინფორმაციის მიღების კუთხით, საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას 50-მდე განცხადებით მიმართა. კორესპონდენცია მიეწოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს,

საქართველოს პარლამენტს, საპარლამენტო კომიტეტებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ დეპარტამენტს, საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს ეროვნულ ბანკს, საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს. კვლევის ფარგლებში ორგანიზაციამ ოფიციალურად მიმართა საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე ქვეყნების: უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდოვას, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის საკანონმდებლო ორგანოებს და უზენაეს სასამართლოებს,<sup>1</sup> რათა მიეღო საბჭოთა ანაბრებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მექანიზმთან დაკავშირებული ინფორმაცია და გაცნობოდა აღნიშნულ ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილებების პრაქტიკას. კვლევის ფარგლებში სამართლებრივი დახმარების შესახებ, ოფიციალური წერილით მიემართა რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაეს სასამართლოს, როგორც საბჭოთა კავშირის ერთდერთ სამართალმემკვიდრეს, თუმცა სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციამ საკითხის ირგვლივ თანამშრომლობის სურვილი არ გამოხატა.

ორგანიზაციის ინტერესს კვლევის მომზადების დროს ანაბრებთან დაკავშირებით დასმული შემდეგი საკითხები<sup>2</sup> წარმოადგენდა:

1. როგორია საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება/პოზიცია საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ დაბრუნების/ანაზღაურების/კომპენსაციასთან დაკავშირებით? რა საფუძვლებს ეყრდნობა მთავრობის ხედვა?
2. რა ეტაპზეა საქართველოს მთავრობის მუშაობა საქართველოს მოქალაქეთა მიმართ საბჭოთა ანაბრების დაბრუნება/ანაზღაურება/კომპენსაციასთან მიმართებით?
3. საქართველოს გადაწყვეტილება საბჭოთა ანაბრების ქვეყნის შიდა ვალად აღიარების შესახებ, იყო სამართლებრივი ვალდებულება, შეცდომა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება? არის თუ არა საბჭოური ანაბარი რეალურად საქართველოს ვალი?
4. 1990–იან წლების საქართველოში, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მოქალაქეთა დანაზოგების გაუფასურებაში. ფიქრობთ თუ არა, რომ 1990–იანი წლების ინფლაცია იყო დანაშაული. ვინ შექმნა ხალხისთვის წამგებიანი გარემო?
5. როგორ უნდა ანაზღაურდეს საქართველოს მეანაბრეთა დანაკარგი? თუკი ასეთი შესაძლებლობა არსებობს, როგორია საქართველოს მიერ ვალდებულების შესრულების დრო, ფორმა და სტრუქტურა?
6. რამდენად სამართლიანია საბჭოური ანაბრების დაბრუნების საკითხის დაყენება 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, საქართველოს ახალ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, თუკი გამარჯვებული პოლიტიკური კოალიცია თავის წინასაარჩევნო პროგრამაში, საქართველოს მოქალაქეების მიმართ, საბჭოური ანაბრების გასტუმრების დაპირებას არ იძლეოდა? დღეს საქართველოს სახელმწიფოსთვის საბჭოური ანაბრის გაცემა კეთილი ნებაა თუ ისევ სამართლებრივი (სახელმწიფო) ვალდებულება?

<sup>1</sup> ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა ითანამშრომლეს „ახალგაზრდა ადვოკატებთან“. კვლევაში მოტანილი ინფორმაცია უშუალოდ პირველწყაროს განეკუთვნება. ამასთან, ორგანიზაციამ შემავსებელი ინფორმაცია მიიღო ინტერნეტის გამოყენებითაც.

<sup>2</sup> კვლევის ფარგლებში აღნიშნული კითხვარი გაეგზავნათ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს, საქართველოს სახალხო დამცველს.

7. რამდენად მიზანშეწონილია მოცემულ ეტაპზე საქართველომ რუსეთისგან ვალდებულების შესრულება მოითხოვოს?

8. საბჭოთა კავშირის რომელმა ყოფილმა მოკავშირე ქვეყანამ მიიღო სამაგალითო გადაწყვეტილება საბჭოური ანაბრის გასტუმრების სტრუქტურასთან დაკავშირებით. რომელი ასეთი ქვეყნის გამოცდილებით უნდა იხელმძღვანელოს საქართველომ?

9. სად წავიდა საბჭოური ანაბარი/თანხები? რატომ არის დღემდე საბჭოთა ანაბრების საკითხი შეუსწავლელი? საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის გამო თუ პოლიტიკური ნების გამო?

10. ვრცელდება თუ არა ანაბრების მიმართ მესაკუთრის უფლებები? საქართველოს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა მიმართ შეუსრულებელი ვალდებულება – ანაზღაურდეს შიდა ვალად აღიარებული საბჭოური ანაბარი, არღვევს თუ არა კონსტიტუციით გარანტირებულ მათ საკუთრების უფლებას?

ორგანიზაციამ აღნიშნული კითხვები პრობლემური საკითხთან დაკავშირებული ყველა თანმდევ პროცესის შესწავლით მოამზადა, რადგანაც საქართველო გამონაკლისი ქვეყანაა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, რომელსაც გაუფასურებულ საბჭოთა ანაბართან ერთად, დაკარგული პოსტსაბჭოთა ქართული ანაბარიც შერჩა, ხოლო ყველა დასმული შეკითხვა, დღემდე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით სარგებლობს. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ასეთი შეხედულებები ბუნებრივია, რადგანაც მოქალაქეებს კუთვნილი ფულადი დანაზოგი, შეიძლება ითქვას, ერთ დღეში დაეკარგათ, რამაც 1990–იანი წლების დასაწყისში ქვეყნის გაღატაკება გამოიწვია. მომზადებული კვლევის ერთ-ერთ მიზანს „საუკუნის ჰიპერინფლაციის“, როგორც ფაქტობრივი და სამართლებრივი მოვლენის წარმოჩენა წარმოადგენს, რომელსაც, ადამიანები, ხშირ შემთხვევაში, „საუკუნის მარცვასაც“ უწოდებენ. ბუნებრივია, განვითარდა პროცესი და პროცესში მონაწილე აღმოჩნდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები, თუმცა კვლევის დანიშნულება კონკრეტული ადამიანების პასუხისმგებლობის გამოვლენა ან დასჯისკენ მითითება არაა. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული ანაბრის პრობლემის გააზრებისა და გადაჭრის მიზნით, მთავარი ყურადღება დაეთმო მთელს ამ პროცესში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პასუხისმგებელი კერძო და საჯარო ინსტიტუტების ურთიერთობებსა და ქმედებებს, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გავლენის დადგენას საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების პრობლემატიკაზე და არსებული ვითარების ანალიზს სადღეისოდ სახელმწიფოს მიერ შიდა ვალში აღებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულების სტრატეგიისთვის, რადგანაც ღირსეული კომპენსაციის საკითხი რომელიმე მისაღებ მოდელზეა დამოკიდებული და არა უკვე მომხდარი კონკრეტული ბრალეული ქმედების და მასში მონაწილე ადამიანების განსჯაზე.

ორგანიზაციამ კვლევის მიმდინარეობისას, საკითხის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, არაერთი ღონისძიება და აქტივობა დაგეგმა. მომზადდა 15–მდე მედია–რელიზი, სამი ბრიფინგი, ორი რადიო–გადაცემა, 10–მდე ინტერვიუ ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში, დაიგეგმა სამი სპეციალური სატელევიზიო სიუჟეტი, 10–მდე ღია ეთერი თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების დახმარებით, შედგა შეხვედრები ადგილობრივ სამოქალაქო ჯგუფებთან შიდა ქართლის, იმერეთის, სამცხე–ჯავახეთის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში. ორგანიზაციის კვლევაზე მუშაობის ფაქტმა ასახვა ჰპოვა საბჭოთა ანაბრების შესახებ „7z Studio“-ს მიერ მომზადებულ ფილმშიც. 2013 წლის 30 მარტს, თბილისში, ჩატარდა „ახალგაზრდა ადვოკატების“ სპეციალური კონფერენცია: „საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული ანაბარი.“<sup>3</sup> ამასთან, ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციის მიღების კუთხით მოამზადა სარჩელი

<sup>3</sup> კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახალხო დამცველის, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის“, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, „საზოგადოებრივი დამცველის“, „ახალგაზრდები – სამართლიანობისთვის“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების

საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ. კვლევის მიმდინარეობის პერიოდში გამართა ინდივიდუალური შეხვედრები მენაბრეებთან, რომლებმაც საყურადღებო დოკუმენტაცია წარმოადგინეს. შედგა ცალკეული შეხვედრები დაინტერესებულ მოქალაქეებთანაც, ანაბრების ირგვლივ არსებული სამართლებრივი მდგომარეობისა და პერსპექტივების მიზნით. აღსანიშნავია, რომ კვლევის განმავლობაში, ორგანიზაციასთან განსაკუთრებული კომუნიკაციით გამოირჩეოდნენ ადამიანებიც, რომლებმაც წარმოადგინეს ღირებული ინფორმაცია, თუმცა ითხოვეს კონფიდენციალობის დაცვა.<sup>4</sup>

ორგანიზაცია კვლევის გამოქვეყნების შემდეგ, მიზნად ისახავს სარეკომენდაციო პაკეტის აქტიურ ლობირებას, საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან თანამშრომლობას წარდგენილი წინადადებების შესრულების მონიტორინგისთვის, პროცესში აქტიური ჩართულობისთვის და მიღებული გამოცდილების გაზიარებისთვის.

---

ინსტიტუტის, „უფლებადამცველთა გაერთიანების“, სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა), „ევროპელი დემოკრატებისა“ და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებმა. კონფერენციას ესწრებოდნენ დაზარალებული მენაბრეებიც.

<sup>4</sup> ერთ-ერთმა მოქალაქემ წარმოადგინა დოკუმენტური მასალები 1990–იან წლებში საქართველოს ეროვნული ბანკიდან კერძო კომპანიების მიმართ გაცემული კრედიტების შესახებ და პროკურატურაში საკითხის მიმართ მომზადებული დასკვნები. ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფის აზრით, წარმოდგენილი დოკუმენტი სავარაუდოა ე.წ. „დვალიშვილის ჩანაწერები“ იყოს, სადაც საუბარია 1990–იან წლებში, ეროვნული ბანკის მიერ კრედიტების გაცემის, მიღება და რაოდენობის შესახებ.

## თავი პირველი: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები

**საბჭოთა ანაბრის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი** – „სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის ობლიგაციების გამოშვების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 21 დეკემბრის N1119 დადგენილების და „სამომხმარებლო ბაზრის, ფულის მიმოქცევის ნორმალიზაციისა და ფასების სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 5 თებერვლის N110 დადგენილების შესაბამისად, „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის ობლიგაციების გავრცელების შესახებ“ 1990 წლის 16 მარტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს #110 დადგენილებით განისაზღვრა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ობლიგაციის სახით, გავრცელებულიყო სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხი. გადაწყვეტილების მიზანს წარმოადგენდა მომხდარიყო მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მოქალაქეთა ფულადი შემოსავლების ნაწილისგან სამომხმარებლო ბაზრის გათავისუფლება. დადგენილებამ განსაზღვრა ობლიგაციების გავრცელებისა და მისი გავრცელების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების აღრიცხვისა და კონტროლის წესებიც. ამასთან, სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის გამოშვების, გაყიდვისა და დაცვის პირობების დამტკიცება დაევა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის შემნახველი ბანკის გამგეობასა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს.

**პოსტსაბჭოთა ქართული ანაბრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი** – საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მოქალაქეთა დანაზოგები საბჭოთა კავშირის შემნახველ ბანკებსა და სახელმწიფო დაზღვევის დაწესებულებებში ინახებოდა. 1991 წლის დასაწყისში, საქართველოს შემნახველ ბანკებში არსებული ფულადი სახსრები სსრკ სახელმწიფო ბანკის ანგარიშზე აღმოჩნდა. იმ დროისათვის შემნახველი ბანკების ანგარიშზე თანხების მოძრაობის სფეროში მოქმედი წესების შესაბამისად, 1991 წლის ბოლოსთვის, ფული კვლავ საქართველოს შემნახველი ბანკის ანგარიშზე უნდა დაბრუნებულიყო. თუმცა მათი დაბრუნება არ მომხდარა, რაც 1991 წლის მარტის რეფერენდუმის შედეგებს უკავშირდება. საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, თუმცა ქვეყანას საკუთარი ვალუტა არ გააჩნდა და მხოლოდ იმ ნაღდი ფულის ამარა დარჩა, რომელიც მის ტერიტორიაზე ბრუნავდა. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1992 წლის 22 ივლისის #124 ბრძანებულების თანახმად, მოსახლეობას ანაბრებზე შეტანილი თანხები ერთ წელიწადში უნდა გაორმაგებულიყო. მოსახლეობის უმრავლესობამ დაიჯერა სახელმწიფოს მიერ გაცემული და საკანონმდებლო ნორმებით გამყარებული პირობა და ქვეყანაში „ანაბრების“ ხელახალი პროცესი დაიწყო.

**ანაბრების მარეგულირებელი საკანონმდებლო სივრცე** – საქართველოს მოსახლეობისათვის თითქოსდა არ იყო საკმარისი ის ზიანი, რაც საბჭოთა ანაბრების დაკარგვის შედეგად განიცადა, 1992 წლიდან, ანაბრების ახალი ტალღა, ოღონდ ამჯერად ქართული სახელმწიფოსგან დაატყდა. საქართველოს მთავრობის 1992 წლის 2 ნოემბრის #1030 დადგენილების საფუძველზე, ქვეყნის შიგნით სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვება დაიწყო. მოსახლეობას ანაბარი სახელმწიფო-კომერციულ ბანკში შეჰქონდა, ხოლო სანაცვლოდ ღებულობდა შესაბამისი ღირებულების ამსახველ ობლიგაციას, რომელიც ობლიგაციაზე მითითებულ ვადაში, გაზრდილი და ხშირ შემთხვევაში, გაორმაგებული ოდენობით უნდა დაბრუნებოდა.

1992 წლის 20 ივლისს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა #747 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ“<sup>5</sup>. აღნიშნული თანხების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო ბიუჯეტის ხარჯზე წელიწადნახევრის

<sup>5</sup> საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით, „ანაბრების ინდექსაციის შესახებ“ 1992 წლის 20 ივლისის #747 დადგენილებით საქართველოს მთავრობამ ინფლაციური

შემდეგ. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 22 ივლისის #11 დეკრეტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა 1992 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით რიცხული ანაზრის ნაშთების გაზრდას. სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 3 აგვისტოს #14 დეკრეტის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო კომერციულ ბანკებში, 1992 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით, ანაზრის ანგარიშზე მოთავსებული ფულადი სახსრების 100%-ით გაზრდის შესახებ.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წლის 14 აპრილს გამოიცა დადგენილება #284 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანაზრების საპროცენტო განაკვეთების გაზრდის შესახებ<sup>6</sup>. დადგენილებით დამტკიცდა და განისაზღვრა 1993 წლის 1 ივლისიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში არსებულ ანაზრებზე საპროცენტო განაკვეთები<sup>6</sup>.

„მოქალაქეთა ანაზრების ინდექსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 18 ოქტომბრის #742 დადგენილებით, განისაზღვრა კომერციულ და სახელმწიფო კომერციულ ბანკებში, 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით არსებული ანაზრების ინდექსაციის განხორციელების წესი<sup>7</sup>.

„კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ცალკეული კომპანიებისა და ბანკების მენაზრეებისათვის საპრივატიზაციო ბარათების/ვაუჩერების/ გაცემის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 27 სექტემბრის #588 დადგენილებამ განსაზღვრა მენაზრეთათვის 180 ათას აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულების საპრივატიზაციო ბარათების გაცემის წესი, მათთვის ფინანსური ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით. საპრივატიზაციო ბარათების გაცემა უნდა დაწყებულიყო 1995 წლის 1 ოქტომბრიდან – 30 დეკემბრამდე. პროცესის განხორციელება მართლაც დაიწყო და 1995 წლის დეკემბრის მდგომარეობით გაიცა 38 305 ბარათი. ვინაიდან პროცესის რეალურად განხორციელებით დაიმედებულ მოსახლეობაში იზრდებოდა საპრივატიზაციო ბარათების მსურველთა რიცხვი, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 9 ივნისის #373 ბრძანებულებით („ფინანსურად დაზარალებულ მენაზრე-აქციონერთათვის საპრივატიზაციო ბარათების გაცემის ვადის გაგრძელების შესახებ“), ბარათების გაცემის ვადა გაგრძელდა 1996 წლის 15 ივნისამდე. ხსენებული ნორმატიული აქტები დღემდე მოქმედია.

---

პროცესების შედეგად მოსახლეობის შრომითი დანაზოგების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების კომპენსაციის მიზნით, მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წინადადება რესპუბლიკის სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანგარიშებზე მოთავსებული ფულადი სახსრების აფასების შესახებ და დაადგინა მოსახლეობის დანაზოგთა მიზნობრიობისა და ცალკეულ საქონელსა და გაწეულ მომსახურებაზე ფასების ინდექსების გათვალისწინებით და ერთჯერადი წესით განხორციელებულიყო დანაზოგის გაზრდა ანაზრის ნაშთის 50 პროცენტის ოდენობით. დადგენილების შესაბამისად, აფასებული თანხების ჩარიცხვა უნდა განხორციელებულიყო სპეციალურ ანგარიშზე, ხოლო მათი ანაზღაურება მომხდარიყო წელიწადნახევრის შემდეგ ბიუჯეტის ხარჯზე, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთით. დადგენილების მიხედვით, მოცემული ვადის გასვლამდე შესაძლებელი იყო აღნიშნული სახსრების გამოყენება, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ პრივატიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტებიდან რომელიმე ობიექტის შესაძენად. მნიშვნელოვანია დადგენილების მე-5 მუხლი, სადაც საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფოში ნაღდი ფულის არსებობის შესაბამისად, დადგენილი ვადის გასვლისთანავე უნდა მომხდარიყო მოსახლეობის საწყისი ანაზრებისა და მათი ინდექსაციის შედეგად მიღებული კომპენსაციების თანხების შეუფერხებელი გაცემის უზრუნველყოფა. **დადგენილება მოქმედი ძალის მქონეა.**

<sup>6</sup> „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანაზრების საპროცენტო განაკვეთების გაზრდის შესახებ“ 1993 წლის 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის #284 დადგენილებით დაწესდა შემდეგი საპროცენტო განაკვეთები: მოთხოვნამდე ანაზარი - 15%; ვადიანი ანაზარი - 1-3 წლამდე - 40%; 3-5 წლამდე - 50%; 5-8 წლამდე - 60%; 8-10 წლამდე - 70%; ბავშვთა მიზნობრივი ანაზარი - 80%; 1990 წლის 01 ნოემბრამდე გახსნილი ვადიანი და დამატებითი ვადიანი ანაზარი - 15%. აღნიშნული დადგენილება გაუქმებულია პრეზიდენტის 1996 წლის 11 სექტემბრის # 729 ბრძანებულებით.

<sup>7</sup> „მოქალაქეთა ანაზრების ინდექსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 18 ოქტომბრის #742 . **დადგენილება მოქმედი ძალის მქონეა.**

„ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციისათვის სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 1 ოქტომბრის #391 ბრძანებულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია. ბრძანებულებით ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს, ეროვნულ ბანკს და „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ დაევალით შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი ექსპერტთა მონაწილეობით და 1995 წლის 1 დეკემბრამდე წარმოედგინათ დასკვნები. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებულება დღემდე არ არის ძალადაკარგულად გამოცხადებული, მისი მოთხოვნები, მსგავსად სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა, შეუსრულებელია.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1997 წლის 8 დეკემბერს გამოიცა ბრძანებულება #716 „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“. ამავე წლის 9 დეკემბერს N 717 ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ“, ხოლო 1998 წლის 22 აპრილის #258 ბრძანებულებით „ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის და მათი დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის შექმნილი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ მუშაობა დაიწყო სპეციალურმა კომისიამ. კომისიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა ანაბრების ინდექსაციის დაწყება, თანხების დაფარვის გრაფიკისა და ასევე მეანაბრებზე ინდექსირებული თანხების გაცემის რიგითობის განსაზღვრა. კომისიას ასევე უნდა უზრუნველყო ანაბრების ინდექსაციისა და დაფარვის პროცესის დროს წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტა ქმედითი ღონისძიებების გატარების გზით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1998 წლის 30 აპრილის #112 ბრძანების „პირველი ჯგუფის ინვალიდ მოქალაქეების ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, განისაზღვრა წესები, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ანაბრების გაცემა დასახელებული სოციალური ჯგუფის მოქალაქეებზე. აღნიშნული ბრძანება 2006 წლის 25 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის #1823 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა.

საქართველოს პრეზიდენტმა 2001 წლის 2 ივლისს გამოსცა #258 ბრძანებულება „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ ხოლო 2002 წლის 20 მარტის #321 პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა 90-იანი წლების პირველ ნახევარში ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი კომისია. კომისია პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს # 428 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა.<sup>8</sup>

„საქართველოს მეანაბრე-აქციონერთა საზოგადოებების ზედამხედველობის სამსახურის სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ“ 2004 წლის 14 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის # 387 ბრძანებულებით<sup>9</sup> ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მეანაბრე-აქციონერთა საზოგადოებების ზედამხედველობის სამსახური, შეიქმნა საქართველოს მეანაბრე-აქციონერთა საზოგადოებების ზედამხედველობის სამსახურის სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც 2004 წლის 1 ნოემბრამდე უნდა მოეხდინა სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება. ამ ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საინვესტიციო-სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზოგადოებათა) საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურის საქართველოს მეანაბრე-აქციონერთა საზოგადოებების ზედამხედველობის სამსახურად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28 დეკემბრის # 765 ბრძანებულება.

<sup>8</sup> პრეზიდენტის #258 ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა 2005 წლის 25 აგვისტოს #720 ბრძანებულებით.

<sup>9</sup> ბრძანებულებაში 2004 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის # 461 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება. *ბრძანებულება დღემდე მოქმედი.*

საქართველოს მთავრობამ 2004 წელს #108 დადგენილებით მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“, რომელიც დღემდე მოქმედი კომისიაა.

## თავი მეორე: კანონი, რომელიც საბჭოთა ანაბრების დაბრუნების საფუძვლებს ქმნის

საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 5 მარტს სახელმწიფო ვალის აღებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებთან და სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითადი პრინციპების დადგენის მიზნით მიიღო კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“, რომელიც დღესდღეობით, ერთადერთი სამართლებრივი საფუძველია საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების მიმართულებით. სწორედ აღნიშნულმა კანონმა აღიარა საბჭოთა ანაბრები საქართველოს საშინაო ვალად და დასახა გასტუმრების ვალდებულება.<sup>10</sup>

სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს „სახელმწიფო ვალი“ განმარტებულია, როგორც საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა, ხოლო *სახელმწიფო საშინაო ვალს* კი წარმოადგენს, ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებით. კანონის მე-4-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, „სახელმწიფო ფინანსური ვალდებულება არის საქართველოს სუვერენული და აბსოლუტური ვალდებულებები ძირითადი თანხის დაფარვისათვის და დარიცხული პროცენტების გადახდისათვის, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მთელი აქტივებით“, ამასთან ასეთი ფულადი ვალდებულება გრძელდება მის სრულად დაფარვამდე.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საშინაო ვალის ფორმებს წარმოადგენენ - სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და სხვა სავალო ვალდებულებები, რომელიც საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიჩნია სახელმწიფო საშინაო ვალად და დამტკიცა საქართველოს პარლამენტმა. მოცემული მუხლის ჩამონათვალს კიდევ უფრო აფართოებს კანონის 48-ე მუხლი და სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებს ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან შიდა ვალად იქნა აღიარებული ხსენებული კანონის მიღებამდე. აღნიშნული ვალდებულებების რიცხვს, სხვა ვალდებულებებთან ერთად, განეკუთვნება:

- მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება;
- ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება;

<sup>10</sup> სახელმწიფო ვალის შესახებ კანონით გაუქმდა 1992 წლის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ კანონი. კანონში ბოლო ცვლილება 2011 წლის 8 აპრილს განხორციელდა.

- რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება;
- საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება;
- ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება;
- ყოფილი სსრ კავშირის "ინდუსტრიაბანკის" მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანებისა და საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის N716<sup>11</sup> და N717<sup>12</sup> ბრძანებულებების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანებისა და ყოფილი სსრ კავშირის "ინდუსტრიაბანკის" მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი

<sup>11</sup> „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის N 716 ბრძანებულება - ბრძანებულება განსაზღვრავდა ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციისა და მათი მფლობელებისათვის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებას. მოცემული ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის N258 ბრძანებულებით. ახალი ბრძანებულებით უნდა შექმნილიყო საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე წინადადების შემმუშავებელი სამთავრობო კომისია. N258 ბრძანებულებითვე განისაზღვრა კომისიის შემადგენლობა და დაევალა კომისიას 2 (ორი) თვის ვადაში მთავრობის სხდომაზე წარედგინა საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების შემდგომი დაბრუნების პროცესის კომპლექსური მოწესრიგების შესახებ. ბრძანებულებაში 2001 წლის 06 ნოემბრის შევიდა ცვლილება და საკანონმდებლო ცვლილებების წარდგენის ვადად განსაზღვრული 2 (ორი) თვე შეიცვალა 10 (ათი) თვის ვადით. მოგვიანებით, „საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულებისა და განკარგულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“, 2004 წლის 26 ნოემბრის საქართველოს პრეზიდენტის N539 ბრძანებულებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2001 წლის 2 ივლისის N 258 ბრძანებულებაც.

<sup>12</sup> „საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 დეკემბრის N717 ბრძანებულება - ბრძანებულებით განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 2 ნოემბრის N1030 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებების მოწესრიგების მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიება. ხსენებული ბრძანებულება მოქმედია 2013 წლის 31 მაისის მდგომარეობითაც, თუმცა დღემდე არ მომხდარა ზოგიერთი იმ ღონისძიების გატარება, რაც განსაზღვრულია მოცემული ბრძანებულებით, მათ შორის არ მომხდარა საქართველოს რესპუბლიკაში გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების 1998 წლის 1 სექტემბრამდე დაფარვა.

სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესი უნდა განსაზღვრულიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებათა გამოყოფის შესაბამისად. ხოლო ისევ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების ვალდებულების დაფარვის წესი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უნდა ყოფილიყო შემუშავებული და შეთანხმებული საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან 1998 წლის 01 სექტემბრამდე.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო საშინაო ვალის მართვას. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საშინაო ვალის მართვას უზრუნველყოფს მისი დაფარვის ორგანიზაციითა და აღრიცხვით, პროცენტის განსაზღვრითა და გადახდით, აგრეთვე სხვა ოპერაციების განხორციელებით.“

კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარვა უნდა განხორციელდეს მათი გამოშვების პირობებისა და მოცემული კანონის ფარგლებში შემუშავებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. მხოლოდ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარვის შედეგად შეწყდება კონკრეტული ფასიანი ქაღალდებით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალდებულებები. კანონი განსაზღვრავს მატერიალიზებული ფორმით გამოშვებული დაზიანებული და განადგურებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების კომპენსაციის საკითხსაც. კერძოდ, დაზიანებული და განადგურებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების კომპენსაცია შესაძლებელია განხორციელდეს მათი შესაბამისი რეკვიზიტების მიხედვით იდენტიფიცირების შემთხვევაში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დარწმუნდება, რომ ასეთი კომპენსაცია არ გამოიწვევს ერთი და იმავე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დუბლირებას.

კანონით განსაზღვრულია, რომ საქართველოში ყველა პირდაპირი და პირობითი ვალდებულების აღრიცხვის მიზნით უნდა შეიქმნას სახელმწიფო ვალის რეესტრი, სადაც რეგისტრირებული იქნება პირდაპირი სახელმწიფო ვალდებულებები, ინფორმაცია სახელმწიფო ვალის დინამიკის შესახებ, ვალის სახე, ხელშეკრულების თარიღი, ვალის საერთო მოცულობა, მისი დაფარვის თარიღი და სხვა აუცილებელი მონაცემები. სახელმწიფო ვალის რეესტრის წარმოება უნდა განხორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, თუმცა კანონის მოთხოვნები დღემდე არ სრულდება. ამ მიმართულებით გადადგმული პრაქტიკული შედეგები არ არსებობს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, 2013 წლის 18 თებერვალს დაისვა შემდეგი სახის შეკითხვა:

1. საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ 2004 წლის 15 ნოემბრიდან 2013 წლის 18 თებერვლამდე, დადგენილი ინდექსაციის მიხედვით, საქართველოს რამდენმა მოქალაქემ მიიღო შესაბამისი ანაზღაურება?
2. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულების შესაბამისად, დადგენილი ინდექსაციის მიხედვით, 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით, რამდენი ლარი გაიცა საქართველოს მოქალაქეებზე?
3. არსებობს თუ არა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზუსტი მონაცემი, საქართველოს რამდენი მოქალაქეა საბჭოთა ანაზღაურების მფლობელი და რამდენია მათ მიმართ შიდა ვალად აღიარებული გაუფასურებული ანაზღაურების თანხა?

2013 წლის 20 მარტის #01-02/23205 წერილის თანახმად, სამინისტროში „მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების

გასტუმრების მიზნით ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული... „მოსახლეობის ანაზღაურებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულების შესაბამისად, სახაზინო სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხთან დაკავშირებით, „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის მიერ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციის ხარჯებმა შეადგინა, სულ 4 706 641 ლარი, მათ შორის 1997 წელს – 500 000 ლარი; 1998 წელს – 4 132 081 ლარი; 1999 წელს – 74 560 ლარი. ყოფილი საბჭოთა მენაზღაურების მიმართ არ განხორციელებულა პერსონიფიცირება. აქედან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროში არ არსებობს ზუსტი მონაცემი იმის თაობაზე, თუ რამდენი მოქალაქეა საბჭოთა ანაზღაურების მფლობელი.“

2013 წლის 2 მაისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ გაიგზავნა შემდეგი სახის მიმართვა:

1. დაიფარა (ნაწლობრივ მაინც) თუ არა მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანებისა და საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, მიგვითითოთ მიზეზი;
2. სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებათა გამოყოფის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განისაზღვრა თუ არა დავალიანების დაფარვის წესი ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანებისა და ყოფილი სსრ კავშირის "ინდუსტრიაბანკის" მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანებები;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოხდა თუ არა ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავება და მისი შეთანხმება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან 1998 წლის 01 სექტემბრამდე;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ხორციელდება თუ არა სახელმწიფო ვალის რეესტრის წარმოება. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიგვითითეთ მიზეზი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 27 მაისის #08-02/40661 წერილის თანახმად, დასმული საკითხების მიმართ გაკეთდა შემდეგი სახის განმარტება: „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილია საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელიც, იმ პირთა მიმართ, რომლებიც განეკუთვნებიან „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით შესაბამისად, აღიარებული სავალო კატეგორიებს, შეიმუშავებს სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებით რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს

საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო გადაწყვეტილებების მიღებამდე, ვერ განხორციელდება „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით შესაბამისი პირების მიმართ აღიარებული სავალო ვალდებულებების შესრულება.“<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 27 მაისის #08–02/40661 წერილი.

# თავი მესამე: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების შესწავლისთვის შექმნილი სახელმწიფო კომისიები

საქართველოში, საბჭოთა ანაბრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზებისა და პრობლემის გადაჭრის მიზნებიდან გამომდინარე, სულ სამი რეალური უფლებამოსილების მქონე კომისია შეიქმნა, 2002 და 2004 წელს

- საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 20 მარტის #321 განკარგულების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „90–იან წლების პირველ ნახევარში ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“.
- საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2004 წლის 15 ნოემბრის #34 დადგენილებით, შეიქმნა 1992–1993 წლებში მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი მომხსენებელთა ჯგუფი.
- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით, მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელმა სახელმწიფო კომისიამ.

## *90–იან წლების პირველ ნახევარში ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი კომისია*

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 20 მარტის განკარგულების საფუძველზე შექმნილი 90–იან წლების პირველ ნახევარში ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი კომისია, წარმოადგენდა პირველ სამთავრობო კომისიას, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს ფინანსთა მინისტრი (თანათავმჯდომარე), საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო წევრი, თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე, ფინანსების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის მუდმივი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრი. განკარგულების თანახმადვე, კომისიაში მუშაობა ეთხოვათ საქართველოს საბიუჯეტო ოფისის უფროსს, სახალხო დამცველის მოადგილეს და საქართველოს პარლამენტის წევრს. კომისიის ხელმძღვანელად დასახელებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი. პრეზიდენტის განკარგულებით, კომისიას მიეცა სამთვინი ვადა, რათა მოემზადებინა დასკვნა 90–იანი წლების პირველ ნახევარში ანაბრების გაუფასურების მიზეზების შესახებ.

„90–იან წლების პირველ ნახევარში ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი კომისიის“ შექმნის მიუხედავად, კომისია მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა, სადაც წარმომადგენლებმა მუშაობის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს. ეს იყო მოულოდნელი გადაწყვეტილება, რომელიც სხვადასხვა ფაქტორებით აიხსნა, მაგრამ კომისიის სახელით, მუშაობაზე უარი არ უთქვამს ელგუჯა მექვაბიშვილს. კომისიის თავმჯდომარემ სამი თვის მანძილზე მოამზადა და საქართველოს პრეზიდენტს გადასცა საბჭოთა ანაბრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზების შესახებ მომზადებული ანგარიში, რომელიც გამოყენებული არ ყოფილა.<sup>14</sup> დღემდე ანგარიში პროფესორის პირად არქივში ინახება, რომელშიც

<sup>14</sup> მიუხედავად დასკვნის გაუთვალისწინებლობისა, მასში მოყვანილი გარემოებების შესაბამისად, 2003 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მაინც მოამზადა „ლარის შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ“ და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონებში ცვლილებების პროექტი და გადასცა პარლამენტს.

ფაქტობრივი და სამართლებრივი მოვლენების გათვალისწინებით, საბჭოთა ანაბრების გაუფასურება დაუკავშირდა 1990–იანი წლების პირველ ნახევარში განვითარებულ ჰიპერინფლაციურ პროცესებს. მომზადებული დასკვნა მიუთითებდა, რომ 1990–იან წლებში მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა შეცდომები დაუშვა, რამაც გამოიწვია ჰიპერინფლაცია, რომელმაც გააუფასურა საბჭოთა ანაბრები. დასკვნაში ცალსახად იქნა აღნიშნული, რომ სახელმწიფო აღნიშნული ვალის გასტუმრებას, რესურსების უქონლობის გამო, ვერ შეძლებდა, რასაც დაზარალებული საზოგადოება გაგებით უნდა შეხვედროდა, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის გაღებულ ხარკს. ელგუჯა მექვაბიშვილის მიერ მომზადებულ დასკვნაში, ინდექსაციის შედეგად მიღებულმა თანხამ 400 მილიონი დოლარი შეადგინა.

### ***1992–1993 წლებში მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფი***

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2004 წლის 15 ნოემბრის #34 დადგენილებით, შეიქმნა 1992–93 წლებში მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფი.<sup>15</sup> მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი ვასილ მაღლაფერიძე გახდა, რომელმაც 2004 წლის 28–29 დეკემბრს, საკანონმდებლო ორგანოს მომზადებული მოხსენება წარუდგინა.

საპარლამენტო ჯგუფმა საქართველოს პარლამენტს საკითხის შესწავლის შედეგად, მიმართა 6–პუნქტიანი რეკომენდაციით, რომელიც, აგრეთვე, არ მესრულებულა:

- 1992–93 წლებში, საქართველოში განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეფასებულიყო დანაშაულებრივ მოვლენად,
- საქართველოს პროკურატურას დაეწყო გამოძიება; ა) 1991 წლის ბოლოს, საქართველოში ემისიის სახით ჩამოტანილი ფულადი მასის დატაცების ფაქტსა და ბ) 1992–93 წლებში, საქართველოდან გადარიცხული და უკან დაბრუნებული თანხების მოძრაობისას დაკარგული 40 მილიარდი მანეთისა და 27 მილიარდი რუსული მანეთის დატაცების საკითხსა და გ) საკრედიტო რესურსების უკანონო აღებასა და გამოყენებაში მონაწილე კერძო ბანკებისა და იურიდიული პირების საქმიანობის კანონიერების დადგენის მიზნით.
- საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს დაევალებათ გაეტარებინათ შესაბამისი ღონისძიებები დაუბრუნებელი და სესხით სარგებლობისათვის გადაუხდელი საპროცენტო განაკვეთების ამოღებისათვის და ეხელმძღვანელათ კონტროლის პალატის შემოწმების აქტში აღწერილი და დაჯამებული ამოსაღები თანხების რაოდენობით.
- საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრების მონაწილეობით შემუშავებულიყო გრძელვადიანი და მრავალვარიანტიანი მეანაბრების რეაბილიტაციის პროგრამა. კომისიას განესაზღვრა საბჭოთა პერიოდის ანაბრების ნაშთების კომპენსაციის ნაწილში ინდექსაციის დასაშვებობის საკითხი და 1992 წლის 22 ივლისიდან #124 დეკრეტის შემდგომ შეტანილი ანაბრების რაოდენობის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით და შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამაში მათი გათვალისწინება.
- საქართველოს “სახელმწიფო ვალის შესახებ” კანონის მე-3, მე-11 და 34-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულ ყოფილიყო აღნიშნული კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი, რომლებიც მეანაბრების ინტერესების დაცვას უკავშირდება.

<sup>15</sup> საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფი შეიქმნა ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ წერილის საფუძველზე განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ვასილ მაღლაფერიძე (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა–დემოკრატები“), დავით საგანელიძე (ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია“), ვალერი გელბახიანი (ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები“), ბექან ბუცხრიკიძე (ფრაქცია „მაჟორიტარები“) და კობა დავითაშვილი (დამოუკიდებელი დეპუტატი)

- საქართველოს პარლამენტში შეიქმნილიყო დროებითი კომისია, რომელიც მოამზადებდა და შეიმუშავებდა მენაბრეთა ინტერესების დაცვისთვის შესაბამის კანონპროექტს.

1992–1993 წლებში, მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფი სისტემურად მიუდგა საკითხის შეფასებას.<sup>16</sup> ამიტომაც, მნიშვნელოვანია საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფის შემდეგი მოსაზრებები და შეხედულებები არამხოლოდ საბჭოთა, არამედ პოსტსაბჭოთა ქართული ანაბრების გაუფასურების საკითხებთან დაკავშირებით:

1. საბჭოთა კავშირის და მისი სოციალისტური ეკონომიკის დაშლამ, საქართველოში გამოიწვია ერთი ეკონომიკური სისტემიდან არაეტაპობრივი და ევოლუციურ ფორმაციაზე გადასვლა, არამედ ძველი სოციალისტური სისტემის უეცარი, მაგრამ მასშტაბური მსხვერვა და ახალ თავისუფალ, მაგრამ ველურ და ქაოსურ ეკონომიკაზე გადასვლა. ეს პროცესი არ იყო მხოლოდ საწარმოების გაჩერებისა და დაკონსერვების პერიოდი, არამედ, ამ მოვლენებმა თან მოიტანა ახალი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი. ინტელექტუალური და მეცნიერული ინტელიგენცია არ მოელოდა ასეთ უეცარ და შოკურ მამტაბებს, ხოლო ხელისუფლების პოლიტიკური და პროფესიული ელიტა, განსაკუთრებით ფინანსისტ-ეკონომისტებისათვის, აბსოლუტურად უცხო და გაუცნობიერებელი აღმოჩნდა საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო რეგულირების კონცეპტუალური და პროგრამული ჰარმონიზაცია. სამაგიეროდ, ასეთ ქაოტურ გარემოში ძალზედ მოხერხებულად ჩამოყალიბდა ე.წ „თეთრსაყელიანთა ფენა“, რომლებიც ფლობდნენ რეალურ ფინანსურ-ეკონომიკურ და ქონებრივ ურთიერთობებზე და ისარგებლეს რა აღნიშნული მდგომარეობით, აქტიურად ჩაერთნენ დანაშაულებრივი ფულად საკრედიტო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ქონების გადანაწილებაში.
2. ობიექტური გარემოებებიდან არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ფულის გაუფასურების ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად სახელდება. ეს გახლავთ ჯერ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტი, შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედებები, რომლის დროსაც, დაიხარჯა უზარმაზარი ფულადი და მატერიალური სახსრები.
3. ზემოთ დასახელებული გარემოებები წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობისათვის მართლაც ობიექტურად შექმნილ გარემოებებს, რომელთა მიზეზითაც გაუფასურდა მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები, ბანკებში შენახული ანაბრები და ფასიანი ქაღალდები, მაგრამ ამ გარემოებათა პირობებშიც, ხელისუფლებას აშკარად დაავიწყდა ხალხის ინტერესების გადარჩენაზე ზრუნვა, თუმცა პარალელურად, თავად ხელისუფლების წევრები და საერთოდ, მთავრობისა და პარლამენტის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკა და მათ მიერ განხორციელებული ფულად საკრედიტო პოლიტიკა აღმოჩნდა მხოლოდ საზოგადოების განსაზღვრულ პირთა გამდიდრების საშუალება და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის გაღარიბების წყარო.
4. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტური ფაქტორი და ამავე დროს, მთავარი მიზეზი ანაბრების გაუფასურებისა იყო საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ხორციელდებოდა საკრედიტო ემისიის გარეშე.

<sup>16</sup> საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფმა, აგრეთვე შეისწავლა და პარლამენტს ინფორმაცია მიაწოდა ანაბრების გაუფასურების საქმეში „გაერთიანებული ქართული ბანკის“ და იმჟამად პარლამენტარ ვანო ჩხარტიშვილის მონაწილეობის შესახებ. საპარლამენტო ჯგუფმა დასკვნაში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ბანკისა და პარლამენტარის დაინტერესება ანაბრების გაუფასურებასა თუ მითვისებაში, გამორიცხა.

აღნიშნული ვითარება იყო მიზეზი, რომელმაც მკვეთრად გაზარდა უნაღდო ფულის მასა მანეთის დეფიციტის გამო, ხელისუფლება იძულებული გახდა შემოეღო დროებითი ფულადი სუროგატი, რომელმაც ამ უკანასკნელის კატასტროფული დევალვაცია და ინფლაციური აფეთქება გამოიწვია.

5. საკრედიტო პოლიტიკის დანაშაულებრივ ხასიათზე ქართულ პრესაში უამრავი პუბლიკაცია გამოქვეყნდა და მომხსენებელთა ჯგუფმა აღნიშნული გარემოება დეტალურად შეისწავლა, თუმცა ამ მოვლენის პარალელურად აუცილებელია ანაბრებთან მიმართებაში, სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულებათა შეფასება. კერძოდ, საქართველოში 1991 წლის 1 იანვრამდე აღრიცხული იყო 3 მილიონ 922 ათასი 373 მეანაბრე. 1991 1 იანვრის მონაცემებით მეანაბრეების ანგარიშებზე ირიცხებოდა 7 მილიარდ 953 მილიონ 305 725 მანეთი. 1992 წლის 1 იანვრისათვის ანაბრების მოცულობამ შეადგინა 12 მილიარდ 517 მილიონ 615 673 მანეთი, ხოლო 1993 წლის ბოლოსთვის 101 მილიარდ 733 მილიონ 629 093 მანეთი. უნდა აღინიშნოს ისიც რომ 1992 წლის 1 იანვრიდან პრაქტიკულად აღარ ხდებოდა ანაბრების ერთიანი აღრიცხვა და ამდენად, სახელმწიფო-კომერციული ბანკებიდან ეროვნულ ბანკში შესული ინფორმაციები იყო დაუზუსტებელი და არასწორი მონაცემებით გაჯერებული. თუ პირობითად, შედარებისთვის იმ პერიოდში მოქმედ აშშ დოლარებთან მიმართებაში უბრალო მათემატიკით გადავიყვანთ (თუმცა მსყიდველობითი უნარი მაშინაც განსხვავებული იყო) ანაბრებზე რიცხულ ფულად რაოდენობას, მაშინ ასეთი სურათი გვექნება: 1990 წლის ბოლოსთვის სახელმწიფოს ოფიციალური კურსით 7 მილიარდ 953 მილიონ 305 725 მანეთი გამოდის დაახლოებით 13 მილიარდ 900 მილიონი დოლარი. სპეციალური-საბაზრო კურსით 7 მილიარდ 953 მილიონ 305 725 მანეთი გამოდის 4 მილიარდ 115 მილიონ 700 000 დოლარი, ხოლო სპეციალური კურსის მიხედვით 1 მილიარდ 613 მილიონი. 1992 წლიდან საბჭოთა კურსები იცვლება, მაგრამ დაახლოებითი სურათი მაინც შეიძლება შეიქმნას, კერძოდ, ამ დროისთვის ანაბრების მოცულობა იყო 12 მილიარდ 517 მილიონი. ამ პერიოდისათვის უკვე ოფიციალური კურსი აღარ მუშაობდა, თუმცა ფორმალური მათემატიკით, დაახლოებით, 23 მილიარდი აშშ დოლარია, საბაზრო კურსით კი 125 მილიონი დოლარი, ხოლო სპეციალური კურსით, დაახლოებით, 240 მილიონი დოლარი.
6. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დროს ყველა მოქალაქის შრომითი დანაშოგები ანუ ანაბრები ინახებოდა საბჭოთა კავშირის შემნახველ ბანკებსა და სახელმწიფო დაზღვევის ბანკებში. როდესაც დაიშალა საბჭოთა სახელმწიფო, საქართველოს ბანკებში რიცხული ანაბრების შესაბამისი ფულადი მასა საქართველოს ბანკების ნაცვლად, კვლავ სსრკ სახელმწიფო და შემბანკის ანგარიშებზე დარჩა, ხოლო საქართველოს შემბანკი, ფაქტობრივად, „ნულოვან ნაშთზე“ ანუ აღრიცხულ, მაგრამ უფულო მდგომარეობაში დარჩა. იმ პერიოდში, მოქმედი საფინანსო და საბანკო ინსტრუქციების თანახმად, 1991 წლის ბოლოსათვის, ფული საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო, რომლის მოცულობა შეადგენდა ანაბრების ნაწილში, 8 მილიარდ საბჭოთა მანეთსა და 300 მილიონ მანეთის სადაზღვევო თანხებს. საქართველოში მომხდარი ხელისუფლების შეიარაღებული გზით შეცვლის პროცესში, 1991 წლის დეკემბერში, ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოტანი იქნა, მაგრამ მისი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ვერ მოხერხდა და საბოლოო ჯამში, უკვალოდ გაქრა. თუმცა დღემდე შესწავლილი და საგამომიებო წესით დადგენილი არ არის, თუ რა ბედი ეწია ჩამოტანილ ფულს, ვის ხელში მოხვდა და როგორ იქნა დატაცებული. აქედან გამომდინარე, საქართველო, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა, იმ ნაღდი ფულის ამარა დარჩა, რომელიც იმ დროისთვის, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, სამოქალაქო ბრუნვაში იყო მოქცეული. შემოწმების მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს ეროვნულ

ბანკში 1992 წლის 1 იანვრის და შემდგომი მონაცემებით, ირიცხებოდა 19 მილიარდ 800 მილიონი მანეთი, რაც იმაზე მიუთითებს რომ ხელისუფლება ფულის ნიშნების გარეშე არ დარჩენილა.

7. ასეთ ვითარებაში, საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, რომ ყველა ზომა მიეღო პირველ რიგში, მოქალაქეების ანაბრების დაცვისათვის და სსრკ შემბანკის გაყოფის პროცესში მოეთხოვა აქტივების წილი და დეფიციტის ფულადი მასით შევსება, მაგრამ როგორც ირკვევა, საქართველოს ახალი ხელისუფლება საერთოდ არ ადევნებდა თვალს პროცესს ამავე საკითხებზე მოსკოვში მიმდინარე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებსა და რუსეთს (როგორც სსრკ სამართალმემკვიდრე) შორის, უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლების სახელით, საერთაშორისო დოკუმენტზე ხელს აწერს არაუფლებამოსილი პირი და ამის შესახებ საქართველოს მთავრობას იმ პერიოდში არ მოეპოვება არავითარი ინფორმაცია. საკითხი ამ შემთხვევაში უკავშირდება, 1992 წლის 13 მარტს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ხელმოწერილ მრავამხრივ შეთანხმებას „ყოფილი სსრკ კავშირის საშინაო ვალის მომსახურების პრინციპებისა და მექანიზმების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ხელმოწერმა ქვეყნებმა და მათ შორის საქართველომ აღიარა სამართალმემკვიდრეობითი აუცილებლობა და საკუთარი მოსახლეობის წინაშე ანაბრების განახლების ვალდებულება, რომლის გასტუმრება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სსრკ შემბანკის, შემსალაროს, სახბანკის და სახდაზღვევის ბანკების ანგარიშებზე დარჩენილი ნაშთებითა და საკავშირო ბიუჯეტის კაპიტალდაბანდებებით, ასევე სახელმწიფოს ქონებით. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდოვეთის მთავრობების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ანაბრების მომსახურებისა და განაღდების ვალდებულებების სანაცვლოდ დააყენეს პირობები, რომლებიც ითვალისწინებდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ოქროს, ალმასის, კონვერტირებული ფულისა და მთლიანი ქონების აქტივების და პასივების გაყოფას და ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის გადანაწილებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, 1992 წლის 20 მარტს, ქ. კიევში შეიკრიბნენ ხელმოწერ სახელმწიფოთა ეროვნული ბანკების ხელმძღვანელები, რომლებმაც შექმნეს სპეციალური კომისია აქტივებისა და პასივების გაყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ 1992 წლის 5 მაისს, ტაშკენტის კონფერენციაზე, რუსეთმა უარი განაცხადა სსრკ სახელმწიფო ბანკის ქონების გაყოფაზე და გადანაწილებაზე.
8. მომსხენებელთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს, ბოლო 10 წლის განმავლობაში მუდმივად ჰქონდა იურიდიული საფუძველი ანაბრების მომსახურების და დაზღვევის ფულის უკან დაბრუნების თაობაზე სამართლიანად ეწარმოებინა დავა რუსეთის სახელმწიფოსთან, მაგრამ ნაცვლად ამისა, საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა წამგებიან ხელშეკრულებას, რომლითაც ამგვარი ვალების არსებობაზე საქართველომ საბოლოოდ განაცხადა უარი და აღნიშნულ ხელშეკრულებას დღემდე საზოგადოება იცნობს, როგორც „ნულოვან ხელშეკრულებას“. ამით სახელმწიფოებრივ დონეზე, საბოლოოდ დაესვა წერტილი რუსეთის მიერ საქართველოს მეანაბრებისათვის 8 მილიარდ 300 მილიონის მანეთის უკან დაბრუნების მოთხოვნას.
9. არც 1992 და არც შემდგომი წლების ხელისუფლება არ უარყოფს ანაბრების შიდა ვალში აღიარებას და მომსახურებას, როგორც სახელმწიფო ქონებით, ასევე ბიუჯეტით, თუმცა კატეგორიულად უარყოფს რუსეთთან რაიმე შეთანხმებას ან დათმობას, მაშინ როდესაც საქართველო იურიდიულად, სრულიად უყოყმანოდ აღიარებს იმას, რასაც რუსეთი 1992 წლის 13 მარტს ხელშეკრულებით ითხოვდა.

10. რაც შეეხება 1992 წლის მოქმედი ხელისუფლების დამოკიდებულებას მეანაბრეთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, მომხსებელთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ურცხვად მოატყუა მოსახლეობა, ვინაიდან მიღებული იქნა ისეთი მიმზიდველი და წამქეზებლური სამართლებრივი აქტი, რომლის ალბათობა გათვლილი იყო მხოლოდ ხალხის გულუბრყვილო დამოკიდებულებაზე და სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი ფულის უსწრაფეს საყოველთაო მობილიზებაზე; სამართლებრივად დეკრეტი ფორმალურ ვალდებულებას აკისრებდა მთავრობას და ამავე დროს, თანხის შეტანა ნებაყოფლობით პრინციპზე იყო აგებული, ანუ სამართლებრივი აქტის კონსტრუქცია ემშაკურად იყო მოფიქრებული, თუმცა ხელისუფლებამ იცოდა, რომ რუსული მანეთი ყოველდღე უფასურდებოდა, კარგავდა მსყიდველობის უნარს და ინფლაციური პროცესების შეჩერება შეუძლებელი იყო.
11. ხელისუფლებამ იცოდა, თუ არ იცოდა, უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთმა საერთაშორისო და შიდა და საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობებში 1992 წლის 1 ივლისიდან გააუქმა მანამდე მოქმედი სამი სავალუტო კურსი და გამოაცხადა ახალი- ერთიანი კურსი, რომლის მიხედვითაც 1 აშშ დოლარი გამოცხადდა 125 რუსული მანეთის ექვივალენტად. 1-ლი ივლისიდან 22 ივლისამდე ანუ დეკრეტის გამოცემამდე ხელისუფლება აკვირდებოდა და ხედავდა, როგორი ტემპებით დაიწყო ახალი რუსული სავალუტო კურსის ზრდა, იმდენად, რამდენადაც კურსის ყოველდღიური ცვალებადობა უკვე იძლეოდა პროგნოზირების საშუალებას და თუ 1 ივლისს 1 აშშ დოლარი 125 რუსული მანეთი ღირდა, უკვე 22 ივლისისათვის 1 აშშ დოლარი გახდა 155 მანეთი ანუ 20 დღეში სხვაობა 30 ერთეულით ზრდაში გამოიხატა.
12. ხელისუფლებამ ცხადია იცოდა, რომ, ამ პარამეტრებით სხვაობა ერთ წელიწადში არა თუ 100 პროცენტით, არამედ 300-400 პროცენტით მატულობდა. აი, ეს ყველაფერი ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა და მაინც, ნაცვლად იმისა, რომ გაეფრთხილებინა მოსახლეობა მოსალოდნელი ინფლაციის შესახებ და ნაცვლად იმისა, რომ მყარი გარანტია მიეცა შესაბამისი დაზღვევით ან იმ დროს მოქმედი მყარი ვალუტის კურსის შენარჩუნებითა და უზრუნველყოფით, პირიქით, ისარგებლა დაბნეული მოსახლეობის გულუბრყვილობით და პრაქტიკულად, ბოლო კაპიკებიც კი ამოაცალა ჯიბიდან. ყველას კარგად ახსოვს, როგორი რიგები იყო ფულის შეტანაზე, დიდმა ნაწილმა გაყიდა ქონება, ზოგმა მოძრავი ზოგმა უძრავი, ზოგმა სულიერი, იმ იმედით, რომ ერთი წლის შემდეგ ორმაგად დაიბრუნებდა ყველაფერს. ერთი სიტყვით, ხალხი გამდიდრებაზე ოცნებობდა და ამ დროს ხელისუფლებას ირონიულად ელიმებოდა, ვინაიდან მშვენივრად იცოდა, რომ ხალხს მორიგ მარცვის ოპერაციას უტარებდა.
13. წინასწარ გათვლილი მოსალოდნელი შედეგების ვითარებაში, 1992 წლის 22 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მიიღო „საუკუნის აფიორად“ წოდებული #124 დეკრეტი, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეებს, რომლებსაც ჰქონდათ ანაბრები შეტანილი დეკრეტის გამოცემამდე, ცხადდებოდა საანაბრო ნაშთად და ერთი წლის განმავლობაში უორმაგდებოდა 100%-ით, ხოლო იმ პირებს ვისაც სურდა, რომ გაორმაგებოდა ხელზე არსებული ფული, მათ ანაბრის სახით უნდა შეეტანათ ბანკებში 1992 წლის 1 აგვისტომდე და მათაც გაუორმაგდებოდათ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ამ ერთ წელიწადში ანაბრის უკან გამოთხოვის შემთხვევაში, დეკრეტის მე-4 პუნქტში ითვალისწინებდა საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების უნაღდო ანგარისსწორებით შეძენას.
14. მთავრობას სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია მართლაც განზრახული ქონდა, რომ მესაკუთრეთა ფენა მეანაბრეების ბაზაზე კი არ უნდა ჩამოყალიბებულიყო, არამედ ხელისუფლების მხარდამჭერი პოლიტიკური ელიტისაგან რომელიც ჯერ უკანონო

კრედიტებით გადიდდრდა, მაგრამ ამავე დროს, დანაშაულებრივ ჭაობში ამოაყოფინა თავი, ხოლო შემდგომ, როდესაც სახელმწიფო ქონების ე.წ ვაუჩერიზაცია განხორციელდა, სწორედ ხელისუფლებაზე დამოკიდებულ პოლიტიკურ ჯგუფებსა და ე.წ „წითელ დირექტორებს” ჩაუგდო ხელში. ამგვარად, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ხელოვნურად განხორციელდა მათზე დამოკიდებული მესაკუთრული პოლიტიკურ-ეკონომიკური ფენის ჩამოყალიბება.

15. #124 დეკრეტი ქვეყნის მოსახლეობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი სიხარულით მიიღო, რის გამოც, ბანკების სალაროებს უამრავი ხალხი მიაწყდა. აღნიშნული გარემოება კვლავ გამოყენებული იქნა მთავრობის სასარგებლოდ და #131 დეკრეტით, ანაბრების შეტანის ვადა გაგრძელებული იქნა კიდევ 10 დღით ანუ 1992 წლის 10 აგვისტომდე.
16. იმდროინდელი პრესის საშუალებით დგინდება, რომ 18 დღიანი ვადაში მოსახლეობამ სახელმწიფო სალაროში შეიტანა დამატებით 8 მილიარდი რუსული მანეთი, რომელიც უნდა გაორმაგებულიყო 1993 წლის 10 აგვისტოს, მაგრამ ჯერ კიდევ 1993 წლის 5 აპრილიდან მიმოქცევაში შემოდის ქართული ვალუტა კუპონი, საკმაოდ პრეტენზიული კურსით (1 კუპონი = 1 რუსული მანეთს), ხოლო აგვისტოს 10 რიცხვისთვის, უკვე კუპონის კურსი აშკარად შემაშვოთებელია, ვინაიდან 1 ამერიკული დოლარი უდრიდა 5600 კუპონს, ხოლო 100 რუსული რუბლი 550 კუპონს. ციფრებით თუ შევადარებთ, უფრო ნათელი წარმოდგენა გვექნება, კერძოდ, 1992 წლის 10 აგვისტოს 1 აშშ დოლარი უდრიდა 161 რუსულ მანეთს ანუ 100 აშშ დოლარი უდრიდა 16.100 მანეთს.

### *საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია*

2004 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის №108 დადგენილების საფუძველზე, „სახელმწიფო ვალის შესახებ” საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელიც დღემდე საქმიანობს.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე, კომისია შეიქმნა შემდეგი სამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობით: კომისიის თავმჯდომარე: საქართველოს ფინანსთა მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, კომისიის წევრები: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი და იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, ხოლო საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ქალაქ თბილისის მერსა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ეთხოვათ წევრის სტატუსით მონაწილეობა მიეღოთ კომისიის მუშაობაში.

საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მთავრობის №108 დადგენილებით მიღებული დებულების თანახმად და კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ნოემბრის №347 დადგენილებით, კომისიის უფლებამოსილების ვადა 2012 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრა, 2011 წლის 1 დეკემბრის №450 დადგენილებით კი 2013 წლის 1 იანვრამდე. კომისიის უფლებამოსილების გახანგრძლივების გადაწყვეტილება მიიღო 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად დამტკიცებულმა საქართველოს მთავრობამაც. საქართველოს

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის 2012 წლის 11 დეკემბრის №463 დადგენილების საფუძველზე, კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 იანვარი. ამასთან, დადგენილებამ უცვლელი დატოვა კომისიაში წევრის სტატუსით მოწვეულთა წრეც დაემატა.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომისია აღიჭურვა უფლებამოსილებით იმუშავოს ამ კანონის მიღებამდე ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სახელმწიფო საშინაო სავალო ვალდებულებებად მიჩნეული:

1. მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება;
2. ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება;
3. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება;
4. თურქმენეთიდან 1995 წლის ჩათვლით მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობის დავალებით, ქვეყნის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გადატვირთული პროდუქციის ანაზღაურებაში არსებული დავალიანება;
5. საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება;
6. ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება;
7. კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება;
8. მუნიციპალურ საწარმო "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება;
9. მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდელობით წარმოქმნილი დავალიანება;
10. ყოფილი სსრ კავშირის "ინდუსტრიაბანკის" მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიას დაევალა:

- საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებები შემუშავება საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მიმართ.
- მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტების წარდგენა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მიმართ გადაწყვეტილებების მისაღებად.
- საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის მმართველსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.
- სამინისტროებიდან, უწყებებიდან, საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან სახელმწიფო საშინაო ვალის და მის მმართველსთან დაკავშირებით მუშაობისთვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების გამოთხოვა.
- სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციის სპეციალისტები და დამოუკიდებელი ექსპერტები ეკონომიკის საკითხებში.

- საჭიროების შემთხვევაში, თავის სხდომაზე სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დაინტერესებული და პასუხისმგებელი პირების მოწვევა.
- კომისიის სხდომების გამართვა პერიოდულად, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიას, რომელიც უფლებამოსილია სახელმწიფო საშინაო ვალის კატეგორიების მიმართ, მათ შორის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში რიცხული მოსახლეობის ანაბრებთან დაკავშირებით, შეიმუშავოს ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და გადაწყვეტილებების მისაღებად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, დღემდე საქართველოს მოქალაქეთა საბჭოური ანაბრის კონპენსირების მექანიზმებთან დაკავშირებით, არც ერთი გადაწყვეტილება თუ წინადადება არ მოუშაადებია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 12 თებერვლის №04-04/1227 წერილის<sup>17</sup> თანახმად, „სახელმწიფო<sup>18</sup> კომისიის მიერ, სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებამდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სამწუხაროდ, მოკლებულია შესაძლებლობას აანაზღაუროს ამ კატეგორიის საშინაო სავალო ვალდებულება.“ 2011 წლის 23 თებერვლის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის №18/2784 წერილის მიხედვით კი დასტურდება, რომ „კომისიას წარმოქმნილი დავალიანების გასტუმრების თაობაზე არ უმსჯელია.“<sup>19</sup> ამასვე ადასტურებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 20 მარტის №01-02/23205 წერილიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების გასტუმრების მიზნით, ანაზღაურების მექანიზმებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.“<sup>20</sup>

სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია შექმნის დღიდან 2013 წლის 20 მარტის მდგომარეობით, სულ ხუთჯერ შეიკრიბა: 2005 წლის 28 იანვარს, 3 მაისს და 29 ივლისს, 2008 წლის 29 დეკემბერს და 2012 წლის 25 დეკემბერს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე,<sup>21</sup> 2004-2012 წლის შუალედში, კომისიამ განახორციელა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- მოისმინა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინფორმაცია სახელმწიფო საშინაო ვალის შესახებ. აღინიშნა, რომ სახელმწიფო საშინაო ვალების ე.წ. „ისტორიული ვალების“ მოცულობა საორიენტაციოდ შეადგენს 682 მლნ ლარს. ამასთან, ამჟამად მოქმედი ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო საშინაო ვალის ზოგიერთი კატეგორიის ანაზღაურების მექანიზმს, არათანაბარ პირობებში აყენებს მევალებებს. ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ ფინანსთა სამინისტრო არ ფლობს სრულ ინფორმაციას სახელმწიფო საშინაო ვალის გარკვეულ კატეგორიაზე, რის გამოც არ არსებობს სახელმწიფო საშინაო ვალების ერთიანი რეესტრი. გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფო კომისიის მუშაობის ვადა განსაზღვრულია 2006 წლის 1 მაისამდე, ვალების ინვენტარიზაციის პროცესი უნდა დაიყოს და განხორციელდეს ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე, 2005 წლის 1 მაისამდე განხორციელდეს კოოპერატიული ბინების

<sup>17</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2007 წლის 12 თებერვლის #1227 წერილი

<sup>18</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2007 წლის 12 თებერვლის #1227 წერილი

<sup>19</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილის 2011 წლის 23 თებერვლის #2784 წერილი

<sup>20</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს 2013 წლის 20 მარტის #23205 წერილი

<sup>21</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს 2013 წლის 20 მარტის #23205 წერილი

აუშენებლობით წარმოქმნილი დავალიანების ინვენტარიზაცია, მის საფუძველზე შემუშავდეს ანაზღაურების მექანიზმი. *(კომისიის სხდომის ოქმი №1, 28.01.2005)*

- დაიწყო კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების სრული ინვენტარიზაცია და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით. *(კომისიის სხდომის ოქმი №1, 28.01.2005)*
- მოისმინა ინფორმაცია კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების ინვენტარიზაციის მიმდინარეობის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ინვენტარიზაციის ვადების გაგრძელების შესახებ 2005 წლის 1 ივლისამდე. *(კომისიის სხდომის ოქმი №2, 03.05.2005)*
- მიიღო გადაწყვეტილება კოოპერატიულ ბინათმშენებლობის ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის პერსონიფიცირების შესახებ *(კომისიის სხდომის ოქმი №3, 29.07.2005)*
- მიიღო გადაწყვეტილება კორპორატიული ბინათმშენებლობის წევრების თანხმობის შემთხვევაში, მომზადებულიყო წინადადებები მშენებარე კოოპერატიული სახლების და ამ სახლებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების მათზე საკუთრებაში გადაცემის შესახებ. *(კომისიის სხდომის ოქმი №3, 29.07.2005)*
- მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე მომზადებულიყო კონკრეტული წინადადებები მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ღონისძიებებთან დაკავშირებით. *(კომისიის სხდომის ოქმი №3, 29.07.2005)*
- მიიღო საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ. აღინიშნა, რომ სახელმწიფო საშინაო ვალად დაფიქსირებული თანხა არ ასახავს რეალურ სურათს, რადგან საშინაო ვალის უმეტესი კატეგორიებისთვის დასადგენია ანაზღაურების მექანიზმი და ვალის ზუსტი მოცულობა. ფინანსთა სამინისტრო არ ფლობს სრულ ინფორმაციას „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით აღიარებული ვალის კატეგორიების ე.წ. „ისტორიული ვალების“ შესახებ. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად აუცილებელია გაგრძელდეს ინვენტარიზაციის პროცესი. ინვენტარიზაცია განხორციელდება ეტაპობრივად, დასაწყისისთვის აირცევა „ისტორიული ვალების“ ის კატეგორიები, რომელზეც ფინანსთა სამინისტროში არსებობს მაქსიმალური ინფორმაცია. *(კომისიის სხდომის ოქმი №4, 29.12.2008)*
- შექმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა „ისტორიული ვალების“ იმ კატეგორიის გამოყოფა, რომლის მიმართაც უნდა მომხდარიყო, საწყის ეტაპზე ინვენტარიზაციის განხორციელება. *(კომისიის სხდომის ოქმი №4, 29.12.2008)*
- მიიღო გადაწყვეტილება კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რათა სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად სრულყოფილი სურათი, მათ შორის მომხდარიყო იმ კოოპერატივების წევრთა ცალკე გამოყოფა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ წლების განმავლობაში დაკმაყოფილებულები არიან რაიმე ფორმით და რომლთა მიმართაც სახელმწიფოს აღარ გააჩნია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება. *(კომისიის სხდომის ოქმი №5, 25.12.2012)*
- ეთხოვა ქალაქ თბილისის მერიას შესაძლებლობის ფარგლებში დააზუსტოს და სამუშაო ჯგუფს მიაწოდოს ინფორმაცია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ იმ მიწის ნაკვეთებზე და მასზედ არსებულ შენობა-ნაგებობებზე, რომელთა მშენებლობაც დაიწყო და არ დასრულებულა კოოპერატიული ბინათმშენებლობა. *(კომისიის სხდომის ოქმი №5, 25.12.2012)*

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით,<sup>22</sup> „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების შესაბამისად, სახაზინო სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხთან დაკავშირებით, „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო მოსახლეობის მიერ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციის ხარჯებმა სულ შეადგინა 4 706 641 ლარი, მათ შორის 1997 წელს – 500 000 ლარი, 1998 წელს – 4 132 081 ლარი, 1999 წელს – 74 560 ლარი.

სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიას, არსებული გადაწყვეტილებებით, არც ერთხელ არ უმსჯელია ყოფილი მენაბრების ანაბრების გასტუმრების საკითხების მოგვარებაზე. ამასთან, ჯერ კიდევ დაუცველია კოოპერატიული ბინათმშენებლობის მესაკუთრეთა კანონიერი ინტერესები. კომისიის და სამუშაო ჯგუფების მუშაობა ვერ შეფასდება ეფექტურად, რადგანაც 2004-2012 წლებში არ მიღებულა არც ერთი კონკრეტული გადაწყვეტილება კომისიის დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების იმპლემენტაციისთვის. კომისიას არ განუხორციელებია ყოფილი საბჭოთა მენაბრების პერსონიფიცირებაც, რის შედეგადაც, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, არ არსებობს ზუსტი მონაცემი იმის თაობაზე, თუ რამდენი მოქალაქეა საბჭოთა ანაბრის მფლობელი.“<sup>23</sup>

2013 წლის 12 მარტს, საქართველოს ფინანსთა მინისტრს, საბჭოთა ანაბრების პრობლემის მიმართ სამინისტროს მკაფიო პოზიციისთვის გაეგზავნა შემდეგი სახის მიმართვა:

1. როგორია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიცია საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ანაზღაურების/კომპენსაციასთან დაკავშირებით? რა საფუძვლებს ეყრდნობა სამინისტროს ხედვა?
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რა სახელმწიფო სტრატეგია გააჩნია საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ანაზღაურების/კომპენსაციასთან მიმართებით?
3. საქართველოს გადაწყვეტილება საბჭოთა ანაბრების ქვეყნის საშინაო ვალად აღიარების შესახებ, იყო სამართლებრივი ვალდებულება, შეცდომა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება? არის თუ არა საბჭოური ანაბარი საქართველოს ვალი?
4. უნდა ანაზღაურდეს თუ არა საქართველოს მენაბრეთა დანაკარგი? თუკი ასეთი შესაძლებლობა არსებობს, როგორ გესახებათ საქართველოს მიერ ვალდებულების შესრულების დრო, ფორმა და სტრუქტურა?
5. 1990–იან წლების საქართველოში, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მოქალაქეთა დანაზოგის გაუფასურებაში. ფიქრობთ თუ არა, რომ 1990–იანი წლების ინფლაცია იყო დანაშაული. თქვენი აზრით, ვინ შექმნა ხალხისთვის წამგებიანი გარემო?
6. საქართველოში 1990–იანი წლების ინფლაცია, იყო თუ არა ხელოვნურად გამოწვეული. თუკი ინფლაცია ხელოვნურად იქნა გამოწვეული, ამ პროცესში, რა როლი შეასრულა საქართველოს მაშინდელმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა და ხელისუფლებამ?
7. როგორ უნდა ანაზღაურდეს საქართველოს მენაბრეთა დანაკარგი? ემხრობით თუ არა ინდექსაციის ისეთ მექანიზმს, როდესაც ხელისუფლება საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, მოქალაქეებს, ვთქვათ, შესთავაზებდა საწარმოთა აქციებს და სხვა.
8. თვლით თუ არა, რომ საბჭოური ანაბრის ანაზღაურების/კომპენსაციის ვალდებულება მხოლოდ თანამედროვე რუსეთის ფედერაციას – საბჭოთა კავშირის ერთადერთ სამართალმემკვიდრს გააჩნია?

<sup>22</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს 2013 წლის 20 მარტის #23205 წერილი

<sup>23</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს 2013 წლის 20 მარტის #01–02/23205 წერილი

9. საქართველოს მთავრობისთვის საბჭოური ანაბრის გაცემა კეთილი ნებაა თუ რეალური სამართლებრივი (სახელმწიფო) ვალდებულება?
10. საბჭოთა კავშირის რომელმა ყოფილმა მოკავშირე ქვეყანამ მიიღო საქართველოსთვის სამაგალითო გადაწყვეტილება საბჭოური ანაბრის გასტუმრების სტრუქტურასთან დაკავშირებით. საქართველომ რომელი ასეთი ქვეყნის გამოცდილებით უნდა იხელმძღვანელოს?
11. სად წავიდა საბჭოური ანაბარი/თანხები? რატომ არის დღემდე საბჭოთა ანაბრების საკითხი შეუსწავლელი?

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, დასმული საკითხების მიმართ, 2013 წლის 4 აპრილის #08–02/27378 წერილის თანახმად, მხოლოდ შემდეგი ხასიათის განმარტებით შემოიფარგლა: „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „მოსახლეობის მიერ ყოფილი სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანბრების ინდექსაციით წარმოქნილი დავალიანება“ აღიარებულია სახელმწიფო საშინაო ვალად. ამასთან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48–ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილია საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელიც, იმ პირთა მიმართ, რომლებიც განეკუთვნებიან „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48–ე მუხლის პირველი პუნქტით შესაბამისად, აღიარებული სავალო კატეგორიებს, შეიმუშავენ სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებით რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს.“<sup>24</sup>

<sup>24</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2013 წლის 4 აპრილის #08–02/27378 წერილი

## თავი მეოთხე: საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

1991 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად – საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე. აღნიშნული დადგენილების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა სსრკ შემნახველი ბანკის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი. ყოფილი სსრკ აგრომრეწველბანკის და სსრკ მრეწველმშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკები მათი ქსელით, გამოთვლითი ქსელებით, მთელი აქტივებითა და პასივებით. აგრეთვე, სსრკ სახელმწიფო ბანკის ინკასაციის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო მისი დაქვემდებარებული წარმოება – დაწესებულებებით.

დადგენილებითვე გაუქმდა სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი და მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი. დადგენილებითვე, მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი ყოფილი სსრკ შემნახველი ბანკის, სსრკ მრეწველმშენბანკის, სსრკ აგრომრეწველბანკის და სსრკ ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკების გარდაქმნა სახელმწიფო-კომერციულ და აქციონერულ-კომერციულ ბანკებად. აგრეთვე, შეიქმნა ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო-კომერციული ბანკიც. იმ ვითარებაში, როდესაც საბანკო სფეროს მოსაწესრიგებლად ქვეყანაში არ არსებობდა შესაბამისი ნორმატიული ბაზა, დადგენილებით განისაზღვრა, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს სამი თვის ვადაში უზრუნველყო საბანკო სისტემის უკვე მოქმედ კანონმდებლობასთან მოყვანა და ახალი ინსტრუქციების შექმნა.

საქართველოს კანონებით: „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ თანახმად, ეროვნული ბანკის ვალდებულება გახდა:

- ეროვნული ფულის ერთეულის სიმტკიცის უზრუნველყოფა, დაკრედიტების, ანგარიშსწორების, ფულის მიმოქცევისა და სავალუტო ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარება, კრედიტორებისა და მეანაბრეთა ინტერესების დაცვა კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების წესების განსაზღვრით და მათ შესრულებაზე კონტროლი, საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი ბაზრის შექმნა და მისი მსოფლიოს ეკონომიკაში ინტეგრირებისათვის ხელშეწყობა.
- განესაზღვრა კომერციული ბანკებისათვის გასაცემი კრედიტების მოცულობა.
- დაეწესებინა ბანკებისთვის ეკონომიკური ნორმატივები, მოეხდინა ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების სასესხო და სადეპოზიტო საქმიანობის რეგულირება, შეესრულებინა სხვადასხვა ოპერაციები და ქმედებანი, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას.
- ფულადი მასის მაქსიმალური საზღვრების გამუდმებული გადამეტებისა და ფასების ინფლაციური ზრდის შემთხვევებში, გაეტარებინა დამატებითი ღონისძიებები კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებათა შეზღუდვის, მათ აქტიურ-პასიურ ოპერაციებზე, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისა და მათთვის საკომისიო ანაზღაურების საზღვრების დაწესებით. ეს ზომები შეიძლება გატარებულიყო დიფერენცირებულად ბანკის ტიპის, კრედიტის სესხის, დარგისა და რეგიონის თავისებურებთა გათვალისწინებით.
- ცალკეული დარგების დაკრედიტების სტიმულირების მიზნით, გაეცა საკრედიტო გარანტიები.

საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილებებისა და კანონების მიუხედავად, 1990–იან წლებში დაიწყო საქართველოს საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი. საქართველოს საბანკო სისტემა აღმოჩნდა ერთიანი ყოფილი საკავშირო საბანკო სისტემისგან სრულად იზოლირებული. ნაღდი ფულის, მანეთის მიწოდება, საქართველოსთვის, რომელსაც საკუთარი ვალუტა არ გააჩნდა აღმოჩნდა მხოლოდ იმ ნაღდი ფულის ამარა, რომელიც იმ დროისათვის ქვეყნის შიგნით იყო მიმოქცევაში. არადა, საქართველოს ბანკებში ირიცხებოდა მილიარდობით მანეთის ანაბარი. ამგვარად, დამოუკიდებელ ქვეყანას საკუთარი მოქალაქეების მიმართ უზარმაზარი ვალი აღმოაჩნდა. ვინაიდან ეს თანხა მანეთში იყო გამოსახული და რუსეთმა საქართველოს მანეთის მიწოდება შეუწყვიტა, მეანაბრეთათვის ფულის გატანა ბანკებიდან შეუძლებელი აღმოჩნდა. ანაბრების საერთო მოცულობა 13 მილიარდი მანეთი იყო. იმ დროისათვის დოლართან მიმართებაში მანეთის გაცვლითი კურსი იყო 1 მანეთი – 62–64 ცენტი ანუ ანაბრების მთლიანი თანხა დოლარში გამოსახული იყო 8.2 მილიარდი დოლარი.

დამოუკიდებელი საქართველო ამგვარი კოლოსალური ვალდებულების წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის შემნახველი ბანკის ერთიანი სისტემის დაშლის შემდეგ, სადაც მოსახლეობის ანაბრების უდიდესი ნაწილი იყო თავმოყრილი, 1991 წლის 16 ნოემბრის N856 დადგენილების საფუძველზე, შემნახველი ბანკი ფუნქციონირებას იწყებს, როგორც სპეციალიზირებული სახელმწიფო–კომერციული ბანკი. 1991–1992 წლებში დაიწყო მანეთის სერიოზული ინფლაცია დოლართან მიმართებაში. დაფიქსირებული მანეთის კომერციული კურსი, რომელიც ოფიციალური კურსისგან (1 მანეთი – 60 ცენტი) განსხვავებით გაცილებით მაღალი იყო (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნის შიგნით არსებული მანეთი აღმოჩნდა უფრო ნაკლებად მსყიდველუნარიანი, ვიდრე ოფიციალური მანეთი). მანეთის გაუფასურების გამო მოსახლეობა შეეცადა გამოეტანა ანაბრები და იგი დოლარში გადაეტანა, მოეხდინა კონვერტაცია, მაგრამ ფულადი ნიშნების დეფიციტის გამო, ეს შეუძლებელი გახდა. მანეთის გაუფასურებამ ზეგავლენა იქონია სამომხმარებლო ფასებზე და შედეგად მოსახლეობის დანაზოგები თანდათან გაუფასურდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის წინადადებით, 1992 წლის ზაფხულში გადაწყდა, რომ 1992 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, მომხდარიყო ანაბრის ანგარიშებზე მოთავსებული ფულადი სახსრების 50%-ით აფასება. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1992 წლის 20 ივლისს გამოსცა N747 დადგენილება „საქართველოს მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ“. ანაბრების აფასების თანხები უნდა ჩარიცხულიყო სპეციალურ ანგარიშზე და მათი ანაზღაურება უნდა მომხდარიყო 1.5 წლის შემდეგ. ანაზღაურება უნდა მომხდარიყო ბიუჯეტის ხარჯზე. აფასების შედეგად ანაბრების მოცულობამ 19 მილიარდი მანეთი შეადგინა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 22 ივლისის N11 დეკრეტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა 1992 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით რიცხული ანაბრის ნაშთების გაზრდას, ხოლო შემდგომ მოსახლეობის თხოვნიდან გამომდინარე, ვადის გაგრძელების თაობაზე, რომ ესარგებლათ შემოღებული კომპენსაციით, 1992 წლის 3 აგვისტოს N14 დეკრეტის საფუძველზე, სახელმწიფო საბჭომ დაადგინა სახელმწიფო კომერციულ ბანკებში 1992 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით ანაბრის ანგარიშებზე მოთავსებული ფულადი სახსრების 100%-ის ოდენობით გაზრდის შესახებ. ანაბრის გაზრდილი თანხის გაცემა უნდა მომხდარიყო 1 წლის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის და სახელმწიფო–კომერციული შემნახველი ბანკის მიერ დადგენილი წესით. ამასთან ერთად, მეანაბრეებს უფლება მიეცათ გაზრდილი (ინდექსირებული) თანხების ერთი წლის ვადის გასვლამდე გამოყენების შესახებ, მთავრობის მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ობიექტების უნდადლო ანგარიშსწორებით შეძენისთვის.

1993 წელს ინდექსირებული თანხები დაემატა ანაბრების ძირითად ნაშთებს, რითაც ანაბრები გაიზარდა. 1993 წლის 1 აპრილს, ეროვნული ბანკის გამგეობამ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების მიმოქცევაში გამოშვების შესახებ“. დადგენილების მიზეზი იყო ნაღდი ანგარიშსწორების სფეროში შექმნილი მძიმე სიტუაცია, ვინაიდან ქვეყანას არ გააჩნდა

ფულადი საშუალებები. ამიტომ, გადაწყდა ეროვნული ვალუტის სუროგატის შემოღება, რომელსაც უნდა უზრუნველყო ხელფასების, პენსიების და სხვა ხარჯების დაფინანსება. შედეგად, 1993 წლის 5 აპრილიდან მიმოქცევაში შემოვიდა კუპონი, რომელიც მანეთის პარალელურად გამოიყენებოდა. თანაფარდობა კუპონსა და მანეთს შორის განისაზღვრა 1:1-ზე პროპორციით. კუპონის ძირითადი ფუნქცია ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელება იყო, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორება კვლავ მანეთით გაგრძელდა. ქვეყნის მასშტაბით დარჩენილი მანეთის მასა წარიმართა რეზერვში საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად. დაწესდა შეზღუდვები მანეთში ფულადი ნიშნების გაცემაზე და მათი გაცემა ხდებოდა ეროვნული ბანკის ნებართვით. ორგანიზაციებს ფულადი სახსრების გაცემის დროს დაევალოთ ორი უწყისის შედგენა – სამანეთო და საკუპონე. სამანეთო უწყისებში აისახებოდა რესპუბლიკის გარეთ მივლინებებისთვის მანეთის გაცემები.

კუპონის შემოღება იყო იძულებითი ნაბიჯი, რომელსაც სრული ფინანსური კრაზისგან უნდა ეხსნა ქვეყანა, ვინაიდან ფულადი ნიშნების უმწვავესი დეფიციტი. 1993 წელს საქართველოს რუსეთისგან არ ქონდა მიღებული კუთვნილი ფულადი ნაშთი და ვერ გასცემდა ხელფასებს, პენსიებს და ა.შ. საკუპონე სისტემის შემოღება იყო გარდამავალი ეტაპი, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ეროვნული ვალუტის შემოღება.

1993 წლის 24 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და ეროვნულმა ბანკმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება N575 „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების შესახებ“. ამის საფუძველზე, 1993 წლის 3 აგვისტოდან საქართველოს ტერიტორიაზე როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ კუპონში. უცხოური ვალუტით სავაჭრო ოპერაციების განხორციელება ჩაითვალა კანონსაწინააღმდეგო ქმედებად და გაუთანაბრდა სისხლის-სამართლის დანაშაულს.

ინფლაციის შეუჩერებელმა პროცესმა გავლენა ანაბრებზეც მოახდინა. ინდექსაციამაც კი მოსახლეობის თანხები ვერ დაიცვა გაუფასურებისგან. ამიტომ, ფულადი დანაზოგების გაუფასურებით მიყენებული მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით, გადაწყდა სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის რეორგანიზაცია საპაიო ბანკად. ანუ ბანკის მეანაბრები ხდებოდნენ მისი მეწილეები. უპირატესობა მიენიჭა 1993 წლის 1 აპრილამდე გახსნილი ანგარიშების მფლობელ მეანაბრებს ანუ უნდა შექმნილიყო ბანკი, რომლიც თანამესაკუთრეები იქნებოდნენ მეანაბრები და საკონტროლო პაკეტი ექნებოდა სახელმწიფოს.

1994 წელს სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის რეორგანიზაციის შედეგად, დაფუძნდა საპაიო-კომერციული ბანკი „ახალი ქართული ბანკი“. სახელმწიფომ მეპაიეების სახსრების გაუფასურების საკომპენსაციოდ თავისი წილი მათ სასარგებლოდ დათმო, რის შედეგადაც მეპაიეების წილი 44.71%-ს გაუტოლდა. 1994 წლის 25 მარტის ბრძანებულებით, „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო შემნახველი ბანკის საპაიო კომერციულ შემნახველ ბანკად გარდაქმნის შესახებ“, კერძოდ, ბრძანებულების მე-5 პუნქტით საპაიო-კომერციული შემნახველი ბანკი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკისა და მისი დაწესებულებების ქსელის სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა.

**ბანკების გაერთიანების პროცესი** – ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო კომერციული ბანკის გარდა, საქართველოში მოქმედებდნენ კომერციული ბანკებიც. არასრულყოფილი საბანკო კანონმდებლობის და ბანკების ლიცენზირების მახინჯი მექანიზმის გამო, კომერციული ბანკების რიცხვი ქვეყანაში სწრაფად გაიზარდა და 1994 წლის დასაწყისში, 229 ერთეულს მიაღწია. დღის წესრიგში დადგა საბანკო სისტემის რეფორმირების საკითხი და ეს პროცესი დაიწყო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევრობანკის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით. რეფორმის მიზანი იყო სამსაფეხურიანი

საბანკო სისტემის (ეროვნული ბანკი, სახელმწიფო კომერციული ბანკები და კომერციული ბანკები) ორსაფეხურიანი სისტემით (ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები) შეცვლა.

1995 წლის 21 მარტის სახელმწიფო მეთაურის N71 ბრძანებულების საფუძველზე, 1995 წლის 7 აპრილს, „საქქესიმბანკის“, „იდუსტრიაბანკის“ და საპაიო-კომერციული ბანკის „ახალი ქართული ბანკის“ შერწყმის გზით, შეიქმნა „გაერთიანებული ქართული ბანკი“, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა 1995 წლის 19 მაისს, ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ. მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 6 მილიონ აშშ დოლარს.

საქართველოში ბანკების გაერთიანება ოთხმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა:

1. ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო და მარეგლამენტირებელი ნორმატივების შემოღებამ და გამკაცრებამ;
2. ყოფილი სახელმწიფო ბანკების მძიმე მემკვიდრეობამ, რაც სერიოზულ თანხებში ვადაგადაცილებულ უიმედო სესხებში გამოიხატებოდა;
3. ყოფილი „მშენბანკის“, „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობათა ბანკის“ და „შემნახველი ბანკის“ დარგობრივმა სპეციალიზაციამ, ვინაიდან მათი ძალების გაერთიანება სოლიდური საბანკო დაწესებულების შექმნის წინაპირობა იყო;
4. საერთაშორისო პრაქტიკამ, რომლის მიხედვითაც მსგავსი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი მცირე კაპიტალის მქონე ბანკების გაერთიანებაა.

1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ეროვნული ვალუტა – ლარი. მისი გადაცვლა კუპონზე მოხდა პროპორციით: 1 მილიონი კუპონი – 1 ლარი. გადაცვლა განხორციელდა „გაერთიანებული ქართული ბანკის“ (გქბ) ფილიალებში. ანაბრების გადაანგარიშება მოხდა შეფარდებით 1 ლარი 1 მილიონ კუპონზე. შედეგად, ანაბრების საერთო მოცულობამ 3 723 679 ლარი შეადგინა. 1997 წლის 8 დეკემბერს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის N716 ბრძანებულება „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმის და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“. ინდექსაცია მოხდა კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების თარიღის – 1993 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით. ინდექსაცია უნდა განხორციელებულიყო დიფერენცირებულად. ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაციისთვის განისაზღვრა 502 მილიონი ლარი და საქართველოს პარლამენტს გაეგზავნა თხოვნა, რომ ეს თანხა სახელმწიფო შიდა ვალის ზღვრული მოცულობის განსაზღვრისას გაეთვალისწინებინათ.

ინდექსაციისთვის ბაზად არჩეული იქნა ნაშთები: 1992 წლის 1 იანვრისთვის არსებული, 1993 წლის 1 იანვრისთვის და 1993 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით არსებული. გაანგარიშება ხდებოდა შემდეგი კოეფიციენტებით:

- 01.01.1992 – პირველ 1000 მანეთზე (კუპონზე) 100 ლარი და დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე 10 ლარი;
- 01.01.1993 – პირველ 1000 მანეთზე (კუპონზე) 10 ლარი და დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე 2 ლარი;
- 03.08.1993 – პირველ 1000 მანეთზე (კუპონზე) 2 ლარი და დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე 1 ლარი;
- მთლიანად გაცემულმა ინდექსირებულმა თანხამ შეადგინა 4 093 623 ლარი.

2013 წლის 18 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ გაგზავნილ იქნა შემდეგი სახის მიმართვა:

- გვეცნობოს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 1992–1993 წლებში, განვითარებული ინფლაციის პროცესის შედეგად, სესხის სახით, რამდენ ორგანიზაციაზე გასცა, არსებული მონაცემით, დაახლოებით, 854 მილიარდი მანეთი და კუპონის საკრედიტო რესურსი?!
- 1990–იან წლების დასაწყისში, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან კერძო ორგანიზაციებისთვის გაცემული თანხა რა პროპორციულობითა მიმდინარეობდა?
- 1990–იან წლების დასაწყისში, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობა და სესხის გადაცემა, რომელი სამართლებრივი აქტების საფუძველზე განხორციელდა. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ეროვნული ბანკისა და კერძო ორგანიზაციებს შორის 1992–93 წლებში საკრედიტო ურთიერთობების მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის ასლი.<sup>25</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის 21 თებერვლის #2–06/573–13 წერილის თანახმად,<sup>26</sup> „აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოცულობისაა და საჭიროებს მოძიება–დამუშავებას,“ ხოლო 5 მარტის #2–06/741–13 წერილის თანახმად, ეროვნულმა ბანკმა გააკეთა შემდეგი სახის განმარტება: „არსებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ 1992–1993 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სესხები გაცემულია 86 კომერციულ ბანკზე, 391 საკრედიტო ხელშეკრულებით, 288,791,300,000 რუსული რუბლისა და 65,826,000,000 კუპონის ოდენობით, ამასთან, ეროვნულ ბანკს მისი კომპეტენციიდან გამომდინარე, არ გააჩნია მონაცემები კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ბანკიდან მიღებული საკრედიტო რესურსების ხარჯზე კერძო იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შესახებ.“<sup>27</sup>

2013 წლის 11 მარტს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ გაგზავნილ იქნა შემდეგი სახის შეკითხვა:

1. 1990–იან წლების საქართველოში, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მოქალაქეთა დანაზოგის გაუფასურებაში. ფიქრობთ თუ არა, რომ 1990–იანი წლების ინფლაცია იყო დანაშაული. ვინ შექმნა ხალხისთვის წამგებიანი ასეთი გარემო?
2. იყო თუ არა ანაზრების დაცულობის მიმართ პასუხისმგებელი მაშინდელი შემნახველი ბანკი. არსებობს ერთი მოსაზრება, რომ აღნიშნული ბანკი მხოლოდ შემნახველი სალაროს ფუნქციას არსულებდა. რამდენად დგას მაშინდელი შემნახველი ბანკის პასუხისმგებლობა და რა მონაწილეობას იღებდა შემნახველი ბანკი მთელ ამ პროცესში?
3. საქართველოში 1990–იანი წლების ინფლაცია, იყო თუ არა ხელოვნურად გამოწვეული. თუკი ინფლაცია ხელოვნურად იქნა გამოწვეული, ამ პროცესში, რა როლი შეასრულა საქართველოს მაშინდელმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა და ხელისუფლებამ?
4. ინფლაციის შედეგად, ხომ არ ისარგებლა რომელიმე დაინტერესებულმა პირთა წრემ, რა გაძლევთ თქვენი შეხედულების საფუძველს?
5. განსაზღვრავდნენ თუ არა საქართველოში, 1990–იან წლებში კომერციული ბანკები საბანკო ბაზარზე საკანონმდებლო წესებს?

<sup>25</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის 5 მარტის წერილით მოწოდებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად–საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონთა ასლები, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა 1992–1993 წლებში.

<sup>26</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 თებერვლის #2–06/573–13 წერილი.

<sup>27</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 5 მარტის #2–06/741–13 წერილი.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის 25 მარტის #2-26/1085-13 წერილის თანახმად, „საქართველოს ეროვნული ბანკი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ფუნქციის – ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის ფარგლებში, ამზადებს და ყოველკვარტალურად გამოსცემს „ინფლაციის მიმოხილვას“, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფლაციის მიმდინარე ტენდენციები და მომავლის პროგნოზები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, სამწუხაროდ, ეროვნულ ბანკში 1990-იანი წლებში საბჭოთა ანაბრების გაუფასურებისა და იმ პერიოდში გამოწვეული ინფლაციის საკითხებთან დაკავშირებით მსგავსი კვლევები არ ჩატარებულა. რაც შეეხება ანაბრების ანაზღაურების თემას, საყურადღებოა, რომ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, რომელიც შეიქმნა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაევალა საშინაო ვალის, მათ შორის მოსახლეობის ანაბრების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. ეროვნული ბანკი აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული კომისიის მუშაობაში.“<sup>28</sup>

2013 წლის 4 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ გაგზავნილ იქნა შემდეგი სახის მიმართვა, რითაც ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაცია – აფბა“-მ მოითხოვა „1992-93 წლებში, ეროვნული ბანკის მიერ 500-ზე მეტ ორგანიზაციაზე, ჯამში 854 მილიარდი მანეთის და კუპონის საკრედიტო რესურსის გაცემასთან დაკავშირებით – ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცა აღნიშნული თანხა, რომელ ორგანიზაციებზე რა მოცულობის თანხა გაიცა სესხად და ამ ორგანიზაციების მეპატრონეების ვინაობა.“<sup>29</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის 11 თებერვლის #2-04/455-13 წერილის თანახმად, „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა განცხადება ბანკის მიერ 1992-1993 წლებში იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების შესახებ ინფორმაციის მოწოდების თაობაზე და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თხოვნა, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციის კატეგორიას. ამასთან, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშგების ან/და ოპერაციების შესახებ შეიძლება გაიცეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.“<sup>30</sup>

ეროვნულმა ბანკმა და სასამართლომ 1990-იანი წლების ჰიპერინფლაციის მთავარი მიზეზი (ანაბრების საქმე) ისევ საიდუმლოდ დატოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით,<sup>31</sup> სარჩელი საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, არ დაკმაყოფილდა და სასამართლომ დავის საგანი - 1992-93 წლებში ქვეყნის მთავარი საფინანსო უწყების მიერ 500-ზე მეტ კომპანიაზე, ჯამში 854 მილიარდი მანეთის და კუპონის გაცემის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია, საბანკო საიდუმლოებად მიიჩნია, რომლის მიმართაც განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადები არ

<sup>28</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 მარტის #2-06/1085-13 წერილი.

<sup>29</sup> მოთხოვნის ტექსტი მოცემულია სტილის დაცვით.

<sup>30</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2013 წლის 11 თებერვლის #2-04/455-13 წერილი.

<sup>31</sup> „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაცია – აფბამ“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვალს მიმართა. მოთხოვნილი ინფორმაციის მიღება დასაბუთდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის, „ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციის, ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე. მოპასუხე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არ ცნო სარჩელი საქართველოს კონსტიტუციის 41.2 მუხლის, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, 29-ე და მე-50 მუხლების საფუძველზე. საქმე მოსამართლე ნათია ბუსკაძემ განიხილა.

ვრცელდება.<sup>32</sup> საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, სასამართლო ეტაპზე მიუთითა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მაღალი საჯარო ინტერესით სარგებლობს, თუმცა ბანკის კანონიერი წარმომადგენლის პოზიციით, საჯარო ინტერესის საგანი მხოლოდ ისაა, თუ როგორ უნდა გაიცეს ანაბრები და არა ის, თუ ვის გამო მოხდა დაგროვილი თანხის გაუფასურება.<sup>33</sup> ასეთი პოზიციის მიუხედავად, სასამართლო სხდომებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის კანონიერმა წარმომადგენელმა მანანა ლუბიანურმა დაადსტურა, რომ ეროვნული ბანკი, 1990–იან წლებში განვითარებულ ჰიპერინფლაციასთან დაკავშირებით, ნაწილობრივ პასუხისმგებელია, თუმცა პასუხისმგებლობას არ იღებს საბჭოთა ანაბრების გაუფასურების ფაქტთან დაკავშირებით. მხარის შეფასებით, ეროვნული ბანკი პასუხისმგებლობას ვერც გაცემული კრედიტების მიზნობრივ ათვისებაზე აიღებს, თუმცა ცალსახად იქნა დაფიქსირებული პოზიცია, რომ კრედიტების გაცემის სქემა იყო არასწორი.<sup>34</sup>

„ახალგაზრდა ადვოკატების“ გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით აღარ გასაჩივრდება, რადგანაც ორგანიზაციის მიზანს ორი ამოცანა წარმოადგენდა – რა პოზიციას დაიჭერდა სასამართლო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემის მიმართ და რა საპასუხისმგებლო პოზიცია ექნებოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს 1990–იანი წლების მოვლენებიდან, 20 წლის შემდეგ. სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უარი განპირობებულია იმით, რომ ორგანიზაციას მოთხოვნილი ინფორმაცია უკვე გააჩნია.<sup>35</sup>

საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ შექმნილი მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების მიზეზების დამდგენი მომხსენებელთა ჯგუფის მიერ, 2004 წლის ნოემბერში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ გაგზავნილ იქნა მიმართვა, რათა მომხდარიყო საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასება 1992–93 წლებში ანაბრების გაუფასურების მიზეზებთან დაკავშირებით.<sup>36</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2004 წლის 8 დეკემბრის #386/03 წერილის თანახმად, „მოსახლეობის ანაბრების გაუფასურება გამოიწვია საქართველოში მოქმედი ფულადი ერთეულის მასშტაბურმა დევალვაციამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სსრკ კავშირის დაშლისა და საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე. ეს პროცესი განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: პირველი – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაწყდა ტრადიციული სავაჭრო ეკონომიკური კავშირები, რამაც გამოიწვია ქვეყნის სავაჭრო ბალანსის მწვავე დეფიციტი, რომელმაც 1993 წელს, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის 25 პროცენტი შეადგინა. მეორე

<sup>32</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოტივირებულია იმ რისკებით, რომელიც შეიძლება ინფორმაციის ღიაობის შემთხვევაში წარმოჩენილიყო. სასამართლომ არ გაიზიარა ის სინამდვილე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მოთხოვნილ ინფორმაციას ანალიტიკური კვლევისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, კვლევის ფარგლებში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტიდან მიიღეს. ამასთან, გაცემული სესხების რაოდენობის, კომპანიებისა და მათი მეპატრონეების შესახებ ორგანიზაციამ სრულყოფილი ინფორმაცია მიიღო კერძო კომპეტენტური პირებისგანაც. სასამართლომ არ გაითვალისწინა ორგანიზაციის ის მოსაზრებაც, რომ კვლევაში მიღებული ინფორმაცია იდენტიფიცირების გარეშე გაშუქდებოდა. კითხვაზე: გაცემული ინფორმაციით, დაარღვია თუ არა საქართველოს პარლამენტმა კანონი, ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა სასამართლოს უპასუხა, რომ ინფორმაციის დახურვით, კანონი არ დაურღვევია საქართველოს ეროვნულ ბანკს.

<sup>33</sup> მოსარჩელის პოზიციით, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს კანონის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, რომლის თანახმადაც, დადგენილია საიდუმლოების შემცვლელი ინფორმაციის ხანდაზმულობის ვადები – განსაკუთრებული მნიშვნელობის – 20 წლით, სრულიად საიდუმლო – 10 წლით და საიდუმლო – 5 წლით. ორგანიზაციები, რომლებზედაც ეროვნულმა ბანკმა 90–იან წლებში სესხი გასცა, დღეს რამდენიმეს გამოკლებით, არ საქმიანობენ. ამასთან, არც ერთი დოკუმენტით არ დასტურდება მოთხოვნილი ინფორმაციის კონფიდენციალობის ფაქტიც. ამიტომაც, მისი გამჟღავნება ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებდა კერძო კომპანიების კონკურენტუნარიანობას.

<sup>34</sup> „ახალგაზრდა ადვოკატებს“ გააჩნიათ აღნიშნული განცხადების სასამართლო აუდიო–ოქმი.

<sup>35</sup> „ახალგაზრდა ადვოკატებს“ ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს პარლამენტმა, ეროვნული ბანკის მიმართ საზედამხებდევლო/საგამომიებო მოქმედებების შედეგების შესახებ კი ერთ–ერთმა მოქალაქემ.

<sup>36</sup> საქართველოს პარლამენტის მომხსენებელთა ჯგუფის წევრის 2004 წლის 25 ნოემბრის #2308/9–37 წერილი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

– სამეურნეო კავშირის რღვევამ გამოიწვია ეკონომიკური აქტიურობის მკვეთრი შესუსტება, რამაც გამოხატულება ჰპოვა ეკონომიკის რეალური სექტორის ხანგრძლივ და ღრმა რეცესიაში. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 1989–93 წლებში, მატერიალური წარმოების მოცულობა ქვეყანაში 75 პროცენტით შემცირდა. მესამე – ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოშვა ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, რომელიც კიდევ უფრო მეტად გააღრმავა საომარი მოქმედებების დაწყებამ ჯერ ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში. იგივე წყაროზე დაყრდნობით, თუ ბიუჯეტის დეფიციტი 1991 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 3,5 პროცენტს შეადგენდა, 1992 წელს ეს მაჩვენებელი 28 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 1993 წელს ოდნავ შემცირდა და 26 პროცენტზე გაჩერდა. მეოთხე – კუპონის შემოღებას წინ უსწრებდა ეროვნული ბანკის ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ხორციელდებოდა საკრედიტო ემისიის საშუალებით. ამის შედეგად, მკვეთრად გაიზარდა უნაღდო ფულის მასა, რამაც მანეთის ბანკნოტების დეფიციტის გამო, დროებით ფულად სუროგატზე – კუპონზე იძულებით გადასვლის შემდეგ, ამ უკანასკნელის დევალვაცია და ინფლაციური აფეთქება გამოიწვია.<sup>37</sup>

1992–93 წლებში, მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფმა 1990–იან წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დანაშაულებრივ მოვლენად შეაფასა, პარლამენტს დასკვნაზე დადგენილების მიღება შესთავაზა, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ მომზადებული მოხსენება მხოლოდ ცნობად მიიღო. მომხსენებელთა ჯგუფის ყველაზე მწვავე კრიტიკა ეროვნული ბანკის მიერ კერძო ორგანიზაციებსა და კომერციულ ბანკებზე ქაოტურად გაცემული ათასობით კრედიტების ფაქტი გახდა.

„საქართველოს კონტროლის პალატა ჯერ კიდევ 1993 წლის სექტემბერში ეროვნულ ბანკში ჩაატარა შემოწმება, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული დამლუპველი პოლიტიკა, შემოწმების აქტის მიხედვით, “ეროვნულ ბანკს 1992 წლის 22 ივლისამდე დამტკიცებული არ ჰქონდა საკრედიტო რესურსების ზღვრული ოდენობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეროვნულმა ბანკმა უკანონოდ გასცა 2 მილიარდი რუსული რუბლი კრედიტის სახით. 1992 წლის 22 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ ეროვნულ ბანკს დაუმტკიცა საკასო ბრუნვის მაჩვენებლები-შემოსავლის ნაწილში 18 მილიარდ 600 მილიონი მანეთი, ხოლო გასავლის ნაწილში 31 მილიარდ 500 მილიონი მანეთი. განისაზღვრა აგრეთვე საკრედიტო რესურსების ზღვრული მოცულობა 75 მილიარდი მანეთი, მათ შორის კომერციულ და სახელმწიფო კომერციულ ბანკებზე 54 მილიარდი მანეთი, ხოლო სახელმწიფო კომერციული ბანკებისათვის გამოყოფილ საკრედიტო რესურსებზე 40 პროცენტამდე განაკვეთი. აღნიშნული ციფრებიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს ფულადი მასის სახით აქვს მხოლოდ 19 მილიარდ 800 მილიონი მანეთი. როგორც ამავე აქტით ირკვევა, ამ დროისთვის ქვეყანაში ფულის მასის დეფიციტია და საჭიროებს 6 მილიარდ 600 მილიონის ემისიას, ესეიგი გამოდის რომ მთლიანობაში სახელმწიფო ბიუჯეტი შეიძლება გაითვალისწინოს 37 მილიარდ მანეთზე, საიდანაც იცის, რომ მხოლოდ 31 მილიარდი აქვს ფულის მასა და სწორედ ამიტომ სახელმწიფო საბჭო გასავლის ნაწილში ბიუჯეტს ამტკიცებს 31 მილიარდ 500 მილიონის ოდენობით. ე.ი რაც იცის, რომ ფიზიკურად არსებობს მხოლოდ იმ ფულადი მასის ფარგლებში ამტკიცებს ბიუჯეტს და ამ დროს ეროვნულ ბანკს აძლევს უფლებას გასცეს 75 მილიარდი მანეთის ოდენობის კრედიტი. ამ ნაწილში, აშკარად ჩანს რომ ქვეყანაში უნდა დაიწყოს დანაშაულებრივი საკრედიტო პოლიტიკა და ეს გაცნობიერებული პროცესი სათავეს იღებს სახელმწიფო საბჭოდან, სადაც იმ პერიოდში თავმოყრილია ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალა, აქტიური პერსონა თუ პატარ-პატარა ჯგუფები ე.ი ცხადია, რომ ფული არ არის და უნდა დაიწყოს უნაღდო ანგარიშსწორებების ხარჯზე საბანკო გარანტიებისა ან საკრედიტო ავიზოების გაცემა და კომბინაციების და ნაცნობ-მეგობრობითა და კერძო ანგარებითი გარიგებების გზით, საქართველოს ბანკებში ან/და ძირითადად რუსეთში მოეხდინათ განაღდება და კონვერტირება უცხოურ ვალუტაში. ყველა კრედიტი უნდა გაცემულიყო მიზნობრივად-სასურსათო პროგრამების განხორციელებისათვის და არაუმეტეს 3 თვის ვადით, კრედიტის მომსახურების საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 40 პროცენტს, თავის მხრივ, ამ პერიოდში ეროვნული ბანკი სისტემატურად არღვევდა საკრედიტო პირობების ყველა ვალდებულებას: ქვეყანაში დაიწყო საკრედიტო ბუმი და როგორც კი მოთხოვნამ

<sup>37</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2004 წლის 8 დეკემბრის #386/03 წერილი.

გადააჭარბა სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ზღვარს ანუ 75 მილიარდ მანეთს, უკვე 1992 წლის 9 სექტემბერს მოწვეული იქნა სახელმწიფო საბჭოს სხდომა და ეროვნული ბანკის საკრედიტო რესურსის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 140 მილიარდი მანეთით. (ეს დაახლოებით 700 მილიონი აშშ დოლარის ტოლფასი იყო).<sup>38</sup>

1992–93 წლებში მოქალაქეთა ანაზრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო ჯგუფის დასკვნით, „დადგენილია ის გარემოებაც, თუ როგორ ხდებოდა კრედიტების აღება ეროვნული ბანკიდან, რომელიც ძალიან მარტივი სქემით ხორციელდებოდა, მაგალითად, სახელმწიფო საბჭოდან ან მთავრობიდან გაიგზავნებოდა ნაცნობი პიროვნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან და სიტყვიერად შეუთანხმდებოდა კრედიტის რაოდენობაზე. ამის შემდეგ წავიდოდა ეს პიროვნება და იმავე დღეს იუსტიციის სამინისტროში გატარდებოდა რეგისტრაციაში რომელიმე ფირმის ან როგორც კერძო კომერციული ბანკის სახელწოდებით გაივლიდა რეგისტრაციას და მეორე დღეს ეროვნული ბანკიდან იღებდა დაპირებულ კრედიტ-ავიზოს. ამ სქემის განხორციელება ეროვნული ბანკის ყოველდღიურ საქმიანობად იქცა და ფაქტიურად მისი გაკონტროლება შეუძლებელი იყო. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ-ერთ ეპიზოდს კონტროლის პალატის შემოწმების აქტიდან: „ნაკლოვანებებია კრედიტის გაცემის მექანიზმის განსაზღვრის საქმეში. ეროვნული ბანკის მიერ კერძო სტრუქტურებისთვის გამოყოფილი საკრედიტო რესურსების მომსახურე ბანკებზე გაცემის შესახებ საკრედიტო ხელშეკრულებებში საერთოდ არ არის მითითებული კრედიტის მიზნობრიობა, თუმცა პრაქტიკულად, ყველა კრედიტი მოთხოვნილი იყო მიზნობრივი დანიშნულებით. ეს თავის ასახვას პოულობს კომერციულ ბანკსა და კრედიტის მიმღებ ორგანიზაციებს შორის დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებებშიც, რის შედეგადაც გაცემული კრედიტების მიზნობრივად გამოყენებისადმი კონტროლის დაწესება პრაქტიკულად შეუძლებელია. კერძო სტრუქტურების უმეტესი ნაწილი სარგებლობს ასეთი უკონტროლობით და შეღავათიან პროცენტებში ღებულობს კრედიტებს რესპუბლიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის შემოტანის მოტივით. ამ კრედიტებს აბანდებდნენ სესხად სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებში გადიდებული საპროცენტო განაკვეთებით და სახელმწიფო რესპუბლიკის ხარჯზე უკანონოდ ღებულობდნენ დიდი ოდენობით შემოსავალს. ამასთან დაკავშირებით ჩატარდა 19 არასახელმწიფო სტრუქტურებზე გაცემული 109 მილიარდი მანეთის კრედიტის მიზნობრივად გამოყენების შემოწმება, რომელმაც თავის მხრივ მოითხოვა შემხვედრი შემოწმების ჩატარება 34 არასახელმწიფო სტრუქტურებში, რაზედაც შედგენილია სათანადო აქტები.“<sup>39</sup>

ეროვნული ბანკიდან საკრედიტო რესურსის დიდი ოდენობით გამოტანასა და მითვისებაში უზარმაზარი წყვილი მიუძღვის ე.წ. ერთჯერად კომერციულ კერძო ბანკებს, რომლებიც იქმნებოდნენ კრედიტის ასაღებად და ლიკვიდაციას ახდენდნენ კრედიტის ათვისებისთანავე. 1992–93 წლებში, სულ რეგისტრირებულია 87 ერთეული ასეთი კომერციული კერძო ბანკი.<sup>40</sup> საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული კომპანიები გასაჯაროვდა:

1. „კავკასიონი“
2. „ოპიზარი“
3. „საქართველო“
4. „თამარიონი“
5. „მეტეხი“
6. „ნარიყალა“

<sup>38</sup> წყარო: 1992–93 წლებში მოქალაქეთა ანაზრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო ჯგუფის დასკვნა საქართველოს პარლამენტს.

<sup>39</sup> წყარო: 1992–93 წლებში მოქალაქეთა ანაზრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო ჯგუფის დასკვნა საქართველოს პარლამენტს.

<sup>40</sup> დღემდე ქართულ პრესაში არ წყდება საუბარი საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტის, დემურ დვალიშვილის სპეციალურ ჩანაწერებზე, რომელშიც 90–იანებში გაცემული კრედიტების მიმღები სხვა სუბიექტებიც ფიქსირდებიან.

7. “თბილისი”
8. “არაგვი ბიზნეს ბანკი”
9. “იბერია ბანკი”
10. “ცეკავშირი”
11. “კავკასიის ბანკი”
12. “აღორძინება”
13. “ცაპიტალ ბანკი”
14. “ცონტინენტალ ბანკი”
15. “რუბიკონი”
16. “შალენი”
17. “კრედიტი”
18. “ამირანი”
19. “სამეფო ბანკი”
20. “დრო”
21. “გორა”
22. “ჭიათურა”
23. “ენერგო ბანკი”
24. “რესპუბლიკა”
25. “ავტობანკი”
26. “პროგრესბანკი”
27. “გულანი”
28. “მაგისტრალ ბანკი”
29. “იმედი”
30. “კერძო ბანკი”
31. “ბანი ბანკი”
32. “ქუთაის ბანკი”
33. “ენგური”
34. “ეგრისი”
35. “სიონი”
36. “თბილკომბანკი”
37. “დივიდენდი”
38. “კობა”
39. “გეიკო”
40. “აღმაშენებელი”
41. “არგო-ბანკი”
42. “გურიტი”
43. “დიდუბე”
44. “ბაგრატიონი”
45. “დელტა-2”
46. “ნუგეში”
47. “მედეა”
48. “კრიდიკა”
49. “თბს-ბანკი”
50. “თმს-21-ე საუკუნე”
51. “ექსიმ ბანკი”
52. “მერკური”
53. “ჯვარი”
54. “მშენებელი”
55. “ვესტა”

56. “იბერთბანკი”
57. “კენტავრი”
58. “პირამიდა”
59. “გრემი”
60. “მუზა”
61. “ელიტა”
62. “ცხინვალი”
63. “ორბი”
64. “ვა-ბანკი”
65. “ფენიქსი”
66. “არმაზი”
67. “საქსოცბანკი”
68. “ტრანსბანკი”
69. “ბანკი ლარი”
70. “თბილუნივერსალბანკი”
71. “აზია”
72. “ვადაგი”
73. “ოქროს საწმისი”
74. “ბასტრიონი”
75. “ქველი”
76. “დელისი”
77. “ლუპარა”
78. “ქინძმარაული”
79. “კოლხა”
80. “ბათუმი”
81. “კოლხიდა”
82. “მარჩილი”
83. “კიდობანი”
84. “გეა”
85. “ელვა”
86. “თეთრი”
87. “პონტო-პოლისი”<sup>41</sup>

საპარლამენტო ჯგუფის აზრით, ამ ბანკების დასახელება აუცილებელია, ვინაიდან ისინი ეროვნული ბანკიდან საკრედიტო რესურსებს ლეზულობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ძირითადად თავიანთ ბანკებზე გაეცათ სესხები. მოვიყვანთ მაგალითებს: კომერციული ბანკი “საქართველო” რომელმაც თავს სესხად მისცა 1 მილიარდ 435 მილიონი მანეთი, რაც იმ დროინდელი დოლარის კურსით შეადგენდა 2 მილიონ 595 მილიონ აშშ დოლარს. ბანკი „ნარიყალა“, რომელმაც თავისივე თავს მისცა 950 მილიონი მანეთი, რომელიც დოლარის კურსთან მიმართებაში უდრიდა 2 მილიონ 211 000 აშშ დოლარს; ბანკი

---

<sup>41</sup> აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მოწოდებული დოკუმენტიც ჩამოთვლის იმავე ორგანიზაციის დასახელებებს, რომელმაც ასახვა ჰპოვა ვასილ მაღლაფერიძის საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფის დასკვნაშიც, თუმცა დოკუმენტი, რომელიც ორგანიზაციას გადმოეცა, გაცილებით ინფორმაციულია და შედგება 104 გვერდისგან. დოკუმენტი დეტალურად აღწერს 1992–93 წლებში გაცემული კრედიტების ისტორიას. შედგება 7 ძირითადი გრაფისგან: „კრედიტის გაცემის თარიღი“, „კრედიტის მიმღები ორგანიზაციის დასახელება“, „კრედიტის ოდენობა“, „კრედიტის ვადა და პროცენტი“, „კრედიტის გამცემი ორგანიზაციის დასახელება“, „კრედიტის მიზნობრიობა“, „რეზოლუციების შინაარსი“. ამჟამად, კვლევაში მოტანილი ინფორმაცია საკმარისად გვეჩვენება, რათა შეფასდეს 1990–იან წლებში, ეროვნული ბანკის ფულად საკრედიტო პოლიტიკა, რისთვისაც წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები, რის გამოც, კვლევაში დამატებით ვრცელი მიმოხილვა არ დაიჭირა მოწოდებული დოკუმენტის ცალკეულ გრაფაში არსებულმა ფაქტებმა, რომელიც, შესაძლებელია, ცალკე კვლევის საგანიც იყოს.

“მეტეხი”, რომელმაც თავის თავს მისცა 7 მილიარდ 900 მილიონი მანეთი, რაც დოლარის კურსთან მიმართებაში შეადგენდა 8 მილიონ დოლარს; ბანკი „ცეკავშირი“, რომელმაც თავის თავს სესხად მისცა 25 მილიარდი მანეთი, რაც აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 24 მილიონ დოლარს შეადგენდა. სულ აღნიშნულ კერძო კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკიდან აღებული ქონდა 160 მილიარდი რუსული რუბლი. ამ პროცესში ყურადღებას იქცევს რამდენიმე დეტალი, კერძოდ, საზოგადოებამ იცის, რომ 1995 წლის შემოდგომაზე საქართველოში მიმოქცევაში შემოვიდა ქართული ვალუტა-ლარი და მისი მონეტა-თეთრი, მაგრამ 1993 წელს, ანუ ორი წლით ადრე ჯერ გადაწყვეტილი არ იყო რა დაერქმეოდა ახალ ქართულ ფულს, თუმცა, როგორც ჩანს, წინასწარ ვილაცამ იცოდა, ვინაიდან 1993 წელს იქმნება ორი სხვადასხვა კომერციული ბანკი. ჯერ ბანკი „თეთრი“ - აპრილის თვეში, ხოლო დეკემბერში ბანკი „ლარი“ რომელთაგანაც პირველმა გამოიტანა 4 მილიარდი მანეთი სესხი, ხოლო მეორემ 3 მილიარდი. მეორე დეტალი, რომელსაც ყურადღება მიექცა, გახლავთ ის გარემოება, რომ 1993 წლის 24 მარტს გამოიცა ბრძანებულება 5 აპრილიდან კუპონის მიმოქცევაში გამოშვების შესახებ, ანუ ხელისუფლებამ იცის, რომ აპრილიდან კუპონი იქნება შემოღებული და როგორც ჩანს, ამ ინფორმაციას წინასწარ აწვდიან სასურველ კომერციულ ბანკებს, ამიტომ 15 მარტიდან 25 მარტამდე სესხების გამოტანის დინამიკიდან აშკარად ჩანს, რომ რამდენიმე კომერციულ ბანკს აქვს ეს ინფორმაცია და სწორედ ამ პერიოდში, ანუ სულ რაღაც 10 დღეში გაიცა 30 მილიარდი მანეთი, ხოლო ერთი დღის განმავლობაში, მარტო 24 მარტს, სესხად გაიცა 14 მილიარდ 540 მილიონი მანეთი. მაგალითად, კომერციულ ბანკ „მარჩილს“, ერთ დღეში, 24 მარტს, გაცემული აქვს 4 სხვადასხვა ორგანიზაციაზე 2 მილიარდ 200 მილიონი მანეთი, ხოლო კომერციულ ბანკ „დროს“, კომერციულ ბანკ „საქენერგოს“ ერთი და იგივე დღეს, თავიანთ თავზე ორ-ორჯერ აქვთ გაცემული 980 მილიონი და 12 მილიარდი მანეთი.<sup>42</sup>

სულ 1992-93 წლებში საქართველოს ეროვნულ ბანკს, საკრედიტო რესურსის სახით, 500-ზე მეტ ორგანიზაციაზე, 646 საბანკო ოპერაციით, გაცემული აქვს 854 მილიარდი რუსული მანეთი, რომელიც იყო დანაშაულებრივი ხასიათის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგი. შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, შეფასებულია 1992-93 წლებში მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების მიზეზების, როგორც ობიექტური გარემოებები, ასევე სუბიექტური ფაქტორები. დადგენილია, რომ 1992-93 წლებში განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იყო დანაშაულებრივი ხასიათის მოვლენა. როდესაც არსებობს დანაშაულებრივი მოვლენა, ცხადია არსებობს დამნაშავეც. მოსახლეობისათვის წლობით დაგროვილი ანაბრების მიზანმიმართული გაუფასურება ნამდვილად დანაშაულია და ამაში მთავარი დამნაშავე არის იმ პერიოდის მთელი ხელისუფლება, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლება თავისი ხელმძღვანელობითა და საბიუჯეტო და ეკონომიკური კომისიებით, რომელიც იღებდა სამართლებრივ აქტებს, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის საფინანსო ბაზარზე დანაშაულებრივი მანიპულაციების განხორციელებას, მეორეს მხრივ, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც საკუთარი ქმედებით მაქსიმალურად უწყობდა ხელს ხალხისთვის (მეანაბრებისათვის) წამგებიანი გარემოს ჩამოყალიბებას, მესამე მხრივ, ასევე ეროვნული ბანკი და მისი პრეზიდენტები, რომელთა მიერ 1992-93 წლებში წარმოებული დანაშაულებრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ერთ-ერთი განმსაზღვრელი აღმოჩნდა იმისა, რომ მოსახლეობის მიერ შრომითი დანაზოგი თანხები ფარატინა კუპიურებად ექცია. მეოთხეს მხრივ, ასევე მთლიანობაში, 500-ზე მეტი ერთეული ის კერძო კომერციული ბანკები და კრედიტის მიღებისათვის სპეციალურად შექმნილი ფირმები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის საკრედიტო რესურსების მითვისებაში და მოქალაქეთა ანაბრების განულებაში.<sup>43</sup>

ის ფაქტი, რომ კრედიტის მიმღები კერძო ორგანიზაციები არ სარგებლობდნენ ლიცენზიით, ამას მოწმობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის სახელზე, 1994 წლის 10

<sup>42</sup> წყარო: 1992-93 წლებში მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო ჯგუფის დასკვნა საქართველოს პარლამენტს.

<sup>43</sup> წყარო: 1992-93 წლებში მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო ჯგუფის დასკვნა საქართველოს პარლამენტს.

ნომბრის #3500/1-02 გაგზავნილი წერილიც. „საქართველოს რესპუბლიკის „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ კარი I, მუხლი 3, „გ“ პუნქტი, საკრედიტო დაწესებულებების (საქველმოქმედო, სადაზღვევო და საპენსიო ფონდებს, საინვესტიციო კომპანიებს) საქმიანობას არეგულირებს ეს კანონი. მოსახლეობიდან ანაზღაურების მიღება, მათ შორის ვალუტის მიღება და განთავსება, საკრედიტო დაწესებულებათა პრეროგატივაა, რადგანაც ზემოთაღნიშნული სტრუქტურები აწარმოებენ ამ ოპერაციებს, აუცილებელია მიიღონ ლიცენზია ეროვნულ ბანკში. გაცნობებთ, რომ ასეთი სახის ლიცენზია ეროვნული ბანკის მიერ არცერთ საკრედიტო დაწესებულებაზე არ გაცემულა.“<sup>44</sup>

1990-წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკით საქართველოს კონტროლის პალატა და პროკურატურა დაინტერესდნენ. საქართველოს პარლამენტიდან საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული კონტროლის პალატის მიერ ეროვნულ ბანკში 1993 წელს ჩატარებული შემოწმების თანახმად, საქართველოს ეროვნულ ბანკს, 1992 წლის 22 ივლისამდე არ ჰქონდა დამტკიცებული საკრედიტო რესურსების ზღვრული მოცულობა. შემოწმებით დადასტურებულია, რომ ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკას კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით ანხორციელებდა 1993 წლის განმავლობაშიც. შემოწმებამ აჩვენა, რომ „ეროვნული ბანკის მიერ კერძო სტრუქტურებისათვის გამოყოფილი საკრედიტო რესურსების მომსახურე ბანკებზე გაცემის შესახებ გაფორმებულ იურიდიულ დოკუმენტებში (საკრედიტო ხელშეკრულებები) საერთოდ არ არის მითითებული კრედიტების მიზნობრიობა, თუმცა ყველა კრედიტი მოთხოვნილი იყო მიზნობრივი დანიშნულებით.“

საქართველოს ეროვნული ბანკის 1990-იან წლებში არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე მიუთითებს დოკუმენტაცია, რომელიც კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა. მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, 1994 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე მოხსენებითი ბარათით მიმართავს საქართველოს გენერალურ პროკურორ ჯამლეთ ბაბილაშვილს:

„როგორც თქვენთვის ცნობილია, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის დავალების საფუძველზე საერთო ზედამხედველობის სამმართველომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში შეისწავლა მთავრობის მიერ 1991-1993 წლებში მიღებული დადგენილებები, განკარგულებები, საბანკო მიმოწერები (მათ შორის საიდუმლო). აგრეთვე, სახელმწიფოთაშორისო საანგარიშსწორებო ურთიერთობათა დროებითი კომისიის და რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების სამთავრობო მასალები, რომლებიც ეხება ფულად-საკრედიტო რესურსების გამოყოფის მათ მიზნობრივად ხარჯვას. საქართველოს ეროვნული ბანკიდან ამოღებულ იქნა ყველა იმ დოკუმენტების დედნები და ქსერო ასლები, რომლებიც ეხება, ფულადი რესურსებისა და მათ დაფარვას. მასალების შემოწმება განხორციელდა შესაბამისი დარგის სპეციალისტების მონაწილეობით, რის შედეგადაც დადგინდა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი, 1992-1993 წლებში უგულვებელყოფდა რა მასზე კანონით დაკისრებულ ფუნქციებს, საკრედიტო რესურსებს მიმართავდა არასწორად და ანხორციელებდა გაუმართლებელ ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. აღნიშნული რესურსების ნაკლებობის პირობებში ბრუნვაში იქნა გაშვებული მილიარდობით ზედმეტი სესხი, რომლის ოდენობამაც 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 114 მილიარდ 862 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო 1994 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი, ერთი ტრილიონ 377 მილიარდ 792 მილიონ კუპონს მიაღწია.“

ეკონომიკურად გაუმართლებელი ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო უმართავი გახდა ფულის ემისია და ფულის მასის მიმოქცევა, რის შედეგადაც, ყოველთვიურად იზრდებოდა

<sup>44</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1994 წლის 10 ნოემბრის #3500/1-02 წერილი.

მიმოქცევაში ფულის საერთო რაოდენობა.<sup>45</sup> ასეთ პირობებში, როგორც რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული პასუხისმგებელი მუშაკები, ასევე ეროვნული ბანკის თანამდებობის პირები იძლეოდნენ რა კანონშესაბამო განკარგულებებსა და წერილობით მითითებებს ფულადი რესურსების გამოყოფის თაობაზე, სახელმწიფო-კომერციული და კომერციული ბანკები სხვადასხვა ფორმებზე, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე აწარმოებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობის სესხების გაცემას, რომელთა ხარჯვა და ანაზღაურება, ასევე საკრედიტო პროცენტის გადახდა სწარმოებდა კანონით დადგენილი წესის უხეში დარღვევით, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო თანხების დატაცებას, გაფლანგვას, არამიზნობრივად ხარჯვას, სხვა ანგარებითი ხასიათის დანაშაულისა და სამართალდარღვევითა მრავალრიცხოვან ფაქტებს, რითაც სახელმწიფომ განიცადა კოლოსალური მატერიალური ზარალი. იმასთან დაკავშირებით, რომ შემოწმების მასალები აშკარად შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მიზანშეწონილად მიმაჩნია ეროვნული ბანკის მიერ ფულადი რესურსების უკანონოდ გაცემის ფაქტზე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.“

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, 1994 წლის 10 აგვისტოს, აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე ფულადი რესურსებისა და კრედიტების უკანონოდ გაცემის ფაქტზე, თუმცა ოფიციალურად ვერ მივიღეთ ინფორმაცია, რა საფუძველზე იქნა გამოძიება შეწყვეტილი.

2013 წლის 18 თებერვალს, საქართველოს მთავარი პროკურორის მიმართ მომზადდა შემდეგი სახის მიმართვა:

1. საქართველოში, 1990–იანი წლების დასაწყისში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესების გამო, რომლის შედეგადაც საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი საბჭოთა ანაზღაურებები გაუფასურდა, საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობდა თუ არა მოკვლევა აღნიშნული მოვლენის შესწავლის მიზნით?
2. 1990–იანი წლების დასაწყისში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესების გამო, რომლის შედეგადაც საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი საბჭოთა ანაზღაურებები გაუფასურდა, საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობდა თუ არა საგამოძიებო მოქმედებები საბჭოთა ანაზღაურების საქართველოს მოქალაქეებისათვის გაუფასურებაში კონკრეტული პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირების მიმართ. თუკი მიმდინარეობდა, რა შედეგით დასრულდა?
3. საქართველოს პროკურატურასთვის მოუმართავთ თუ არა საქართველოს მოქალაქეებს ან/და იურიდიულ პირებს საბჭოთა ანაზღაურების გაუფასურების საქმესთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ? თუკი აღნიშნული მომართვების შედეგად მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა, რა შედეგით დასრულდა?
4. ცნობილია, რომ 2004 წლის ნოემბერში, საქართველოს პროკურატურას, საბჭოთა ანაზღაურების საქართველოს მოქალაქეებისათვის გაუფასურების საქმის შესწავლის მიზნით მიმართა საქართველოს პარლამენტის ფრაქციამ „დამოუკიდებელი მაჟორიტარები.“ (კობა დავითაშვილისა და ზვიად მიძიგურის განცხადება) გვაცნობეთ, რეალურად რა შედეგი დადგა აღნიშნულ მომართვასთან დაკავშირებით?
5. გვაცნობეთ, საქართველოს მოქალაქეების საბჭოთა ანაზღაურების საქმის შესწავლის მოთხოვნით, საქართველოს პროკურატურასთვის, 1992 წლიდან 2013 წლის 18 თებერვლამდე მხოლოდ ერთი პოლიტიკური გაერთიანების მომართვა არსებობს, თუ ამ ხნის განმავლობაში, პროკურატურაში რეგისტრირებულია ცალკეული პოლიტიკოსების ან/და პოლიტიკური პარტიების განცხადებებიც.

<sup>45</sup> საქართველოს 1990–იანი წლების მთავრობის პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას შეფასებით, „ეს იყო უდიდესი აფერა, რომელსაც მსოფლიო ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება.“ გაზეთი „ხვალინდელი დღე“, 23 იანვარი, 2004 წ. გვ.3

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 5 მარტის #13/25473 წერილის თანახმად, „არსებული მონაცემებით, კერძოდ, პროკურატურის არქივში დაცული ინფორმაციით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მიმდინარეობდა თუ არა მოკვლევა ან საგამომიებო მოქმედებები მოქალაქეების კუთვნილი საბჭოთა ანაბრების გაუფასურების თაობაზე, კონკრეტული პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირების მიმართ. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს ელექტრონული პროგრამისა და გენერალური პროკურატურის საკორესპონდენციო სისტემის მონაცემების თანახმად, დარეგისტრირებული გახლავთ რამდენიმე მოქალაქის განცხადება ანაბრების დაბრუნების საკითხებზე.“<sup>46</sup>

რატომ არ აღნიშნა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 1994 წლის 10 აგვისტოს სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, გაურკვეველია.

---

<sup>46</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 5 მარტის #13/25473 წერილი.

# თავი მეხუთე: საბჭოთა ანაბრების საქმე საქართველოს სასამართლოებში

## საერთო სასამართლოების პრაქტიკა

საბჭოთა ანაბრების დაბრუნების მცდელობები სამართალწარმოებისთვისაც არ არის უცხო. 2013 წლის 18 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართ დასმული იქნა შეკითხვა:

- გვეცნობოს, საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული საქმეების სტატისტიკა 1992 წლიდან 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით.
- გვეცნობოს, საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული საქმეების შედეგების სტატისტიკა 1992 წლიდან 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით.
- მოგვეწოდოს, საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული ყველა საქმის/გადაწყვეტილების ასლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის №703 წერილის თანახმად, „თბილისის საქალაქო სასამართლო შეიქმნა 2005 წელს, ხოლო რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოში 2005 წლიდან 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს, აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ განცხადებაში მითითებული ნიშნით საქმეთა სისტემატიზაცია და სტატისტიკური აღრიცხვა არ ხდება. გამოთხოვილი ინფორმაციისა და მასალების მოძიებისთვის საჭიროა საქმეების სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება, რაც მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს. ამასთან, მოგახსენებთ, რომ სასამართლო თავის საქმიანობას ანხორციელებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლოს აპარატი დაკავებულია სასამართლოსთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ტიპის საქმეების დამუშავება და ამ მიზნით, სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი რესურსების მობილიზება ამ ეტაპზე არ წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობისთვის აუცილებელ საჭიროებას. გთხოვთ, დაგვიზუსტოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილული საქმეების ნომრები ან საქმეში მონაწილე მხარეები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკლებულნი ვართ თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.“<sup>47</sup> ორგანიზაციას საჯარო ინფორმაციაზე უარი ზემდგომ თანამდებობის პირთან არ გაუსაჩივრებია. სასამართლოს საქმიანობა ამ მიმართულებით, შეფასებულია წარმოდგენილი რეკომენდაციით.<sup>48</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის №11 წერილის თანახმად, „თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვდით საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული საქმეების სტატისტიკურ მონაცემებს 1992 წლისა და 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობის მიხედვით, გაცნობებთ, რომ მსგავსი სახით თბილისის სააპელაციო სასამართლო სტატისტიკურ აღრიცხვას არ აწარმოებს. მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოძიებულ იქნა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მიღებული ოთხი განჩინება საბჭოთა ანაბრების შესახებ.“<sup>49</sup> გიგზავნით აღნიშნული განჩინების ასლებს დაშტრიხული სახით.“<sup>50</sup>

<sup>47</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების ადმინისტრაციულ საქმეთა სექტორის უფროსის 2013 წლის 19 თებერვლის წერილი №703

<sup>48</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ რეკომენდაცია, იხ. აღნიშნულ კვლევაში.

<sup>49</sup> სასამართლოს მიერ მოწოდებული საქმეები მოგვეწოდა მოსარჩელების იდენტიფიცირების გარეშე და ოთხივე საქმეზე მიღებულია ერთგვაროვანი გადაწყვეტილება – სასამართლო სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო, არ აკმაყოფილებს მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნას. წარმოდგენილი საქმეების #38/343-07 (13 ივნისი, 2007), #38/900-06 (3 ივლისი, 2007), #38/738-06 (8 მაისი, 2008), #38/1096-06 (8 მაისი, 2008)

<sup>50</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 2013 წლის 21 თებერვლის წერილი №11

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვლის №79–2110 წერილის თანახმად, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლო შეიქმნა 2005 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ფლობს სტატისტიკურ მონაცემებს 2005 წლიდან. ამასთან, განვიმარტავთ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო არ აწარმოებს საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას. ამდენად, მოკლებულნი ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.“<sup>51</sup>

2013 წლის 15 მარტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიმართ დასმული იქნა შეკითხვა: „მოგვეწოდოს, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივში დაცული და არსებული საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული სასამართლო საქმეების სტატისტიკა 1992 წლიდან 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,“ რომლის თაობაზეც 2013 წლის 22 მარტს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა გააკეთა განმარტება, რომ „აღნიშნული სტატისტიკა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივში არ ინახება.“<sup>52</sup>

ორგანიზაციამ პოზიცია ვერ მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, თუმცა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოდგენილია მოცემულ დოკუმენტში. საქმეები, რომლებიც განხილულია აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მოგვაწოდა უშუალოდ დაზარალებულმა მენაბრებმა. რამდენიმე საქმე მოწოდებულია არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად.

## „ზოია/თენგიზ თევზაძეები და სხვები“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა ზოია და თენგიზ თევზაძეების საჩივარი და ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება.<sup>53</sup> სასამართლოს აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, რომ 2002 წლის 4 მარტს, ქეთევან ბერიშვილმა, ვასილ ბერიშვილმა, თამარ ჩემიამ, როლანდ ჭანტურიამ, კობა ჭანტურიამ, ლუბა ქაჯაიამ და სხვებმა (სულ 72 ფიზიკური პირი) სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს ყოფილი საბჭოთა კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს ფილიალებში მოსარჩელეთა მიერ ანაბრების სახით შეტანილი თანხის, ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების შესყიდვით წარმოქმნილი დავალიანების – 10008985 აშშ დოლარის, აგრეთვე დაკისრებული თანხის ყოველწლიური დაურიცხავი პროცენტის ანაზღაურება ანგარიშსწორების დღის გათვალისწინებით. დავის მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2002 წლის 10 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომის მეანაბრეთა კრების 2001 წლის 27 სექტემბრის #1 კრების ოქმის საფუძველზე, საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა ლამარა კაჭარავა-ქავთარაძემ და ემზარ გრიგოლიამ მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მენაბრეთა მიერ ანაბრებზე რიცხული თანხის – 11 365 894 აშშ დოლარის ანაზღაურება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, თავიანთი სარჩელის წინამდებარე სარჩელთან გაერთიანება მოითხოვეს.

<sup>51</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 2013 წლის 22 თებერვლის წერილი №79–2110

<sup>52</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საერთო სასამართლოების არქივის უფროსის 2013 წლის 22 მარტის #931 წერილი

<sup>53</sup> საქმე: #ბს–13–13 (2კს–09) #8 – თევზაძეები – 009

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს 2002 წლის 20 მაისის განჩინებით, ჯუმბერ სულავას, სოფიო სულავას და სვეტლანა კორტავას სასარჩელო განცხადება, რომლითაც მათ 2001 წლის 8 აგვისტოს მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულების, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1992 წლის 2 ივნისის #181 ბრძანებულების, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის ბრძანებულების ბათილად ცნობა და ანაბრებზე რიცხული თანხების დაბრუნება მოითხოვეს. აღნიშნული საქმეც ზემოთაღნიშნული მენაბრეების საქმესთან ერთად გაერთიანდა.

2002 წლის 17 ივლისის მზია კაპანაძემ, ლამარა რატიანიძემ, ვახტანგ ლაბარტავამ, ლელა ლაბრტავამ, ხათუნა კალაძემ, ნინო დათუნაშვილმა, ლალი ჯინჭარაძემ და სხვებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო შემნახველი ბანკის საქართველოს ფილიალებში ანაბრებზე ნაშთის სახით რიცხული თანხისა და ფასიანი ქაღალდებით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების ანაზღაურება მოითხოვეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული სასარჩელო განცხადებაც გაერთიანდა სასამართლოს წარმოებაში არსებულ მენაბრეთა საქმესთან.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 10 ივნისისა და 24 ივლისის განჩინებებით ადმინისტრაციული საქმე ჯუმბერ სულავას, სვეტლანა კორტავას, სოფიო სულავას, ლამარა კობერიძის, ლამარა კაპანაძისა და სხვათა სასარჩელო განცხადების თაობაზე გაერთიანდა ზემოაღნიშნულ საქმესთან.

მოცემულ საქმეზე რამდენჯერმე დაინიშნა საფინანსო-ეკონომიკური ექსპერტიზა, 2005 წლის 11 მარტის განჩინებით კი მოცემულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება და იმავე წლის 14 ივლისის განჩინებით, აღნიშნული საქმე განსჯადობის შესაბამისად, გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მთავარ სხდომაზე მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მოსარჩელე ჯუმბერ სულავას, სვეტლანა კორტავასა და სოფიო სულავას სარჩელზე საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მიმართ დავის საგნის არარსებობის გამო და შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით, ქეთევან ბერიშვილს, ვასილ ბერიშვილს, თამარ ჩემიას, როლანდ ჭანტურიას, ლუბა ქაჯაიას და სხვების (სულ 49 ფიზიკური პირი) სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქეთევან ბერიშვილმა, ვასილ ბერიშვილმა, მარგალიტა შარვაძემ, თეიმურაზ გორდეზიანმა, მარინა მაისურაძემ, მარგარიტა ჩოლოყაშვილმა, მარგარიტა მარგიშვილმა, მაია თევზაძემ, ზოია თევზაძემ, თენგიზ თევზაძემ, ნანსი რატიანმა, გრიგოლ კვაშილავამ, გრიგოლი კარგინმა, ალექსანდრა აპოსტოლოვამ, ქეთევან ნუცუბიძემ, თამაზ ბარათაშვილმა და აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით, ქეთევან ბერიშვილის, ვასილ ბერიშვილის, ზოია თევზაძისა და ქეთევან ნუცუბიძის სააპელაციო საჩივარი დაუსვებლად იქნა ცნობილი და დარჩა განუხილველად. მიღებული

გადაწყვეტილების მიზეზი 14-დღიანი გასაჩივრების ვადის გაშვებით დარჩა განუხილველი. სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ზოია და თენგიზ თევზაძეებმა და გასაჩივრებული ვადის გაშვების საპატიოდ ჩათვლა და ვადის აღდგენა მოითხოვეს, თუმცა კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლების არარასებობის გამო.

### „ქეთევან ბერიშვილი და სხვები“

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ივლისის #3/12-08 გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ქეთევან ბერიშვილის, ვასილ ბერიშვილის, თამარ ჩემიას, როლანდ ჭანტურიას, კობა ჭანტურიას, იუზა კილასონიას, ლუბა ქაჯაიას, ლამარა ქავთარაძის, გრიგორი კარგინის, ლილი ნაზახტველის, ქეთევან ნუცუბიძის, შოთა ქოიავას, ეთერ ქოიავას, გრიგოლ ტყეშუჩავას, თეიმურაზ გორდეზიანის, მარინა მაისურაძის, მარგარიტა შარვაძის, ოთარ თარგამაძის, სოფიო სულავას, ჯუმბერ სულავას, სვეტლანა კორტავას, გია თეთრქალაშვილის, ელისო გრიგოლიას, ანი რევაზიშვილის, გიორგი რევაზიშვილის, ვალენტინა ნეტელცკაიას, ირინე თოხაძის და სხვათა, სულ 94 ფიზიკური პირის სარჩელი. დაზარალებულმა მენაბრეებმა სასამართლოს 2002 წლის 4 მარტს მიმართეს და მოითხოვეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო შემნახველი ბანკის საქართველოს ფილიალებში მოსარჩელეთა მიერ ანაბრების სახით შეტანილი თანხის, ფასიანი ქაღალდების და ობლიგაციების შესყიდვით წარმოქმნილი დავალიანების 10 008 985 აშშ დოლარის ყოველწლიური დაურიცხავი პროცენტის ანაზღაურება ანგარიშსწორების დღის გათვალისწინებით. მოპასუხე მხარე – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია.“ მოპასუხეები არ სცნობენ სარჩელს.

სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს საშინაო ვალად „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით აღიარებულია არა მოსახლეობის მიერ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილ ანაბრებზე რიცხული თანხა, არამედ მოსახლეობის მიერ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება და შესაბამისად, სარჩელის ობიექტს წარმოადგენს არა თვითონ ანაბარი, არამედ უშუალოდ ანაბრების ინდექსაციით მიღებული დავალიანება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ანაბრებზე შეტანილი თანხების ანაზღაურების შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, ვინაიდან ამისთვის აუცილებლობად მიიჩნია „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილ საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას შეემუშავებინა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარედგინა წინადადებები საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის მიმართ.

სასამართლომ განმარტა, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ ჩაერევა სახელმწიფო კომისიის მუშაობაში, რამდენადაც ანაბრებთან დაკავშირებული საკითხის სირთულისა და განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველო მთავრობა მუშაობდა ამ საკითხზე, რაც არ ნიშნავდა მოსარჩელეთათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე საბოლოოდ უარის თქმას. ანაბრების ინდექსაციის მექანიზმის შეემუშავეებისა და დამტკიცების შემდეგ, მათ შეეძლებათ თავიანთი კონკრეტული მატერიალური უფლების რეალიზება შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებზე. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს აქვს კანონიერი ინტერესი იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალის დაფარვა მოხდეს ეტაპობრივად, პერიოდულად, რომელმაც პრობლემის გადასაწყვეტად უნდა გამოიყენოს საჯარო სამართლის სფეროში მისთვის მინიჭებული ფართო უფლებამოსილება და უზრუნველყოს სავალო-გაღდებულებით ურთიერთობათა მოწესრიგება იმპერატიული ხასიათის სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. კერძოდ, სახელმწიფო სავალო

ვალდებულების დაფარვის წესით, რაც დღეის მდგომარეობით არ არსებობს, რის გამოც არ არსებობს ამ ეტაპზე არც სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

### „თეიმურაზ კოპალეიშვილი საქმე“

2004 წლის 30 სექტემბერს, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ საქმეზე: #3/102-04 მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე თეიმურაზ კოპალეიშვილის სარჩელი ანაბარზე შეტანილი თანხის აღიარების და დაკისრების თობაზე.

თემურ კოპალეიშვილი სასამართლოში წარდგენილი სარჩელით ითხოვდა შემნახველ სალაროში შეტანილი რუსული რუბლის შესაბამისი კურსით ლარებში ანაზღაურების, კერძოდ 1817 ლარის დაკისრებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის. შემდგომში მის მიერ დაზუსტებულ იქნა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა, რომ აღიარებულ ყოფილიყო 1992 წლის 08 ოქტომბერს სსრკ შემნახველის ბანკის #3464 სამტრედიის ფილიალში #101013 ანგარიშზე შეტანილი 72250 მანეთი, რომლის გადახდასაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან იმ მოტივით, რომ ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მუშაობდა ქ. სამტრედიაში, ჰქონდა ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი, რომელიც გაყიდა და აღებული თანხა შეიტანა ქ. სამტრედიაში შემნახველ სალაროში, რასაც ადასტურებს შესაბამისი სალარო წიგნაკებით. რადგანაც დარჩა უსახლკაროდ, საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, ნაქირავებ ბინაში, რომელსაც, ერთადერთი შემოსავლის, პენსიის გარდა, არაფერი გააჩნდა. მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა ფინანსთა სამინისტროს, მაგრამ ამაოდ. სამინისტროსგან მიიღო პასუხი, რომ სახელმწიფოს მეანაბრეთა თანხები აყვანილი აქვს შიდა ვალში. მიმართა პარლამენტსაც, რომელმაც განცხადება გადაუგზავნა ფინანსთა სამინისტროს, საიდანაც უარყოფითი, მშრალი გაუგებარი პასუხი მიიღო. ამიტომაც მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აღიარებულ იქნას შემნახველ სალაროებში შეტანილი თანხა და ანაზღაურდეს იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 48-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრის ინდექსაციით წარმოდგენილი დავალიანება აღიარებულია სახელმწიფოს საშინაო ვალად და ამ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალი ვალის გადახდა განეხორციელებინა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 08 დეკემბრის #716 ბრძანებულების შესაბამისად, რომელიც გაუქმებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 02 ივლისის #258 ბრძანებულებით და ნაკისრი ვალდებულების საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით დაევალი შექმნას სამთავრობო კომისია, რომელიც შეიმუშავებს წინადადებათა პაკეტს ფულადის სახსრების შემდგომი დაბრუნების პროცესის კომპლექსური მოწესრიგების შესახებ. შესაბამისად, სამინისტრომ მიუთითა, რომ მოცემულ ეტაპზე არ არსებობდა სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბარზე რიცხული ფულადი სახსრების დაფარვის საკანონმდებლო საფუძველი. ასევე, არც 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით არ იყო გათვალისწინებული სახსრები ამ კატეგორიის საშინაო ვალის დაფარვის მიზნით. მოსაზრებას დაეთანხმა საქმეში ჩაბმული მესამე პირიც, რომელმაც განაცხადა, რომ ქვეყანაში არ არსებობდა ანაბრის დაფარვის საკანონმდებლო ბაზა. ვალის დაფარვა საბოლოოდ წარმოადგენს სახელმწიფოს პრეროგატივას და დაფარვის მექანიზმიც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს შემუშავებული.

სასამართლოს განმარტებით, თეიმურაზ კოპალეიშვილის მოთხოვნა, რომ სასამართლო წესით აღიარებულ იქნეს მის მიერ ანაბარზე თანხის შეტანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა, საფუძვლიანია, ისევე, როგორც საფუძვლიანია მისი მოთხოვნა, რომ მოხდეს ანაბარზე შეტანილი თანხის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვინაიდან 1998 წლის 5 მარტის საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 48-ე მუხლის თანახმად, მოსახლეობის მიერ ყოფილი სახელმწიფო კომერციულ ბანკში შეტანილი ანაბრის ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება

აღიარებულია სახელმწიფო საშინაო ვალად და ამავე მუხლის II პუნქტის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს დაევალოს ამ ვალის გადახდა. ამიტომ, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის აზრს სარჩელზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა თეიმურაზ კოპალეიშვილის სარჩელი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაავალა მოსარჩელის მიერ 1992 წლის 08 ოქტომბერს სსსკ შემნახველი ბანკის #3469 სამტრედიის ფილიალში #101013 ანგარიშზე შეტანილი 72220 მანეთის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **„მაყვალა ჯიბლაძე და სხვები“**

2005 წლის 05 აპრილს, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელე თეიმურაზ კოპალეიშვილის წარმომადგენლობით, საქმეზე: #3/580-05, ანაბრებზე შეტანილი თანხის აღიარების და დაკისრების მოთხოვნით, იდენტური დასაბუთებით, სოფიო და თეონა კოპალეიშვილების, მაყვალა ჯიბლაძის და ლეილა თევზაძის სარჩელი დააკმაყოფილა.

აღიარებულ იქნა, რომ თეონა კოპალეიშვილის სახელზე სსრკ შემნახველი ბანკის #3464 სამტრედიის ფილიალში, #3-10 ანგარიშზე 1988 წლის 18 მაისის მდგომარეობით შეტანილ იქნა 5441,54 მანეთი, სოფიო კოპალეიშვილის სახელზე სსრკ შემნახველი ბანკის ფილიალის #3464 სამტრედიის განყოფილებაში #3-11 ანგარიშზე 1988 წლის 18 მაისისთვის 5440,52 მანეთი, მაყვალა ჯიბლაძის მიერ სსრკ შემნახველი ბანკის #3464 სამტრედიის ფილიალის #95281 ანგარიშზე 1991 წლის 24 თებერვლისთვის 5000, ხოლო ლეილა თევზაძის მიერ სსრკ შემნახველი ბანკის სამტრედიის განყოფილების #3464 ფილიალში #88607 ანგარიშზე 1991 წლის 03 აპრილისთვის 11000 მანეთი, რომლის ანაზღაურებაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

აპელანტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 04 მაისის სააპელაციო საჩივრით მითითებულ იქნა, რომ სასამართლომ არ გამოიყენა „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილება, რომლითაც შეიქმნა კომისია და დაევალოს მას „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის I პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვა, გადაჭრა და რეკომენდაციების შემუშავება, ხოლო ამ დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, „კომისია მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ნორმატიული აქტების პროექტებს დადგენილი წესით გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.“

სამინისტრომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოს უნდა შეეწყვიტა საქმის წარმოება, ვინაიდან მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების პრობლემების შესწავლა, მათი ანაზღაურების საკითხების გადაჭრა და რეკომენდაციების შემუშავება ევალება აღნიშნულ კომისიას, ხოლო გადაწყვეტილების მიღება საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. შესაბამისად, ამ საკითხის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შეფასებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად სახელმწიფო სავალო ვალდებულებათა დაფარვა დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 08 დეკემბრის #716, #717 ბრძანებულებების შესაბამისად, რადგან აღნიშნული ბრძანებულებები ძალადაკარგულადაა გამოცხადებული და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ გააჩნია თანხის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები.

## „ემზარ გრიგოლია<sup>54</sup> და სხვები“

2002 წლის 21 ოქტომბერს, თბილისის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა 32 ფიზიკურმა პირმა 13 მოპასუხის მიმართ და მოთხოვილ იქნა შემნახველ სალაროს ანაზღაურების წიგნაკებზე საბჭოთა მანეთებში რიცხული თანხის ანაზღაურება 1992 წლიდან გამოცემული ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების, აქციების, ვაუჩერების, სერტიფიკატების და სხვა შეძენით წარმოშობილი) სახელმწიფო გარანტიით წარმოშობილი დავალიანების უპირობო ანაზღაურება, რაც მოსარჩელეთა წინასწარი გაანგარიშებით, პროცენტების დაურიცხავად შეადგენდა ყოფილ სსრ კავშირის მანეთებში 56767564 მანეთს, ხოლო აშშ დოლარებში – 100584820 აშშ დოლლარს. მოსარჩელები დამატებით ითხოვდნენ აგრეთვე მითითებული თანხით სარგებლობისთვის პროცენტების დარიცხვასაც და ყოფილი სსრ კავშირის პერიოდში, მოსარჩელების მიერ 1994 წლის 24 დეკემბრიდან 2002 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით ადრე დანიშნული საპენსიო თანხის აშშ დოლარებში დადგენას ან მსყიდველობითი უნარის მიხედვით ადრე დანიშნული პენსიის დაანგარიშებას. სასამართლომ სარჩელი ადრე დანიშნული საპენსიო თანხის აშშ დოლარებში დადგენის/მსყიდველობითი უნარის მიხედვით ადრე დანიშნული პენსიის დაანგარიშების მოთხოვნის გარეშე მიიღო, 2004 წლის 28 ივლისის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო 12 ფიზიკური პირის საქმე, თორმეტმა ფიზიკურმა პირმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ, საქმეზე განისაზღვრა მხოლოდ სამი მოპასუხე მხარე: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სს „გაერთიანებული ქართული ბანკი.“

2004 წლის 22 სექტემბერს, ხუთმა ფიზიკურმა პირმა: ვალენტინა გერსამიამ, ლალი რურუამ, ლიანა რურუამ, ალბერტ რურუამ, ემზარ გრიგოლიას სამართალმემკვიდრემ ელისო გრიგოლიამ თბილისის საოლქო სასამართლოს დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მიმართ და მოითხოვეს მათი საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. მოსარჩელები მოპასუხეებისგან მოითხოვდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ დაკისრებოდათ 4580103 ლარი, რაც, მათივე გაანგარიშებით, შეადგენდა 2.170.665 აშშ დოლარს, ხოლო სასამართლოს მიერ საქმეზე დანიშნული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 25 მაისის #64/17 დასკვნის თანახმად, აღიარებულ იქნა მოსარჩელების დანაზოგების ნამდვილობა შემნახველ ბანკებში.

საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა სასამართლოზე მოითხოვა სარჩელი არ დაკმაყოფილებულიყო ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების გათვალისწინებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნების საფუძველზე. ამასთან, იგი დასაშვებად მიიჩნევდა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ინდექსაციის გათვალისწინების გარეშე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სრულად გაიზიარა საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის მოსაზრება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, ხოლო სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ წარმომადგენელმა მოითხოვა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება ბანკში არსებული მდგომარეობით. კერძოდ, ემზარ გრიგოლიას (რომელიც წარმოადგინა მისმა სამართალმემკვიდრემ) და ლალი რურუას ანაზღაურე ირიცხებოდა – 0.03 ლარი,

<sup>54</sup> საქართველოს საერთო სასამართლოებში ანაზღაურების საქმეზე თითქმის არც ერთი საქმე არ განხილულა ემზარ გრიგოლიას წარმომადგენლობის გარეშე. ემზარ გრიგოლია ცხოვრების მანძილზე ერთ-ერთი აქტიური მოქალაქე იყო დაზარალებული მენაბარეების უფლებების დასაცავად. ემზარ გრიგოლია 2001 წელს შეანაზღურა ერთ-ერთ საქმეზე 1491 მენაბარის სახელით გამოვიდა. ფაქტობრივად, წარმომადგენლობის ასეთი პრეცედენტი ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთი რესპუბლიკის მართლმსაჯულებისთვის არ ყოფილა ცნობილი.

ლალი რურუას ანაბარზე – 0.01 ლარი, ალბერტ რურუას ანაბარზე – 0.13 ლარი, ხოლო ლიანა რურუას ანაბარზე – 0.01 ლარი. ბანკმა ამ დანარიცხების ნაწილში სარჩელი ცნო.

თბილისის საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნის ძირითადი დებულებები და მიიჩნია, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დროს მოქმედებდა ე.წ. ნომინალიზმის პრინციპი, რომლის თანახმადაც, ვალდებულება ნაკისრ თანხაში უნდა დაფარულიყო. სასამართლომ განმარტა, რომ უმართებულო იყო ფულადი ვალის გაიგივება გარკვეულ მსყიდველობითუნარიანობასთან. ბანკი ინფლაციაზე პასუხს არ აგებს და ინფლაციაზე იურიდიული ნომინალიზმის პრინციპი წარმოადგენს ფულადი განგარიშებისა და გადახდის საფუძველს, რომელსაც შეაქვს საჭირო ფორმალური სიცხადე ურთიერთობაში. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძველად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის. ამიტომაც, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს ეკუთვნოდათ ინდექსაციის გარეშე სწორედ ის თანხები, რომელიც ირიცხებოდა მოსარჩელათა ანაბრებზე ნაშთის სახით, ხოლო სარჩელის სხვა მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილიყო. ვინაიდან სახელმწიფო სავალო ვალდებულებების სახელმწიფოს მიერ დაფარვის მექანიზმის შესახებ სამართლებრივი აქტი არ იყო გამოცემული. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობები უნდა მოწესრიგებულიყო საქართველოს სამოქალაქო სამართლის 1964 წლის კოდექსის ნორმებით.

მოსარჩელებმა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს და მოითხოვეს მათი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: რადგან არ არსებობს სასამართლო რეგულირების კონკრეტული ნორმა კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინ სახელმწიფო და თვით სასამართლო ვალდებული არიან იხელმძღვანელონ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 383-ე, 389-ე მუხლებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის მიერ 2004 წლის 25 მაისის შედგენილი შესაბამისი საექსპერტო დასკვნის შესაბამისად. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მით უმეტეს, თუ არ არსებობს სამართლებრივი რეგულირების კონკრეტული ნორმა, ამ შემთხვევაში უნდა გამოყენებულიყო სამართლის ანალოგია, მაგრამ კასატორები მიიჩნევდნენ, რომ ამ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დასარეგულირებლად საქართველოს კანონმდებლობაში არსებობდა, როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადი ნორმებიც. მათი აზრით, სასამართლომ იგნორირება გაუკეთა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 25 მაისის საექსპერტო დასკვნას, რის საფუძველზეც დადგინდა, თუ რამდენი თანხა, დავალიანება (ფულადი ვალდებულება) გააჩნდა სახელმწიფოს ყოველი მოსარჩელე მეანაბრის მიმართ. კასატორები აღნიშავდნენ, რომ თუ ექსპერტიზის დასკვნა არის ერთადერთი წერილობითი მტკიცებულება, ამ შემთხვევაში გაუგებარია, მისი შეფასება რომელ მტკიცებულებებთან ერთად უნდა მომხდარიყო, რაც პირდაპირ სასამართლო მტკიცებულებების უარყოფას ნიშნავს სასამართლოს მხრიდან.

2005 წლის 6 მაისს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე: #ბს-1497-1212-კ-04 მიიღო განჩინება და ლალი, ლიანა, ალბერტ რურუების, ვალენტინე გერსამიას და ელისო გრიგოლიას საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მოსარჩელების მხრიდან მოთხოვნა არ არსებობს, დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტი მოპასუხის სტატუსით მონაწილეობდეს საქმეში. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელში მითითებულ უნდა იყოს მოთხოვნა მოპასუხისადმი, რასაც კონკრეტულ დავაში ერთ-ერთი მოპასუხის – საქართველოს პრეზიდენტის

მიმართ ადგილი არ აქვს. სასამართლომ მიუთითა, რომ სამართლებრივად სრულყოფილად არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არ იქნა გაზიარებული ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, ამიტომ ამ კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონკრეტული სადავო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები.

### „ლედი ჯაფარიძის საქმე“

მოსარჩელე ლედი ჯაფარიძემ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წელს, საბჭოთა კავშირის შემნახველ ბანკში, არსებულ კუთვნილ ანგარიშზე, ანაზრის სახით შეიტანა 180 000 რუსული რუბლი, ხოლო მისმა მეუღლემ 148 000 ათაი რუბლი. დარიცხული პროცენტების და ბანკის მიერ გაკეთებული ინდექსაციის შედეგად, 1994 წელს, მომჩივანს, საბოლოოდ, ერიცხებოდა 14 596 170.56 რუბლი, ხოლო მეუღლეს 359 341.71 რუბლი.

ლედი ჯაფარიძემ 2008 წლის 19 სექტემბერს წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა, რომ გამონახულიყო საშუალება და მისთვის სახელმწიფოს დაებრუნებინა ანაზრები, რომელიც სახელმწიფოს უკვე შიდა ვალში ჰქონდა აღებული. აღნიშნული წერილი დამისამართდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საიდანაც 2008 წლის 9 ოქტომბერს, განმცხადებელმა მიიღო წერილი, სადაც აღნიშნავდნენ, რომ მოქმედებდა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელიც უფლებამოსილი იყო სახელმწიფო საშინაო ვალის კატეგორიების მიმართ შეემუშავებინა ანაზღაურების მექანიზმი და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისათვის. ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ანაზღაურების მექანიზმის დამტკიცებამდე, მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის თხოვნა.

ლედი ჯაფარიძემ 2008 წლის 25 ოქტომბერს, წერილით მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, რომლითაც სვამდა კითხვას, თუ ვისთვის უნდა მიემართა, რომ გაეგო, თუ რას საქმიანობდა საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისია. განმცხადებელმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან პასუხად მიიღო საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილება.

2008 წლის 26 ოქტომბერს, ყოფილმა მენაბრემ განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრს ანაზრების დაბრუნების მოთხოვნით, რომლის საპასუხოდაც, 2008 წლის 7 ნოემბერს ეცნობა, რომ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ანაზრების ანაზღაურების მექანიზმის დამტკიცებამდე, ამ სახის ვალის დაფარვა ვერ განხორციელდება. ლედი ჯაფარიძემ ანაზრების დაბრუნების მოთხოვნით, 2008 წლის 27 ოქტომბერს წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრსაც. წერილი დამისამართდა და 2008 წლის 27 ნოემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მხრიდან გაეცა პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ანაზღაურების მექანიზმის დამტკიცებამდე, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ვერ განახორციელებდა ამ სახის ვალის დაფარვას.

განმცხადებელმა 2008 წლის 27 ოქტომბერს ანაზრების ანაზღაურების მოთხოვნით წერილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს და ხელმეორედ საქართველოს იუსტიციის მინისტრსაც გაუგზავნა. წერილები, ასევე დამისამართდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. 2008 წლის 26 ნოემბერს მომჩივანმა განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველსაც, რათა მისთვის აეხსნათ ანაზრების დაბრუნების პროცესი. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის 9

დეკემბრის წერილის თანახმად, ვინაიდან ის არ არის უფლებამოსილი დაიწყოს ანაბრების დაბრუნების პროცესი, მოკლებული იყო ასეთი დახმარების შესაძლებლობას.

განმცხადებელმა 2009 წლის 22 ივნისს, ანაბრების დაბრუნების თაობაზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა. წერილი დამისამართდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2009 წლის 7 აგვისტოს წერილიც კვლავინდებურად ერთსა და იმავე დასაბუთებას ეყრდნობოდა – განმცხადებელს ეცნობა, რომ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ანაზღაურების მექანიზმის დამტკიცებამდე, ამ სახის ვალის დაფარვა ვერ განხორციელდებოდა. სამინისტროს ასეთივე პასუხი მიიღო ყოფილმა მენაბრემ 2009 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილის საპასუხოდაც. განმცხადებელმა ანაბრების გაცემის საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე 2010 წლის განმავლობაში არაერთხელ დააყენა. ბოლოს მას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა 2010 წლის 29 ნოემბერს უპასუხა და მიუთითა, რომ ამ საკითხზე უკვე მრავალჯერ ჰქონდა მიწერილი და მიუთითეს რეგისტრირებული წერილების ნომრებზე.

ლედი ჯაფარიძემ 2010 წლის 9 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მან ანაბრების დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ სარჩელის ფასად 40 294 ლარი მიუთითა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სასარჩელო მოთხოვნას არ დაეთანხმა და განმარტა, რომ მოთხოვნილი თანხა გამოთვლილი იყო არასწორად. აგრეთვე მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობაში ანაბრების კომპენსირების გადასაჭრელად მუშაობდა სამთავრობო კომისია, რომელიც უნდა შეემუშავებინა მისი ეტაპობრივი გადახდის წესი და მეთოდი. სამინისტრომ ჩათვალა, რომ სასარჩელო განცხადება იყო დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სასამართლომ 2011 წლის 6 იანვარს გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მიმართ სარჩელის საფუძვლიანობა: მის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული, მოპასუხის რომელი ბრალეული ქმედებით ან უმოქმედობით მიადგა ზიანი, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა (უმოქმედობას) და დამდგარ ზიანს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების სავალდებულო ელემენტია.

ლედი ჯაფარიძის სააპელაციო საჩივარი, 2011 წლის 9 მარტს, არ დააკმაყოფილა არც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, ხოლო 2011 წლის 7 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, განმცხადებლის საკასაციო საჩივარიც დაუშვებლად იქნა ცნობილი. ლედი ჯაფარიძემ მიმართა ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოს.<sup>55</sup>

## „ნოდარ ხუჭუას საქმე“

2007 წლის 18 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმეზე #3/1233-07 მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მესამე პირი სს „ვითი ბანკი ჯორჯიას“ მიმართ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ნოდარ ხუჭუას სარჩელი სახელფასო დავალიანების მოთხოვნის თაობაზე.

მოსარჩელემ მოპასუხეებისგან მოითხოვა სახელფასო დავალიანების 5926,14 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში გადახდა და ასევე, 1992 წლიდან მიუღებელი ხელფასის ყოველთვიური 3% 1992 წლიდან 2007 წლის აპრილის ჩათვლით 32711,52 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში გადახდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1987-1989 წლებში სამსახურობრივ მივლინებაში იმყოფებოდა

<sup>55</sup> კვლევაში მიმოხილულია საქმე: „ლედი ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ.“

საზღვარგარეთ. სამუშაო მივიღების დროს გამომუშავებული თანხები ერიცხებოდა ყოფილი სსრკ ეკონომიკური საქმიანობის ბანკის ქ. თბილისის განყოფილებაში.

მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსრკ-ის ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება აღიარებულია სახელმწიფო საშინაო ვალად. ამავე მუხლის მესამე პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფო სავალო სავალდებულო დაფარვის წესი განისაზღვროს ყოველწლიურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებათა გამოყოფის შესაბამისად. მხარემ სასამართლოს სთხოვა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში აღნიშნულზე თანხები არ არის გათვალისწინებული და ამ კატეგორიის საშინაო ვალის დაფარვის მიზნით სავალო ვალდებულების დაფარვის წესი არ არის შემუშავებული.

სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი მთლიანად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული სახელფასო დავალიანების გადახდის ნაწილში, რადგანაც დადგენილია, რომ მოსარჩელე 1987-1989 წლებში მუშაობდა საზღვარგარეთ და მაშინ არსებული წესების თანახმად, ხელფასი ერიცხებოდა სსსკ-ის ეკონომიკური საქმიანობის ბანკის ქ. თბილისის განყოფილებაში. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელის პირველი მოთხოვნა შეეხება ხელფასს, რომელიც ეძლევა მუშაკს შესრულებული სამუშაოსათვის, ხელფასი კი რჩენის ერთ-ერთი გარანტიაა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად ხელფასის მიღების უფლება საყოველთაოდ აღიარებული უფლებათაგანია. რაც შეეხება მეორე მოთხოვნას ხელფასის მიუღებლობის გამო გამოწვეულ ზარალის დაკისრებას, ყოველთვე 3%-ის ოდენობით, სასამართლო თვლის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის თანახმად, კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი კრედიტორის სხვა საფუძვლიდან გამომდინარე უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია ასეთი გარემოებების არსებობისას. სასამართლო თვლის, რომ მიუღებელი ხელფასის ყოველთვიური სამი პროცენტის მოპასუხისათვის დაკისრების 1992-წლიდან 2007 წლის აპრილამდე არ უნდა იქნას დაკმაყოფილებული, უსაფუძვლოდ გამო. სასამართლომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ 5776 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში გადახდა დააკისრა.

2008 წლის 07 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, საფუძვლები კი, რომელზედაც მიუთითებდა აპელანტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, წარმოადგენდა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს. ამასთან, სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის შემუშავებლობა არ შეიძლება გამხდარიყო შრომითი გასამჯელოს (ხელფასის) დაფინანსებაზე უარის თქმის საფუძველი.

2008 წლის 05 ივნისს, საქართველოს უზენაესმა სასამართლოს განჩინებით, დაუშვებლად იქნა მიჩნეული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარიც და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 07 თებერვლის განჩინება.

## საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საბჭოთა ანაბრების პრობლემის გადაჭრის მიმართ საქართველოს კანონმდებლობაში ზოგიერთი სამართლებრივი აქტის მოქმედების მართლზომიერებისა და კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა არაერთი მოსარჩელის საქმეზე მოუწია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ 2013 წლის 18 თებერვალს დასმული იქნა შემდეგი სახის შეკითხვა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განუხილავს თუ არა საბჭოთა ანაბრების საქმესთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სარჩელი.
2. გვეცნობოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული საქმეების სტატისტიკა 1992 წლიდან 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით.
3. გვეცნობოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული საქმეების შედეგების სტატისტიკა 1992 წლიდან 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით.
4. მოგვეწოდოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბჭოთა ანაბრების შესახებ განხილული ყველა საქმის/გადაწყვეტილების ასლი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 4 მარტის №01/01-74 წერილის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საბჭოთა ანაბრების შესახებ 1996 წლიდან 2013 წლის 18 თებერვლამდე სულ შემოსულია და განხილულია 9 კონსტიტუციური სარჩელი. ზემოთაღნიშნულ სარჩელებზე სასამართლომ მიიღო 4 განჩინება (№1/8/284 – 2004 წლის 16 აპრილი; №1/4/170.178.230.246 – 2004 წლის 15 მარტი; №1/4/150,146 – 2001 წლის 13 ივლისი; №1/5/75-78 – 1999 წლის 21 ივნისი) განჩინებების ასლების ნახვა შესაძლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)”<sup>56</sup>

კვლევაში წარმოდგენილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ოთხივე განჩინების შინაარსი.

### „მოქალაქეები უშანგი დონჯაშვილი და ემზარ გრიგოლია საქართველოს პრეზიდენტის წინამდებ“

“მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების კონსტიტუციურობის საკითხზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

საქმის არსებითად განხილვის დასაწყისში, მოპასუხის, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე იმ მოტივით, რომ სადავო აქტში საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 ივნისის №362<sup>57</sup> ბრძანებულებით შევიდა არსებითი ხასიათის ცვლილებები, რომლის შესაბამისადაც მოპასუხის მტკიცებით არსებითად შეიცვალა სადავო აქტი, ვინაიდან დანართი №1-ით გათვალისწინებული ინდექსაცია განხორციელდებოდა მხოლოდ პირველ ეტაპზე, ამასთან სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, რომ ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ გადაესინჯა აღნიშნული საკითხი მეანაბრეთა სასარგებლოდ. თავის მხრივ, მოსარჩელე მხარემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა და სასამართლო სხდომაზე

<sup>56</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2013 წლის 4 მარტის წერილი №01/01-74

<sup>57</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 ივნისის №362 ბრძანებულება - გამოქვეყნებული იქნა 1999 წლის 10 ივნისის გაზეთში “საქართველოს რესპუბლიკა” (№152) და 1999 წლის 14 ივნისის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ (28/35), ცვლილებები შევიდა სადავო ბრძანებულებაში და არსებითად შეიცვალა იგი.

დააყენა შუამდგომლობა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულებასთან ერთად საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 მარტის №136 და 1999 წლის 8 ივნისის №362 ბრძანებულებების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 ივნისის ბრძანებულებით, გათვალისწინებულ იქნა ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაცია მხოლოდ პირველ ეტაპზე და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების ახალი რედაქციით გათვალისწინებული იქნა ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკების მეანაბრეთა კუთვნილი თანხების ინდექსაციასთან დაკავშირებული საკითხის სრულიად ახალი გადაწყვეტა. მოსარჩელეთა შუამდგომლობასთან დაკავშირებით კი სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის გაზრდის თაობაზე არ იყო დასაბუთებული.

საბოლოოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 1999 წლის 21 ივნისის განჩინებით საქმეზე №1/5/75-78, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის შუამდგომლობა საქმის არსებითად განხილვის შეწყვეტის თაობაზე და საქმეზე შეწყვიტა სამართალწარმოება.<sup>58</sup>

### **„მოქალაქეები ნანა გოგოჭური და ემზარ გრიგოლია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>59</sup>**

“მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულებისა და (2) “სახელმწიფო ვალის შესახებ” საქართველოს 1998 წლის 5 მარტის კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის იმ ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც შეეხება “სახელმწიფო ვალის შესახებ” კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების – მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების შესაბამისად.

მოსარჩელეთა აზრით, სადაო ნორმატიული აქტებით (მათი შესაბამისი ნაწილებით) დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და გარანტირებული მათი საკუთრების უფლება, ვინაიდან მათი აზრით სადავო ნორმატიული აქტებით დადგენილმა წესმა მოსპო შესაძლებლობა მიეღოთ თავიანთი კუთვნილი ანაბრები. კერძოდ, მოსარჩელე ნანა გოგოჭურს წაერთვა უფლება დაებრუნებინა სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს სსრ დუშეთის განყოფილების ჟინვალის ფილიალში 1991 წლის 17 ივნისს შეტანილი 3000 მანეთი. მოსარჩელე ემზარ გრიგოლიას აღარ ქონდა შესაძლებლობა უკან დაებრუნებინა და გამოეყენებინა თავის ანაბარზე რიცხული თანხა სააქციო საზოგადოება “გაერთიანებული ქართული ბანკის” ფოთის №23 ფილიალისაგან, რომელიც იყო ყოფილი საბჭოთა შემნახველი ბანკის უფლებამონაცვლე. აღნიშნული კი, მოსარჩელეთა მტკიცებით, გამოიწვია №716 ბრძანებულებამ, ვინაიდან მასში დადგენილი მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაციის კოეფიციენტის განსაზღვრის წესი უსამართლოდ წყვეტდა საკითხს და არ ითვალისწინებდა მეანაბრეთა ინტერესებს, უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა სახელმწიფოს და ხელს არ უწყობდა პრობლემის მოგვარებას. ინდექსაციის კოეფიციენტის დადგენისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ფულის ინფლაციის კოეფიციენტი ისე, რომ შენარჩუნებულიყო მისი ღირებულებითი

<sup>58</sup> კოლეგიის შემადგენლობა: ოთარ ბენიძე (თავმჯდომარე), ნიკოლოზ შაშკინი (მომხსენებელი მოსამართლე), ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

<sup>59</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის წლის 11 თებერვლის #1/1/170 განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერით, ემზარ გრიგოლიას და ნანა გოგოჭურის ცალკ-ცალკე სარჩელი დავის საგნის იგივეობის გათვალისწინებით, ერთ საქმედ გამოიყო.

ეკვივალენტობა. მოსარჩელები კონსტიტუციურ სარჩელებში მოითხოვენ სადავო აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას და მათ გაუქმებას.

საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე, მოპასუხის, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა საქმის შეწყვეტის შესახებ. შუამდგომლობის დასასაბუთებლად მან სასამართლო კოლეგიას წარუდგინა “საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულება<sup>60</sup>, რომლის მიხედვითაც ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულება. ასევე გათვალისწინებული იქნა საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე წინადადების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნა და დაევალა კომისიას ორი თვის ვადაში მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარედგინა საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების შემდგომი დაბრუნების პროცესის კომპლექსური მოწესრიგების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის განცხადებით, სადავო ბრძანებულების გაუქმების შემდეგ აღარ არსებობდა დავის საგანი და საქმის წარმოებაც უნდა შეწყვეტილიყო. შუამდგომლობას საქმის შეწყვეტის შესახებ, ასევე მხარი დაუჭირა მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმაც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2001 წლის 13 ივლისის განჩინებით საქმეზე №1/4/105,146, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობით საფუძველი გამოეცალა მოსარჩელეთა მოთხოვნას, დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის შუამდგომლობა და დავის საგნის არარსებობის გამო შეწყვიტა სამართალწარმოება საქმეზე.<sup>61</sup>

**„მოქალაქეები ნანა გოგოჭური, ემზარ გრიგოლია,<sup>62</sup> შოთა მესხელი, გურამ აბსანძე, ჟანა გოგინავა და გოჩა რაფავა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>63</sup>**

“საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებისა და (2) “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-6 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

მოსარჩელებს მიაჩნდათ, რომ სადავო აქტებით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და გარანტირებული მათი საკუთრების უფლება – მათ, ყოფილი სახელმწიფო-კომერციული

<sup>60</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულება - გამოქვეყნებულია საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში (№71,04.07.2001, ნაწილი III, საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მუხლი 507).

<sup>61</sup> კოლეგიის შემადგენლობა: იაკობ ფუტყარაძე (თავმჯდომარე), ბესარიონ ზოიძე (მომხსენებელი მოსამართლე), ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ნიკოლოზ შაშვინი

<sup>62</sup> ემზარ გრიგოლიას სახელი და ძალისხმევა გამოკვეთილია ანაბრების დაბრუნების პროცესში თავისი არაერთი საჯარო სამოქალაქო პოზიციით. ემზარ გრიგოლიას ავტორობით ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი წერილი გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ: „ბატონო პრეზიდენტო, 4,446.877 მეანაბრის სახელით კატეგორიულად მოვითხოვ: მიმიღეთ, მომისმინეთ..!“ გაზეთი „ასავალ დასავალი“, 16 თებერვალი, 2004 წ., #7

<sup>63</sup> საქმე მოიცავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სხვადასხვა დროს ცალ-ცალკე შეტანილ, 2002 წლის 26 აპრილის №1/7/178, 2003 წლის 11 თებერვლის №1/1/170, 17 მაისის №1/4/230 და 15 ოქტომბრის ზემოაღნიშნული ნომრის საოქმო ჩანაწერებით არსებითი განხილვისათვის მიღებულ 4 კონსტიტუციურ სარჩელს, რომლებიც დავის საგნის, მოსარჩელე სუბიექტთა კატეგორიისა და მოპასუხეთა იგვეობის გამო ერთობლივად განხილვის მიზნით ერთ საქმედ გაერთიანდა.

ბანკების მეანაზრებს, ესპობოდათ შესაძლებლობა მიეღოთ თავიანთი კუთვნილი ანაზრები. ისინი მოითხოვენ სადვო აქტების (მათი ნაწილების) არაკონსტიტუციურად ცნობას და გაუქმებას.

მოპასუხის – საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის მტკიცებით, ბრძანებულების გასაჩივრებული პუნქტები არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყვნენ ნორმატიული ხასიათის დებულებებად, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ იყო ნორმატიული შინაარსის მატერიალური და მათ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბუნება ქონდათ. ისინი ფაქტობრივად სამთავრობო კომისიის ფორმირებასა და შემადგენლობას განსაზღვრავდა, რომლებიც ეხებოდა და ითვალისწინებდა კონკრეტული დავალების შესრულებას. მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი დაეთანხმა საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის არგუმენტებს და აღნიშნა, რომ კონსტიტუციური სარჩელები არ უნდა ყოფილიყო მიღებული არსებითად განსახილველად. მისი მტკიცებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოება “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის” პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-6 პუნქტის მიმართაც უნდა ყოფილიყო შეწყვეტილი, ვინაიდან სადაო ბრძანებულების ძალით, სპეციალურად შექმნილ კომისიას დათქმულ ვადაში მთავრობის სხდომაზე განსახილველად უნდა წარმოედგინა საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაზრებზე რიცხული ფულადი სახსრების შემდგომი დაბრუნება კომპლექსური მოწესრიგების შესახებ, რაც არ შესრულდა. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის მტკიცებით ვიდრე კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იქნებოდა მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტები, საკონსტიტუციო სასამართლო ვერანაირად ვერ იმსჯელებდა საქართველოს პარლამენტის დადგენილების სადავო პუნქტზე, ვინაიდან მასში არანაირი წესი და პირობები არ იყო დადგენილი, რომლის შესაბამისადაც უნდა მომხდარიყო ევროპული კონვენციის პირველი ოქმის სათანადო მუხლის გავრცელება საქართველოს მოსახლეობისათვის შესაბამისი ფულადი სახსრების დაბრუნებაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაო აქტი ნამდვილად იყო ნორმატიულ აქტი, თუმცა მიუხედავად ამისა, სასამართლო კოლეგიამ ორჯერ სპეციალური წერილებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სთხოვა ეცნობებინა სათანადო მონაცემები კონკრეტულად განსახილველი ზემოხსენებული სადავო სამართლებრივი აქტების ნორმატიულობის შესახებ. სამინისტრომ ორივეჯერ წერილობით დაადასტურა აღნიშნული სამართლებრივი აქტების ნორმატიულობა.<sup>64</sup> შესაბამისად, სასამართლო კოლეგიამ, შესაძლებლად მიიჩნია მისი კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება. ამავე დროს სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა მოპასუხეთა წარმომადგენლების მოსაზრებები საქართველოს პრეზიდენტის სადავო ბრძანებულებების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების არანორმატიულობის შესახებ. სასამართლო პროცესზე მოპასუხე და მოსარჩელე მხარეთა მოსაზრებების ურთიერთშეპირისპირების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეს პუნქტები ნორმატიულად, მრავალჯერადი

<sup>64</sup> სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42 მუხლის“ წარმომადგენლებმა. ორგანიზაციის 2004 წლის 3 მარტის #1 გაზეთში გამოქვეყნებულ ნაწი კინწურაშვილის სტატიის: „მენაზრებმა იმედი დაკარგეს“, ვკითხულობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მართლაც გაუჭირდა პრეზიდენტის ბრძანებულების სამართლებრივი საკითხის გარკვევა. სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ბესარიონ ზოიძის თავმჯდომარეობით ორჯერ მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა განმარტება იმის თაობაზე, წარმოადგენდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულება ნორმატიულ აქტს. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საკონსტიტუციო სასამართლოს ორივე წერილზე გასცა დადებითი პასუხი და დაადასტურა, რომ აღნიშნული ბრძანებულება ნამდვილად წარმოადგენდა ნორმატიულ აქტს. რამდენადაც საოცარი არ უნდა იყოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მაინც საპირისპირო და სრულიად არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო. ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაამსხვრია საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების და სამართალწამოების არსებობის მითი. უფრო მეტიც, საქართველოს ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საერთოდ არ ითვალისწინებს საქმის შეწყვეტას სარჩელის არსებითი განხილვის ეტაპზე და თანაც მოპასუხის შუამდგომლობით. კანონის თანახმად, სარჩელის არსებითი განხილვის ეტაპზე, საერთოდ დაუშვებელია გასაჩივრებული ბრძანებულების ნორმატიულობის შესახებ მსჯელობა. საკონსტიტუციო სასამართლომ უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა და გადასინჯვა 2 წლის წინანდელი საკუთარი საოქმო ჩანაწერი სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ.“

გამოყენების ქცევის ზოგად წესად ვერ ჩაითვლებოდა. ამასთან, სადავო აქტის არანორმატიულობა თვით მოსარჩელის წარმომადგენელმაც დაადასტურა. ასევე, სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე და მოპასუხე მხარეების მონაწილეობით დადასტურდა, რომ საქმის განხილვის მომენტისათვის არ იყო მიღებული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც, სავალდებულო წესით გავრცელდებოდა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება საქართველოს ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნებაზე.

სასამართლო კოლეგია მოპასუხეთა წარმომადგენლების შუამდგომლობასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მას ანალოგიურ ვითარებაში უკვე მესამედ უხდებოდა ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების თაობაზე საქმის შეწყვეტა. აღნიშნული გარემოება და ამგვარი კონსტიტუციური სარჩელების სიმრავლე კი გამძაფრებული პრობლემის თვითდინებაზე მიშვებისა და მოქალაქეთა საკუთრების კონსტიტუციური უფლებების შელახვის მაჩვენებელი იყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 15 მარტის განჩინებით საქმეზე №1/4/170, 178, 230, 246, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხეების წარმომადგენლების შუამდგომლობები და შეწყვიტა სამართალწარმოება საქმეზე.<sup>65</sup> ამასთან სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტს ეთხოვა საქართველოს მთავრობასთან ერთად, გონივრულ ვადაში შეემუშავებინა და მიეღო სათანადო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების სამართლიანად დაბრუნებას.

**„მოქალაქეები ემზარ გრიგოლია, ალბერტ რურუა და შოთა მესხელი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით (1) „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 მარტის №246 დადგენილების მე-8 პუნქტი, (2) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობის 1993 წლის 20 მაისის №14/9 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის მიერ განადგობის ვადის შესახებ“, (3) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის №575 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის ერთდერთ კანონიერ საგადახდელო საშუალებად გამოცხადების შესახებ“, (4) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბერის №363 ბრძანებულება „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გაშვების შესახებ“, (5) საქართველოს 1997 წლის 30 მაისის კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ (თავისი შესწორებებითა და დამატებებით), (6) საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 1997 წლის 23 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით ფულის ინდექსაციის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი მუშა ჯგუფის 1997 წლის 13 ნოემბერის სხდომის ოქმი №2, (7) საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულება „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“, (8) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 ივნისის №362 ბრძანებულება „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, (9) საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბერის №717 ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს

<sup>65</sup> კოლეგიის შემადგენლობა: ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე), ვახტანგ გვარამია (მომხსენებელი მოსამართლე), იაკობ ფუტყარაძე, ნიკოლოზ შაშკინი

ვალდებულებების შესახებ”, (10) საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი „ლარის” შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ”, (11) საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 16 თებერვლის დადგენილება „რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსრ კავშირის საგარეო სახელმწიფო ვალისა და აქტივების მიმართ სამართალმემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგების შესახებ” შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე”, (12) საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულება „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ”, (13) საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 ნოემბერის №455 ბრძანებულება „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ” და (14) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის” პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების 2-8 პუნქტები.

მოსარჩელეთა აზრით, ყველა სადავო აქტი იყო არაკონსტიტუციური, გამოცემული და ამოქმედებული კანონიერებისა და სამართლიანობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით. მოსარჩელები მოითხოვდნენ სარჩელის არსებითი განხილვისათვის მიღებას, სადავო აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას და გაუქმებას.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ მოქმედი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს და ვინაიდან სარჩელში დასახელებული რიგით პირველი, მე-3, მე-7 და მე-8 აქტები განხილვის მომენტისათვის ძალადაკარგულად იყვნენ ცნობილნი, კონსტიტუციურობის საკითხი არ იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. ამიტომ კონსტიტუციური სარჩელი ამ ნაწილში, არსებითად განსახილველად არ მიიღება. ასევე, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 1997 წლის 23 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით ფულის ინდექსაციის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი მუშა ჯგუფის 1997 წლის 13 ნოემბრის სხდომის ოქმი არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს და არც ამ აქტის კონსტიტუციურობის საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. სადავო დასახელებული რიგით მე-2, მე-4, მე-9, მე-10, მე-11 და მე-15 სამართლებრივი აქტების არსებითი განხილვისათვის მიღების საკითხი უკვე უარყოფითად იყო გადაწყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ<sup>66</sup>. ასევე უარყოფითად იყო უკვე გადაწყვეტილი საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებისა და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის” პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-6 პუნქტის კონსტიტუციურობის საკითხიც<sup>67</sup>. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 ნოემბერის №455 ბრძანებულებაც ვერ იქნებოდა განხილული, ვინაიდან ცვლილება შევიდა პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულების მე-4 პუნქტში. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულების პირველ პუნქტს, სადაც დადგენილია, რომ ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულება, სასამართლომ გაუგებრად მიიჩნია მოსარჩელეთა პრეტენზია ამ პუნქტის მიმართ, რადგან თვითონ ისინი მოითხოვდნენ №716 ბრძანებულების გაუქმებას. ამასთან ერთად, სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ადრე უკვე განაცხადა უარი №258 ბრძანებულების პირველი პუნქტის არსებითად განსახილველად მიღებაზე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის” პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27

<sup>66</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 28 ივნისის №1/3/105,146 განჩინება, 2003 წლის 10 აპრილის №2/4/194 გადაწყვეტილება, იმავე წლის 11 თებერვლის №1/1/170, 27 მაისის №1/4/230, 7 ივლისის №1/8/240 და 15 ოქტომბრის №1/7/246 საოქმო ჩანაწერები

<sup>67</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 15 მარტის №1/4/170, 178, 230, 246 განჩინება

დეკემბრის დადგენილების მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებთან, აგრეთვე „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 30 მაისის კანონთან დაკავშირებით სასამართლო კოლეგიამ მიუთითა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონსა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონზე, რომელთა შესაბამისადაც, კონსტიტუციური სარჩელი უნდა ყოფილიყო დასაბუთებული და მასში უნდა ყოფილიყო მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის აზრით დაადასტურებდა სარჩელის საფუძვლიანობას. მოცემულ შემთხვევაში კი, სასამართლოს განცხადებით არც კონსტიტუციური სარჩელიდან და არც განმწესრიგებელ სხდომაზე სათანადო განმარტებებიდან არ ჩანდა, რომ 2001 წლის სარატიფიკაციო დადგენილების აღნიშნული პუნქტებითა და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონით დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს მოსარჩელელთა შესაბამისი კონსტიტუციური უფლება. შესაბამისად, სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი ამ ნაწილშიც არ ჩათვალა დასაბუთებულად და არ მიიღო განსახილველად.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 16 აპრილის განჩინებით საქმეზე №1/8/284, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად და შეწყვიტა სამართალწარმოება აღნიშნულ სარჩელზე.<sup>68</sup>

---

<sup>68</sup> კოლეგიის შემადგენლობა: ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე), ვახტანგ გვარამია (მომხსენებელი მოსამართლე), იაკობ ფუტყარაძე, ნიკოლოზ შაშკინი

## თავი მეექვსე: ევროსასამართლო საბჭოთა ანაბრების საქმეების გადაწყვეტისას

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან არაერთი მოქალაქის საჩივარი განუხილავს, რომელიც საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების საკითხს ეხება. განხილულ საქმეებს შორისაა „ანა რეიზაზი რუსეთის წინააღმდეგ“, „ვლადიმერ აპოლონოვი რუსეთის წინააღმდეგ“, „რუდინსკა პოლონეთის წინააღმდეგ“, „გეიდუკი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ“ და სხვა. ყველა განაცხადი ეხებოდა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) და მე-13 მუხლის (უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე) დარღვევას პირველი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებაში.

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოს მიმართეს საქართველოს მოქალაქეებმაც. სასამართლომ იმსჯელა საქმეებზე: „ალბერტ რურუა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, „ლედი ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“ და „უშანგი დონჯაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. კიდევ ერთი საქმე, „ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ეხებოდა არა საბჭოთა ანაბრების დაბრუნების საკითხს, არამედ კოოპერატიული ბინათმშენებლობას, რომელიც, საქართველოს სახელმწიფომ, აგრეთვე, შიდა ვალში აღიარა.<sup>69</sup>

**„ალბერტ რურუა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“**

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლომ ალბერტ რურუა, ლალი რურუას, ლიანა რურუას და ვალენტინა გერსამიას საჩივარი 2008 მიიღო. (საქმეზე კანონიერი

<sup>69</sup> სასამართლომ საქმეზე აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა სამშენებლო საქმისათვის შენახული დეპოზიტი საბჭოთა რუბლის ვალუტაში გახსნილ იქნა 1991-92 წლებში. დეპოზიტის თანხა დამოკიდებული იყო სხვა საკითხებთან ერთად საქონლისა და მომსახურების ფასებზე, რომელიც საჭირო იყო შესაბამისი ბინების მშენებლობისათვის, თუმცა საბჭოთა კავშირი დაშლის შემდეგ, შეუძლებელი გახდა საბჭოთა რუბლის შენარჩუნება. საქართველოს აღარ ჰქონდა გავლენა საბჭოთა რუბლის გამოყენებაზე, რომელმაც ამ ვალუტის ცირკულაციიდან ამოღება და 1993 წელს, დროებითი ვალუტის - კუპონის შემოღება განაპირობა, ხოლო კუპონმა, თავის მხრივ, განიცადა ჰიპერინფლაციის გავლენა. შედეგად, ინფლაციის მიზეზით, მოსარჩელეთა დეპოზიტების თავდაპირველი მსყიდველობითი ღირებულება დაიკარგა. მომდევნო 15 წლის განმავლობაში, რა დროსაც სახელმწიფოში განხორციელდა ფინანსური და ეკონომიკური ცვლილებები, განმცხადებლებმა მოითხოვეს გაუფასურებული შემნახველი ანაბრები უკვე ახალ ვალუტაში – ევროში, რომელიც დაანგარიშებულ იქნა უძრავ ქონებაში დღეს არსებული ფასების მიხედვით. სხვა სიტყვებით, განმცხადებელთა სურვილია გაუფასურებული ანაბრების საწყისი მსყიდველობითი უნარის აღდგენა (განსხვავებით საქმეებისაგან „Ališić and Others v. Bosnia and Herzegovina and Other Member States (dec.)“, no. 60642/08, §§ 53 55, 17 ოქტომბერი 2011.

სასამართლო ხელმოკრედ აღნიშნავს, რომ მსყიდველობითი უნარის მქონე ფულად ანგარიშებზე (დაცული ინფაციისაგან და სხვა სახის ფინანსური კრიზისისაგან) უფლება არ არის გარანტირებული No.1. საერთაშორისო შეთანხმების პირველი მუხლით, აღნიშნული დებულება ვერ დაავალდებულებს სახელმწიფოს ანაზღაუროს ფინანსური ზიანი გამოწვეული საქონლისა და მომსახურების გაზრდილი ფასებით ან სხვა სახის ეკონომიკის რეცესიის მიზეზით (იხილეთ, Appolonov v. Russia (dec.), no. 67578/01, 29 აგვისტო 2002, Kireev v. Moldova and Russia (dec.), no. 11375/05, 1 ივლისი 2008). უდავოა, რომ საბჭოთა რუბლის ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების თანხის გადახდა (რომელიც ჯერ გაუფასურდა, ხოლო შემდგომ გაუქმდა), სრულად დამოკიდებულია შესაბამისი ზუსტი ინდექსაციის სამართლებრივი აქტების არსებობაზე, ვალუტის კონვერტირებასა და სხვა კომპლექსურ ფინანსურ გამოთვლებზე. მხედველობაში ვიდეთ რა, რომ ამგვარი აქტები არ მიღებულა საქართველოში, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს ამ საკითხზე, განმცხადებლებს არ შეუძლიათ სამართლებრივად იდავონ მხოლოდ და მხოლოდ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48 მუხლის „ზ“ ნაწილზე მითითებით, რომ „ნებისმიერი სპეციფიკური თანხა, რომელიც გაუფასურებულ იქნა მიმდინარე ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, კვალიფიცირდება, როგორც „არსებული საკუთრება“ (იხილეთ, Boyajyan v. Armenia, no. 38003/04, § 55, 22 March 2011; Rudzińska v. Poland (dec.), no. 45223/99, ECHR 1999 VI; Gayduk Others v. Ukraine (dec.), nos. 45526/99 et al., ECHR 2002 VI (ნაკვესები)). ასევე, დაუშვებელია მიეთითოს ზემოაღნიშნული დებულების ბუნდოვანი ფორმულირების ინტერპრეტირებაზე, მაშინ როდესაც არ არსებობს საჭირო წესები ფინანსური დაანგარიშების შესახებ, რომელიც მისცემდა განმცხადებლებს, სულ მცირე, „ლეგიტიმურ მოლოდინს“ ამგვარი თანხის მოთხოვნისა. (შეადარეთ, mutatis mutandis, Klaus and Yuri Kiladze v. Georgia, no. 7975/06, §§ 57 60, 2010 წლის 2 თებერვალი).

წარმომადგენლები: სოფიო ჯაფარიძე, ქეთევან აბაშიძე, ა/ო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“) ევროსასამართლოს განმცხადებლებმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს — გადაწყვეტილების შემდეგ მიმართეს, რა დროსაც, საკასაციო სასამართლომ მოსარჩელების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოში საჩივარი „ალბერტ რურუა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ სამართლებრივად დასაბუთდა, რომლის თანახმადაც, განმცხადებლების მიმართ დარღვა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი და მე-13 მუხლი კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლთან მიმართებით, რაც გულისხმობს საკუთრების უფლებასთან სამართლიანი სასამართლოს დარღვევას.

განმცხადებელთა დასაბუთებით, კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, „ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არ შეიძლება ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით.“

ევროპული სასამართლოს პრეცედენტების მიხედვით, აღნიშნული უფლება იცავს საკუთრებითი უფლებების ფართო სპექტრს, მათ შორის უძრავ და მოძრავ ქონებას, მატერიალურ და არამატერიალურ უფლებებს, პენსიის მიკუთვნებას, სამართლებრივ მოთხოვნას კომპენსაციაზე და ქონების რესტიტუციაზე. მთავარი მახასიათებელი ნიშანი აღნიშნული უფლებისა არის ინდივიდუალური ინტერესის ღირებულებითი ხასიათი.

საკუთრების უფლებას იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე: „Pressos Compania Naviera SA and other V Belgium“ და „National and Provincial Building Society and other V UK“ დაადგინა, რომ საკუთრების უფლება მოიცავს მოთხოვნის, კერძოდ კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას და უფლებას ქონების რესტიტუციაზე. განმცხადებელთა აღნიშვნით, მოთხოვნის უფლება, რომ საკუთრების უფლების განუყოფელ ნაწილის წარმოადგენს, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მუხლებითაც დასტურდება.<sup>70</sup>

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ უდავოა, რომ მათ ჰქონდათ (და დღემდე აქვთ) კანონიერი უფლება მოეთხოვათ მათ მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკში შეტანილი ანაზრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურება, რადგან „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საშინაო ვალად აღიარებულია მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზრის ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება. შესაბამისად, განმცხადებლებს ჰქონდათ კანონზომიერი მოლოდინი (legitimate expectation), რომ ისინი მიიღებდნენ ანაზრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურებას. აღნიშნული მსჯელობის თანახმად, დაცულია ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე: „S V UK“ დადგენილი პრინციპი, რომ განმცხადებელს ეკისრება ვალდებულება

<sup>70</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. იმავე კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეეძლოს მატერიალური სარგებელი ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე. 170-ე მუხლის შესაბამისად კი მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით.

დაადგინოს უფლების ზუსტი ხასიათი შიდა სამართალში და ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელს გააჩნია აღნიშნული უფლება.

ეროვნული სასამართლოების მიერ განმცხადებელთა მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი გახდა სწორედ ის გარემოება, რომ დავის განხილვის დროს არ არსებობდა (დღემდე არ არსებობს) მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავდა ანაბრების ინდექსაციის წესს, რაც თავის მხრივ განმცხადებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას გახდიდა შესაძლებელს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე: „Loizidou V Turkey“ აღიარა საკუთრების უფლების განგრძობადი ხასიათი. მართალია განმცხადებელთა საკუთრების უფლების დარღვევას საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა ადგილი, მაგრამ აღნიშნული დარღვევა დღემდე გრძელდება და მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1998 წელს აღიარა ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება სახელმწიფოს საშინაო ვალად, იკისრა ვალდებულება აღედგინა განმცხადებელთა დარღვეული უფლება და თითქოს დაიწყო ზრუნვა განმცხადებელთა კანონიერი მოთხოვნის რეალიზაციისათვის. აღნიშნული მოთხოვნა და შესაბამისად, განმცხადებელთა საკუთრების უფლება დღემდე უგულვებელყოფილია.

განმცხადებლები, ასევე მიუთითებენ, რომ უნდა მოხდეს მათი საქმეების განსხვავება ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისაგან საქმეებზე: „Gayduk and others v. Ukraine“, „Rudzinska v. Poland“ (Application no. 45223/99), „Ryabykh v. Russia“ (Application no. 52854/99), „Appolonov v. Russia“ (Application no. 67578/01), რადგან აღნიშნული საქმეებისაგან განსხვავებით, არ მომხდარა განმცხადებელთა ანაბრების ინდექსაცია და დღემდე არ შექმნილა ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაციის მექანიზმი. ამასთანავე, ზემოაღნიშნული საქმეებისაგან განსხვავებით, განმცხადებლებს არ ჰქონდათ და დღემდე არ აქვთ ამ თანხების გამოტანის შესაძლებლობა სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკების სამართალმემკვიდრე ბანკიდან. ევროპის სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა, რომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი სახელმწიფოს არ აკისრებს ინფლაციის შედეგად თანხების მსყიდველთუნარიანობის შენარჩუნებას, წინამდებარე განაცხადზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან განმცხადებლები არ დავობენ მათი თანხების მსყიდველთუნარიანობის დაკარგვაზე,

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით დაცული საკუთრების უფლების დარღვევას, ვინაიდან, წლების მანძილზე, ისინი ვერ სარგებლობენ და განკარგავენ თავიანთ საკუთრებას.<sup>71</sup>

განმცხადებლებმა ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოს ყურადღება შეაჩერეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის რატიფიცირებისას საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-6 პუნქტით გაკეთებული დათქმის შესახებ. რომლის მიხედვითაც, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ გააკეთა შემდეგი შინაარსის დათქმა: „საქართველოს ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნებაზე პირველის ოქმის პირველი მუხლის მოქმედება გავრცელდეს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულების საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტის შესაბამისად“. ევროსასამართლოს განმცხადებლებმა მიუთითეს, რომ აღნიშნული დათქმა არ შეესაბამებოდა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის 57-ე მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, არ შეიძლება ყოფილიყო წარდგენილი საჩივრის განხილვის დამაბრკოლებელი.

<sup>71</sup> განმცხადებლები პირველი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის საკითხს აყენებენ 2001 წლის 27 დეკემბრიდან, ვინაიდან საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ოქმის რატიფიცირება სწორედ 2001 წლის 27 დეკემბერს მოახდინა.

ევროსასამართლოში წარდგენილი საჩივრის თანახმად, იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმა შეესაბამებოდეს კონვენციის 57-ე მუხლის მოთხოვნებს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს რამოდენიმე პირობას, კერძოდ: ა) დათქმის გაკეთებისას ძალაში უნდა იყო კანონი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონვენციით დაცულ რომელიმე უფლებასთან; ბ) დათქმა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის და გ) დათქმა უნდა შეიცავდეს აღნიშნული კანონის ნორმის მოკლე გადმოცემას.

განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-6 პარაგრაფი არ აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნებს. კერძოდ, არ იყო მითითება კანონზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა 1-ლი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან. დადგენილების მე-6 პუნქტში საუბარია საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულების საფუძველზე მიღებულ ნორმატიულ აქტზე, თუმცა აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე, არ ყოფილა მიღებული არავითარი ნორმატიული აქტი და უფრო მეტიც, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 ნოემბრის №539 ბრძანებულებით ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულება. შესაბამისად, გაუგებარია, თუ რა ნორმატიულ აქტზე აკეთებდა მითითებას პარლამენტის დადგენილების მე-6 პარაგრაფი.

განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ ვინაიდან საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-6 პარაგრაფში არ არის კონკრეტულად განმარტებული, თუ რა ვადით გაკეთდა აღნიშნული დათქმა, ან/და კონკრეტულად, როგორ უნდა განხორციელდეს ანაბრებზე რიცხული თანხების დაბრუნება, მითუმეტეს იმის ფონზე, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებები, რომელიც ეხებოდა აღნიშნული თანხების დაბრუნებას, არაერთხელ შეიცვალა და დღემდე არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს, დათქმა იძენს აშკარა ბუნდოვან და ზოგად ხასიათს. საქართველოს პარლამენტის მიერ გაკეთებული დათქმა, არც კონვენციის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას აკმაყოფილებს. ფაქტია, რომ პარლამენტის დადგენილების მე-6 პარაგრაფი არ შეიცავს მითითებული ნორმატიული აქტის მოკლე გადმოცემას, რომელიც გასაგებს გახდიდა ამ დათქმის მნიშვნელობასა და შინაარსს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-6 პარაგრაფში გაკეთებული დათქმა, არ წარმოადგენდა დათქმას კონვენციის მიზნებისათვის და არ უნდა გამხდარიყო 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვის დამაბროკოლებელი გარემოება.

გარდა ამისა, განმცხადებლებმა ევროსასამართლოს წინაშე ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებაც სამართლებრივი დასაბუთება წარადგინეს.

ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ უზრუნველყონ დაცვის ეფექტიანი ზომების მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე ყველასათვის, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.

კონვენციის მე-13 მუხლი წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სამართლებრივი დაცვის მიღების უფლების გარანტიას კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა რეალურად უზრუნველსაყოფად, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი ფორმით ხდება უზრუნველყოფა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში.<sup>72</sup>

ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების მიღება განმცხადებელთა დარღვეული უფლებების აღდგენის ერთადერთ შიდასახელმწიფოებრივ საშუალებას წარმოადგენდა. მათ მიუთითეს, რომ ფორმალურად არსებობს ზემოაღნიშნული უფლების უზრუნველყოფის გარანტი – საქართველოს

<sup>72</sup> იხ. საქმე: „ბოილი და რაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“

კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“, თუმცა პრაქტიკულად, აღნიშნული კანონი არ არის ეფექტიანი, რადგანაც დამატებითი ნორმატიული აქტების გარეშე (რომლებიც დღემდე პროექტის სახითაც კი არ შემუშავებულა), ვერ უზრუნველყოფს განმცხადებელთა დარღვეული უფლებების აღდგენას ეროვნულ დონეზე არსებული საშუალებებით.

განმცხადებლები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულება ადგენდა ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაციის მექანიზმს. აღნიშნული ბრძანებულება ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულებით, რომლითაც შეიქმნა სამთავრობო კომისია და კომისიას დაევალა ანაბრებზე რიცხული სახსრების დაბრუნების პროცესის კომპლექსული მოწესრიგებისათვის საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტის მომზადება.

აღნიშნული ბრძანებულება ასევე იქნა ძალადაკარგულად გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 ნოემბრის №539 ბრძანებულებით ისე, რომ არ მომხდარა სამთავრობო კომისიის მიერ ნაკისრებული ვალდებულების შესრულება.

2004 წლის 15 ნოემბერს, კვლავ მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის №108 დადგენილება, რომლითაც კვლავ შეიქმნა საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელიც დღემდე საქმიანობს და რომელმაც უნდა შეიმუშავოს საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და მექანიზმები.<sup>73</sup>

საქმეში „მენტეში თურქეთის წინააღმდეგ“, სასამართლომ მიუთითა: „მე-13 მუხლით უზრუნველყოფილი სამართლებრივი საშუალებები უნდა იყოს იურიდიულად და პრაქტიკულად „ეფექტიანი“ იმ მნიშვნელობით, რომ მათი გამოყენების შესაძლებლობის გაუმართლებლად გართულება მოპასუხე სახელმწიფოს ორგანოთა მოქმედებებითა თუ უმოქმედობით დაუშვებელია“.

განმცხადებელთა შემთხვევაში, საკუთრების უფლების უზრუნველყოფის საშუალება- კანონი იყო, როგორც იურიდიულად, ისე პრაქტიკულად „არაეფექტიანი.“ კანონის იურიდიული არაეფექტიანობა ვლინდება იმაში, რომ მასში არსებული საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები იყო წინასწარ განწირული უშედეგობისათვის, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნული გარანტიების ასამოქმედებლად, საჭირო იყო ცალკე ნორმატიული აქტების მიღება, აღნიშნული ნორმატიული აქტი კი, დღემდე არ მიღებულა. რაც შეეხება აღნიშნული კანონის პრაქტიკულ ეფექტიანობას, უდავოა, რომ ამ მხრივაც, მისი ეფექტიანობა ნულის ტოლია, რისი დასტურიცაა ის შედეგი, რაც განმცხადებლებს ეროვნული სასამართლოების მიერ მათი სარჩელის განხილვის შედეგად დაუდგათ.

განმცხადებლები ასევე მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელმა სახელმწიფო კომისიამ, იდეალურ შემთხვევაში რომც შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, მხოლოდ აღნიშნული ვერ იქნება საკმარისი სახელმწიფო ვალის შესახებ კანონით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, რადგან რეკომენდაციამ უნდა მიიღოს ნორმატიული აქტის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სახე, რაც დროის ხანგრძლივ პერიოდთან იქნებოდა დაკავშირებული. ამიტომაც, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ მათ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას კონვენციის პირველი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებაში.

ამასთან, მნიშვნელოვანია შევნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რეგლამენტის 41-ე წესზე დაყრდნობით, განმცხადებლებმა მოითხოვეს საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება შემდეგი გარემოების გათვალისწინებით, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირთა

<sup>73</sup> აღნიშნული კვლევის ფარგლებში, საუბარი ცალკე ეთმობა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის საქმიანობას.

ჯგუფი, საქართველოში საკმაოდ დიდია და ისინი უმეტესად მოხუცებულები არიან. მეორე არგუმენტი იყო ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების საკითხის მიმართ საქართველოში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. განმცხადებლებმა მიუთითეს, რომ პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, ევროპის სასამართლოს მიერ აღნიშნულ თემაზე გადაწყვეტილების შემჭიდროვებულ ვადაში მიღება ხელს შეუწყობდა საკითხის შიდასახემწიფოებრივ დონეზე დარეგულირებას და მოახდენდა მსგავსი სარჩელებით ევროპის სასამართლოს გადატვირთვის პრევენციას.

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლომ საქმეზე: „ალბერტ რურუა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, 2012 წლის მაისში, საჩივრის დაუშვებლად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

### **„ლედი ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“**

2010 წელს, ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოდან საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების მოთხოვნით, კიდევ ერთი საქმე გაიგზვანა. ლედი ჯაფარიძემ ევროსასამართლოს 2011 წლის 7 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების გამოქვეყნების შემდეგ მიმართა, რა დროსაც, უმაღლესმა ინსტანციამ განმცხადებლის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად სცნო. (საქმეზე კანონიერი წარმომადგენლები: ნიკა კვარაცხელია, თამარ გაბიანი, ორგანიზაცია „ახალგაზრდები სამართლიანობისთვის“.) განმცხადებელმა საჩივარი ევროპული კონვენციის მე-6 (1) მუხლის, (საკუთრების უფლების დარღვევა) მე-13 მუხლისა (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო (დათქმები შიდა ეროვნულ კანონმდებლობასთან) დარღვევით დაასაბუთა.

განმცხადებლის საჩივრის დასაშვებობის დასაბუთებისას აღინიშნა, რომ ევროპული კონვენციის 35 (3) (ბ) მუხლის შესაბამისად, არ არსებობს საჩივრის მიუღებლად ცნობის საფუძველი. ეროვნული დონის სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ მომჩივნის მეუღლეს №65552 ანაბარზე ერიცხებოდა 14 596 170, 56 მანეთი, ხოლო მომჩივანი კი ითხოვდა 40 294 ლარის ანაზღაურებას. ევროსასამართლოს განემარტა, რომ ეროვნული სასამართლოს წინაშე დავა მიმდინარეობდა საკმაოდ სოლიდურ თანხასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მომჩივნის საჩივარი არ შეიძლება მიუღებლად ყოფილიყო ცნობილი მიყენებული ზიანის უმნიშვნელობის საფუძველით. განმცხადებლის მითითებით, საჩივარი არ შეიძლება ცნობილ იქნას მიუღებლად, ვინაიდან ამას მოითხოვს ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესი და იმავდროულად, ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის არასათანადოდ განხილვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, იმის გასარკვევად, მიაღწა თუ არა მომჩივანს მნიშვნელოვანი ზიანი, უნდა შეფასდეს დარღვევის ხარისხი, რა დროსაც მხედველობაში მიიღება, როგორც სუბიექტური აღქმა, ასევე ის, თუ რა უდევს დავას ობიექტურად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>74</sup> მომჩივნის სარჩელს ეროვნული სასამართლოების წინაშე, ხოლო საჩივარს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საფუძველად უდევს დავა ანაბარზე რიცხულ ფულადი სახსრების დაბრუნების შესახებ. თანხა, რომელიც განთავსებული იყო სახელმწიფო ბანკში, წარმოადგენს განმცხადებლის საკუთრებას და მის დაბრუნებასა და თავისუფალ განკარგვას დიდი მნიშვნელობა აქვს პენსიონერი, 80 წელს მიტანებული მომჩივანისათვის. ის სრულიად უშედეგოდ ცდილობდა წლების მანძილზე დაებრუნებინა კუთვნილი თანხა და ამ ხნის განმავლობაში, მას ასევე მოუწია სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება.

<sup>74</sup> Vladimir Petrovich Korolev v. Russia, admissibility decision of 1 July, 2010, application no. 25551/05, page 4.

რაც შეეხება მომჩივნის სუბიექტურ აღქმას. მომჩივანი დაჟინებით ითხოვდა თავისი საკუთრების დაბრუნებას, ვინაიდან მიაჩნდა რომ მისი უფლება ანგარიშზე განთავსებულ თანხაზე სამართლიანია, რაც სამართლებრივად იქნა განმტკიცებული „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მიღებამ მომჩივანს გაუჩინა კანონიერი მოლოდინი, რომ ის მიიღებდა საკუთრებას ახალი ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით. წლების განმავლობაში, მომჩივანი მოთმინებით ელოდა სახელმწიფოს მიერ რაიმე ხელშესახები გეგმის შემუშავებას, რომლის მიხედვითაც, ის გარკვეულ ვადაში მიიღებდა თავის საკუთრებას და შეეძლებოდა მისი თავისუფლად განკარგვა. მომჩივანს მიაჩნია, რომ წლების განმავლობაში, ეროვნული ხელისუფლების შესაბამისი ორგანო სრულიად უკანონოდ აჭიანურებს ანაბრების დაბრუნების საკითხის დარეგულირებას, რაც, მისი აზრით, მას ასევე ანიჭებს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ევროსასამართლოს წინაშე დასაბუთებული იქნა, რომ მომჩივნის საჩივრის განხილვის აუცილებლობას განაპირობებს ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვალდებულია განიხილოს საჩივარი, როდესაც ეს უკანასკნელი ეხება ზოგადი ხასიათის საკითხებს, რომელიც საფრთხეს უქმნის ევროპული კონვენციის მოთხოვნათა დაცვას. საჩივარი ეხება ასეთ ზოგად საკითხებს, თუ არსებობს სახელმწიფოთა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების განმარტების საჭიროება ან როდესაც აუცილებელია სახელმწიფოთა იძულება, აღმოფხვრან სტრუქტურული ნაკლულოვანება, რომელიც მომჩივნის გარდა ასევე ეხება სხვა ამ უკანასკნელის მდგომარეობაში მყოფ პირებს. მომჩივანმა მიუთითა, რომ საქართველოში ანაბრების პრობლემა აწუხებს ათასობით ადამიანს და ელის ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგებას.

ევროსასამართლოს მიმართ გაგზავნილ საჩივარში აღინიშნა, რომ მომჩივნის მიმართ დარღვეულია ევროპული კონვენციის მე-6 (1) მუხლი, ვინაიდან ეროვნულმა სასამართლომ ჯეროვნად არ იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რითაც დაარღვია განმცხადებლის საკუთრების უფლება.

ლედი ჯაფარიძე სასარჩელო განცხადებაში ითხოვდა თავისი საკუთრების დაბრუნებას. ამიტომაც, ეროვნულ დონეზე, ერთი მხრივ, მან მოითხოვა ანაბარზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნება, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იყო წლების მანძილზე, სამინისტროს მიერ ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მექანიზმის შეუმუშავებლობით. ლედი ჯაფარიძემ სარჩელის ფასად მიუთითა 40 294 ლარი, რომელიც წარმოადგენდა მის ანაბარზე რიცხული ფულადი სახსრების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რუბლის ლარზე გაცვლის შესახებ ოფიციალური წერილის შესაბამისად გადაანგარიშების შედეგს.

ევროსასამართლოში გაგზავნილ საჩივარში აღინიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს უნდა ემსჯელათ ყოფილი მეანბრის ორ მოთხოვნასთან დაკავშირებით. სასამართლოებს, პირველ რიგში, უნდა შეემოწმებინათ, იყო თუ არა მართებული მომჩივნის მიერ განხორციელებული დაანგარიშება და გაერკვიათ, რა შესაძლებლობა არსებობდა მოქალაქეს მიეღო ანაბარზე რიცხული ფულადი სახსრები. ამ გზით, სასამართლო გადმოსცემდა ლედი ჯაფარიძის მოთხოვნის ადექვატურ დასაბუთებას. საჩივრის ავტორების აზრით, ეროვნულ სასამართლოებს მხოლოდ ამის შემდგომ უნდა ემსჯელათ ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების მიღების სამართლებრივ საფუძვლებზე.

ეროვნული სასამართლოებმა გააერთიანეს სასარჩელო მოთხოვნის ორი დამოუკიდებელი ელემენტი – ანაბარზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რის შედეგადაც განმცხადებლის აზრით, მიღებულ იქნა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომელიც არ პასუხობდა სასამართლოს წინაშე დაყენებულ სასარჩელო მოთხოვნებს და არგუმენტაციას. გადაწყვეტილება გადმოცემული იქნა წინასწარ დადგენილი ფორმით და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სასამართლომ საკუთარ, წინასწარ დადგენილ დასაბუთებას მოარგო მოსარჩელის სასარჩელო

მოთხოვნა. აქვე აღსანიშნავია, რომ მომჩივანი, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული განათლება, სასამართლოს წინაშე საკუთარ ინტერესებს იცავდა ადვოკატის გარეშე.

ევროსასამართლოს მიმართ გაგზავნილ საჩივარში, განმცხადებელმა, აგრეთვე, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ შემდეგი განმარტება გააკეთა და მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ პირველი დამატებითი ოქმის რატიფიცირებისას გაკეთებული დათქმა იურიდიული ძალის არმქონედ უნდა ჩატვლილიყო და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნები განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით უნდა გავრცელებულიყო სრული მოცულობით, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის №258 ბრძანებულება, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფომ აღიარა შეანაბრეთა საკუთრების უფლება ანაბრებზე პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად, 2004 წლის 26 ნოემბერს, პრეზიდენტის №539 ბრძანებულებითვე ძალადაკარგულად გამოცხადდა.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის №258 ბრძანებულების შესაბამისად განისაზღვრა საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები. ამ ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა პრეზიდენტის №716 ბრძანებულება მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ. შეიქმნა მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე წინადადებების შემუშავებელი სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევა 10 თვის ვადაში წარმოედგინა საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი. ნათელია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებულ დათქმაში, მითითებული №258 ბრძანებულებით, კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული სახელმწიფოს მიერ, რომ ის ვალდებულია დაუბრუნოს მოსახლეობას ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრები. დათქმაში აღნიშნული ბრძანებულების მითითებით სახელმწიფომ განაცხადა, რომ მართალია, აღიარებს ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულებას, იტოვებს უფლებას თვითონ განსაზღვროს დაბრუნების სქემა და პირობები. საკანონმდებლო ჩარჩოდ დათქმაში მითითებული იქნა კონკრეტული ნორმატიული აქტი, საქართველოს პრეზიდენტის №258 ბრძანებულება.

ლედი ჯაფარიძის კანონიერი წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ მას შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის №258 ბრძანებულება და ამის შესახებ არავითარი შენიშვნა არ გაკეთებულა დათქმაში, დათქმა იურიდიული ძალის არმქონედ უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან დათქმაში უკვე აღარ არის მითითება ეროვნულ ნორმატიულ აქტზე. ევროპული კონვენციის 57 (1)-ე მუხლის შესაბამისად კი დაუშვებელია საერთო ხასიათის დათქმები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის არსის მოკლე გადმოცემას. ამასთან, ეს კანონი ძალაში უნდა იყოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, 57 (2)-ე მუხლის მიზანია, შექმნას გარანტია, რომ დათქმა არ გასცდება იმ დებულებებს, რომელთა გამოყენებაზეც სახელმწიფომ მკაფიოდ განაცხადა უარი. ყოველივე ეს ხელს უწყობს სამართლებრივ სიცხადეს.<sup>75</sup> დათქმები უნდა აკმაყოფილებდნენ სიზუსტისა და სიცხადის მოთხოვნებს.<sup>76</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლედი ჯაფარიძის საჩივარი ამ ნაწილში შემდეგი არგუმენტაციით დასაბუთდა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთებული დათქმა ამჟამინდელი მდგომარეობით იურიდიული ძალის არმქონედ უნდა ჩათვლილიყო, ვინაიდან ნორმატიული აქტი, რომელიც საფუძვლად დაედო დათქმას, 2004 წლიდან ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული. დათქმაში არაფერია ნათქვამი ახალ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით. შესაბამისად, დათქმა არც კანონის არსის მოკლე გადმოცემას შეიცავდა, რის გამოც ის წარმოადგენდა საერთო ხასიათის დათქმას და შეუთავსებელი იყო ევროპული კონვენციის 57-ე მუხლთან. შემნახველ ანგარიშზე შეტანილი თანხა

<sup>75</sup> Belilos v. Switzerland, judgment of 29 April, 1988, application no. 10328/83, § 59

<sup>76</sup> ibid, § 55

წარმოადგენდა საკუთრებას პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად. შესაბამისად, ამავე მუხლითვე გარანტირებული იყო მომჩივანის უფლება, თავისუფლად განეკარგა აღნიშნული თანხა. განმცხადებელმა ანაბარზე შეტანილი თანხის უკან დაბრუნების უფლების აღიარებისთვის მოიშველია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2008 წლის 24 იანვრს №ბს-735-701 (კ-07) და 2008 წლის 14 თებერვლს №ბს-753-340 (კ-05) მიღებული განჩინებები, სადაც უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით განაცხადა, რომ იმ ეტაპზე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ნიშნავდა პირის ანაბარზე უფლების უარყოფას. ადამიანის უფლებათა პრევენციული სამართლის შესაბამისადაც დადასტურებულია, რომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულია ანაბარზე შეტანილი თანხა. გადაწყვეტილებაში საქმეზე: გაიდუკი უკრაინის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შემნახველ ანგარიშზე შეტანილი თანხა უდავოდ წარმოადგენს „საკუთრებას“ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით და შესაბამისად, მისი მესაკუთრე ულებამოსილია დაიბრუნოს აღნიშნული თანხა შესაბამის პროცენტთან ერთად.<sup>77</sup>

ევროსასამართლოს წინაშე განმარტებულ იქნა ის გარემოებაც, რომ როგორც ლედი ჯაფარიძის შემთხვევაში, ასევე მრავალი მეანაბრის შემთხვევაში არ არსებობდა სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ყოფილი მეანაბრე/მენაბრეები შეძლებდა/შეძლებდნენ ანაბარზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნებას, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლო, უკვე ზემოთაღნიშნულ განჩინებებში ამ თანხების დაბრუნებას უკავშირებდა ანაბარზე რიცხული თანხის ინდექსაციასა და ინდექსირებული დავალიანების გაცემის წესის შემუშავების საკითხს. მომჩივანმა მიუთითა, რომ სახელმწიფო შეგნებულად არიდებს თავს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მას არ ეძლევა შესაძლებლობა დაიბრუნოს მისი „არსებული საკუთრება“ ანაბარზე შეტანილი თანხის სახით, რაც წარმოადგენს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას.

ევროსასამართლოში ლედი ჯაფარიძის საჩივარში ვკითხულობთ, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის ძალით, მოჩივანს წარმოექმნა ვალის მოთხოვნის უფლება, რაც თავისი არსით ქონებრივი უფლებაა. მომჩივანს გაუჩნდა ლეგიტიმური მოლოდინი, მიიღოს სარგებელი ამ ქონებრივი უფლებიდან. ამასთან, უფლება საკმარისად დადგენილია, როგორც კანონმდებლობით, ასევე ქვეყნის სასამართლო პრაქტიკით. აღნიშნული უფლება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის ან პირველი რიგის მემკვიდრის მიერ ფულადი კომპენსაციის მიღების უფლების მსგავსია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განჩინებაში საქმეზე: „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“ დაადასტურა, რომ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება წარმოადგენს „ქონებას“ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით.<sup>78</sup>

ევროსასამართლოს საჩივრის დასაბუთებისას, ლედი ჯაფარიძემ სთხოვა საქმეზე ერთგვაროვანი გადაწყვეტილება არ მიეღო (კანონიერმა წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ ანაბრებთან დაკავშირებით იცნობდნენ სასამართლოს მიდგომას) და წარდგენილი საჩივარი განსხვავდებოდა სასამართლოს მიერ უკვე განხილული საქმეების: „ვლადიმერ მიხაილოვიჩ აპოლონოვი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ და „გაიდუკი უკრაინის წინააღმდეგ“ შემთხვევებისგან. სასამართლოს ეთხოვა დეტალურად შეესწავლა საქართველოს შემთხვევა და ანაბრების საკითხთან მიმართებით ახალი მიდგომით განსხვავებული გადაწყვეტილება მიეღო.

განმცხადებლის განმარტებით, აბსოლუტურად გასაგებია, რომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შინაარსიდან არ გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება, შეინარჩუნოს დეპოზიტზე

<sup>77</sup> Gayduk and Others v. Ukraine (dec.), no. 45526/99, 2 July 2002, ECHR 2002, page 12

<sup>78</sup> Klaus and Yuri Kiladze v. Georgia, judgment of 2 February, 2010, application no. 7975/06, § 66-69

განთავსებული თანხის მსყიდველობითი უნარი სისტემატიური ინდექსაციის გზით,<sup>79</sup> მაგრამ ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას მოახდინოს ინდექსაცია, ინდექსაციას უკავშირებს თავდაპირველი შენატანის უკან დაბრუნების შესაძლებლობას და ინდექსირებული თანხის დაბრუნების ვალდებულებას ასახავს სახელმწიფო ვალის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტში, მომჩივნის უფლება, მოითხოვოს ანაბრების ინდექსაციის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება, მიჩნეული უნდა იქნას პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ სიკეთედ. მიგვაჩნია, რომ უსამართლო იქნება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის უფლების “ქონებად” მიჩნევა, ხოლო ანაბრების შემთხვევაში ინდექსირებული თანხის მიღების უფლების “ქონებად” არმიჩნევა. ორივე შემთხვევაში სახელმწიფომ იკისრა ფინანსური ვალდებულება, რომელიც კანონში მკაფიოდ არის ფორმულირებული. ასევე ორივე შემთხვევაში, სახელმწიფომ ჩამოაყალიბა პირობები, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს უფლების რეალიზება. გარდა ამისა, შესაბამისი კანონები არ შეიცავს რაიმე სახის დათქმას იმასთან დაკავშირებით, თუ როდიდან შეუძლია პირს მოითხოვოს კანონით გარანტირებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ხელშესახები უფლების და არა განზრახულობათა დეკლარაციის რეალიზება. მომჩივნის უფლების რეალიზებას ხელს უშლის ინდექსაციის მარეგულირებელი აქტის არარსებობა. უცნობია, თუ როდის გამოიცემა შესაბამისი ნორმატიული აქტი და როდის დაიწყება სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესი.

საჩივრით აღნიშნულია, რომ მომჩივნის მიმართ ირღვევა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი, ვინაიდან შესაბამისი ნორმატიული ბაზის არარსებობის გამო, ყოფილი მენაბარე მოკლებილია შესაძლებლობას, მიმართოს შესაბამის ეროვნულ ორგანოებს საკუთრების უფლების დაცვის მოთხოვნით და მიაღწიოს წარმატებას. ასეთ პირობებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სასამართლოსათვის მიმართვის კანონით გარანტირებული უფლება არ არის ქმედითი მისაგებელი. აქვე ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სასამართლოები ანაბარზე თავდაპირველად შეტანილი თანხის დაბრუნების უფლებას უკავშირებენ თანხის ინდექსაციას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მომჩივანისათვის სასამართლოს წინაშე იდავოს თავდაპირველი შენატანის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რაც ასევე ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-13 მუხლს.

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლომ საქმეზე: „ლედი ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“ საჩივარი განუხილველი დატოვა.

### **„უშანგი დონჯაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“**

1999 წლის 14 დეკემბერს, ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოს საქართველოს მენაბრეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის თავმჯდომარემ, უშანგი დონჯაშვილმა მიმართა და მოითხოვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უშანგი დონჯაშვილს და მასთან ერთად, ემზარ გრიგოლიას კონსტიტუციურ სარჩელზე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ – „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმებისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების კონსტიტუციურობის საკითხზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით, (საკუთრების უფლება) სამართალწარმოება შეწყვიტა.<sup>80</sup>

<sup>79</sup> Rudzińska v. Poland (dec.), no. 45223/99, ECHR 1999-VI; and X. v. Germany, application no. 8724/79, Commission decision of 6 March 1980, DR 20, p. 226

<sup>80</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება არსებითად არის განხილული აღნიშნულ კვლევაში.

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლომ იურიდიული მდივნის, ევა ჰუბალკოვას მეშვეობით, მომჩივან უშანგი დონჯაშვილთან წერილობითი კომუნიკაცია, 2000 წლის განმავლობაში, ორჯერ – 1 თებერვალს და 18 მაისს აწარმოა, რითაც სასამართლომ მოითხოვა დამატებითი მასალების მიწოდება<sup>81</sup> ევროსასამართლოს შეტყობინებით, ერთ-ერთი მოსამართლე წინასწარ განიხილავდა წარდგენილ მასალებს და შემდეგ მოამზადებდა მოხსენებას სასამართლოსთვის.

2000 წლის 6 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: ბ-ნი ლ. ლუკაიდი (თავმჯდომარე), ქ-ნი ფ. ტულკენსი, ბ-ნი კ. ტრაჟა (მოსამართლე) და ქ-ნი ს. დოლე (სასამართლო განყოფილების მდივანი), ერთსულოვნად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „სასამართლომ განიხილა სარჩელი. მან გამოარკვია, რომ მოსარჩელე ითხოვს ჩარევას კონსტიტუციური სასამართლოს წინაშე მისი ქონებრივი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, მაგრამ კონვენციის ის დამატებითი პროტოკოლი, რომლითაც შესაძლებელი ხდება ასეთი უფლების დაცვა, საქართველოში რატიფიცირებული არ არის. გამომდინარე აქედან, ვინაიდან მოცემული სარჩელი არ შეესაბამება ამ შეთანხმების დებულებებს, თანახმად პარაგრაფი 3-ის 35-ე მუხლია, იგი არ შეიძლება მიღებულ იქნეს პარაგრაფი 4-ის 35-ე მუხლისა. შესაბამისად, სასამართლო აცხადებს, რომ სარჩელი მიუღებელია.“<sup>82</sup>

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს და მოითხოვა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმების რატიფიცირების ქრონოლოგიის დადგენა. განცხადების პასუხად, საქართველოს პარლამენტმა გასცა შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ცნობილი გახდა, რომ პარლამენტმა 2000 წლის 21 თებერვალს №153, №154, №155 დადგენილებებით მოახდინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4, მე-6 და მე-7 ოქმების რატიფიცირება. შესაბამისი პროცედურების განხორციელების შედეგად, მე-4 ოქმი საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2000 წლის 13 აპრილს, მე-6 ოქმი – 1 მაისს, ხოლო მე-7 ოქმი – 7 ივლისს. რაც შეეხება პარლამენტის ინფორმაციას კონვენციის პირველ დამატებით ოქმთან დაკავშირებით, მასთან მიმართებით მიმდინარეობდა კონსულტაციები, რომლის დასრულების შემდეგაც მოხდებოდა ოქმის პარლამენტის სხდომაზე სარატიფიკაციოდ გატანა.<sup>83</sup>

საქართველოს პარლამენტმა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით მიიღო, ხოლო 2002 წლის 6 ივნისს, პარლამენტმა გააკეთა დათქმა ევროპის საბჭოსთან პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებაში.

უშანგი დონჯაშვილის მიერ ევროსასამართლოსთვის მიმართვა საქართველოში მალე გახდა ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისთვის ხელსაყრელი წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილი. ამომრჩევლისადმი მიმართვის ბიულეტენში აღნიშნული იყო, რომ „დარღვეული უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის, 1996 წლიდან უანგაროდ იბრძვის მეანაბრეთა ლიგის თავმჯდომარე, იურისტი უშანგი დონჯაშვილი. მის მიერ სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი სარჩელის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტმა გააუქმა 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ანტიკონსტიტუციური ბრძანებულება და 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით, შეიქმნა ახალი კომისია,“<sup>84</sup> თუმცა მაინც რჩება საკამათოდ საკითხი, სინამდვილეში, რამდენად იქონია ევროსასამართლოში შეტანილმა ამ სარჩელმა პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემაზე უშუალო გავლენა.

<sup>81</sup> კვლევის მიმდინარეობისას გაცნობილ იქნა ევა ჰუბალკოვას 2000 წლის 1 თებერვლისა და 18 მაისის წერილი უშანგი დონჯაშვილის მიმართ.

<sup>82</sup> „უშანგი დონჯაშვილი საქართველოს წინააღმდეგ,“ საქმე №57261/00

<sup>83</sup> კვლევის მიმდინარეობისას გაცნობილ იქნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის პირველი მოადგილის წერილი, №დ-6045/60-2

<sup>84</sup> პოლიტიკური კავშირი „ერთიანი საქართველოს“ (ავთანდილ მარგიაწი) საარჩევნო ბიულეტენი #9

## *„ანა რეიზახი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“*

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებიდან საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით, გამორჩეული ადგილი უჭირავს საქმეს „ანა რეიზახი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“, რომლის გადაწყვეტილებაც, სასამართლომ 2003 წლის 3 ივლისს გამოაცხადა.

ანა რეიზახმა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს 1999 წლის აგვისტოში მიმართა და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ დაარღვია მისი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მე-6.1 მუხლით და საკუთრების უფლება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, როცა მისი ანაბრის თანხის კომპენსაცია გასცა დევალვაციის შედეგად დათვლილი ოდენობით და მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება გაუქმდა საზედამხედველო წესით გასაჩივრებული საჩივრით. მომჩივანის სარჩელი სასამართლომ 2001 წელს დასაშვებად მიიჩნია.

მომჩივანმა თავდაპირველად უჩივლა შემნახველი ბანკის ფილიალს, სახელმწიფო შემნახველ ბანს და სახელმწიფოს და ამტკიცებდა, რომ 1991 წელს, შემნახველ ბანკში მისი ანაბარი მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან სახელმწიფომ არ მოახდინა თანხების სამართლიანი კონვერტაცია შემნახველ ბანკში ანგარიშებზე არსებული ანაბრების 1995 წლის ფედერალური კანონის „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა შემნახველი ანაბრების აღდგენისა და დაცვის“ შესაბამისად.

ბელგოროდის რაიონულმა სასამართლომ, 1997 წლის 30 დეკემბერს, დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და მას მიაკუთვნა 129 544 106 რუსული რუბლი, რომლის გადახდაც დაევალა სახელმწიფო ხაზინას. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი იმის შესახებ, რომ მეანაბრეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო პრაქტიკული მოსაზრებებისა და იმის გამო, რომ კანონის უზრუნველსაყოფად არანაირი შემდგომი ნორმატიული და ქვენორმატიული აქტი არ ყოფილა მიღებული, თუმცა 1998 წლის თებერვალში, სააპელაციო ინსტანციამ გადაწყვეტილება გააუქმა.

1998 წლის 13 აპრილს, ბელგოროდის საოლქო სასამართლომ, ხოლო მოგვიანებით, 1998 წლის 24 აპრილს, ბელგოროდის საოლქო პროკურორმა, უარი უთხრეს მომჩივანს საზედამხედველო წესით გაესაჩივრებინა სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება.

ანა რეიზახმა სამართალწარმოება ისევ ეროვნულ დონეზე გააგრძელა. 1998 წლის 8 ივნისს, საქმის ხელახალი განხილვის შემდეგ, რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოს 1997 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებასთან მიახლოებული მოსარჩელის სასარგებლო ვერდიქტი, მაგრამ, ამჯერად, ანა რეიზახის მიმართ მიკუთვნებული თანხა შეადგენდა 133 963 რუბლს. ეს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და 1999 წლის 19 იანვარს დაიწყო მისი აღსრულებაში მიქცევა.

სასამართლოს გადაწყვეტილების და აღსრულებაში მიქცევის მიუხედავად, 1999 წლის თებერვალში, ისე, რომ მომჩივანი არ იყო ინფორმირებული არც საზედამხედველო საჩივრისა და არც მისი განხილვის შესახებ, ბელგოროდის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ მოამზადა საზედამხედველო საჩივარი მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. 1999 წლის 19 მარტს შედგა აღნიშნული საჩივრის განხილვა და 1998 წლის 8 ივნისს, საქმეზე დადგა ახალი გადაწყვეტილება – გაუქმდა ანა რეიზახის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება, 17 ივნისს კი შეწყდა აღსრულება. მომჩივანი სასამართლო პროცესზე არ ყოფილა მიწვეული.

2001 წლის 4 იანვარს, რუსეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ანა რეიზახის საქმესთან დაკავშირებით, საზედამხედველო საჩივრით მიმართა პრეზიდენტს. 2001 წლის 22 იანვარს, უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტმა განიხილა და დააკმაყოფილა საჩივარი, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ 1998 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება არ იყო კანონიერი დაუსაბუთებლობის მოტივით, რომ მომჩივანის სარჩელი არ შეიძლებოდა გაუქმებულიყო სრულად,

რადგან ეს გამოიწვევდა მისი საკუთრების უფლების შელახვას მის მიერ შემნახველ ბანკში შეტანილ ანაბარზე. ასევე დარღვეული იყო მომჩივნის უფლება ინფორმირებული ყოფილიყო მის საქმეზე სახედამხედველო საჩივრის შეტანისა და განხილვის შესახებ.

2001 წლის 4 ივნისს, ანა რეიზახის საქმე ხელახლა განიხილა რაიონულმა სასამართლომ და მოსარჩლის სასარგებლოდ მიიღო ახალი გადაწყვეტილება. მას მიაკუთვნა 188 724 რუბლი კომპენსაციის სახით დეველპაციისათვის და 60 000 რუბლი მორალური ზიანისათვის, რაც მან განიცადა სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების სისტემატური შეუსრულებლობისა და მორალური ტანჯვისათვის, რაც ამის შედეგად მიადგა. ეს გადაწყვეტილება 2001 წლის 14 აგვისტოს გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნდა.

ევროსასამართლომ საქმის არსებითი განხილვისას განავითარა შემდეგი მსჯელობა: „საქმის ქრონოლოგიიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ სახელმწიფომ გასწია გარკვეული ძალისხმევა მომჩივნის მდგომარეობის აღსადგენად პირველად, როცა მის სასარგებლოდ გამოიტანა სასამართლომ გადაწყვეტილება, რომლითაც მისი ანაბარი უნდა აღდგენილიყო ნამდვილი ღირებულებით და მოგვიანებით მისთვის ბინის ყიდვით. თუმცა, მომჩივნის ანაბრის აღდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა, არ არის სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა... მართალია, რომ მომჩივნის საჩივარი ანაბრის გადაფასების შესახებ დაკმაყოფილდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფოსთვის ცნობილი იყო, რომ სიკეთე, რაც 1998 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით უნდა მიეღო, ვიდრე ის ძალაში შევიდოდა. სხვა სიტყვებით, ის, რომ მომჩივნის მოთხოვნები დაკმაყოფილდა, თავისთავად, არ ქმნის სამართლებრივ განუქცრეტლობას, რასაც მომჩივანი ელოდა 1998 წლის 8 ივნისის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან სამი წლის შემდეგ. ამ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი აგრძელებს მსხვერპლის სტატუსში ყოფნას, რადგან ბელგოროდის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1999 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებამ და მომდევნო მოვლენებმა დაარღვია მისი მე-6.1 მუხლით გარანტირებული უფლება.

სამართლებრივი განჭვრეტადობა გულისხმობს Res judicata პრინციპის პატივისცემას, რაც პრინციპულად ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს უფლება გადასინჯოს საბოლოო და აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება იმ უბრალო მოტივით, რომ თავიდან მოხდეს საქმის განხილვა. მაღალი ინსტანციის სასამართლოთა უფლება გადასინჯონ ქვედა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები გულისხმობს მართლმსაჯულების შეცდომათა გასწორებას და არა ხელახალ განხილვას. გადასინჯვა არ უნდა გულისხმობდეს სააპელაციოს გადასინჯვას და მარტივ შესაძლებლობას, რომ თუკი ორი მოსაზრება არსებობს ერთი და იმავე საგანზე, ეს შეიძლება გადასინჯვის საფუძვლად იქცეს. ამ პრინციპიდან გადახვევა გამართლებულია მხოლოდ არსებითი და აუცილებელი ხასიათის გარემოებებში. მომჩივნის საქმეში, 1998 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდა 1999 წლის 19 მარტის ბელგოროდის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ იმ საფუძვლით, რომ მოსამართლემ გააკეთა კანონის არასწორი ინტერპრეტაცია. პრეზიდიუმმა დახურა საქმე, რითაც გაააუქმა მთლიანი სასამართლო პროცესი.

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების განხილვა, როგორც საკუთრების პირველი ოქმის პირველი მუხლით, შესაძლებელია. უფრო მეტიც, ამგვარი გადაწყვეტილების გაუქმება, მას შემდეგ, რაც ის საბოლოო გახდა, წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ბენეფიციარის უფლებაში იმგვარ ჩარევას, რაც წარმოადგენს საკუთრებით სარგებლობის უფლებაში ჩარევას. თუმცა, 1998 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც მომჩივანს მიეკუთვნა 133 963 რუბლი, საქმე გადასინჯა კიდევ ოთხჯერ და დასრულდა მორიგებით, რომლითაც სახელმწიფომ მომჩივანს გადასცა ბინა 330 000 რუბლის ღირებულების. ეს ოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს მათ შორის ინფლაციის მხედველობაში მიღებით, იმ ოდენობას, რომელიც მომჩივანს უნდა

მიეღო თავდაპირველად და რომელიც მისი მტკიცებით, მას დაეკარგა საზედამხედველო წესით საქმის გადასინჯვის შედეგად.

უფრო მეტიც, სასამართლოს მიაჩნია, რომ მან ადრე დეტალურად განიხილა შემნახველი ბანკის მხრიდან ვალდებულების დარღვევის საკითხი და არ დაადგინა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა. აპოლონოვის საქმეზე როცა მისი ანაბრის ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციის გამო. პირველი ოქმის პირველი მუხლი სახელმწიფოს არ ავალდებულებს უზრუნველყოს ანაბრების მსყიდველობითი უნარის შენარჩუნება საბანკო დაწესებულებებში. არც კანონი ადგენს სახელმწიფოს უზრუნველყოფად ვალდებულებას კომპენსაცია გაუკეთოს დანაკარგებს, როგორც ეს განმარტა ქვეყნის შიდა სასამართლომ, შესაბამისად, არ მომხდარა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა.

## თავი მეშვიდე: საბჭოთა ანაბრების პრობლემა საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში

ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე 14 რესპუბლიკის გამოცდილების მიმოხილვა საბჭოთა ანაბრებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ამ ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა იძლევა პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას. თითოეულმა მათგანმა გაიარა გზა საბჭოთა კავშირის ერთიანი სოციალისტური საბანკო სისტემიდან 1990-იანი წლების ამავე კავშირის ნგრევამდე, ერთმანეთზე გადაჯაჭვული რესპუბლიკებიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობამდე და ამ პროცესში „საბჭოთა ანაბრის“ პრობლემის გადაჭრისა თუ სტრატეგიის შემუშავების განსხვავებული გზები დასახა.

ორგანიზაციამ სამართლებრივი დახმარების მიზნით, 2013 წლის 18 თებერვალს ოფიციალური წერილით მიმართა საბჭოთა კავშირის ყოფილი ყველა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაეს სასამართლოს. დღეს, აღნიშნული დამოუკიდებელი სახელმწიფოების საკანონმდებლო ხელისუფლებების მიმართ დასმული საკითხები მოიცავდა კვლევისთვის აუცილებელ მიზნებს:

1. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, შესაბამისმა სახელმწიფომ აღიარა თუ არა ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი საბჭოური ანაბრები საშინაო ვალად და რა ფორმით გადაიჭრა საბჭოთა ანაბრების გაცემის საკითხი?
2. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, შესაბამისი ქვეყნის დამოუკიდებელმა ხელისუფლებამ მოახდინა თუ არა ქვეყნის იმ მოქალაქეთა რაოდენობის დადგენა, თუ რამდენი საბჭოთა მეანაბრე იყო ჯამში? ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, მოგვარდით შესაბამისი სტატისტიკური მონაცემი.
3. შესაბამისმა სახელმწიფომ რამდენი მეანაბრის დაკმაყოფილება შეძლო 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით? ანაბრების გაცემის/კომპენსირების რა ვადები შეიმუშავა ქვეყანამ?
4. რა საკანონმდებლო ბაზა შექმნა შესაბამისმა ქვეყანამ იმისთვის, რომ ქვეყნის მოქალაქეთა ანაბრების ანაზღაურების/კომპენსაციის საკითხი გადაეჭრა? ანაბრების საკითხის გაცემა გადაწყდა პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით, მთავრობის სამართლებრივი აქტით თუ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო შესაბამისი კანონი?
5. შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეებს ანაბრების დაბრუნების/კომპენსაციის მიღების საკითხთან ხომ არ მიუმართავთ სარჩელით ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოსთვის? ასეთი სარჩელის არსებობის შემთხვევაში, რომელი ქვეყანა იყო ევროსასამართლოში დავის მოპასუხე – მშობლიური სახელმწიფო თუ რუსეთის ფედერაცია?!
6. თუკი შესაბამისს ქვეყანას მოქალაქეების კუთვნილი საბჭოური ანაბრების დაბრუნების/კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით არავითარი პოლიტიკური და სამართლებრივი ღონისძიება არ გაუტარებია, აპირებს თუ არა ქვეყანა განიხილოს აღნიშნული საკითხი, რა ფორმით გეგმავს საკითხის გადაჭრას და მიმდინარეობს თუ არა მუშაობა აღნიშნული საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით?
7. როგორ აპირებს შესაბამისი ქვეყანა მოქალაქეების კუთვნილი საბჭოთა ანაბრების დაბრუნების/კომპენსაციის საკითხს, გეგმავს თუ არა სახელმწიფო აღნიშნული თანხა გამოაცხადოს საშინაო დანიშნულების ვალად?

8. როგორია შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება, იმ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაგალითზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ თავიანთი მოქალაქეების მიმართ ანაბრების დაბრუნება/კომპენსაცია, ანაბრების შიდა ვალად გამოცხადების გზით თუ მოპასუხე მხარედ აღიარებულ უნდა იქნას რუსეთის ფედერაცია?
9. როგორია შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს პრაგმატული დამოკიდებულება ისტორიული მოვლენისადმი. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და მისი ყოფილი მოკავშირეები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, ვის უნდა დაკისრებოდა საბჭოური ანაბრების დაბრუნების/კომპენსაციის სამართლებრივი ვალდებულება – საბჭოთა კავშირის ერთადერთ სამართალმემკვიდრეს – რუსეთს თუ დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობებს, რომელთა იურიდიული პასუხისმგებლობაც არ არსებობდა გაუფასურებული საბჭოური ანაბრის ანაზღაურების/კომპენსაციის მიმართულებით?

ორგანიზაციის კითხვარი 2013 წლის 9 აპრილს ოფიციალურად მიიღო რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანომ და უზენაესმა სასამართლომ, თუმცა რუსეთს კომუნიკაცია არ უწარმოებია. მრავალ კითხვათაგან, ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების მიმართ ვალდებულებითი ნაწილიც – რამდენად სამართლიანად თქვა უარი რუსეთმა, როგორც საბჭოთა კავშირის ერთადერთმა სამართალმემკვიდრემ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ საბჭოთა ანაბრების ანაზღაურებაზე და რა შეფასება არსებობდა ზოგიერთი დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობის პრეტენზიის მიმართ, რომლებიც საბჭოთა ანაბრების ანაზღაურებას დღემდე რუსეთის ფედერაციისაგან მოითხოვენ.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნის უზენაესი სასამართლოებისთვის მიმართვის მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის დადგენა შემდეგ საკითხებზე:

- შესაბამისი ქვეყნის სასამართლო სისტემას განუხილავს თუ არა მოქალაქეთა ან/და რომელიმე დაინტერესებული მხარის სარჩელი ანაბრების დაბრუნების შესახებ?
- აღნიშნული სარჩელების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებების სტატისტიკა?
- სასამართლოს გადაწყვეტილებები საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების/კომპენსაციის საქმეებთან დაკავშირებით, სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების დროს, რა სამართლებრივ აქტების დასაბუთებას ეყრდნობა?
- სასარჩელო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის დროს, სასამართლო რა სამართლებრივ აქტების დასაბუთებას ეყრდნობა?

ორგანიზაციასთან კვლევის ფარგლებში, თითქმის ყველა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ ითანამშრომლა, რასაც ვერ ვიტყვით ამავე ქვეყნების უზენაესი სასამართლოების მიმართ. მკითხველს შესაძლებლობა აქვს პირველად გაეცნოს ერთად თავმოყრილ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გამცდილებას საბჭოთა ანაბრების პრობლემის გადაჭრის გზაზე. წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს განხილულ საკითხებს 2013 წლის 31 მაისის მდგომარეობით.<sup>85</sup>

<sup>85</sup> საბჭოთა ანაბრები შიდა ვალად აღიარეს ლიტვამ, ბელორუსიამ, მოლდოვამ, უკრაინამ, რუსეთმა, სომხეთმა, უზბეკეთმა, ტაჯიკეთმა, თურქმენეთმა. შიდა ვალად არ აღიარეს: ესტონეთმა, ლიგვამ, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, აზერბაიჯანმა, თუმცა აღნიშნულმა სახელმწიფოებმა საკუთარი მოქალაქეების მიმართ კეთილი ნება გამოხატეს თანხების კომპენსაციასთან დაკავშირებით.

## ესტონეთი

ესტონეთის რესპუბლიკამ უარი თქვა საბჭოთა ანაზრის, როგორც შიდა სახელმწიფო ვალის აღიარებაზე. მთავრობამ არამხოლოდ ესტონელი მოქალაქეების ანაზრის დაბრუნებაზე განაცხადა უარი, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის „სბერბანკის“ ყველა მენაზრის კომპენსაციის თანხის გადახდის ვალდებულება რუსეთის სახელმწიფოს დააკისრა, როგორც საბჭოთა კავშირის ერთდერთ სამართალმემკვიდრეს.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, გადარიცხვები მოსკოვში, უცხოურ ვალუტაში, „ვნეშეკონომბანკის“ (Vneshekonombank (VEB)),<sup>86</sup> შემდეგში VEB-ბანკი) საშუალებით ხორციელდებოდა. ანაზრების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ე.წ. VEB-ფონდის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც დაარსებულ იქნა ესტონეთის პარლამენტის მიერ 1993 წელს. ესტონეთში ორ კომერციულ ბანკს შესაბამისი ანგარიშები VEB-ბანკსა და ესტონურ კომპანიებში ჰქონდათ, რომლებიც, თავის მხრივ ახორციელებდნენ ბიზნეს საქმიანობას ამ ბანკების მეშვეობით. 1991 წლის დასასრულს, საბანკო ოპერაციები ანაზრების დაბრუნებასთან დაკავშირებით, შეჩერდა და რამოდენიმე თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოვლენის გამომწვევი მიზეზი გახდა საბჭოთა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული ანგარიშები დაიბლოკა. საბანკო ანგარიშების ხელახლა გახსნა დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო ვალის დარეგულირების საკითხთან. გაყინული თანხის სრული ოდენობა შეადგენდა 830 მილიონ ესტონურ კრონს ანუ დაახლოებით 853 მილიონ ევროს. ესტონეთის რესპუბლიკა არ დათანხმდა მიეღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის კუთვნილი ვალების გადახდაში.

ანგარიშების ბლოკირების შედეგად, ზემოაღნიშნული ესტონური ბანკები აღმოჩნდნენ გაკოტრების საფრთხის წინაშე, თუმცა ესტონეთის მთავრობამ გადაწყვიტა გადაერჩინა კომერციული ინსტიტუტები. შესაბამისად, 1993 წლის იანვარში, ესტონეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ესტონეთის ბანკის ეგიდით დაეარსებინა VEB-ფონდი.<sup>87</sup>

გადაწყვეტილება ფონდის დაარსების შესახებ ემსახურებოდა ოთხ ძირითად მიზანს:

- საჩივრები, რომლებიც წარდგენილ იქნა ორი კომერციული ბანკის წინააღმდეგ დაკავშირებული იყო გაყინულ თანხებთან, მათი გამოთხოვა უნდა მომხდარიყო ბალანსიდან და მათი შეკრება უნდა განხორციელებულიყო ამ ფონდში;
- ფონდი ბანკის მოსარჩელე პირებზე გაცემდა მოწმობას, რომელიც ადასტურებდა მათი მოთხოვნის ნამდვილობას;
- ფონდის მთავარი მიზანი იყო, ეცადა გამოეთხოვა გაყინული თანხები და დაეკმაყოფილებინა მოქალაქეთა მოთხოვნები ამოსაღებ თანხებთან დაკავშირებით;
- ანაზრის არსებობის დამადასტურებელი მოწმობები შესაძლებელი იყო თავისუფლად გაყიდულიყო, ხოლო ესტონეთის მთავრობას და ბანკს ასევე შეეძლოთ ეყიდათ ისინი.

<sup>86</sup> Vneshekonombank (VEB) (რუსულად: Внешэкономбанк (ВЭБ)) წარმოადგენს რუსეთში დაფუძნებულ, ყოფილ საბჭოთა ბანკს, რომელიც ინგლისურად ითარგმნება როგორც „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი“ (Bank of Foreign Economic Activity). მიუხედავად იმისა, რომ რუსულ ენაზე იგი ხშირად იწოდება როგორც რუსეთის განვითარების ბანკი, ოფიციალურად იგი იწოდება როგორც „სახელმწიფო კორპორაციულ ბანკი განვითარებისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობისათვის“. ინსტიტუტი რუსეთის მთავრობის მიერ შეიქმნა, რათა მხარი დაუჭიროს და განავითაროს რუსული ეკონომიკა, მართოს სახელმწიფო ვალი და საპენსიო ფონდები. მთავრობის მიზანია მოახდინოს რუსული ეკონომიკის დივერსიფიცირება, რა მიზნითაც იგი ბანკს აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბანკის საქმიანობის ისტორია წლების მიხედვით (1997 წლის ოქტომბრიდან - 2010 წლის დეკემბრის ჩათვლით) იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://veb.lgg.ru/en/about/history/>

<sup>87</sup> გადაწყვეტილების ტექსტი ესტონურ ენაზე იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://www.riigiteataja.ee/akt/13085284>

მიუხედავად ფონდის დაარსებისა, ესტონეთის სახელმწიფო უარყოფდა პასუხისმგებლობას გაყინულ თანხაზე და ფონდი დაარსდა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნისათვის, რომ გადაერჩინა ბანკები და დახმარებოდა მათ გამოეთხოვათ გაყინულ ანგარიშებზე განთავსებული თანხები. ფონდს არასდროს მოუთხოვია აქტივები რუსეთისაგან. აღნიშნული საკითხი ხშირად განიხილებოდა ესტონეთსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებებში, VEB-ბანკსა და VEB-ფონდს შორის. რუსულ მხარეს არასდროს უღიარებია აღნიშნული ფონდი თანხის გამოთხოვაზე უფლებამოსილ პირად, რომელსაც შეეძლო პროცესი განეხლებინა.

ანაბრების არსებობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემამ მნიშვნელოვნად შეამცირა საერთო სასამართლოებში შემავალი სარჩელების ოდენობა. ზოგიერთმა მოსარჩელემ დათმო თავიანთი მოთხოვნა, შეწყდა ოპერაციები, თუმცა დებიტორების გაურკვეველმა ოდენობამ მიიღო თანხა, მიღებული ფულის გამოყენებით რუსულ კომპანიებთან ბიზნეს-საქმიანობაში მოხდა ანგარიშსწორება (ან სხვა სქემებით) იმგვარად, რომ თავიანთ საქმეებს ისინი დამოუკიდებლად მართავდნენ. ესტონეთის რესპუბლიკას არ გადაუხდია VEB-ბანკის ვალდებულებების გამო, ხოლო VEB-ფონდი არ აღმოჩნდა წარმატებული გაყინული თანხების საკითხის მოგვარებაში. 2011 წლის სექტემბრის მონაცემებით, სულ იყო 118 რეგისტრირებული მოსარჩელე და მიახლოებული დაანგარიშებით, სასარჩელო მოთხოვნის ფასი შეადგენდა 236 მლნ. კრონს (15 მილიონი ევრო).

2011 წელს ესტონეთის სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა მიეღო გადაწყვეტილება VEB-ფონდის გაუქმების შესახებ, ამ უკანასკნელის უუნარობის გამო მიეღწია დასახული მიზნებისათვის. რამოდენიმე სასამართლო საქმე წამოწყებულ იქნა მოსარჩელეთა მიერ იმ იმედით, რომ ესტონეთის სახელმწიფოს ჯერ კიდევ ეკისრებოდა გარკვეული პასუხისმგებლობა. ერთ-ერთი სასამართლო პროცესის შედეგად გადაწყდა, რომ სახელმწიფოს უნდა მოეგვარებინა მოსარჩელეთა დაკმაყოფილების საკითხი, თუმცა კომპენსაციისათვის არ განსაზღვრულა მეთოდი და განაკვეთი.

2012 წლის თებერვალში, ესტონეთის პარლამენტმა გააუქმა 1993 წლის მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილებულიყო VEB-ფონდის ლიკვიდაციის პროცესში აქტივების გაყიდვიდან ამონაგები თანხით.<sup>88</sup> ფონდის ერთადერთი აქტივი არის (და ყოველთვის იყო) მისი მოთხოვნა VEB ბანკის წინააღმდეგ, რაც უსაფუძვლოს ხდიდა მოსარჩელე მეანაბრის მიერ მოთხოვნის დაყენების საკითხს; საბოლოო მოთხოვნა უნდა გადამისამართებულიყო ბანკთან, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებლობას არ აღიარებდა. ქვეყანაში მეორე მნიშვნელოვანი სასამართლო საქმე წამოწყებულ იქნა 2012 წლის ნოემბერში. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მიეთითა შემდეგი: „პარლამენტი სწორად მოიქცა, როდესაც პრეტენზიების დაკმაყოფილება გადაწყვიტა ფონდის გაყიდვით ამონაგები თანხიდან“.<sup>89</sup>

ესტონეთში ანაბრების საკითხი, როგორც სამართლებრივი, ასევე ფინანსური ხედვით, უკიდურესად მძიმე და აქტუალურია. ამას ცხადყოფს ის პროცესები, რა დროსაც, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საკითხისადმი მიდგომის ბევრი ასპექტი შეიცვალა, მათ შორის, VEB-ბანკის, ესტონეთის კომერციული ბანკების და თავად ფონდის სამართლებრივი სტატუსი, სამართლებრივი აქტები და სისტემები, ვალუტა, ინფლაციის დონე, მოწმობის მფლობელი პირები და ა.შ. ესტონეთის ბანკი და ორი კომერციული ბანკი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს რუსეთის მხარესთან, თუმცა უშედეგოდ.

საკითხი ესტონეთის სახელმწიფოს დღის წესრიგში 2013 წელსაც მთელი სიმწვავეით დადგა. 2013 წლის მარტის დასწყისში, VEB-ფონდმა გამოაცხადა, რომ იგი ყიდის საკუთარ აქტივებს. VEB-ფონდი აღმოჩნდა არაეფექტური, რადგანაც მან ვერ შეასრულა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა - ეპოვა გამოსავალი, თუ როგორ უნდა დაბრუნებულიყო გაყინული თანხა. ფონდმა ეს გამოსავალი ვერ იპოვნა.

<sup>88</sup> გადაწყვეტილების ტექსტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://www.riigiteataja.ee/akt/317022012001>

<sup>89</sup> სასამართლო გადაწყვეტილება ესტონურ ენაზე იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.nc.ee/?id=11&tekst=222553042>

მან მხოლოდ გასცა ანაბრების არსებობის დამადასტურებელი მოწმობები, თუმცა აღნიშნული მოწმობების გაცემა და ცალკეული დავალებების შესრულება, უკვე მეორეხარისხოვანი იყო.

ესტონეთის პარლამენტმა შეექმნა დროებითი, საგანგებო კომიტეტი („ad hoc“), რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ესტონეთის ბანკის მიერ განხორციელებულ შესაძლო დოკუმენტების გაყალბების გამოძიებასთან (დაკავშირებული VEB-ფონდიდან თანხის გამოთხოვის საკითხთან). Ad Hoc კომიტეტმა საქმიანობა 2013 წლის 12 მარტიდან დაიწყო და 2013 წლის 1 მაისამდე მხოლოდ ერთი სხდომა გამართა.

კომიტეტის ამოცანები შემდეგია:

- დაადგინოს ფონდის შექმნისას, საქმიანობისას და მართვის პროცესში არსებული გარემოებები 1993-2012 წლებში;
- დაადგინოს გარემოებები, დაკავშირებული ესტონეთის ბანკის 1995 წლის წერილთან VEB-ბანკის მიმართ (რომელიც სავარაუდოა, რომ შეიცავდა გაყალბებულ მონაცემებს);
- დაადგინოს შესაძლო ზიანი, რომელიც VEB-ფონდის ქმედებათა შედეგად მიაღწა სახელმწიფოს ან კომპანიებს კერძო სექტორში;
- გააკეთოს დასკვნები VEB-ფონდის ქმედებათა შესახებ 1993-2012 წლებში და გამოააშკარავოს შესაძლო სამართალდარღვევები, წარადგინოს დასკვნები პარლამენტისა და სამოქალაქო საზოგადოების წინაშე.

მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტის ამოცანა არ არის ანაბრების თანხის კომპენსირება. კომიტეტმა საბოლოო ანგარიში ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს 2013 წლის 2 დეკემბერს უნდა წარუდგინოს.

საბჭოთა ანაბრების საკითხი არა მხოლოდ ფინანსური, არამედ პოლიტიკური ბუნებისაა, ისევე როგორც ესტონეთისთვის, ასევე სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნისათვის. თუმცა, ესტონეთის სახელმწიფოს პოზიცია გაყინულ ანგარიშებთან დაკავშირებით მკაფიოა - სახელმწიფოს არ აქვს და არ აუღია პასუხისმგებლობა ანაბრების თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ესტონეთის მოქალაქეებს არ მიუმართავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის კომპენსაციის მოთხოვნით.

## ლიტვა

ლიტვამ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დაზარალებული მოქალაქეებისა და ამავე დროს საბჭოთა კავშირის ყოფილი „სბერბანკის“ მენაბრეებისთვის ინდივიდუალური სტრატეგია შეიმუშავა. გაყინული ანაბრების დასაბრუნებლად გამოყენებულ იქნა პრივატიზაციიდან ამონაგები თანხები; კერძოდ, საბჭოთა მენაბრეების დაკმაყოფილება სახელმწიფო საწარმოების რეალიზაციის შედეგად განხორციელდა, თუმცა, ამ პროცესს, ქვეყანაში უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ანაბრების თანხის კომპენსაციის პროცესს „შეეწირა“ ლიტვაში დაფუძნებული ნავთობ-გადამამუშავებელი საწარმო „მაზეიკიუ ნაფტა“,<sup>90</sup> რომელიც აწარმოებდა რა ლიტვის სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მეათედს, 1991 წლის მონაცემით, თავისი სიდიდით, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში არსებულ ყველა საწარმოს აღემატებოდა. 2006 წელს, აღნიშნული საწარმოს ძირითად აქციათა მფლობელი გახდა პოლონური კომპანია „პენ ორლენი“, რაც იმდროინდელი პრესის ფურცლებზე, შეფასდა როგორც

<sup>90</sup> ინგ. „Mazeikiu Nafta“, საწარმოს განვითარებისა და საქმიანობის შესახებ იხილეთ ბმული: <http://www.orlenlietuva.lt/en/main/company/history>

„საუკუნის გარიგება“, ხოლო თავად შემსყიდველის მიერ როგორც „ერთადერთი უდიდესი პოლონური ინვესტიცია საზღვარგარეთ“.<sup>91</sup>

ლიტვის მოქალაქეებზე კომპენსაციის გაცემა განხორციელდა ორ ძირითად ეტაპად, კანონისმიერი რიგითობის მიხედვით. კერძოდ, 1997 წლის 5 ივნისს, ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტმა (სეიმა) მიიღო კანონი „მოსახლეობის დანაზოგის რესტიტუციის (უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის) თაობაზე“ (#VIII-240),<sup>92</sup> რომელმაც დაადგინა ლიტველი მოქალაქეებისა და ლიტვაში მუდმივად მცხოვრები პირების უფლება საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ ექსპროპრირებული ანაბრების რესტიტუციაზე, რომელიც ინახებოდა ლიტვის სახელმწიფო ბანკებში, 1991 წლის 26 თებერვლამდე.

ძირითად სამართლებრივი ჩარჩოს წარმოადგენს ლიტვის რესპუბლიკის „კანონი მოსახლეობის დანაზოგის აღდგენის თაობაზე“ No VIII – 240, მიღებული 1997 წლის 5 ივნისს, გამოქვეყნებული ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტის (სეიმის) მიერ და ხელმოწერილი რესპუბლიკის პრეზიდენტ ალგრიდას ბრაზაუსკას მიერ.

**კანონის მიზანი** - კანონი ადგენს ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეების და ლიტვაში მუდმივად მცხოვრები პირების (შემდგომში „მოსახლეობის“) დეპოზიტების აღდგენის საკითხს, რომელიც ჩამორთმეულ იქნა ყოფილი საბჭოთა ოკუპაციის ძალით და რომელიც ინახება ლიტვის სახელმწიფო ბანკებში 1991 წლის 26 თებერვლამდე; ასევე, სადეპოზიტო ანგარიშებზე მოთავსებული სხვა სახსრების (შემდგომში „დანაზოგების“) საკითხს.

**დანაზოგების აღდგენა** - კანონის თანახმად, აღდგენას ექვემდებარება მოსახლეობის შემდეგი თანხები:

- დეპოზიტები, რომელიც ინახებოდა სახელმწიფო ბანკში 1991 წლის 26 თებერვლამდე, თუკი ამ დეპოზიტთა ბალანსი (ნაშთი) არ შემცირებულა 1992 წლის 1 მაისამდე ან 1993 წლის 24 ივნისამდე. დეპოზიტები, რომელთა გატანა მოხდა 1991 წლის 26 თებერვალს და რომელთა შემოტანა მოხდა არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა იმავე სადეპოზიტო ანგარიშზე (ბავშვთა, შვილად აყვანილ ბავშვთა, მშვილბეელი მშობლების, მეუღლეების, ძმის, დის, ბებია-ბაბუის, შვილიშვილების, რძლების, სძიეების, ქმრის ან ცოლის მამრობითი სქესის<sup>93</sup> ნათესავის მიერ იმავე ან სხვა საბანკო ინსტიტუტში (არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხის მოცულობას, რომელიც არსებობდა ამავე ანგარიშზე 1991 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით) და არ შემცირებულა 1992 წლის 1 მაისამდე და 1993 წლის 24 ივნისამდე.
- ობლიგაციები, რომელთა გაცემა მოხდა 1982 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ და დარეგისტრირებულ იქნა 1994 წელს სახალხო კომპანია ლიტვის ანაბრების ბანკში ( შემდგომში - AB ბანკი);
- ანაბრები უნდა აღდგეს განურჩევლად იმისა, სადეპოზიტო სახსრების გადატანა მოხდა 1993 წლის 24 ივნისის შემდგომ თუ არა. სახელმწიფო ბანკებში არსებული დეპოზიტები რომელთა ხელახალი დაანგარიშება არ მომხდარა ლიტვაში<sup>94</sup> 1993 წლისათვის, ამავე წელს მოქმედი სამართლებრივი აქტების მიხედვით, აღდგენას არ უნდა დაექვემდებაროს.

**ანაბრების აღდგენა** – თუ 1992 წლის 1 მაისს, ანაბრების ბალანსი, როგორც კანონის მე-2 მუხლის 1 ნაწილშია მითითებული, იყო უფრო ნაკლები, ვიდრე 1991 წლის 26 თებერვალს, თუმცა არ შეცვლილა 1993 წლის 24 ივნისამდე, მაშინ მოსახლეობის ანაბრები უნდა იქნას დაბრუნებული ანაბრების ბალანსის 1992 წლის 1 მაისის მდგომარეობით. თუკი, 1993 წლის 23 ივნისის მდგომარეობით, ბალანსი უფრო

<sup>91</sup> იხილეთ სტატია „Deal of the century' finalized 's PKN Orlen buys Mazeikiu Nafta for \$2.3 billion“, The Baltic Times-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://www.baltictimes.com/news/articles/17045/>

<sup>92</sup> იხილეთ აღნიშნული კანონის კოდიფიცირებული ვერსია ინგლისურ და რუსულ ენებზე პარლამენტის (სეიმა) ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://www.lrs.lt>

<sup>93</sup> ძირითადად გამოიყენება ცოლისძმის ან მამის ძმის აღსანიშნავად, ასევე შესაძლებელია, გამოიყენებოდეს ქმრის ან ცოლის მამრობითი სქესის პირდაპირი ბიძაშვილების აღსანიშნავად.

<sup>94</sup> ლიტველი ეროვნული ვალუტა

ნაკლებია, ვიდრე 1992 წლის 26 თებერვლის და 1 მაისის მდგომარეობით არსებული ბალანსი, მოსახლეობის ანაზრები უნდა აღდგეს 1993 წლის 24 ივნისს არსებული ბალანსით. მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი დანაზოგები უნდა აღდგეს 1 ლიტას 1 რუბლთან თანაფარდობით, ხოლო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 6, 000 ლიტას ერთ მოსახლეზე.

- როდესაც რუსეთის ფედერაცია, სსრკ-ს უფლებებისა და მოვალეობების უფლებამემკვიდრე, დაუბრუნებს ანაზრებს ლიტველ მოსახლეობას, რომელთა ჩამორთმევაც მოხდა ყოფილი საბჭოთა ოკუპაციის ძალის მიერ და რომელის გამოყენება მოხდა<sup>95</sup> სსრკ-ს ყოფილი ცენტრალური ბანკის მიერ, აღნიშნული ანაზრების აღდგენილი თანხა უნდა იქნას შესაბამისად გაზრდილი, ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების მიხედვით.
- აღნიშნული სახსრები განკუთვლილი მოსახლეობის დანაზოგების აღდგენისათვის, უნდა იმყოფებოდეს ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულ შემნახველ ანგარიშზე გახსნილი ლიტვის დანაზოგების AB ბანკში.
- მოსახლეობის დანაზოგის აღდგენა უნდა მოხდეს 1997 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსახლეობისათვის შემნახველი ანაზრების გახსნით (შემდგომში, ანგარიში, რომელიც უნდა აღდგეს) AB ლიტვის დანაზოგების ბანკში. ამ დრომდე, ხარჯები, რომელიც ანგარიშების გახსნით იქნება გამოწვეული, უნდა დაიფაროს პრივატიზების შედეგად ამონაგები ფინანსური რესურსების გამოყენებით.
- მოსახლეობას უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება თავისუფლად განკარგოს გამოთვლილი, აღდგენას დაქვემდებარებული დანაზოგის თანხა, რომელიც ანაზრზე განთავსდება დადგენილი შესაბამისი თანმიმდებრობით, იმ თარიღიდან, რომელიც განისაზღვრება მთავრობის მიერ.

ლიტვის პარლამენტის მიერ კანონში განისაზღვრა ანაზრების დაბრუნებისათვის განსაზღვრული დაფინანსების წყაროები:

- დანაზოგის აღდგენის ძირითად დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ქონება, რომელიც ექვემდებარება პრივატიზებას და რომელიც უნდა გადაეცეს ფონდს სახელმწიფო ქონებისა და მოსახლეობის დანაზოგების აღდგენის მიზნით. ფონდის ქონების არანაკლებ 2/3, რომელიც მიიღება სახელმწიფო ქონების გაყიდვის შედეგად იმ პროცედურის მიხედვით, რომელიც დადგენილია კანონით „სახელმწიფო პრივატიზებისა და მუნიციპალური საკუთრების შესახებ“, უნდა გადავიდეს ანაზრების აღდგენის ანგარიშზე. თანხის 1/3 მიღებული პრივატიზაციის კანონების შესაბამისად, სახელმწიფო ქონების გაყიდვით (საწარმოო აქციები) უნდა გამწესდეს ქვეყნის ეკონომიკური პროგრამების დასაფინანსებლად.
- იმისათვის, რომ მოსახლეობამ შეძლოს გამოიყენოს ანგარიშზე დასმული აღდგენილი დანაზოგები, იმ დრომდე, სანამ მოხდება შესაბამისი სახელმწიფო ქონების გაყიდვა და (ან) შესაბამისი სახსრების მიღება ამავე მიზნისათვის, სახელმწიფო ქონებისა და მოსახლეობის დანაზოგის აღდგენის ფონდის სასესხო ვალდებულებები (ნასესხები სახსრები) შესაძლოა დაგროვდეს ამავე სახსრების გაცემისათვის, რომელიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი კონკრეტული საპრივატიზებო (გაყიდვას დაქვემდებარებული) ქონებით ან პრივატიზაციის გარიგებით. ამ მიზნით, ფონდი უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სესხის ხელშეკრულებას, იმ პროცედურის მიხედვით, რაც განისაზღვრა მთავრობის მიერ AB ბანკისა და სხვა ლიტვეური თუ უცხოური ბანკების, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. ამგვარი სესხის თანხა არ შეიძლება იყოს პრივატიზებას დაქვემდებარებული საწარმოს, დაგირავებული თანხის (წილების პაკეტი) საბაზრო ფასის 50%-ზე ნაკლები, უნდა იყოს დაანგარიშებული შესაბამის ქონების შემფასებელთან, ან სხვა ქონების გაყიდვიდან ამონაგები თანხიდან უნდა დაიფაროს, როდესაც ყველა სასესხო ხელშეკრულებისათვის პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად პრივატიზაციის გარიგება არის უზრუნველყოფილი), იგი არ უნდა აღემატებოდეს 30 მილიონ ლიტას, ნებისმიერ საანგარიშო პერიოდში.

<sup>95</sup> უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენების ნაცვლად კანონი იყენებს ტერმინს „used up through“, რაც ცალსახად მიუთითებს თანხის ჩაყლაპვის ფაქტზე და ცენტრალურ ბანკზე პასუხისმგებლობა გადააქვს.

დანაზოგების აღდგენის სხვა წყაროები:

- ფონდი, რომელიც თავის მხრივ შექმნილია ლიტვის პარლამენტის (სეიმი) 1998 წლის 1 იანვრის რეზოლუციის - „შემნახველი ფონდის მხრიდან აღდგენის დადასტურების და კომპენსაციის შესახებ“ საფუძველზე, გასცემს ფულადი თანხას, რომლის აკუმულირება ხდება 1998 წლის 1 იანვრიდან;
- მთავრობის განკარგულებათა და სხვა გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რესპუბლიკის საპრივატიზებო ფონდის მიერ გამწესებული საკრედიტო რესურსებით შემდგარი სახსრებიდან შესაბამისი საპროცენტო განაკვეთით;
- სხვა სახსრებიდან, რომლის გადაცემაც მოხდა ფონდზე;
- რუსეთის ფედერაციის მიერ ლიტველი მოსახლეობისათვის დაბრუნებული დეპოზიტებიდან, რომელთა ჩამორთმევა მოხდა ყოფილი საბჭოთა ოკუპაციის ძალის მიერ, ხოლო სრულად ათვისება სსრკ-ს ცენტრალური შემნახველი ბანკის მიერ.

აღდგენილი შემნახველი ანაზრები:

- აღდგენითი ანაზარი უნდა გაიხსნას თითოეულ მოსახლეზე (შემდგომში - მეანაზრე), რომელიც კანონის შესაბამისად, ინახავს თავის დანაზოგს AB შემნახველ ბანკში. აღდგენილი ანაზარი გაიხსნება მეანაზრის (გარდაცვლილი მეანაზრის შემთხვევაში, მემკვიდრის) წერილობითი თხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც მან უნდა წარმოადგინოს 1997 წლის 31 დეკემბრამდე AB შემნახველ ბანკში. აღდგენითი დანაზოგის გადატანა უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფო ბანკებიდან AB შემნახველ ბანკის ლიტვურ კომპანიაში, მთავრობის მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად. AB შემნახველმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს შემნახველი ანაზრების აღდგენასთან დაკავშირებით შესაბამისი მომსახურების გაწევა ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.
- მეანაზრეს შესაძლოა ჰქონდეს მხოლოდ ერთი აღსადგენი ანაზარი, AB შემნახველი ბანკის მხოლოდ ერთ ინსტიტუტში საკუთარი არჩევანის შესაბამისად. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს ყველა დანაზოგს, რომელიც მის სახელზეა, რომელშიც აღრიცხვა გაკეთებულია ზოგადი საბალანსო ანგარიშს გარეთ, იმ პროცედურის შესაბამისად, რაც დადგენილია ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის მიერ.
- აღდგენითი ანგარიში უნდა შეიცავდეს ჩანაწერს მეანაზრის მიერ გაკეთებული დანაზოგების შესახებ, რომელიც აღდგება (ხალახლა გამოთვლილი კოეფიციენტისა და თითო მეანაზრეზე თანხის დანაზოგის მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინებით), მას შემდეგ, რაც გამოიქვითება დანაზოგების კომპენსაციის თანხები სახელმწიფო ბანკებში, სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით, თავიდან გამოითვლება ლიტაში 1993 წლის მდგომარეობით. მეანაზრესთან გადახდა მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, ეს უკანასკნელი მოხდება მის მიერ გახსნილ ანგარიშზე. ის თანხა, რომელთა გადარიცხვა მოხდა 1993 წლის 24 ივნისს და შევიდა საინვესტიციო ანგარიშის ბალანსიდან ჩამოწერილ თანხებში, დარეგულირდება მთავრობის დეკრეტით მოსახლეობის დანაზოგების აღდგენის შესახებ, რომელიც ძალაში იყო ამ კანონის ამოქმედებამდე.
- დანაზოგების აღდგენილი ნაწილი - დეპოზიტები, რომელთა თავისუფლად განკარგვის უფლება აქვს მეანაზრეს, უნდა იქნას გადატანილი სადეპოზიტო ანაზარზე, რომლის მითითებაც ხდება მეანაზრის განაცხადში. თუკი მეანაზრეს არ მიუთითებია, თუ რომელ ანაზარზე უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვა, მაშინ თანხა მოთავსდება ამავე მეანაზრის სახელზე გახსნილ შემნახველ დეპოზიტურ ანგარიშზე, რომელსაც შემდგომში უხელმძღვანელებს ლიტვის შემნახველი ბანკი დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
- აღდგენილ ანგარიშზე მოთავსებული თანხა, რომელიც გარდაცვლილ პირს ეკუთვნის, გადაეცემა მემკვიდრეობით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ლიტვის რესპუბლიკის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, აღდგენილი დანაზოგის განთავსება უნდა მოხდეს მკაცრად რეგლამენტირებული წესით, რაც გულისხმობს, რომ მთავრობამ უნდა

დაადგინოს ოდენობა და უნდა დაიწყოს დანაზოგების განთავსება ამ კანონის თანახმად, ხოლო მეანაბრეებმა, რომელთაც მოიპოვეს უფლება აღიდგონონ ანგარიშები, უნდა გაითვალისწინონ:

- ის თანამიმდევრობა, რომელიც გათვალისწინებულია ანაბრების აღდგენის თავში, თუმცა განთავსება შესაძლოა არ მოხდეს 1998 წლის 1 იანვრამდე;
- სახსრები, რომელთაც მოპოვებულია „სახელმწიფო პრივატიზებისა და მუნიციპალური საკუთრების შესახებ“ კანონის შესაბამისად, საკუთრების გაყიდვით ან სხვა რესურსების გამოყენებით, ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს დასაშვებ ზღვარს, რაც საჭიროა სპეციალურ შემნახველ აღდგენით ანგარიშზე განთავსებული დეპოზიტის თავისუფალი განკარგვისათვის.
- განსათავსებლად გამიზნული სახსრების განთავსებაც უნდა მოხდეს მეანაბრეთა ანგარიშზე, თუკი მეანაბრე წერილობით არ მიუთითებს სხვა ანგარიშს და შესაბამისად, შემცირებულ აღდგენილ დანაზოგებს, რომელნიც გამოითვლება ზოგადი ბალანსისაგან დამოუკიდებლად.
- აღდგენილი დანაზოგების უფასო განთავსება შესაძლებელია დაიწყოს ქვემოაღნიშნულ ჯგუფებზე, მხოლოდ შემდეგი პროცედურის დაცვით:

1. პირველი ჯგუფის ინვალიდები, ოჯახები, სადაც იზრდება ინვალიდი ბავშვი; 85 წლის და ამავე წელს გადაცილებული პირები; რეაბილიტირებული პოლიტიკური პატიმრები და დეპორტირებული პირები, გეტოს პატიმრები, პირები, რომელიც გახდნენ 11-13 იანვრის მოვლენების შედეგად აგრესიის მსხვერპლი, ლიტვის გათავისუფლებისათვის დაღუპული პირები;
2. 70 წლის და ამავე წელს გადაცილებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები (სადაც 4 ან მეტი ბავშვი იზრდება) და მეორე ჯგუფს ინვალიდები;
3. პენსიონერი პირები, რომელთა ასაკია 60 წელს და ზემოთ;
4. სხვა მეანაბრეები;

კანონის, ამასთან ითვალისწინებს ზემოაღნიშნული რიგითობის დაუცველად, უპირობო დაკმაყოფილების შემთხვევებსაც:

1. მეანაბრის გარდაცვალება (1998 წლის 1 იანვრიდან) და
2. ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების შემთხვევა (1998 წლის 1 იანვრიდან). თუ ქონება დაზღვეულია იმ მოცულობით, რომელიც არ მოიცავს სადაზღვევო თანხის გადახდის შესაძლებლობას ზიანის დასაფარად.

კანონის თანახმად, მუნიციპალური ხელისუფლების ხელმძღვანელთა (მერი) რეკომენდაციით, ფინანსთა სამინისტრო, 1998 წლის 1 იანვრის შემდეგ, მიიღებს ყოველთვიურ გადაწყვეტილებებს აღდგენილი დანაზოგების თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევებში, რომელიც მოცემულია ამავე კანონის მითითებული სახსრების გამოყენებით და სპეციალური პროცედურის მიხედვით, რომელიც დადგენილია მთავრობის მიერ და რომელთა გამოყენებაც ხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ აღდგენითი შემნახველი ანგარიშებისათვის დარეზერვებული თანხიდან, მთავრობას არ შეუძლია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება აღდგენითი სახსრების განკარგვასთან დაკავშირებით, თუკი არასაკმარისი თანხის აკუმულირება მოხდა შემნახველი აღდგენითი ფონდის მიერ იმ ფინანსური რესურსების გამოყენებით, რომელიც ანაბრების დაბრუნების დაფინანსების თავშია აღნიშნული.

ლიტვაში განისაზღვრა, რომ 1997 წლის 31 დეკემბრამდე, მოსახლეობის დანაზოგი უნდა იქნას ანაზღაურებული ლიტვის პარლამენტის (სეიმი) მიერ 1993 წლის 15 დეკემბერს დადგენილი „მოსახლეობის დანაზოგის ინდექსაციის შესახებ“ რეზოლუციისა და შესაბამისი მთავრობის დადგენილებების შესაბამისად. ამავე კანონით, 1998 წლის 1 იანვარიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ლიტვის პარლამენტის (სეიმი) მიერ 1993 წლის 15 დეკემბერს დადგენილი რეზოლუცია „მოსახლეობის დანაზოგის ინდექსაციის შესახებ“ და რეზოლუცია „ანაბრების აღდგენისა და

კომპენსაციის ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“. კანონის ძალაში შესვლის დღიდან ძალა დაკარგა კანონმაც „მოსახლეობის დანაზოგის კომპენსაციის შესახებ“. მეტიც, წინადადებები წარედგინა მთავრობასა და ლიტვის ბანკს, კერძოდ ა) 1997 წლის 1 ივლისამდე, მთავრობასა და ლიტვის პარლამენტს დაეკისრათ ვალდებულება მოემზადებინა და დაემტკიცებინა პროცედურა აღდგენითი ანაზღაურების საბუღალტრო აღრიცხვისათვის. ბ) 1997 წლის 1 სექტემბრამდე, მთავრობას უნდა მოემზადებინა და დაემტკიცებინა სამართლებრივი აქტები, რომელიც დაკავშირებული იყო „მოსახლეობის დანაზოგის აღდგენის თაობაზე“ კანონის განხორციელებასთან.

კანონის შესაბამისად, I ჯგუფის მეანაბრეებისა (პირველი ჯგუფის ინვალიდები, ოჯახები, სადაც იზრდება ინვალიდი ბავშვი; 85 წლის და ამავე წელს გადაცილებული პირები; რეაბილიტირებული პოლიტიკური პატიმრები და დეპორტირებული პირები, გეტოს პატიმრები, პირები რომელიც გახდნენ 11-13 იანვრის მოვლენების შედეგად აგრესიის მსხვერპლი, ლიტვის გათავისუფლებისათვის დაღუპული პირები) და II ჯგუფის მეანაბრეების (70 წლის და ამავე წელს გადაცილებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები (სადაც 4 ან მეტი ბავშვი იზრდება) და მეორე ჯგუფს ინვალიდები) დაკმაყოფილებისათვის განისაზღვრა 1998 წლიდან 2007 წლამდე პერიოდი, რა დროსაც ერთ ანაზღაურებულ მიღებულ მინიმალური ანაზღაურება შეადგენდა 850 ევროს, ხოლო მაქსიმალური ანაზღაურება - 1500 ევროს. III ჯგუფის მეანაბრეებისა (პენსიონერი პირები, რომელთაც მიაწიეს 60 წელს და ზემოთ) და IV ჯგუფის მეანაბრეების (სხვა მეანაბრეები) დაკმაყოფილებისათვის განისაზღვრა 2007-2008 წლები. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ლიტვის 1,2 მილიონ მეანაბრე მოქალაქეზე გაიცა 3,6 მილიარდი ლიტი (დაახლოებით 1,04 მილიარდი ევრო), საიდანაც III ჯგუფის მეანაბრეებისთვის გამოყო 182 მილიონი ლიტი (53 მილიონი ევრო), ხოლო IV ჯგუფის მეანაბრეებისათვის – 954 მილიონი ლიტი (280 მილიონი ევრო).

ლიტვის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 1991 წლის 1 იანვრამდე, შემნახველ ბანკში აკუმულირებული და შემდგომში საბჭოთა კავშირის მიერ ექსპროპრირებული დეპოზიტები შეადგენდა 6, 669 ბილიონ რუბლს. 1.176.300 ლიტველმა მოქალაქემ მიმართა საბჭოთა ანაზღაურების აღდენას და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გაცემული ანაზღაურების თანხის მოცულობა შეადგენდა 3,618 მილიონ ლიტს და აღნიშნული თანხა განთავსდა დეპოზიტარების ანგარიშებზე. სახელმწიფო ვალუტის შემოღების შემდეგ, აღნიშნული თანხა შეადგეს 54.25 პროცენტს ყველა იმ ანაზღაურის საერთო ოდენობისა, რაც აკუმულირებული იყო შემნახველ ბანკში და ექსპროპრირებულ იქნა საბჭოთა კავშირის მიერ.

### ლიტვის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა<sup>96</sup>

ლიტვის უზენაესმა სასამართლომ განიხილა სასამართლო საქმეები, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საბჭოური ანაზღაურების დაბრუნება. მიუხედავად ამისა, ამგვარი სასამართლო საქმეები საერთო სასამართლოთა სისტემაში მცირე წილს შეადგენენ.

2009 წელს, უზენაესმა სასამართლომ მოისმინა საქმე,<sup>97</sup> რომელიც ეხებოდა თანხის ანაზღაურების საკითხს, ამასთან ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელე ითხოვდა, რომ სასამართლოს დაევალებულიყო ბრალდებული (მოპასუხე) - ლიტვის რესპუბლიკა გადაეხადა 23 646.28 ლიტის ოდენობა და 302 909 ლიტი. ასევე, 49 ლიტი ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც მიადგა მოსარჩელე მხარის კანონიერ ინტერესს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1991 წელს მას ანაზღაურებულ ჰქონდა თანხა 15 814, 17 აშშ. დოლარის ოდენობით საბჭოთა კავშირის ლიტვის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში.

1990 წლის 13 მარტს, ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს No.I-18 გადაწყვეტილებით, დადგინდა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან ყველა საჯარო საწარმო, ინსტიტუტი და

<sup>96</sup> წყარო: ლიტვის უზენაესი სამართლებრივი კვლევისა და მიმოხილვის დეპარტამენტი

<sup>97</sup> A. E. F.v. the Republic of Lithuania, No. 3K-3-171/2009, the decision of April 14, 2009

ორგანიზაცია, რომელიც იმყოფებოდა საბჭოთა ან საბჭოთა-რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში და მდებარეობდა ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შესაბამისად ხვდებოდა ლიტვის რესპუბლიკის იურიდიქციაში. ზემოაღნიშნული ბანკი გადაეცა ლიტვის რესპუბლიკას და მოხდა მისი რეორგანიზაცია.

ამასთან, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ანაბრის თანხა არ დაბრუნებულა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა უარი განაცხადეს სარჩელის განხილვაზე. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტური პასუხისმგებლობა დადგებოდა, თუკი სამი პირობა შესრულდებოდა: ა) მართლსაწინააღმდეგო ქმედება განხორციელდა სამთავრობო ინსტიტუტების მიერ; ბ) ფიზიკური პირი დაზიანდა; გ) დადგინდა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის. შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მოპასუხე - ლიტვის რესპუბლიკის მხრიდან არ უნდა ანაზღაურებულიყო ზიანი, რადგან მოპასუხეს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა, 1990 წელს, ლიტვის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ლიტვის რესპუბლიკის საბჭოთა ბანკი იყო ლიტვის რესპუბლიკის იურისდიქციას დაქვემდებარებული იურიდიული პირი, თუმცა ფაქტობრივად, ლიტვის რესპუბლიკას არ მიუღია, არც საკუთრება და არც ობლიგაციები. შესაბამისად, ის ფულადი დეპოზიტები, რომელიც ინახებოდა აღნიშნულ ბანკში, ვერ განიკარგა ლიტვის რესპუბლიკის მიერ. ლიტვის რესპუბლიკის სამთავრობათაშორისო კომისია და რუსეთის ფედერაცია ანაბრებთან დაკავშირებით აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და მიუხედავად იმისა, რომ ლიტვის რესპუბლიკამ ვერ მიაღწია პოზიტიურ შედეგებს, სახელმწიფო ინსტიტუტები მოსარჩელის ანაბრის დაბრუნებაზე პასუხისმგებელ პირად მაინც არ დასახელდა. უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა პირველი და მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებები.

როდესაც ამგვარ საქმეზე ხდება გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, სასამართლო ითვალისწინებს ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობს რა ლიტვის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსით, კერძოდ იმ დებულებებით, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს დელიქტურ პასუხისმგებლობას, 1990 წლის 13 მარტის დადგენილება No. I-18-ით, რომელიც ადგენს, რომ ყველა ლიტვის ტერიტორიაზე მყოფი საჯარო საწარმო, ინსტიტუტი თუ ორგანიზაცია საბჭოთა თუ საბჭოურ-რესპუბლიკურ სუბორდინაციაში იმყოფება, ხვდება, ისევე, როგორც ლიტვის რესპუბლიკის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ.

## ლატვია

1990 წლის 2 მარტს, ლატვიის დამოუკიდებელი ეკონომიკის საწყისად უნდა იქნეს მიჩნეული კანონი „ბანკების შესახებ“. აღნიშნულმა კანონმა ბანკების ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქცია გადასცა ლატვიის ბანკს. გარდა ფულის ემისიის ფუნქციისა, ბანკი ზრუნავდა ეკონომიკის განვითარებაზე. ეროვნული ვალუტის შემოღება, აღმოსავლურ ბაზარზე გასვლა და რუბლის ზონაში ეკონომიკური განვითარება, ქვეყნის ძირითად პრიორიტეტად განისაზღვრა. მონეტარული სისტემის შემოღება ლატვიაში მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, როგორიცაა მყარი ბიუჯეტი, ფასების რეგულირება და მათი შესაბამისობაში მოყვანა გლობალურ საბაზრო ფასებთან, წარმოების განვითარების დონის სტაბილიზება და ზრდის გარანტირება, სასესხო ურთიერთობების მოწესრიგება, უცხოური ინვესტიციების მოძიება, დაკავშირებული იყო შემდეგ გარემოებებთან:

- შეთანხმება უნდა მიღწეულიყო რუსეთის მთავრობასთან შიდა ვალის გაუქმებათან დაკავშირებით. ლატვიის „კრაჯბანკის“<sup>98</sup> 5 ბილიონი რუბლის ოდენობით ვალი წარმოადგენდა ახალი ვალუტის დესტაბილიზაციის მთავარ საფრთხეს. აღნიშნული ვალის გამოყენება

<sup>98</sup> რიგის რეგიონული სასამართლოს 2011 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით „LATVIJAS KRAJBANKA“ ბანკროტად გამოცხადდა, ხოლო გაკოტრების ადმინისტრატორი გახლდათ SIA „KPMG BALTICS“

პრივატიზაციის პროცესში იმგვარად მოხდებოდა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება განხორციელდებოდა ხელსაყრელი პირობებით. უნაღდო ანგარიშსწორება „კრაჯბანკში“ არსებულ სადეპოზიტო ანგარიშებზე ალტერნატიულ გამოსავალს წარმოადგენდა. შესაბამისად, „კრაჯბანკის“ ვალი გაუქმდა, იმგვარად რომ არ მომხდარა მისი ჩართვა ვალუტის მიმოქცევაში. შესაბამისად, მას არ ჰქონია გამანადგურებელი ძალა სამომხმარებლო საქონლის საბაზრო ფასებზე.

- პრივატიზაციის პროცესი უნდა დაწყებულიყო პერსონალური დანაზოგებისათვის (რუბლის ვალუტაში) განსაზღვრული თანხებით. პროცესის სტიმულირება კი უნდა მომხდარიყო ეროვნული ვალუტის შემოღებით.
- მაშინ, როდესაც ახლად წარმოქმნილმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა გარდაქმნეს უკვე არსებული საბჭოთა საბანკო ფილიალები სახელმწიფო სპეციალიზებულ ბანკებად, ლატვიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა სპეციალიზებული ბანკი (გარდა შემნახველი ბანკისა) მოეთავსებინა ლატვიის ბანკის ზედამხედველობისა და კონტროლქვეშ. ეროვნული ცენტრალური ბანკი უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად დამოუკიდებელი მთავრობისაგან და მისი პოლიტიკური ზეგავლენისაგან; რაც გულისმობდა იმას, რომ ემისიის ფუნქციის მქონე ბანკს არ უნდა მიღო მითითებები მთავრობისაგან, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით თანამდებობაზე დაენიშნა ან გაეთავისუფლებინა ცენტრალური ბანკის მოხელეები მისი დისკრეციის ფარგლებში. გათვალისწინებული იყო ლატვიის ბანკის ფილიალების პრივატიზება იმისათვის, რომ დაარსებულიყო ორ-საფუხუროვანი საბანკო სისტემა. ამგვარი სტრატეგია ლატვიის მთავრობას დაეხმარა უფრო მეტი ოფციები განეხილა, ვიდრე ბალტიისპირეთის მეზობლებს, რომელებიც სპეციალიზებულ ბანკებს აცალკევებდნენ. ლატვიის „კრაჯბანკის“ გაკოტრების საქმისწარმოების დასრულების შემდგომ, ფინანსური და კაპიტალური ბაზრის კომისიის გადაწყვეტილებით, ბანკი „ციტადელი“ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული კომპენსაციის გადახდის ვალდებულების მატარებელი გახდა. მთავრობამ მიჰყიდა 9 ფილიალი კერძო კომერციულ ბანკებს, ხოლო 15 ფილიალის კონსოლიდირება მოახდინა 8 ახალ კომერციულ ბანკში და 1993 წლის სექტემბერში, მან შექმნა 21 ფილიალის ერთობლიობა ერთ სახელმწიფო ბანკში - „ლატვიის უნივერსალურ ბანკში“ - „უნიბანკა“. „უნიბანკი“ იყო უფრო ჯანსაღ მდგომარეობაში, ვიდრე შემნახველი ბანკი, რადგან ეს უკანასკნელი დეპოზიტთა უმრავლესობას ინდივიდუალურ მენაბრეებზე გასცემდა. მენაბრეებმა დაკარგეს ნდობა საჯარო სექტორის მიმართ, განსაკუთრებით შემნახველი ბანკის მიმართ. 1994 დეკემბრიდან - 1995 წლის დეკემბრამდე, შემნახველ ბანკში არსებული დეპოზიტები დაეცა 17%-ით, სრული დეპოზიტების ოდენობა კი 13 %-ით.<sup>99</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ლატვიის რეპუბლიკის არცერთი ოფიციალური დოკუმენტი თუ ანგარიში სახელმწიფო ეკონომიკის შესახებ არ ეხება ანაბრების თემას.<sup>100</sup> ამრიგად, ლატვიის მთავრობამ გაყინულ საბჭოთა ანაბრებზე პასუხისმგებლობა არ აიღო და ყოფილი „გოსტსტრახის“ ლატვიელი მენაბრეებისათვის თანხის დარუნებაზე პასუხისმგებლად რუსეთი დაასახელა, როგორც „სბერბანკის“ ვალდებულებების მქონე პირი.

## ბელორუსია

ბელორუსიის სახელმწიფომ მოქალაქეთა საბჭოთა ანაბრები შიდა ვალად აღიარა, რომელიც 1991 წლის მდგომარეობით, 3,968,800,000 ევროს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ 1998-1999

<sup>99</sup> State owned banks in the Transition: Origins, Evolution and Policy Responses, by Khaled Sherif, Michael Borish and Alexandra Gross, Case Studies, Latvia: Restructuring and Privatizing Unibanka  
[http://lnweb90.worldbank.org/eca/eca.nsf/Attachments/State+Banks/\\$File/State+banks+Final-022803.pdf](http://lnweb90.worldbank.org/eca/eca.nsf/Attachments/State+Banks/$File/State+banks+Final-022803.pdf)

<sup>100</sup> ლატვიის ბანკის ვებ-გვერდი (ლატვიის ბანკის შესახებ სექცია (Bank of Latvia XC), სტატია ლატვიის ეკონომიკის განვითარება (“The Development of Latvia's Economy (1990–2004) მარტინს ბიტენისა და ვილნის პურვინსის ავტორობით. Latvia: The Transition to a Market Economy, A World Bank Country Study, Washington, 1993. - xvi–xvii; Change in Post-communist Countries. // The Baltic States after Independence. Cheltenham, UK, Northampton, MA, US: Edwar Elgar.

წლებში, ბელორუსიის მოქალაქეთა საბჭოთა კავშირის „სბერბანკში“ არსებული ანაბრების კომპენსირება განახორციელა რუსული რუბლის ეკვივალენტურად აშშ დოლარში, თუ საწყის ეტაპზე გაიცემოდა 10 000 საბჭოთა რუბლზე, (242 ევრო დაახლოებით) 500 აშშ დოლარი, ინფლაციის შემდეგ აღნიშნული თანხა თითქმის 22-ჯერ დაეცა.

ბელორუსიის სახელმწიფო ფინანსურად არ აღმოჩნდა მზად ამგვარი პასუხისმგებლობისათვის. ჯერ კიდევ 2012 წლის აპრილში, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა, გაზეთ „სავეცკაია ბელორუსიას“ მიერ ორგანიზებულ შოუში - „ევრო-რადიოს რეპორტები“ განაცხადა, რომ „ბელორუსია არ გეგმავს გადაიხადოს კომპენსაცია 1990 წლის საბანკო დეპოზიტების დასაბრუნებლად. აღნიშნული მოითხოვს დიდ ფინანსებს, რომელიც მთავრობას ამჟამად არ გააჩნია“.<sup>101</sup>

2013 წლის 27 მარტს, ბელორუსიის ფინანსთა მინისტრმა, გააკეთა განაცხადი, რომლის თანახმადაც, ბელორუსიის სახელმწიფოს არ აქვს რესურსები, რომელიც კერძო დანაზოგების ასანაზღაურებელ წყაროდ შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული. კერძოდ, იმ ანაბრების თანხის დასაბრუნებლად, რომელიც გაიყინა 1991 წელს სბერბანკში. ბელორუსიის ბანკის მცირე აქციონერებს განემარტათ, რომ „სახელმწიფოს არ აქვს რესურსები ამგვარი გიგანტური სამუშაოს შესარულებლად“.

ქვეყნის ექსპერტთა მოსაზრებით, 10 ტრილიონი ბელორუსიული რუბლი იქნება საჭირო გაყინული დეპოზიტების ასანაზღაურებლად. პროცესის მსვლელობისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის რისკები, რომელიც არსებობს ბელორუსიის ეკონომიკაში, კერძოდ საბჭოთა ანაბრის კომპენსაცია შესაძლოა გახდეს ეკონომიკის დესტაბილიზაციის ფაქტორი. ექსპერტთა განმარტებით, „ეს იქნება საფრთხე მაკრო-ეკონომიკური სტაბილურობისათვის, თუკი თანხა რომელიც დღეს არ გამომუშავებულა, სახელმწიფოს მიერ აღმოჩნდება ფიზიკური პირების ანგარიშებზე. ეს გამოიწვევს ინფლაციის მეორე რაუნდს და იმის გამოვლენას, რაც უკვე მოხდა ორი წლის წინ“. შესაბამისად, ექსპერტების ვარაუდით, შემდეგი ერთი ან ორი წლის განმავლობაში, ამგვარი თანხების კომპენსირება ვერ მოხდება.

ბელორუსიის ფინანსთა მინისტრმა გამორიცხა კომპენსაციის იდეა მოქალაქეებისათვის შესაბამისი საქონლის მიწოდებით და მხარი დაუჭირა ნაღდ, ფულად ანგარიშსწორებას. მისი განცხადებით, „საქონლით ანაზღაურება“ გააჩენს არაგეგმიური ხარჯვის პრობლემას.

ბელორუსიის მთავრობის განცხადებით, კომპენსაციას ესაჭიროება პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილება, რაც ჯერ არ მიღებულა სახელმწიფოს მიერ. ფინანსთა მინისტრის რეკომენდაციით, კომპენსაცია უნდა განხორციელდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კერძოდ ინდივიდუალური კატეგორიების განსაზღვრისა და რიგითობის დადგენის გარეშე.<sup>102</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბელორუსიის მთავრობამ საკითხის მოგვარებისათვის „სპეციალური სახელმწიფო ფონდის“ შექმნა დაისახა მიზნად, აღნიშნული ინსტიტუტი ჯერ არ ოპერირებს. პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების პრაქტიკის შესაბამისად, ფონდის დაფინანსების წყაროდ არამხოლოდ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული შემოსავალი განისაზღვრა, არამედ სახელმწიფო პრივატიზაციიდან ამონაგები შემოსავლის 50%.

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის განცხადებით, კომპენსაციის საკითხი დაკარგულ საბჭოურ ანაბრებთან დაკავშირებით არ უნდა დაიხუროს. აღნიშნული განცხადებით, ცალსახად განისაზღვრა

<sup>101</sup> „არავითარი იმედი არ არსებობს რომ „საბჭოთა“ ანაბარი დაბრუნდება“. წყარო: Sovetskaya Belorussia newspaper, Euroradio reports, KYIVPOST /04/04/2012/

სტატიის ელ-მისამართი: [http://naviny.by/rubrics/society/2012/04/04/ic\\_news\\_259\\_390558/](http://naviny.by/rubrics/society/2012/04/04/ic_news_259_390558/)

<sup>102</sup> ფინანსთა მინისტრის განცხადება: ბელორუსიას არ აქვს რესურსები რათა აანაზღაუროს საბჭოთა ანაბრები. წყარო: Interfax-Ukraine /27.03. 2013/

ბელორუსიის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დააბრუნოს ანაბრები, თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საკითხი, თუ როდის უნდა დაბრუნდეს საკომპენსაციო თანხა. ეროვნული ბანკის განცხადებით, პროცესი წელიწადში ერთხელ ხდება და ანაბრების თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს, თუნდაც შემდეგი 10 წლის განმავლობაში, თუკი ამას საჭიროება მოითხოვს. ასევე, ბელორუსიამ არ უნდა მიზამოს უკრაინას, რადგან უკრაინაში ამგვარი გადახდების შედეგად „უზარმაზარი ინფლაცია“ მოხდა. ამისათვის კი აუცილებელია გამიზნული პოლიტიკა და არა პოპულისტური გადაწყვეტილებების მიღება, რაც ხშირია წინასაარჩევნო კამპანიების წარმოებისას. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უნდა გამოიმუშავოს აღნიშნული თანხა და თუკი ვერ მოხდება ანაბრების გაყინული თანხის ანაზღაურება, მაშინ კომპენსირება უნდა განხორციელდეს.<sup>103</sup>

## მოლდოვა

2002 წლის 12 დეკემბერს, მოლდავეთის რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი No.1530, რომლითაც სახელმწიფომ საბჭოთა ანაბრები აღიარა შიდა ვალად და მიღებული კანონის მე-15 თავი დაეთმო ყოფილი საბჭოთა „სბერბანკის“ უფლებამონაცვე ბანკ „Banca de Economii SA“-ის მიერ მოლდოველი მენაბრეების მიერ შენახული ანაბრების ინდექსაციას.

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებას იმ მოქალაქეთა წინაშე, რომელთაც ანგარიში ჰქონდათ „Banca de Economii SA“ 1992 წლის 2 იანვრის მდგომარეობით და ადგენს ინდექსაციის ძირითად პრინციპებს, რაოდენობას და გადახდის პროცედურას. იმისათვის, რათა მომხდარიყო აღნიშნული კანონის იმპლემენტაცია, მოლდავეთის რესპუბლიკის მთავრობამ 2003 წლის 20 თებერვალს მიიღო No.179 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავდა ინდექსირებული თანხის გადახდის პროცედურას. ამავე დროს, ადგენდა წესებს ინდექსაციაზე ანაბრებისათვის, რომელიც ბანკში ინახებოდა.

აღნიშნული ნორმატიული აქტების კონტექტში, ინდექსირებული ანაბრების თანხის დაბრუნება ხდება შემდეგი ორი ეტაპის მიხედვით:

1. ინდექსირებული თანხის დაბრუნება 1 რუბლთან შესაბამისობით: მეანაბრის ყოველი ანგარიშის კუმულაციურ ბალანსზე რიცხული 1 000 რუბლისათვის 1 ლეუს გადახდა.
2. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, ანუ ძირითადი თანხის გადახდის შემდეგ, ინდექსირებული თანხა ბრუნდება 2,5 რუბლის ეკვივალენტურიად;

1 ლეუ უნდა იქნას გადახდილი იმ ბალანსისათვის, რომელიც აჭარბებს 1 000 რუბლს ერთ მეანაბრეზე. 2009 წლის 10 თებერვალს, მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება No.112, რომელიც ეხებოდა მეორე ეტაპის დასრულებისათვის მზადებას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ ბანკს არ აქვს და არ შეუძლია წარმოადგინოს ოფიციალური მონაცემები ქვეყანაში მეანაბრეთა რაოდენობაზე და გამოყენებითი მეთოდი თანხის ინდექსაციაზე.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მიხედვით, ანაბრების საკითხის ინდექსაცია ფინანსთა სამინისტროს, „Banca de Economii SA“, ცენტრალური და რეგიონალური კომიტეტის კომპეტენციაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან, მოლდავეთში საბჭოთა ანაბრების დაბრუნება არ წარმოადგენს პოლიტიკურ-სამართლებრივ ან სოციალური მნიშვნელობის მოვლენას, რაც აისახება საკითხის მოგვარების ტემპზეც. სავარაუდოა, რომ აღნიშნული პრობლემა მომავალი 10-15 წლის განმავლობაში, კვლავ სახელმწიფოს დღის წესრიგში დარჩება.

<sup>103</sup> წყარო: Naviny.by

## ყაზახეთი

ყაზახეთის სახელმწიფომ საბჭოთა ანაბრები შიდა ვალში არ აღიარა, თუმცა კომპენსაციების ნაწილში ხელისუფლებამ კეთილი ნება გამოამჟღავნა. ყაზახეთში, საბჭოთა ანაბრების გაცემის პირველი შემთხვევები, 1996 წლიდან ფიქსირდება. 1996-1997 წლებში, ამგვარი ანაზღაურების შემთხვევები, მხოლოდ შეზღუდულ პირთა ჯგუფს მოიცავდა. კერძოდ, 60 წელს გადაცილებულ პენსიონერ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და დიდი სამამულო ომის მონაწილე დამავებულ პირებს 1996 წლის 1 იანვრის ჩათვლით. ამ პირთა ჯგუფებზე, თანხის კომპენსაციის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა პრეზიდენტის ბრძანებულება.

საბჭოთა ანაბრების კომპენსაციის დაწყების ოფიციალურ წლად კი 2002 წელი უნდა ჩაითვალოს. BBC-ის საერთაშორისო ანგარიშების მონიტორინგის ინფორმაციით,<sup>104</sup> ყაზახეთის მთავრობამ და პრეზიდენტმა 2002 წლის 7 აგვისტოს გაავრცელა განცხადება, რომ ყაზახეთი ანაზღაურებს ყოფილ საბჭოთა შემნახველ ბანკში ყაზახ მოქალაქეთა ანაბრების თანხას. პრეზიდენტის განცხადებით, საბჭოთა კავშირის დაშლამ ანაბრების დაკარგვა განაპირობა, ხოლო ყაზახეთი, როგორც ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკა, არ არის პასუხისმგებელი და არც შეიძლება მოახრებულ იქნას საბჭოთა კავშირის უფლებამემკვიდრედ აღებული ვალის ნაწილში.

შესაბამისად, ყაზახეთის სტრატეგია გულისხმობდა საბჭოთა ანაბრების თანხის შიდა ვალად აღიარებას, გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას (კურსით 100 დოლარი ყოველ 15 ათას რუსულ მანეთში<sup>105</sup>) და საბჭოთა მეანაბრეებისათვის ფულადი ანაზღაურების ნაცვლად, ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების მინიჭებას. სახელმწიფო ობლიგაციის განაღდების ვადა შრომისუნარიანი მოქალაქეებისათვის 15-20 წლით განისაზღვრა, მაშინ როდესაც პენსიონერებისათვის 5-10 წლამდე პერიოდი დადგინდა. ათვლის წერტილად კი მიჩნეულ იქნა სახელმწიფო ობლიგაციების გაცემის თარიღი.

გარდა მოსახლეობის კატეგორიებად დაყოფისა, ყაზახეთის მთავრობას პრეზიდენტმა განუსაზღვრა შესაბამისი ვადები:

- 2003 წელს - უნდა ანაზღაურებულიყო იმ მოქალაქეთა ანაბრები, რომელნიც 1936-1940 წლებში დაიბადნენ.
- 2004 წელს - უნდა ანაზღაურებულიყო იმ მოქალაქეთა ანაბრები, რომელნიც 1941-1960 წლებში დაიბადნენ.
- 2005 წელს - უნდა ანაზღაურებულიყო იმ მოქალაქეთა ანაბრები, რომელნიც 1961-1991 წლებში დაიბადნენ.

გადახადები უნდა განხორციელებულიყო მემკვიდრეობით მიღებული ანაბრების თანხის გათვალისწინებით, გარდა იმ პირებისა, რომელთაც დატოვეს ყაზახეთი.

მნიშვნელოვანია, რომ ყაზახეთი, ლიტვის სახელმწიფოსთან ერთად, 14 პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთია, რომელმაც საბჭოთა მეანაბრეებისათვის კომპენსაციების გაცემის პროცესი დაასრულა. საბჭოთა ანაბრების დაბრუნება არამხოლოდ სოციალურ პრობლემებს აგვარებს სახელმწიფოში, არამედ ამაღლებს ხალხის ნდობას რესპუბლიკისა და ქვეყნის ფინანსური სექტორის მიმართ.

<sup>104</sup> Kazakh government to pay people compensation for lost deposits in Soviet banks.

Asia Africa Intelligence Wire | August 07, 2002 | (From BBC Monitoring International Reports)

ვებ-გვერდი: [http://www.accessmylibrary.com/coms2/summary\\_0286-10008219\\_ITM](http://www.accessmylibrary.com/coms2/summary_0286-10008219_ITM) წყარო: Interfax-Kazakhstan news agency, Almaty, in Russian 0850 gmt 7 Aug 02 [c] BBC Monitoring

<sup>105</sup> ყოველ 15 000 საბჭოთა რუბლზე გაიცა 100 \$ ეკვივალენტური სახელმწიფო ობლიგაცია

## ყირგიზეთი

ყირგიზეთში<sup>106</sup> საბანკო სისტემის რეფორმა 1991 წლის ივნისში დაიწყო, როდესაც ძალაში შევიდა კანონი „სახელმწიფო ბანკის შესახებ“ და კანონი „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“. საკანონმდებლო სფეროში, ამ ორი კანონის შემოღებით დამკვიდრდა ორ-დონიანი საბანკო ინსტიტუტების სისტემა. სახელმწიფო საბჭოთა ბანკი გარდაიქმნა ყირგიზეთის ეროვნულ ბანკად, რომელზეც კონტროლი პარლამენტმა მოიპოვა. ორ-დონიანი საბანკო სექტორი ფუნქციონირებს ორ სამართლებრივ აქტზე დაყრდნობით, კერძოდ კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“ და კანონი „კომერციული საბანკო საქმიანობის შესახებ“. ეროვნული ვალუტა შემოღებულ იქნა 1993 წელს. 1994 წლისათვის ყირგიზეთში ფუნქციონირებდა 20-მდე ბანკი სააქციო საზოგადოებების ფორმით, რომელშიც შედიოდა 3 უდიდესი სახელმწიფო ბანკი, რომელიც თავის მხრივ, ყოფილი სახელმწიფო ბანკების უფლებამემკვიდრე გახლდათ. აღნიშნული ბანკებია: ყირგიზეთის კომერციული სასოფლო სამეურნეო-ინდუსტრიული ბანკი (ყირგიზაგრონომბანკი), ყირგიზეთის კომერციული ინდუსტრიულ-სამშენებლო ბანკი (ყირგიზპრომსტროიბანკი), AKB Kyrgystan - რომელიც, ძირითადად აფინანსებდა ელექტრო-ენერგიასა და წარმოების მრეწველობას. მეოთხე უდიდესი ბანკი უნდა შექმნილიყო ყოფილი შემნახველი ინსტიტუტების (ე.წ. „სბერგკასი“) ბაზაზე. მას ჰქონდა ყველაზე დიდი რაოდენობის, 54 ფილიალი ყაზახეთში, თუმცა 1994 წელს, ცენტრალურმა ბანკისაგან მან ვერ მიიღო კომერციული ბანკის სტატუსის დადასტურება. მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ბანკი დამოკიდებული იყო რუსეთისაგან სახსრების მიღებაზე საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ფაზაში. იმ დროისათვის, იგი ფლობდა კერძო პირთა დანაზოგების 85%-ს, რაც იმავდროულად შეადგენდა ყველა დეპოზიტის საერთო ღირებულების მხოლოდ 15%-ს საბანკო სისტემაში (ფიზიკური პირებისა და საწარმოების დანაზოგების ჩათვლით).

მიუხედავად იმისა, რომ 1995 წელს ყირგიზეთის პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოური სავალუტო ოპერაციების შესახებ“, რომელმაც ეროვნული და უცხოური ბანკები რესპუბლიკის ფინანსურ ბაზრებზე თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა, ამავე წლის ივნისში, ბაზელის ბიუჯეტის შესაბამისობაზე სტანდარტების („The Basel Standards on Capital Adequacy“) დამკვიდრება მოხდა, 1996 წლის ივნისში<sup>107</sup> კი ყოვლისმომცველი ფინანსური სექტორის რეფორმის პროგრამამ მხარი დაუჭირა ფინანსური სექტორისათვის საკრედიტო რეგულირების (FINSAC) ინიციატივას, ინდივიდუალური საბანკო შემნახველი ანაბრების პრობლემა კვლავ გადაუჭრელ საკითხად დარჩა. როდესაც საბჭოთა კავშირის საბანკო სისტემამ კოლაფსი განიცადა, შემნახველი ანაბრები გაიყინა და ამგვარი თანხების გადახდამ სტარტი მხოლოდ 1996 წლიდან აიღო. 1992 წლის შემდეგ, ინფლაციის შედეგად, ანაბრების გაუფასურებამ მოსახლეობის ნდობისა და ინტერესის დაკარგვა გამოიწვია (გასაცემი თანხის სიმცირის გამო), თუმცა 1997 წელს, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება აენაზღაურება გაუფასურებული დეპოზიტები. საწყის ეტაპზე, მთავრობამ დაიწყო მოთხოვნათა დარეგისტრირება. 1998 წელს დაიწყო კომპენსირება, რა დროსაც პრიორიტეტულად დააკმაყოფილა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები და ხანდაზმული მენაბარეები. მცირე საბიუჯეტო რესურსები აყოვნებდა კომპენსაციის ტემპს, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2003 წლისათვის. ამჟამინდელი ოფიციალური მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაკმაყოფილებულია 230 მილიონი მეანაბრე.

1998 წელს, ყირგიზეთის საბანკო სისტემა მნიშვნელოვნად დაზარალდა რუსული კრიზისის მიერ. სამი უდიდესი ბანკის შერწყმა და გარდაქმნა მოხდა „ყაირათ“ ბანკად, რომელმაც თავის მხრივ განიცადა რეკაპიტალიზირება მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი გარანტიით, მაშინ როდესაც, მისი ლიკვიდური

<sup>106</sup> IBSU International Refereed Multi-disciplinary Scientific Journal, Banking system in Kyrgyz Republic, Luftu Sagbansua, #1, 2006

<sup>107</sup> ამგვარი სტანდარტების დამკვიდრება მიზნად ისახავდა მინიმალური ავტორიზებული კაპიტალის გაზრდას 6 მილიონ აშშ. დოლარამდე ახლად გახსნილი ბანკებისათვის. არსებულ ბანკებს უნდა გაეზარდათ მათი კაპიტალი 50 მილიონ აშშ. დოლარამდე 200 წლის ივლისამდე, ხოლო 2001 წლის ივლისისათვის კვლავ 100 მილიონი აშშ. დოლარით.

აქტივი გადაეცა „დებრას“ - ახლად დაფუძნებულ სამთავრობო სესხების შემგროვებელ სააგენტოს. მთავრობამ მასობრივი პოლიტიკური პროტესტის შემდეგ გადაწყვიტა შეექმნა ანაზღაურების პაკეტი ყოფილი საბჭოთა შემნახველი ბანკის მეანაბრეებისათვის.

სრული თანხის დაანგარიშება სირთულესთან აღმოჩნდა დაკავშირებული, თუმცა, როგორც რეგისტრაციის პროცესმა აჩვენა, იგი ხვდება 500 მილიონიდან 1 ბილიონამდე სომის შუალედში, ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთით 10-დან 20 მილიონამდე სომიდ ოდრნობით, რომელიც თავის მხრივ შეადგენს მშპ-ს 1 პროცენტის 1/2-ს. მაქსიმალური ოდენობის დაანგარიშების შემთხვევაში, დეპოზიტართა ოდენობა შეადგენს 170 000-ს, ხოლო საშუალოდ გადასახდელი თანხა 5 900 სომს ანუ 125 აშშ დოლარს. აღნიშნული დაანგარიშება მოიცავს კომპენსაციას (10 000 სომის ოდენობით, რაც შეადგენს 210 აშშ დოლარს) ინდივიდუალური მეანაბრესათვის, რომელსაც ანგარიში სამივე კომერციულ ბანკში ჰქონდა და იგი სულ შეადგენდა, დაახლოებით, 40 მილიონ სომს. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, 2003 წლის ჩათვლით, მეანაბრეებს მიენიჭათ უფლება წარმოედგინათ მოთხოვნები. შემდეგ მთავრობა გასცემდა მეანაბრეებზე 7 წლიან რეალიზებად ობლიგაციას 2%-იანი განაკვეთით. აღნიშნული წარმოადგენდა შესაძლებლობას მეანაბრესათვის, რომელსაც ფული ერჩივნა, ვიდრე ფასიანი ქაღალდი, ბაზარზე მოლაპარაკების შედეგად გაეყიდათ ობლიგაცია. მყიდველი კი სავარაუდოა, რომ ისევ კომერციული ბანკები იქნებოდნენ, იმის გათვალისწინებით, რომ შეზღუდული დაბალი რისკის მატარებელი ობლიგაცია იყო გაცემული, რომელსაც რეალურად ისინი არა მეანაბრისაგან, არამედ სახელმწიფოსაგან იძენდნენ და რაც მთავარია, ხელსაყრელ ფასად.<sup>108</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ყირგიზეთის მთავრობის პოზიცია ცალსახაა, იგი ანაზღაურებს საბჭოთა ანაბრებს, თანხის ძირითადი ნაწილი დაიფარა 2003 წელს. 2003 წლიდან გასაცემი კომპენსაციის ოდენობა უფრო მეტად შემცირდა, რამაც მოქალაქეების სოციალური თუ ეკონომიკური ინტერესის დაკარგვა გამოიწვია. სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილებების მიღება და პროცესის გაჭიანურება 2003 წლიდან დაიწყო და სავარაუდოა, რომ აღნიშნული საკითხი შემდეგი 15-20 წლის განმავლობაში დარჩება რესპუბლიკის მთავრობის დღის წესრიგშიც, რადგანაც, როგორც ქვეყნის ეკონომისტები და ფინანსისტები მიუთითებენ, ანაბრების გაცემის პროცესი სტატიკურ მდგომარეობაშია და საბიუჯეტო კრიზისის გამო, პოზიტიური განვითარებაზე ფიქრი ნაადრევია.

## უკრაინა

უკრაინის სახელმწიფომ საკუთარი მოქალაქეების წინაშე, რომელებიც საბჭოთა კავშირის „სბერბანკის“ მეანაბრეებს წარმოადგენენ, ანაბრეებზე 121,9 მილიარდი გრივნის ოდენობით აიღო პასუხისმგებლობა, რა მიზნითაც, ფუნქციის განხორციელება დაიწყო „ოშხადბანკმა“ (ყოფილი საბჭოთა კავშირის „სბერნაკის“ უკრაინის რესპუბლიკის ბანკის სამართალმემკვიდრე). 1997 წელს, უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო კანონი „უკრაინის მოქალაქეებისათვის დანაზოგების აღდგენის სახელმწიფო გარანტიების შესახებ“. სწორედ ამ კანონის ძალაში შესვლიდან აითვლება ანაბრების კომპენსაციის დაწყება სახელმწიფოში. გაცემული ანაბრის თანხის მაქსიმალური ოდენობა თითოეულ მეანაბრეზე წარმოადგენდა 1 000 გრივნას ანუ დაახლოებით 94 ევროს, მაშინ როდესაც გარდაცვლილი მეანაბრის მემკვიდრეზე გაიცემოდა მხოლოდ 5 000 გრივნა ანუ დაახლოებით 47 ევრო.

2000 წლის 14 ნოემბერს, რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკმა ხელი მოაწერა პროტოკოლს უკრაინის ექსპორტ-იმპორტის ბანკთან, რომლის თანახმად, რუსული მხარე გადაიხდიდა დარჩენილი ანაბრების ოდენობას უკრაინელი მოქალაქეებისათვის. უკრაინელი მოქალაქეების ანაბრები ყოფილ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკში უტოლდებოდა 20.2 მილიონ აშშ. დოლარს. 1997-1999 წლებში, რუსეთმა გადაიხადა 10 მილიონი აშშ დოლარი, მაგრამ შეაჩერა გადახდები 1999 წლის აგვისტოში,

<sup>108</sup> International Monetary Fund, Staff Country Reports, July, 2003 IMF Country Report No.03/216

მიუხედავად იმ შეთანხმებისა, რაც არსებობდა ორი ქვეყნის მთავრობებს შორის გადასახდელ დარჩენილ დამატებით 10 მილიონ აშშ დოლარზე.

როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის ხელმძღვანელმა განაცხადა<sup>109</sup> ამგვარი გადახდები შეჩერდა, რადგან პრობლემები წარმოიშვა უკრაინის მიერ ნულოვანი შეთანხმების (ინგ. "zero option" agreement) რატიფიცირების შედეგად. უკრაინის პარლამენტი უარს ამბობდა მიეღო აღნიშნული შეთანხმება რამოდენიმე წლის განმავლობაში. გადაწყვეტილება ანაბრების აღდგენასთან დაკავშირებით მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა - ვლადიმერ პუტინმა და უკრაინის პრეზიდენტმა - ლეონიდ კუჩმამ, სოჭში გამართული შეხვედრის შედეგად.

ბანკთაშორისი შეთანხმება რეალურად მოლაპარაკებების ნაწილი იყო. უკრაინული ექსპორტ-იმპორტის ბანკის (რომელიც იღებს მოთხოვნებს თუ საჩივრებს უკრაინელი მოქალაქეებისაგან და აგზავნის მათ მოსკოვში<sup>110</sup>), ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკმა შეაჩერა გადახდები, მოთხოვნები გაუტოლდა 4.9 მილიონ აშშ დოლარს. ექსპორტ-იმპორტის ბანკი წარმოადგენს უკრაინული მთავრობის აგენტს უკრაინელ მოქალაქეთა გაყვნილი დეპოზიტების დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკი წარმოადგენს რუსეთის მთავრობის აგენტს.

1997 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, გაცემული კომპენსაციის 60% 2008 წელზე მოდის. 2009 წელს, უკრაინულმა გრივანამ დევეალუაცია განიცადა 90%-ით კომპენსაციის მასობრივი გაცემის შედეგად. სწორედ ამ მიზეზით, 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტმა საკომპენსაციო თანხები არ გაითვალისწინა. 2012 წლის მდგომარეობით, უკრაინის „საბჭოთა ანაბრების მფლობელთა სახელმწიფო რეესტრში“ 12 მილიონი მენაბრე ირიცხებოდა. ქვეყანამ ანაბრების გაცემის მოდელი ჯერ კიდევ 1996 წლიდან შეიმუშავა, რა დროსაც, 1 რუსული რუბლი 1 უკრაინულ გრივანში გადაიანგარიშეს, თუმცა აღნიშნულ დაანგარიშებას ჰქონდა ერთი დათქმაც, რომლის მიხედვითაც, ერთ მენაბრეზე, მაქსიმუმ, 1 000 გრივნის ოდენობის თანხას გასცემდნენ. თუ მოქალაქეს საბჭოთა ანაბარზე 1 000 გრივანზე მეტი ჰქონდა, კომპენსაციას მაინც 1 000 გრივნის ოდენობით მიიღებდა. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ანაბრების თანხა ქვეყანამ, ძირითადად, 2007-2008 წლებში გასცა, რომელიც პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსა და პრემიერ იულია ტიმოშენკოს მმართველობას დაემთხვა. უკრაინამ სწორედ ამ პერიოდში დაადგინა, რომ 12 000 000 მენაბრე ჰყავდა. ამიტომაც, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ პირველ ეტაპზე, პირველ 6 000 000 მოქალაქეს აუნაზღაურებოდა ზარალი. საამისოდ, ბიუჯეტში გამოიყო 6 მილიარდი გრივნა, ერთბაშად დაწყებულმა პროცესმა კი ქვეყნის ეკონომიკა ინფლაციამე მიიყვანა. შედეგად, უკრაინაში, 2009 წელს, ეროვნული გრივნა 90% პროცენტით გაუფასურდა.

2012 წლის 7 მარტს, უკრაინის ეროვნული ბანკმა (შემოკლებით, NBU) უკრაინის პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, 2012 წლის 1 ივნისიდან მიიღო გადაწყვეტილება განეახლებინა პროცესი ყოფილი „საბჭოთა სბერბანკის“ მენაბრეებთან დაკავშირებით. 3 მილიონმა მოქალაქემ, რომელთაც მოითხოვეს კომპენსაცია „სბერბანკის“ მხრიდან (და რომელებიც წინა წლებში, ამას აბსოლუტურად უშედეგოდ ითხოვდნენ) მიიღეს კომპენსაცია. 2012 წლის 7 მარტს, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა მინისტრთა კაბინეტს დაავალა, რომ ივნის-დეკემბრის პერიოდში, ყოველ მენაბრეზე გაეცა 1,000 უკრაინული გრივნა სბერბანკის ყოფილ მენაბრეებზე, როგორც გაუფასურებული ანაბრების კომპენსაცია. 2012 წლის აპრილში, „ეროვნული ბიუჯეტის შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილებაც, რომლითაც ამ ინიციატივისათვის, ბიუჯეტიდან გამოიყო 6,15 ბილიონი გრივნა.

2012 წლის 26 დეკემბერს, მინისტრთა კაბინეტის საჯარო მომლაპარაკებლების განყოფილების ცნობით, 2013 წელს კომპენსაციის გადახდა უნდა გაგრძელებულიყო. 2012 წლის მარტში, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა დაავალა მთავრობას, გადაეხადა კომპენსაცია 2012 წლის ივნის-

<sup>109</sup> წყარო: „უკრაინულ ნიუსი“

<sup>110</sup> წყარო: „უკრაინულ ნიუსი“

დეკემბრის თვეში იმ დეპოზიტორებისათვის, რომლებიც გატარდნენ სპეციალურ რეესტრში 2012 წლის 1 იანვრამდე. მთავრობამ ამ მიზნისათვის, გამოყო 6 ბილიონი გრივნა.<sup>111</sup> აღნიშნული განცხადება უკრაინაში შეფასდა, როგორც „PR მანევრი“. კიევის საინვესტიციო ბანკმა „კონკორდ კაპიტალმა“ (Kyiv investment bank Concorde Capital) კლიენტებს დაუზღავნა ელ-ფოსტა და ოფიციალურ ვებ-გვერდზეც განათავსა, რომ პრემიერ მინისტრის განცხადებებს იგი ეჭვქვეშ აყენებდა.

ანალიტიკოსი ალექსანდრე პარაშის განცხადებით: „2013 წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტი არ გამოყოფს რაიმე სახის სახსრებს კომპენსაციისათვის, თუნდაც იმავე მოცემულობით, რომელიც მას ამჟამად გააჩნია. ბიუჯეტი იქნება ძნელად მოსაწონი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. „ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მესიჯი, როგორც „პიარ მანევრი“, უკრაინელ მოსახლეობას აძლევს დანაპირებს ყოველგვარი წინასწარი გახარჯვის გეგმის გარეშე, განსხვავებით 2012 წლისაგან, როდესაც კომპენსაციას ჰქონდა პოლიტიკური მოტივაცია (ოქტომბრის არჩევნების გათვალისწინებით), არ არსებობს კრიტიკული საჭიროება, თუ რატომ უნდა აღადგინოს მთავრობამ ამ ტიპის დანახარჯის გაცემა“.

2012 წლის აგვისტოს თვეში, პარლამენტარ ოლესეი პლოტნიკოვის<sup>112</sup> განცხადებით, საბჭოთა შემნახველ ბანკში არსებული ანაბრების დროული გადახდა წარმოადგენს დასტურს პრეზიდენტის სოციალური ინიციატივების განხორციელებისა. „აგვისტოს დასაწყისამდე, კომპენსაციის გადახდის 2 თვის განმავლობაში, 2.1 მილიონმა პოსტ-საბჭოთა შემნახველი ბანკის დეპოზიტარმა უკვე მიიღო კომპენსაცია 2 ბილიონი უკრაინული გრივნის ოდენობით. ეს ადასტურებს, რომ პრეზიდენტის სოციალური ინიციატივების განხორციელება ხდება“.

„ოშხადბანკმა“ სსრკ-ს შემნახველი ბანკის დეპოზიტორებისათვის ანაბრების კომპენსაცია 2012 წლის 1 ივნისს დაიწყო. „ოშხადბანკი“, რომელიც იხდის ამ თანხებს ეფექტურად მუშაობს, ისევე, როგორც სახელმწიფო, რომელმაც განახარციელა თავისი ვალდებულებები ანაბრების საკითხთან დაკავშირებით და აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. 2 თვის მანძილზე, ამ ოდენობის თანხის გაცემის ფაქტი წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ ყველა მოქალაქე მიიღებს ამ თანხას“.<sup>113</sup>

ამავე პერიოდში, უკრაინის საკანონმდებლო ორგანოს – რადას სურდა ნებართვის მოპოვება, რათა აღედგინა პოსტ-საბჭოთა ანაბრები უნაღდო ანგარიშსწორების გზით.<sup>114</sup> კერძოდ, უკრაინის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი (No.10355), მთავრობის მხრიდან წარმოდგენილ ცვლილებებზე კანონში, რომელიც ადგენს უკრაინელი მოქალაქეებისათვის საბჭოთა ანაბრის აღდგენას „სბერბანკსა“ და „უკრგოსსტახში“, მხედველობაში იღებს რა გადახდას არამხოლოდ ნაღდი, არამედ უნაღდო ანგარიშსწორების გზითაც. 2012 წლის 17 მაისს, 237-მა პარლამენტის წევრმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს პირველი მოსმენით. ფინანსთა მინისტრის მოადგილის სერჰი რიბაკის (Serhiy Rybak) განცხადებით, ამ დოკუმენტის მიღება უზრუნველყოფს გაგრძელდეს ანაბრების დაბრუნება და მათი ანაზღაურება. კანონპროექტი, ასევე მინისტრთა კაბინეტს აღჭურავს უფლებამოსილებით, რათა მან განსაზღვროს პროცედურა ანაბრების თანხის დაბრუნებისათვის და შესაძლებლობით, რომ ანაბრების გაცემა მოხდეს გარდაცვლილი დაზღვეული პირის ნათესავების დაკრძალვისათვის.

დოკუმენტი მიუთითებს, რომ გადახდები განხორციელდება მეანაბრე მოქალაქეთა რეესტრის საფუძველზე. ყველა ცვლილებასთან ერთად, გადახდის წყაროების სიიდან გამოირიცხება უკრაინის ეროვნული ბანკის (NBU) ოფიციალური სარეზერვო ფონდებიდან თანხის გადარიცხვა, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, როგორიცაა მეანაბრეთა ასაკი (რიგითობის განსაზღვრისას), უარის განცხადება

<sup>111</sup> წყარო: Interfax.com.ua

<sup>112</sup> the MP, member of the Party of Regions parliamentary faction, member of the Verkhovna Rada Committee on Economic Policy

<sup>113</sup> წყარო: Party of regions

<sup>114</sup> წყარო: Interfax-Ukraine, 2012 წლის 12 მაისი

კომპენსაციის მოწოდების დაბრუნებაზე და შემცირება სახელმწიფოს საბჭოური პერიოდის ფასიან ქაღალდებზე, რომელნიც გაიყიდა სბერბანკის გავლით უკრაინის ტერიტორიაზე. მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ დათანხმდა ჩაეტარებინა ანაბრების ინდექსაცია.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, მოქალაქეთა ანაბრების რეესტრი ასევე შეიცავდა მონაცემებს, დაახლოებით, 11.8 მილიონი უკრაინელი მოქალაქისათვის განუხორციელებელი ანაბრების თანხის გადახდის შესახებ. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ აღსადგენი თანხა შეადგენდა 49.8 ბილიონ გრივნას. 6.4 მილიონმა ადამიანმა მიიღო 1 000 გრივნა 2008 წელს (სულ ოდენობა შეადგენდა 5.8 ბილიონ გრივნას). წინასწარ დაანგარიშებული ოდენობა მეანაბრებისა, რომელნიც მიმართავენ „ოშხადბანკს“, რათა მიიღონ ანაზღაურება იმ ანაბრებზე, რომელიც გაიხსნა 1992 წლის 2 იანვრამდე საბჭოთა „სბერბანკში“, სულ 6 მილიონ ადამიანს შეადგენდა, რაც გულისმობს 50 ბილიონი გრივნის გაცემის ვალდებულებას.

„ოშხადბანკმა“, რომელიც უკრაინაში საბჭოთა „სბერბანკის“ სამართალმემკვიდრეა, მხოლოდ 2 გადახდის ტრანში განახორციელა: 2008 წელს დეპოზიტორებმა მიიღეს 1 000 გრივნა თითო ადამიანზე, რომელიც გამოითვლებოდა ფორმულით 1 პრე-რეფორმირებული რუბლი = 1 გრივნა. მეორე ტრანში განხორციელდა 2012 წლის 1 ივნისს, 1 000 გრივნა გადაუხადეს თითო დეპოზიტორს. 2008 წელს 1 000 გრივნა უტოლდებოდა 200 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც, 2012 წელს, იგი მხოლოდ 120 აშშ დოლარს გაუტოლდა. დღეს უკრაინულ ბანკებს მიაჩნიათ, რომ ძველი დეპოზიტები გადახდილი მხოლოდ რუსეთის მიერ უნდა იქნას.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა მთავრობას დაავალა გააგრძელოს გადახდები უნაღდო ანგარიშსწორების გზით 2013-2015 წლებში. ქვეყანაში ანაბრების გაცემაზე პასუხისმგებელ ბანკს წარმოადგენს „ოშხადბანკი“, რომელიც გასცემს ანაბრების თანხას საბანკო ბარათებზე დარიცხვის გზით, რომელთა მოქმედების ვადა სამი წელია და გამოიყენება ნებისმიერი საბანკო ოპერაციის შესრულებისას. პრეზიდენტის დავალებით, ანაბარზე კონპენსირების თანხები უნდა მიიღოს იმ მოქალაქეებმა, რომლებმაც ვერ მიიღეს 2007-2008 წლებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ 1996 წელს 1 000 უკრაინული გრივნა 568 აშშ დოლარის ექვივალენტი იყო, 2008 წელს 1 000 გრივნა 198 აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო 2012 წლიდან 1 000 გრივნა მხოლოდ 125 აშშ დოლარს შეადგენს.

## რუსეთი

რუსეთში „სბერბანკის“ მეანაბრეთა დაკმაყოფილების პროცესი 1995 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ ანაბარი შიდა ვალად აღიარა. მნიშვნელოვანია, რომ განსხვავებით სხვა პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებისაგან, რომელთაც წინასწარ განსაზღვრეს კომპენსაციის პროცედურა შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციამ კომპენსაციისათვის განსაზღვრა სამი ძირითადი პირობა: ა) ანაზღაურებას დაუქვემდებარა 1991 წლის 20 ივნისის მდგომარეობით „სბერბანკში“ არსებული საბჭოთა ანაბარი; ბ) 1945 წლამდე დაბადებული პირებისათვის ანაბრის დაბრუნებას ახორციელებდა სამმაგი ოდენობით, ხოლო 1946-1991 წლებში დაბადებული პირებისათვის ორმაგი ოდენობით. გ) რიგ შემთხვევებში, გამოიყენა ე.წ. დამადაბლებელი კოეფიციენტი ანუ განაკვეთი დამოკიდებული გახდა მეანაბრის მიერ ანაბრის დახურვის თარიღზე (წელიწადზე):

- თუ მეანაბრის მიერ ანაბარი დაიხურა 1992 წელს დააგარიშება ხდებოდა 0,6 კოეფიციენტით;
- თუ მეანაბრის მიერ ანაბარი დაიხურა 1993 წელს დააგარიშება ხდებოდა 0,7 კოეფიციენტით;
- თუ მეანაბრის მიერ ანაბარი დაიხურა 1994 წელს დააგარიშება ხდებოდა 0,8 კოეფიციენტით;
- თუ მეანაბრის მიერ ანაბარი დაიხურა 1995 წელს დააგარიშება ხდებოდა 0,9 კოეფიციენტით;
- თუ ანაბარი მეანაბრემ დახურა 1995 წლის შემდეგ, ან არ არის დახურული, მაშინ დაანგარიშება ხდება 1 კოეფიციენტით.

რუსეთმა, თავდაპირველად მოახდინა 1916 წლამდე დაბადებული მეანაბრეების დაკმაყოფილება, მეორე ეტაპზე კი 1996 წლის შემდეგ დაბადებულ პირებზე დაიწყო თანხის ანაზღაურება. 2010 წლიდან, კომპენსაციის მიღების უფლება, 1991 წელს დაბადებულმა მეანაბრეებმაც მიიღეს. ჯერ კიდევ 2003 წელს არსებობდა პესიმიზმი იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ვერასდროს შეძლებდა ანაბრების დაბრუნებას.<sup>115</sup> საკითხი გაუფასურებულ ანაბრებთან დაკავშირებით აქტუალური გახდა 1991 წელს რეიზახის საქმესთან<sup>116</sup> დაკავშირებით. ანა რეიზახს ბელგოროდის ოლქიდან 11,674 რუბლი ჰქონდა დეპოზიტზე „სბერბანკში“. საქმის არსებითად გადაწყვეტას 6 წელი დასჭირდა, რათა სამთავრობო სტრუქტურებს აენაზღაურებინათ მისთვის თანხა, თუმცა ამოდ. მოქალაქემ უჩივლა „სბერბანკსა“ და სახელმწიფოს. 4 წლის სასამართლო პროცესები უშედეგოდ მიმდინარეობდა. ანა რეიზახმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ათი თვის შემდეგ, სტრასბურგის მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, რომ რუსეთის ფედერაციის სახაზინო ვალდებული იყო რომ თანხა გადაეხადა მოსარჩელისათვის. რუსეთის ხელისუფლებას ჰქონდა მხოლოდ ერთი გზა – დამორჩილებოდა ევროპის სასამართლოს. 330 000 რუბლი საკმარისი აღმოჩნდა მოსარჩელისათვის, რათა მას ეყიდა ორ ოთახიანი საცხოვრებელი ბინა ქალაქის ცენტრში. აღნიშნული ერთადერთი პრეცედენტი იყო რუსეთში, როდესაც ფიზიკურმა პირმა სამართლებრივად დაავალდებულა სახელმწიფო გადაეხადა, თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად, მას მოუხდა მიემართა საერთაშორისო სასამართლოსათვის. როგორც რუსული მედია აღნიშნავდა, „რუსეთის სამართლებრივი სისტემა არ წავიდოდა იმ რისკზე, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა საკუთარი მთავრობისათვის“.

2003 წელს, კვლავ არსებობდა რისკი, რომ 73 მილიონ დაზარალებულ მეანაბრეს შეეტანა სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში. რუსეთის მთავრობის დაპირებები მწირი კომპენსაციის შესახებ, იმის ნაცვლად, რომ მომხდარიყო სრული კომპენსირება აღნიშნული ვალისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევად განიხილება რუსეთში არსებული გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მიერ. ქვეყნის პრესტიჟზე უარყოფითად აისახება, თუ 73 მილიონი დამცირებული მეანაბრე საჩივარს შეიტანს საერთაშორისო სასამართლოში.

როგორც სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები აცხადებენ, რუსეთმა უნდა გადაიხადოს საგარეო ვალი დროულად. ამავე მიზეზისათვის ისინი საეჭვოდ ახსენებენ ინფორმაციას შიდა ვალის შესახებ. მთავრობა დიდი ოდენობით თანხას გასცემს საგარეო ბანკებზე რუსეთის მოქალაქეების სოციალური გარანტიების შემცირების ხარჯზე. 1993 წელს, რუსეთის კონსტიტუციურმა სასამართლომ მიუთითა, რომ „მთავრობამ არ უნდა გადადოს კომპენსაციის საკითხი თავისი მოსახლეობის დეპოზიტების აღსადგენად“. ათწლეულის განმავლობაში, ბევრი პრემიერ-მინისტრი შეიცვალა, თუმცა არცერთის პასუხისმგებლობა არ დამდგარა კანონდარღვევისათვის. აკადემიკოსი ნიკოლაი პეტრაკოვის განცხადებით, ვალი უტოლდება 8 ან 9 ტრილიონ რუბლს, რაც ქვეყნის ყოველწლიურ ბიუჯეტს სამჯერ აღემატება. ეკონომისტების გამოთვლით, იმისათვის რომ მთავრობამ მოახდინოს ამ თანხების დაბრუნება, საჭირო იქნება დაიხარჯოს ერთი მესამედი ეროვნული მშპ-სა 40 წლის განმავლობაში. იგორ გაიდარის ეკონომიკური რეფორმების შედეგად, რუსეთის მოქალაქეთა საბჭოთა ანაბრები სამუდამოდ დაიკარგა. მისი ახლო კომპანიონი ევგენი იასინი კი აცხადებდა, რომ „სახელმწიფო ვერასდროს შეძლებს ამ დანაზოგის დაბრუნებას. ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება. ამის მიუხედავად, „სბერბაკი“ ხსნის მოდურ ოფისებს ეროვნულ დონეზე - და ეს ოფისები სწორედ მეანაბრეთა თანხებით შენდება“.

2003 წელს, ორი კანონპროექტი გადაეცა რუსეთის სახელმწიფოს დუმას. ერთი მათგანი მომზადდა მთავრობის მიერ, ხოლო მეორე მმართველი პარტიის – „ერთიანი რუსეთის“ ინიციატივით. კანონპროექტებს შორის არის განსხვავებები, თუმცა საკითხისადმი მიმართება ერთი და იგივეა: ანუღირდეს რუსეთის მოქალაქეთა დეპოზიტების დაცვის შესახებ კანონი. ეს დაასრულებდა მსჯელობას, არის თუ არა ქვეყანაში მოქალაქეთა საკუთრების უფლება. რუსეთის მაღალი

<sup>115</sup> საბჭოთა ხალხების საბანკო ანაბრები სამუდამოდ დაიკარგა, 03.09.2003, წყარო: pravda.ru ავტორი: Boris Vaulin

<sup>116</sup> კვლევაში ცალკე მსჯელობა ეთმობა საქმეს „ანა რეიზახი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“.

თანამდებობის პირები მარტივ გამოსავალს იმაში ხედავდნენ, რომ მათ სურთ 4%-იანი კომპენსაცია განახორციელებინათ ძირითად ანაზარზე. ასევე, კომპენსაცია არ გადაიხდებოდა ერთჯერადად. ამიტომაც, სავარაუდოა, რომ რუსეთში პროცესი ისევ გაგრძელდება 20 წლით.

რუსეთის ფედერაციაში, ამჟამად თანხის კომპენსირება ხდება მინიმალური ოდენობით. ბანკი მუშაობს დეპოზიტორებთან, რომელებიც დაბადებულნი არიან 1942 წელს - ყველა მათგანზე გაცივმა 1 000 რუბლი. 1996 წლიდან დღემდე, როდესაც დაიწყო რუბლის გაუფასურება, „სბერბანკის“ მიერ გაცემული კომპენსაციის ოდენობამ 441,6 მილიარდი რუბლი შეადგინა. რუსეთში კვლავ არსებობს კალკულაციის პრობლემები, დოლარის, რუბლისა და ევროს კორელაციის საკითხები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რუსეთის აუდიტის პალატა მკაცრი კრიტიკულობით შეხვდა 2013 წლის ქვეყნის ბიუჯეტს საბჭოთა ანაზარების გადაუხდელობასთან დაკავშირებით. აუდიტის პალატის ვებ-გვერდზე უპრეცედენტოდ მკაცრი პრეს-რელიზიც გამოქვეყნდა: „ბიუჯეტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა 50 ბილიონი რუბლის ოდენობით ყოველწლიურად, თუმცა, 2011 წელს და 2012 წლის პირველ ნახევარში, აღნიშნული გადახდები ბიუჯეტიდან სრულად არ განხორციელებულა. წინა წელს, ინვესტორებს მიეწოდათ 19,4 ბილიონი რუბლი, რომელიც ბიუჯეტის 40%-ზე ნაკლები იყო, ხოლო იანვარ-ივნისის თვეში, მან შეადგინა 6.4 ბილიონი რუბლი ანუ 13%-ზე ნაკლები ბიუჯეტი დაიხარჯა ინვესტორებზე.

აუდიტის პალატის მასალებში მიუთითებენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ გამოთვალა საჯარო შიდა ვალის მოცულობა მოქალაქეთა ანაზარებთან დაკავშირებით, 2012 წლის 1 იანვრის მონაცემებით და ეს თანხა შეადგენს 27,7 ტრილიონ რუბლს.

2005-2011 წლებში, ქვეყნის ბიუჯეტიდან 365,5 ბილიონი რუბლი სრული მოცულობით გადახდილ იქნა სხვადასხვა კატეგორიის დეპოზიტარებისთვის (კერძოდ, მოხუცი და შრომის უნარს მოკლებული მოხუცებისათვის). აუდიტის ხელმძღვანელმა სერგეი სტეპაშინთან განაცხადა, რომ „მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ ის სახსრები რომელიც გამოყოფილი იყო ბიუჯეტიდან, საბჭოთა ანაზარების კომპენსირებისათვის არ იქნა გამოყენებული მიზნობრივად. მთავარი ისაა, რომ ანაზარების თანხაა. ზოგ შემთხვევაში, აღწევს 5-6 ათას რუბლს. მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში ეს რიცხვები შეადგენდა, მაგალითად, ათასს, ორი ათასს, სამი ათასს რუბლს. ციფრები საბჭოთა პერიოდში და ამჟამად აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, უკვე დღეს უნდა გადაისინჯოს, რამდენად მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილების იმპლემენტირება. იგი მიღებულ იქნა 1996 წელს, ბორის ნიკოლაევიჩ იანუკოვიჩის მეორე რაუნდის არჩევნებამდე. ცხადია, არცერთი ქვეყნის ბიუჯეტი არ ეყოფა ამ თანხის გადახდას“.

რუსეთში უფლებამონაცვლეობა დადგენილია გარდაცვლილი მემკვიდრის შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელს კომპენსაციის მიღების უფლება აქვს. განსაკუთრებული წესები დადგენილია 2001-2012 წლებში გარდაცვლილი მეანაზარის შემთხვევაში, როდესაც რუსული კანონმდებლობა ითვალისწინებს „სარიტუალო ხარჯების კომპენსაციას“. კერძოდ, თუ ანაზარის მოცულობა 400 რუბლზე ნაკლები იყო, გაცივმა 15-ჯერ ანაზარის თანხა, მაშინ როდესაც, თუ ანაზარის მოცულობა შეადგენდა 400 რუბლს და მეტს - გაცივმა 6 000 რუბლი.

2009 წლის 26 დეკემბერს, რუსეთმა გაზარდა კომპენსაციის თანხა საბჭოთა „სბერბანკის“ მეანაზარეთათვის.<sup>117</sup> რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ 85 ბილიონი რუბლი (2.9 ბილიონი აშშ. დოლარი) გამოყო 2010 წლისათვის, რათა ანაზარებულთა სბერბანკის დეპოზიტარების თანხა. კომპენსაცია წინა წელს გაუტოლდა 70 ბილიონ რუბლს. 2005 წლიდან 2011 წლის ჩათვლით გაცემული კომპენსაციის ოდენობამ 365,5 მილიარდი რუბლი შეადგინა. 2011 წელს გაცემული იქნა ბიუჯეტით განსაზღვრულ

<sup>117</sup> Russia to Increase Compensation for Soviet Sberbank Deposits By Stephen Bierman, December 26, 2009

თანხაზე 40%-ით ნაკლები, 19,4 მილიარდი რუბლი. 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 27,7 ტრილიონი რუბლის აკუმულირება მოხდა ამ მიზნით.

რუსეთში არსებული სიტუაცია განსხვავებულია. ტერიტორიის და მოსახლეობის რაოდენობის მხედველობაში თუ მივიღებთ, ძნელია იპოვო ადამიანი, რომელიც 40 წლისაა და ზემოთ, რომელსაც არ ექნება მოთხოვნა საბჭოთა „სბერბანკის“ მიმართ. სახელმწიფო აკონტროლებს ძველი ანაბრების დაბრუნების საკითხს. ყველა მომავალში დაგეგმილი გადახდებს წინასწარ განსაზღვრავს მთავრობის განკარგულებები. მაგალითად, 2011 წელს არსებობდა მუხლი ფედერალურ კანონში, რომელიც მოითხოვდა თანხების გაცემას მემკვიდრეობითი წესით და ადგენდა პროცედურას „სბერბანკის“ დეპოზიტების კომპენსირებისათვის. პირველი გადახდები განხორციელდა იმ პირებისათვის, რომლებიც იყვნენ 80 წლის და ზემოთ. ეს აჩვენებდა უფროსს თაობას, რომ სახელმწიფოს არ ავიწყდება თავისი ვალი.

რუსეთის ფედერაციაში პროცესი არათანმიმდევრულია და თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწიურად ამ მიზნით აკუმულირებული თანხის მოცულობა მცირდება ანუ დაგეგმილზე ნაკლები მოცულობით გაიცემა ანაბრების თანხა, სავარაუდოა, რომ მომავალ წლებში, პროცესი ასეთივე ნელი ტემპით გაგრძელდეს. 1996 წლიდან რუსეთის მთავრობამ არაერთხელ შეცვალა საბჭოთა ანაბრების კონპენსაციის გამოანგარიშებისა და გაცემის დადგენილი კრიტერიუმები და ის მოედელი, რომელიც ფედერაციაში ამჟამად მოქმედებს, ფაქტობრივად, ცვლილებების „მესამე ტალღას“ წარმოადგენს.

## სომხეთი

2010 წლის 25 მარტს, სომხეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება გადაეხადა კომპენსაცია დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის, რომელთა განთავსება მოხდა 1993 წლის 10 ივნისამდე. სომხეთში, დიდი სამამულო ომის 2, 808 ვეტერანს აუნაზღაურეს „გაყინული“ საბჭოთა ანაბრები.<sup>118</sup> სომხეთის შრომის და სოციალურ საქმეთა სამინისტროს მეტროლოგიური დახმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაციით, 2011 წლის დასაწყისისათვის 2, 800 ვეტერანმა მიიღო კომპენსაცია 600 მილიონი სომხური დრამის ოდენობით ყოფილი საბჭოთა კავშირის შემნახველ ბანკში გაყინული დეპოზიტებისათვის. კომპენსაცია მიიღო იმ ვეტერანებმა, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ სპეციალურ სიაში 2005 წლის 1 ივლისიდან 2006 წლის 1 აპრილამდე. ქვეყნის ბიუჯეტმა, თავდაპირველად, კონპენსაციისთვის 1.7 ბილიონი სომხური დრამა გაითვალისწინა.<sup>119</sup>

სომხეთში ანაბრების გაცემის დაწყებას პოლიტიკური დისკუსია უძღოდა. საკითხის მიმართ მოქალაქეთა ინტერესი წინასაარჩევნო პერიოდში გაიზარდა, რადგანაც სხვადასხვა პოლიტიკური ძალა, ამომრჩეველს, ანაბრების ანაზღაურებას შეჰპირდა. ამ მიმართულებით, ქვეყნის პარლამენტში ანაბრების გაცემის საკითხზე დისკუსიის დაწყება საპარლამენტო ფრაქცია „ორინატს ერკირ“-ს (Orinats Erkir) ეკუთვნის.<sup>120</sup> ფრაქციამ საკანონმდებლო ორგანოს ანაბრების სანახევროდ გადახდის მოდელი შესთავაზა, თუმცა პარლამენტში მოქმედმა „რესპუბლიკურმა პარტიამ“ დაასაბუთა მოსაზრება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომპენსაციის გადახდა სხვა საბიუჯეტო პროგრამებს რისკის ქვეშ აყენებდა. ამიტომაც „ორინატს ერკირ“-ის საკანონმდებლო ინიციატივა დაბლოკა. აღსანიშნავია, რომ „ორინატს ერკირ“-მა ანაბრების დაბრუნების საკითხი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აქცია და წარმატებების საფუძვლადაც გაიხადა. სომხეთის პარლამენტში, ანაბრების თემაზე მიმდინარე დებატებს, შედეგად სპეციალური კომისიის „ad hoc“-ის შექმნა მოჰყვა, რომელსაც უნდა შეეფასებინა კომპენსაციის

<sup>118</sup> წყარო: PanARMENIAN.Net

<sup>119</sup> წყარო: <http://www.panarmenian.net/eng/society/news/68864/>

<sup>120</sup> „ორინატს ერკირის“ საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ანაბრების დაბრუნება 2003 წლის მაისში. ამგვარი ტაქტიკა აღმოჩნდა ეფექტური, რადგან ამჟამად მას აქვს მეორე უდიდესი ფრაქცია ნაციონალურ ასამბლეაში და 3 მინისტრი პრემიერ მინისტრის ანდრანიკ მარკარიანის კაბინეტში.

შესაძლებლობები. კომისია შედგებოდა ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლისგან და სულ ჩაატარა 15 სესია. კომისია გაეცნო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პრაქტიკას, რომლის შემდგომაც შემუშავდა ხედვა, რათა ანაზღაურებულიყო ქვეყანაში არსებული სულ 27 სახის დეპოზიტი. დაანგარიშებული ვალის მოცულობა გაუტოლდა 8 ბილიონ საბჭოთა რუბლის ეკვივალენტურ 83 მილიონ დოლარს. კომისიამ ვალის გადახდა პარლამენტს 2005 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში შესთავაზა, კომისიას არ მოუმზადებია საჯარო ანგარიში და არსებობდა ეჭვი, რომ იგი აპირებდა საქმის მასალები გარკვეული დროით დაეხურა, როდესაც დაგეგმილი იყო შეხვედრა სომხეთის პრეზიდენტს, „ორინატს იერკირის“ წარმომადგენლებსა და ასევე მესამე მხარეს - სომხეთის რევოლუციურ ფედერაციას შორის (რომელიც იმჟამად სომხეთის მთავრობას წარმოადგენდა). აღნიშნული შეხვედრა „ორინატს იერკირის“ მიერ შეთავაზებული კანონპროექტით, პარლამენტის დღის წესრიგში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი აღმოჩნდა. მთავრობის ბიუჯეტის პროექტი კომპენსაციისათვის მხოლოდ 2.2 მილიონ დოლარს ითვალისწინებდა, ხოლო სამიზნე ჯგუფი ყველაზე ღარიბი მენაბრეები იყვნენ, როგორც ეს სომხეთის კონსტიტუციის ცვლილებების პაკეტის შესახებ 27 ნოემბრის რეფერენდუმმა აჩვენა. ქვეყანაში განისაზღვრა საბჭოთა ანაზღაურების ინდექსაციის მექანიზმიც.<sup>121</sup>

„აყვავებული სომხეთის პარტიის“ (The Prosperous Armenia Party (PAP)) საპარლამენტო ჯგუფის მიერ მომზადდა რეკომენდაციები. კერძოდ ცვლილებების პროექტი ანაზღაურების ანაზღაურების შესახებ,<sup>122</sup> რადგანაც ის ფაქტი, რომ საკითხი მაღალი საჯარო ინტერესით სარგებლობდა, ქვეყნის ხელისუფლებას საპარლამენტო არჩევნების დროს, სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობასთან შეხვედრებმა დაუდასტურა. პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ანაზღაურების თემა კანონმდებლობის დონეზე. უფრო მეტად რაციონალურ გადაწყვეტილებას საჭიროებდა, რადგანაც მოდელზე, რომელზედაც კანონმდებლები მსჯელობდნენ, სისტემურად და ეფექტურად ვერ აგვარებდა პრობლემას. ამიტომაც, საპარლამენტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ცვლილების პროექტი გარდაცვლილ მეანაბრეთა კანონისმიერი მემკვიდრეების ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად აღიარებასაც ითვალისწინებდა.

ქვეყანაში 2004 წელი კომპენსირების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა და გარდა გარდაცვლილი მეანაბრეების მემკვიდრეებისა, ქვეყნის 62, 000 მეანაბრემ კომპენსაცია მიიღო. 2013 წლის დეკემბერში,<sup>123</sup> სომხეთში, შემნახველი ბანკის დეპოზიტების კომპენსაციის პირველი ეტაპი დასრულდა. პირველ ეტაპზე დაკმაყოფილდნენ მრავალშვილიანი ოჯახები. 2013 წლისათვის კომპენსაცია მიიღო, სულ 62 800-დან 57 300-მა მეანაბრემ.

გამოთვლები ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის დროსათვის, 1 მილიონ სომხეთის მოქალაქეს ჰქონდა ანგარიში ბანკში, რომელიც სულ 6.5 ბილიონ რუბლს შეადგენდა. 1980-იანი წლების ბოლოს, არსებული ვალუტის შესაბამისად, აღნიშნული თანხა შეადგენდა 5-6 ბილიონ დოლარს, ნამდვილი საბაზრო ღირებულება კი შეადგენდა 800 აშშ მილიონს. როდესაც კომუნიზმი გაუჩინარდა სომხეთიდან, ასევე გაუჩინარდა სომეხი მოქალაქეების თანხა და ჰიპერინფლაციის შედეგად, ანაზღაურები გაიყინა.

სომხეთში საბჭოთა ანაზღაურების დაანგარიშებისას, ამჟამად მოქმედი სქემა და მოდელი ითვალისწინებს საკომპენსაციო თანხების განსაზღვრავს 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საბჭოთა ანაზღაურებზე არსებული ფულადი ნაშთის ოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ:

- სახელმწიფო ანაზღაურებზე არსებულ 1 000 საბჭოთა რუბლში მეანაბრეს უხდის 200\$ ოდენობით საკომპენსაციო თანხას;
- სახელმწიფო ანაზღაურებზე არსებულ 1 000-დან 3 000-მდე საბჭოთა რუბლში მეანაბრეს უხდის 340\$ ოდენობით საკომპენსაციო თანხას;

<sup>121</sup> იხილეთ ბმული: <http://www.alplus.am/en/social/2004/03/02/13699>

<sup>122</sup> წყარო: Armenian News - Tert.am Tert.am

<sup>123</sup> First stage of Savings Bank deposit compensation to be finished in December, 18/03/2013

- სახელმწიფო ანაბარზე არსებულ 3 000-დან 5 000-მდე საბჭოთა რუბლში მეანაბრეს უხდის 420\$ ოდენობით საკომპენსაციო თანხას;
- სახელმწიფო ანაბარზე არსებულ 5 000-დან 10 000-მდე საბჭოთა რუბლში მეანაბრეს უხდის 460\$ ოდენობით საკომპენსაციო თანხას;
- თუ ანაბარზე 10 000-მდე საბჭოთა რუბლი და მეტია განთავსებული სახელმწიფო მეანაბრეს უხდის 480\$ ოდენობით საკომპენსაციო თანხას.<sup>124</sup>

სომხეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, პირველად იმ მეანაბრეებს აუნაზღაურდებათ თანხა, რომელებიც იღებდნენ სახელმწიფო დახმარებას, რადგან შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ანაბრების კატეგორიზება უნდა მოხდეს კონკრეტული სოციალური ჯგუფების მიხედვით, თუმცა არ მომხდარა დოლარის კურსის დაანგარიშება. ჯერ კიდევ 2006 წლის 12 მაისისათვის შემნახველი ბანკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 61, 967 სომეხ მეანაბრეზე (ანაბარი გახსნილი უნდა ყოფილიყო 1993 წლის 10 იანვრამდე) გაიცა თანხა, ამ მიზნით კი წარდგენილ იქნა 137,481 შემნახველი მოქმობა.<sup>125</sup>

სომხეთში საბჭოთა ანაბრების კომპენსირება კვლავ სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. აღნიშნული პროცესის დასრულების ვადად, სომხეთში 2015 წელი განისაზღვრა. სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვიურად, კომპენსაცია 1 000 საბჭოთა მეანაბრეზე გაიცემა. ქვეყანაში დღეს არსებული მოდელით, კომპენსირების გადაანგარიშების პროპორცია შეადგენს მაქსიმუმ 200 აშშ დოლარს საბჭოთა ანაბარზე არსებულ ყოველ ერთ რუბლზე. სომხეთის მთავრობა საჯაროდ აცხადებს, რომ ქვეყანაში კომპენსაციას, ყოველთვიურად, საშუალოდ, 1000 ადამიანი იღებს.

## აზერბაიჯანი

2005 წელს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრის კოორდინაციით საბჭოთა ანაბრების ინდექსაცია და ამ ანაბრების მფლობელთათვის კომპენსაციის გაცემის პროცედურის შემუშავება. სპეციალური კომისია, თავდაპირველად შედგებოდა მხოლოდ სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, თუმცა, ამან გამოიწვია საზოგადოების უკმაყოფილება და კომისიის წრე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებითაც დაკომპლექტდა. მიუხედავად იმისა, რომ მომზადდა საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა, რომელიც გამიზნული იყო შემდგომი 8-10 წლის სქემის განხორციელებისათვის, რათა დაებრუნებინა ანაბრები 1 საბჭოთა რუბლზე 0,5–1 აშშ დოლარის ოდენობით, პროცესი ამ მცდელობის მიუხედავად, შემდგომი 6 წლის განმავლობაში, სახელმწიფომ დღის წესრიგიდან მოიხსნა.

2012 წლის 14 მარტს აზერბაიჯანის პრეზიდენტის დადგენილებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა და წლების წინ, საბჭოთა ანაბრების დაბრუნების საკითხთან მიმართებით დაწყებული პროცესი განახლდა. პრეზიდენტის დადგენილებით განისაზღვრა, რომ 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყოფილი „სბერბანკის“ მეანაბრეებზე (ან მათ მემკვიდრეებზე), სახელმწიფო, კერძოდ „კაპიტალ ბანკის“ ფილიალები (როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკური ბანკის სამართალმემკვიდრე და უფლებამონაცვლე ანაბრების დაბრუნების საკითხში) გასცემდნენ ერთჯერად ანაზღაურებას (ე.წ. „Lump-sum Payment“). აზერბაიჯანის სახელმწიფოს ანაბრების დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა არ აუღია, ანაბრები შიდა ვალად არ უღიარებია, თუმცა ერთჯერადი კომპენსაცია რესპუბლიკის მიერ შეფასდა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან გამოხარტული კეთილი ნება საკუთარი მოქალაქეების მიმართ. პრეზიდენტის დადგენილება ძალაში მიღებიდან 2 თვის შემდეგ შევიდა და მან განსაზღვრა ანაბრების დაბრუნების კონკრეტული ვადები – 2012 წლის ივნისიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

<sup>124</sup> Penny for a Pound?: Government offers plan to compensate lost deposits (Vrezh Minasyan's Soviet book may be worth more as a memento), By SUREN DEHERYAN | 14.10.05 | წყარო: ArmeniaNow reporter

<sup>125</sup> სტატია „61, 967 სომეხი მოქალაქე მიიღებს ანაზღაურებას ანაბრებისათვის“, Noyan Tapan, May 22, 2006

აზერბაიჯანის პრეზიდენტის 2012 წლის 14 მარტის დეკრეტი მიღებულ იქნა ქვეყნის კონსტიტუციის 109-ე მუხლის 32-ე დებულების თანახმად, რომლითაც ანაბრების ერთჯერადად გაცემის საორგანიზაციო მხარე და სისტემური მიდგომა განსაზღვრა. დეკრეტით მოწესრიგდა შემდეგი სახის საკითხები:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ის მოქალაქეები ან მათი მემკვიდრეები, რომლებსაც 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყოფილი საბჭოთა კავშირის „სბერბანკის“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბანკში გააჩნდათ ანაბრები, სახელმწიფო აუნაზღარებდა პერსონალურ ერთჯერად გადახდებს. აღნიშნული გადახდა განხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის „სბერბანკის“ აზერბაიჯანის რესპუბლიკური ბანკის სამართალმემკვიდრე „კაპიტალ ბანკის“ ფილიალების მეშვეობით.
2. პერსონალური, ერთჯერადი გადახდის პერიოდად განისაზღვრა 2012 წლის ივნისიდან პროცესი 2013 წლის 31 დეკემბრამდე.
3. „კაპიტალ-ბანკმა“, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემნახველი ბანკის სამართლებრივ უფლებამოსილებას, მიიღო ანაბრების გაცემაზე ავტორიზებული ბანკის სტატუსი.
4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით და კომპეტენციის ფარგლებში (მეთვალყურეობის, ზედამხედველობის ქვეშ) დაარსდა სპეციალური კომისია, რომელიც შედგებოდა შესაბამისი სახელმწიფო, სამთავრობო ინსტიტუტების წარმომადგენლებისაგან და რომელსაც უნდა გამოეძია ანაბრების გადახდასთან დაკავშირებული შესაძლო საკამათო საკითხები. დამტკიცდა აღნიშნული კომისიის სახელმძღვანელო პრინციპებიც.
5. აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტროს დაევალა განეხორციელებინა ანაბრების თანხის დაფინანსება „კაპიტალ ბანკის“ ბრძანებების საფუძველზე, ასევე სპეციალური კომისიის მოსაზრების გათვალისწინებით. კომისია, აგრეთვე აღიჭურვა უფლებამოსილებით, რათა გადაეწყვიტა საკითხები, რომელიც დაკავშირებული იყო შესაბამისი დაფინანსების გამოყოფასთან სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ორგანიზება გაეკეთებინა ამგვარი გადახდებისთვის.
6. დეკრეტით, აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მოქალაქეთა მომსახურების მიზნით, ამოქმედდა ე.წ. „ცხელი ხაზი“, რომელსაც უნდა ეპასუხა მეანაბრეთათვის თანხის გადახდის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. პრეზიდენტის დეკრეტითვე განისაზღვრა, რომ პროცესის შესახებ საზოგადოებრივი ინფორმირება მომხდარიყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აზერბაიჯანს 2012 წლის მარტამდეც ჰქონდა პირველი მცდელობა, რათა საბჭოთა ანაბრების საკითხი მოეგვარებინა. ჯერ კიდევ 2005 წელს, პრეზიდენტის დავალებითვე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელსაც საბჭოთა ანაბრების ინდექსაცია და ანაბრების გაცემის კომპენსაციის წესი უნდა შეემუშავებინა. პრეზიდენტის დადგენილების პირველადი რედაქცია ითვალისწინებდა მეანაბრეების ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფას და მათთვის თანხის გაცემის გრაფიკის დაწესებას, თუმცა საბოლოო რედაქციამ რიგითობა გააუქმა და ერთიანი პერსონალური ერთჯერადი გადახდების სისტემა დაამკვიდრა. განისაზღვრა, რომ ამგვარი გადახდის სისტემა გავრცელდებოდა დაახლოებით 2,4 მილიონ კერძო საშემნახველო ანგარიშზე, რაც გულისხმობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ მცირე 1 მილიარდი აზერბაიჯანული მანათის (AZN) ანუ 1,3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის თანხის გამოყოფას. მხოლოდ „კაპიტალ ბანკმა“, 2013 წლის 1 იანვრის მონაცემებით, გასცა 700 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ანაბრების თანხა.

აზერბაიჯანის „კაპიტალ ბანკის“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, (USSR „სბერბანკის“ აზერბაიჯანის ოფისის სამართალმემკვიდრე) 2012 წლის ადრეულ აგვისტომდე, ერთჯერადი გადახდა მოხდა 263 ათას მოქალაქეზე და შესაბამისად, გადახდილ იქნა 147 მილიონი

მანათი. ყოფილმა მენაბრეებმა, დაახლოებით, 449.069 განაცხადით მიმართეს ბანკის სერვის ცენტრებს, ხოლო 393.016 განაცხადი შევიდა ცენტრალურ მომსახურე ადგილას. ანაბრების კონპენსირების გამო, ქვეყანაში, სულ 143 სერვის-ოფისი გაიხსნა, მათ შორის 65 მათგანი დედაქალაქ ბაქოში, ხოლო 78 რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში. აზერბაიჯანში, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ქვეყნის 2.4 მილიონმა მოქალაქემ მიიღო კომპენსაცია.

აზერბაიჯანში ანაბრების ერთიანი თანხის გადახდამ 2012 წლისათვის, 554.7 მილიონ აზერბაიჯანულ მანათს გადააქარბა. პროცესს აწარმოებდა Fineko/abc.az. Kapital Bank OJSC-ს ბანკი ბაქოში, როგორც მთავრობის ავტორიზებული აგენტი. „კაპიტალ ბანკის“ სადამფუძნებლო საბჭოს თავმჯდომარის ელმარ მამმადოვის განცხადებით, 2012 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, გაიცა 554.7 მილიონი აზერბაიჯანული მანათი, სულ 1,448,941 შემნახველ ანაბარზე.

აზერბაიჯანში შეიქმნა ნორმატიული ბაზა, რომლის მიზანსაც ანაბრების კომპენსაციის დაანგარიშება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით, ქვეყანაში დაანგარიშების სისტემა რამდენჯერმე შეიცვალა, ხოლო ამჟამად მოქმედი მოდელით, კომპენსაციის მოცულობა დამოკიდებულია პირადი ანაბრის ანგარიშზე ნაშთის სახით რიცხული ანაბრის თანხის ოდენობაზე:

- ანაბარი 2,000 რუბლამდე (AZN 0.04) ბრუნდება 1 რუბლის 75 აზერ. მანათთან შეფარდებით;
- 2,000-5,000 რუბლი - (AZN 0.04- AZN 0.1) - AZN 300+AZN 50 AZN 0.04-ს ოდენობით გადაჭარბებულ თითოეულ აზერბაიჯანულ კაპიკზე;
- 5 000-დან 10,000 საბჭოთა რუბლამდე - (AZN 0,1 - AZN 0.2) - AZN 600+40 AZN AZN 0.01-ს ზემოთ თითოეულ აზერბაიჯანულ კაპიკზე;
- 10, 000 საბჭოთა რუბზე მეტი ოდენობა (მეტი ვიდრე AZN 0,2) – AZN 1 000+ AZN 25 AZN 0.2-ს ზემოთ თითოეულ აზერბაიჯანულ კაპიკზე;

აზერბაიჯანის პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე, კომპენსაციის პროცესში, გადახდები ხორციელდება მენაბრეთა ან მენაბრეთა მემკვიდრეების ბანკისათვის მიმართვით, როგორც ნაღდი ფულის სახით, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მათ მიერ მითითებულ ნებისმიერ საბანკო ანგარიშზე, რომელიც, ასევე უნდა დადასტურდეს სადეპოზიტო წიგნით, პირადობის ბარათით ან ნოტარიულად დადასტურებული გარდაცვალების ცნობით, ნოტარიულად დადასტურებული ანდერძის ასლითა თუ სხვა მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტით. გადასახადის გადახდისთანავე სადეპოზიტო ანაბარი იხურება. იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს მოქალაქეთა აპელაცია, როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს მიერ შექმნილი კომისია, 2013 წლის 31 დეკემბრამდე უფლებამოსილია გონივრულ ვადებში განიხილოს თითოეული ასეთი განაცხადი და საკითხი.

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მიიღო განსაკუთრებული წესებიც ანაბრების კომპენსაციათან დაკავშირებით:

- პრეზიდენტის დეკრეტი ანაბრების თანხის გადახდის შესახებ, მიუთითებს ეთნიკური სომხების უფლებაზე, რომელიც ცხოვრობენ ნაგორნო-ყარაბაღში და 1992 წლის 1 იანვრამდე ჰქონდათ გახსნილი დეპოზიტები, უფლება ეძლევათ მოითხოვონ შესაბამისი კონპენსაცია. პრეზიდენტის დეკრეტის თანახმად, პირველ რიგში, სომხეთის მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ, რომ აინაზღაურონ დეპოზიტები, უნდა მიმართონ აზერბაიჯანის მთავრობას მოქალაქეობის მოპოვებისათვის და წარმოადგინონ პირადობის მოწმობა.
- პრეზიდენტის დეკრეტით, ანაბრები არ აუნაზღაურდებათ ლტოლვილ პირებს. პრეზიდენტის დეკრეტი არ მიუთითებს, ანაბრების დაბრუნების შესაძლებლობაზე, კერძოდ სასომხეთის მოქალაქეებზე, რომელთაც ცხოვრობენ აზერბაიჯანში წმინდა საკანონმდებლო მოსაზრებიდან გამომდინარე, რადგანაც აღნიშნული პირები იყვნენ სომხეთის მოქალაქეები და მათ საბჭოთა ანაბარი შეტანილი აქვთ სომხეთის შემნახველ ბანკებში. აზერბაიჯანის პრეზიდენტის

დეკრეტით, მათთვის თანხების ანაზღაურება მხოლოდ სომხეთის მთავრობის კომპეტენციაა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აზერბაიჯანელი მოქალაქეები არიან.

- აზერბაიჯანის პრეზიდენტის დეკრეტით, იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც დაკარგეს თავიანთი შემნახველი წიგნაკები, უფლება აქვთ მიიღონ კომპენსაცია. მიღებული გადაწყვეტილებით, ყველა ინფორმაცია დეპოზიტების შესახებ, როდესაც მეანაბრები იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები, ინახება „კაპიტალ ბანკში“. იმ პირებმა, რომელთაც შემნახველი წიგნაკები დაკარგეს ან დაეწვათ, შეუძლიათ ახლახანს დაარსებული „კაპიტალ ბანკის“ სპეციალური კომისიას მიმართონ. აპლიკანტებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათი სადეპოზიტო წიგნების შესახებ, კერძოდ, მფლობელის ვინაობა, ანაბრის ოდენობა, თარიღი და დეპოზიტის განთავსების ადგილი. ამგვარი ჩანაწერების მიწოდების შემდგომ სპეციალური კომისია მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მიღებულ ინფორმაციაზე.
- პრეზიდენტის დეკრეტის შესაბამისად, მოწესრიგებულია იმ მეანაბრეთა საკითხიც, რომელთაც გააჩნიათ ერთზე მეტი საბანკო ანგარიში. კომპენსაციის დათვლა იმ მეანაბრების შემთხვევაში, რომელთაც ფლობენ ერთზე მეტ საბანკო ანგარიშს, არ მოხდება ცალ-ცალკე. მათი ანაბრები თავმოყრილი იქნება თავდაპირველი გაცვლის განაკვეთის შესაბამისად, ერთ საბანკო ანგარიშზე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია განსაზღვროს ზუსტი შეფარდება რუბლისა მანათთან, რუბლისა და დოლარის წინმსწრები ფლაქტუაციების გამო. აზერბაიჯანელი დეპოზიტორები ელოდნენ, რომ მიიღებდნენ თანხას 1 მანათის 1 რუბლთან შეფარდებით, თუმცა ეს ეკონომიკური პერსპექტივიდან აზრს მოკლებულია. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ამგვარი შეფარდებით ანაზღაურება ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს, მათ შორის გაზრდის ფასებს სამომხმარებლო პროდუქტებზე და გაზრდის სავალუტო ცირკულაციას, რომელიც თავის მხრივ, სახელმწიფოს მიიყვანს ინფლაციის გაზრდილ მაჩვენებლამდე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტის პრემბულაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაც აზერბაიჯანის რესპუბლიკამ მიიღო დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო სახელმწიფომ, იყო გაუფასურებული ანაბრები აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემნახველ ბანკში, რადგან შეწყდა დიდი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობები და მოხდა მაღალი ინფლაცია, რაც თავის მხრივ, გამოწვეული იყო ერთი მოდელიდან - სოციალურ-ეკონომიკური განვითარებიდან მეორე მოდელზე - ეკონომიკურ-პოლიტიკურ კრიზისზე გადართვით.

ბოლო წლების განმავლობაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად, ასევე მაკრო-ეკონომიკური სტაბილურობის მოპოვების შემდეგ, აზერბაიჯანის ფინანსური შესაძლებლობების გაზრდის შემდეგ, ქვეყანას გაუჩნდა დამატებითი წყარო გადაეხადა ანაბრები. დღევანდელი მონაცემებით, არსებობს შეფასება, რომ 800 მილიონი აზერბაიჯანული მანათი სრულიად საკმარისია ქვეყნის მეანაბრეთა კომპენსაციის გასასტუმრებლად. კომპენსირების პროცესი ქვეყნის 2.4 მილიონ ადამიანზე გავრცელდება.

## უზბეკეთი

უზბეკეთში საბჭოთა ანაბრების დაბრუნება 2005 წლიდან დაიწყო. ქვეყანამ დამოუკიდებლობა 1991 წლის 31 აგვისტოს გამოაცხადა და გადავიდა ორ საფეხუროვან საბანკო სისტემაზე. ქვეყნის ახალი საფინანსო სტრუქტურა დადგენილ იქნა 1991 წელს მიღებული საბანკო კანონმდებლობით, რაც გულისხმობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ცენტრალური ბანკის კონტროლს სააქციო ბანკებში საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო სფეროში, ასევე შემნახველ ბანკზე („სბერბანკი“) და 20 კომერციულ ბანკზე. ცენტრალურ ბანკს დაევალა შემოეღო ეროვნული მონეტარული პოლიტიკა, იმგვარად, რომ გამოეცა ვალუტა და განეხორციელებინა ოპერაციები ეროვნულ საგადახადო სისტემაში. ამ ოპერაციების შესრულების დროს, ცენტრალური ბანკი ფლობდა 70%-ს ყველა დეპოზიტისა 1 8000

ფილიალსა და შემნახველ ბანკში მისი სარეზერვო საჭიროებისათვის. 1991 წელს სააქციო საზოგადოების ფორმით დაარსებულმა კომერციულმა ბანკმა – უცხოური ეკონომიკურ საქმეთა ეროვნულმა ბანკმა, საერთაშორისო ფინანსურ გადაცვლებთან მიმართებით მოქმედება მთავრობის სახელით დაიწყო.

1992 წელიდან ფუნქციონირება დაიწყო უზბეკეთის რესპუბლიკის შემნახველმა ბანკმა. 1995 წლის 4 ოქტომბერს, უზბეკეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის N.386 ბრძანების „უზბეკბანკის ტრანსფორმაცია უზბეკეთის რესპუბლიკის სახალხო ბანკად“ თანახმად, უზბეკეთის შემნახველი ბანკი ტრანსფორმირდა ქვეყნის კომერციულ ეროვნულ ბანკად.

უზბეკეთის მთავრობის 1996 წლის 2 თებერვალს მიღებული N54 გადაწყვეტილების „ინდექსაციის განხორციელების შესახებ სახელმწიფო დაზღვევისა და ხალხების სადეპოზიტო საშუალებების შესახებ“ თანახმად და „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ ეროვნული კანონის შესაბამისად, პირველ რიგში, განხორციელდა იმ მოქალაქეთა სადეპოზიტო ანაზრების ანაზღაურება, რომელებიც იყვნენ უზბეკეთის მოქალაქეები და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები ან მუდმივი საცხოვრებლის არმქონე პირები. მთავრობამ პრიორიტეტულად დაასახელდა მეანაზრეთა ასაკი და სოციალურად დაუცველი ფენები. უზბეკეთის გამოცდილებით, 1 000 საბჭოთა რუბლზე გაიცა 90 აშშ დოლარი.

## ტაჯიკეთი

2011 წლის 21 ივლისს ტაჯიკეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება, რომ ტაჯიკელი მოსახლეობის დეპოზიტები ანაზღაურდებოდა.<sup>126</sup> ამ ქვეყანაში, სს. საგარეო ეკონომიკურ საქმიანობათა კომერციული ბანკი „ტაჯიკვენშეეკონომბანკი“ დაარსებულ იქნა ყოფილი საბჭოთა „ვენშეეკონომბანკის“ ბაზაზე,<sup>127</sup> კერძოდ, ტაჯიკეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 11 მარტის რეზოლუციის თანახმად, „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის შესახებ.“

აღნიშნული ბანკის სახელწოდება გახდა სახელმწიფო სააქციო კომერციული ბანკი საგარეო ეკონომიკურ საქმიანობათა შესახებ ანუ „ტაჯიკვენშეეკონომბანკი“, რომელიც შეიქმნა 1993 წლის 12 დეკემბრის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილების შედეგად. 1999 წლის 16 ივნისის ბანკის ქარტიის თანახმად, აღნიშნული დასახელებით ბანკი დარეგისტრირდა ტაჯიკეთის ეროვნული ბანკის N.6 (შემდგომში ხელახალი დარეგისტრირება მოხდა 2000 წლის 4 აპრილს) დეკრეტით.

ტაჯიკეთში 1993 წლის 27 დეკემბერს მიღებული N891 კანონი<sup>128</sup> განსაზღვრავს იურიდიულ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ საფუძვლებს ტაჯიკეთის რესპუბლიკის შემოსავლისა და დანაზოგების ინდექსაციის საქონლისა და მომსახურების გაზრდილ ფასებთან დაკავშირებით. აღნიშნული კანონის პირველი და მეორე მუხლის თანახმად:

- მოსახლეობის შემოსავლის ინდექსაცია<sup>129</sup> წარმოადგენს მექანიზმს, რათა გაზარდოს მოსახლეობის მიერ ნაღდი შემოსავალი და დანაზოგები, ნახევრად ან სრულად მოხდეს მათი კომპენსირება საქონლისა და მომსახურების გაზრდილ ფასებთან შედარებით. ინდექსაცია წარმოადგენს სახელმწიფოს მასშტაბით არსებული მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემას და მიმართულია შემოსავლისა და დანაზოგების შემსყიდველი ძალის შენარჩუნებაზე, კერძოდ

<sup>126</sup> წყარო: <http://www.interfax.co.uk/central-asia-news/tajik-clients-of-former-ussr-bank-may-regain-their-deposits-some-day-govt-worker/> Tajik clients of former USSR bank may regain their deposits some day – govt worker BULLETIN RELEASED: 21/07/11

<sup>127</sup> ტაჯიკეთში, აგრეთვე, მოქალაქეების (ხალხის) მიერ დაარსებულ იქნა სააქციო საზოგადოება „ტოჯიკსოდიროტბანკი“ მიღებული კონსტიტუციური შეთანხმებით, 1992 წლის 20 მარტს.

<sup>128</sup> წყარო: LAW OF THE REPUBLIC OF TAJIKISTAN from December 27, 1993 of No. 891 About income indexation of the population taking into account the rise in prices for consumer goods and services (In edition of the Law RT from 5/15/1997 of No. 421)

<sup>129</sup> further the imenuyetsyaindeksatsiya

იმ მოსახლეობის ჯგუფებისათვის, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ამგვარი დახმარება: პატიმრები, უუნარო ადამიანები, დიდი ოჯახები და სტუდენტები. ინდექსაცია შესაძლოა იყოს კომბინირებული და ზოგიერთ შემთხვევაში, მისი შეცვლა/ჩანაცვლება სახელმწიფო რეგულაციით (კერძოდ უნდა დარეგულირდეს ანუ ხელახლა გადაიხედება გადახდის დონე, საპენსიო პაკეტის მოცულობა, სოციალური შეღავათები და სხვა). აღნიშნულ საკითხზე ანუ მექანიზმის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ტაჯიკეთის რესპუბლიკის „მაჯლისი ოლის“ მიერ იმ შემთხვევაში, თუკი მტკიცდება კანონი „ბიუჯეტის შესახებ“ შემდეგი წლისათვის.

- ინდექსაციის საგანს წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავალი, რომელიც მიღებულია ტაჯიკეთის რესპუბლიკის ეროვნულ ვალუტაში, თუმცა ის არ ატარებს ერთჯერად ხასიათს: ეროვნული პენსია, სოციალურ შეღავათები (ოჯახებისათვის სადაც ბავშვები იზრდებიან, უმუშევარი პირები, დროებითი ქმედუნარობა და სხვა), გრანტები, კომპენსაცია (განაკვეთი, ხელფასი), საკომპენსაციო ოდენობა იმ ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია ჯანმრთელობის დასახიჩრებით ან დაკავშირებულია შრომითი ვალდებულებების შესრულებასთან. კომპენსაცია იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც ანაბარი ჰქონდათ გახსნილი ტაჯიკეთის რესპუბლიკის შემნახველ ბანკში ან სხვა ბანკებში საბჭოთა პერიოდში<sup>130</sup>.

## თურქმენეთი

თურქმენეთში, 1993 წლის 1 ნოემბერს მიღებულ იქნა ეროვნული ვალუტა 1 მანათი 98 დენგი 1 \$ შეფარდებით. შემდგომში, ეროვნული ფულის ინფლაციის შედეგად კურსი 5 000 მანათამდე დაეცა და კიდევ უფრო მოხდა მისი გაუფასურება დოლართან მიმართებით. თურქმენეთის ლიდერს ენერგომატარებლების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები შესაძლებლობას აძლევს მოსახლებას მნიშვნელოვანი სოციალური შეღავათები შესთავაზოს და ამით უკმაყოფილება გაანეიტრალოს. თურქმენეთიდან, 1995 წლის ჩათვლით მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ ხორციელდება ანაბრებზე რიცხული თანხის კომპენსირება.

<sup>130</sup> Compensation to the population of losses from impairment of the savings being in deposits in organizations of Savings bank of the Republic of Tajikistan, other banks, and also these banks placed in certificates, the state treasury obligations, bonds of the State internal premium bonds, and also fees in the organization of National insurance is performed by the interest rate realignment in the procedure established by the Law taking into account the price index.

## თავი მერვე: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების სამართლებრივი ასპექტის რაობა

საქართველოს გადაწყვეტილება საბჭოთა ანაბრების შიდა ვალში აღებასთან დაკავშირებით, იყო გაუთვლელი პოლიტიკური გადაწყვეტილება თუ სახელმწიფოს სწორი სამართლებრივი ნაბიჯი? ვინ უნდა ყოფილიყო საბჭოთა ანაბრების დაბრუნებისთვის პასუხისმეგებელი სახელმწიფოები – საქართველო თუ რუსეთის ფედერაცია, როგორც საბჭოთა კავშირის ერთადერთი სამართალმემკვიდრე?

1992 წლის 13 მარტს, მოსკოვში, დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობაში (დსთ) შემავალმა საბჭოთა კავშირის ყოფილმა რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ყოფილი სსრკ-ის საშინაო ვალის მომსახურების მექანიზმისა და პრინციპების შესახებ“ დოკუმენტის პირველი ნაწილის მეორე მუხლი მიუთითებს, რომ მხარეები იღებენ მოსახლეობის მიმართ ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო ვალის დაფარვის ვალდებულებას დავალიანების ნაშთის პროპორციული თანხის ოდენობით, რომელიც ირიცხებოდა 1992 წლის იანვრის მდგომარეობით, სსრკ შემნახველი ბანკების დაწესებულებების ბალანსზე, მხარეთა ტერიტორიებზე. დოკუმენტის მე-5 მუხლი გადმოსცემდა, რომ მხარეთა ფინანსთა სამინისტროებს თავის ბალანსზე უნდა აეღო ეს თანხა და გადაეფორმებინათ თავის სახელმწიფო ვალად ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებთან შეთანხმების წესით. დოკუმენტის საფუძველზე, 1992 წლის 20 მარტს, კიევში შეიქმნა დსთ-ს ქვეყნის ეროვნული ბანკების სპეციალური კომისია სსრკ სახელმწიფო აქტივებისა და პასივების საკითხებთან დაკავშირებით. კომისიის მიერ გაწეული უზარმაზარი სამუშაო, სავალალოდ, ფუჭი აღმოჩნდა – შექმნილ დოკუმენტებზე რუსეთის დელეგაციამ ხელი არ მოაწერა. ასეთი გადაწყვეტილებისთვის, ამ საკითხის გამო, რუსეთსა და სხვა ქვეყნებს შორის, ურთიერთობა შესამჩნევად გართულდა. ამ დროისთვის, საქართველოში მოხდა ხელისუფლების შეცვლა. პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას მთავრობამ არამარტო თანხების დაბრუნების წინადადება დააყენა. ქვეყნის მაშინდელი ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების მხრიდან საფუძვლიანი სამუშაოები შესრულდა საქართველოს საგარეო ვალის აქტივებთან დაკავშირებით, თუმცა დღემდე მკვლევართა ერთი ნაწილი კვლავ გაუმართლებლად მიიჩნევს საქართველოს სახელით, 1992 წლის 13 მარტს, ქვეყნის მაშინდელი ვიცე-პრემიერის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას კიევში ხელმოწერილ კაბალურ ხელშეკრულებაზე. საჭირო იყო აღნიშნული ხელშეკრულების დადასტურება საქართველოს მთავრობის მიერ, რაც არ მომხდარა. ხელშეკრულების რატიფიცირება არ მოუხდენია არც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს. არსებობს შეხედულებებიც, რომლის თანახმადაც, წარმოდგენილი დოკუმენტი თავისი ფორმითა და შინაარსით ვერ პასუხობდა საერთაშორისო ხელშეკრულებისთვის საჭირო მომზადებას. გაუგებრობას იწვევდა, რომელი ქვეყნიდან, კონკრეტულად, ვინ იყო წარმომადგენელი (თანამდებობა, გვარი, სახელი) მაგალითად, საქართველოს სახელით მილიარდებს გაურკვეველი პიროვნება თმობს – ხელმოწერის ნაცვლად „იეროგლიფია“ შემოხაზული. მეორეც – ზოგიერთმა ქვეყანამ ხელი მოაწერა გარკვეული პირობების დათქმით.<sup>131</sup> რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ვითარებაა – დოკუმენტს ხელი არ მოაწერა თავად რუსეთის ფედერაციამ, რომელმაც დოკუმენტი საკუთარი პირობების შესაბამისად წარმოადგინა. (მხარეებს ეს თანხა გადაეფორმებინათ თავის სახელმწიფო ვალად, ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებთან შეთანხმების წესით) ამიტომაც, ექსპერტები მიუთითებენ, რომ კიევის შეთანხმება, საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი და სწორი გადაწყვეტილებების საფუძველზე, რუსეთისადმი საქართველოს პრეტენზია, შემდგომში სამართლიანი იქნებოდა.<sup>132</sup>

<sup>131</sup> მაგალითად, ბელორუსმა წამოაყენა პირობა, რომ ვალს აიღებდა იმ შემთხვევაში, თუკი მოხდებოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ბანკში არსებული ოქროს, უცხოური ვალუტის და აღმასის ფონდის განაწილება.

<sup>132</sup> საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, კონსტანტინე კორკელია აღნიშნული შეთანხმების შეფასებისას, ჯერ კიდევ 2003 წელს აღნიშნავდა: „არსებობს დსთ-ს ეკონომიკური სასამართლო და გადასამოწმებელია, მათი იურისდიქცია თუ ვრცელდება ამ საკითხზე. თუ ასეა, მაშინ საქმის არსებით განხილვაზე პრობლემა არ შეიქმნება. საქართველოს სახლით მურმან ომანიძის მიერ ხელმოწერის უფლებამოსილების ეჭვქვეშ დაყენება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს. თუ შეთანხმების ბათილობა დადასტურდა, მერე უნდა

საქართველოსთვის წამგებიანი აღმოჩნდა 2001 წელს ხელმოწერილი ე.წ. „ნულოვან ვარიანტიც“, რომლითაც ქვეყანამ ყოფილი სსრკ-ის ქონებიდან კუთვნილ წილზე უარი თქვა. სსრკ-ის ქონება 300 მილიარდ აშშ დოლარად იყო შეფასებული, საიდანაც საქართველოს 5 -დან 10 მილიარდ დოლარამდე ეკუთვნოდა, თუმცა 2001 წელს, „პარიზის კლუბის“ რატიფიცირებით, ქვეყანამ კუთვნილ მოთხოვნაზე უარი 150 მილიონი დოლარის ვალების რესტრუქტურისაციის სანაცვლოდ თქვა. აღნიშნული ხელშეკრულებით, საქართველომ მოახერხა იმ საგარეო ვალის გასტუმრების გადავადება 20 წლის ვადით, რომელიც საქართველოს ჰქონდა გასაცემი 2003-2006 წლებში „პარიზის კლუბის“ წევრი ქვეყნების მიმართ.<sup>133</sup> ექსპერტთა ნაწილი, „პარიზის კლუბში“ საქართველოს მიერ „ნულოვან ვარიანტზე“ ხელმოწერას რუსეთთან სამუდამო „განქორწინების“ ისტორიული და სამართლებრივი მნიშვნელობის მოვლენად ახასიათებს.

საბჭოთა ანაბრების მიმართ პასუხისმგებლობის მომავალი პოლიტიკურმა კონტექსტმა და საქართველოს მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების გამოუცდელობამ, ხშირ შემთხვევაში კი არაეფექტურმა ნაბიჯებმა გადაწყვიტეს. ახალმა ქართულმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ ვერ მიიღო და დაიცვა პრინციპული გადაწყვეტილებები. მალე საბჭოთა ანაბრების გასტუმრების ვალდებულებას გაუფასურებული პოსტსაბჭოთა ქართული ანაბარიც დაემატა. სახელმწიფომ საკუთარი მოქალაქეები გააწილა, რომლებმაც თანხები გაზრდილი ოდენობის მოლოდინით კვლავ შემნახველ სალაროებში შეიტანეს. დაიკარგა ნდობა სახელმწიფოსა და საკუთარ მოქალაქეებს შორის, რადგანაც ადამიანები დაკარგული დანაზოგებით ფიზიკური გადარჩენის წინაშე აღმოჩნდნენ. 1990-იან წლებში, ქვეყნის თვითნებურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, საფინანსო და პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტემ და კანონის უზენაესობის არარსებობამ, მოსახლეობის სოციალური გენოციდი გამოიწვია. თბილისის ომი, კონფლიქტი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ერთიანობაში დაღის დამსმელი აღმოჩნდა საქართველოს საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობის მიმართ სხვადასხვა სოციალური ვალდებულებების შესრულებისთვის მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლების შექმნა მოახერხა, თუმცა საკითხების სისტემურმა გაუაზრებლობამ, პირადმა ინტერესებმა და ნაკლებმა კომპეტენტურობამ, დღემდე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული ანაბარიც გადაუჭრელ პრობლემად აქცია. ამიტომაც, მკვლევართა ერთი ნაწილი სამართლიანად შენიშნავს, რომ მომხდარი მოვლენები – ეს იყო ერის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი საბედისწერო ეკონომიკური კატაკლიზმი, რომელმაც გააღატაკა ქართველი ხალხი და ამის კატასტროფულ შედეგებს საზოგადოება დღემდე იმკის.

საბჭოთა ანაბრები ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და იმ მძიმე პრობლემათაგან უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მთავარ განმსაზღვრელ საკითხად იქცა. ეს საკითხი თითქმის ერთნაირი სიმწვავეთ გახდა პრობლემატური პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყნისათვის, რომელთაც

დადგინდეს პასუხისმგებელი მხარე – საქართველო თუ რუსეთი.“ გაზეთი „24 საათი“, 2003, #176 (საქართველომ დსთ 2009 წლის 18 აგვისტოს დატოვა)

<sup>133</sup> ხელშეკრულებით „ატრადიუს დან სტეიტ ბიზნეს ნ.ვ.“-მა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიიღეს რა მხედველობაში 2001 წლის 6 მარტს და 2004 წლის 21 ივლისს პარიზის კლუბში საქართველოს მთავრობასა და მონაწილე კრედიტორი ქვეყნების მთავრობებს შორის, მიღწეული მრავალმხრივი შეთანხმებები, რომელთა საფუძველზეც, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „ატრადიუსთან“ 2001 წლის 19 სექტემბერსა და 2005 წლის 7 ივნისს გააფორმა რესტრუქტურირების შეთანხმებები, გააფორმეს ხელშეკრულება „პარიზის კლუბის მიერ აღიარებული და რესტრუქტურირებული საქართველოს საგარეო ვალით წარმოქმნილი ვალდებულებების გაცემის თაობაზე“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2007 წლის 28 დეკემბრის #5656-რს დადგენილებით. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რესტრუქტურირების შეთანხმებით, განსაზღვრული უფლება-მოვალეობები გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის. ხსენებული ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა რესტრუქტურირების შეთანხმებით განსაზღვრულ საგადამხდელო ვალდებულებათა სრულად შესრულება. „პარიზის კლუბმა“, რომელიც 1956 წელს დაფუძნდა და აერთიანებს კრედიტორ მთავრობებს განვითარებული ქვეყნებიდან, საქართველოს ვალები, პირველად 2001 წელს გადაუვადა.

გამოსავლის მიება სხვადასხვა მეთოდებით დაიწყეს, თუმცა დღემდე ეს კვლავ მოუგვარებელია მათი აბსოლუტური უმრავლესობისათვის. საბჭოთა კავშირის ყოფილმა რესპუბლიკებმა პრობლემის დაძლევის სხვადასხვა მოდელი შეიმუშავეს, თუმცა არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რითაც საკითხის გადაწყვეტა მოხდებოდა. ამიტომაც, მთავარი გამოსავლის მიებაა, თუ როგორ და რა გზებით უნდა გადაიჭრას საკითხი საქართველოშიც. კერძოდ, გასტუმრებულ იქნას ვალი, რომელის მოვალედ, ქართული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო გვევლინება, ხოლო კრედიტორებად საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც იყვნენ საბჭოთა მეანაბრეები, თუმცა სახელმწიფომ ასეთი მოქალაქეების პრობლემის გადასაჭრელად, დღემდე ვერ შექმნა ვალის გადახდის სამართლიანი მექანიზმი.

საქართველოს მთავრობას დღემდე არ გააჩნია გამოკვეთილი და ცალსახა მიდგომები ან პრობლემის მოგვარების გზები, თუ როგორ და რა პერიოდში უნდა შესრულდეს ვალდებულება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ქვეყანამ მოახდინოს გამოცდილების გაზიარება, გათვალისწინება და პროცესთან დაკავშირებული თანმდევი გამოწვევებისა და რისკ ფაქტორების გაანალიზება, რაც უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არსებობს. საქართველოსთვის გამოცდილების გაზიარება, შედეგზე ორიენტირებული პრიორიტეტების და მიდგომების გამოკვეთა და შიდა ვალში აღებული ვალდებულებების მიმართ ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრის პრობლემების გადაჭრას დააჩქარებს და რეალისტურს გახდის.

საქართველომ საბჭოთა ანაბრების პრობლემის გადაჭრისთვის, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, ოთხი სტრატეგიული ეტაპი უნდა განვლოს, რაც ყოფილი მოკავშირე ქვეყნების მთავრობებმა შემდეგს განეხორციელებინათ:

- სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ვალის აღიარება<sup>134</sup>
- სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს პრობლემის მოგვარების მეთოდიკა
- სახელმწიფომ უნდა მიუთითოს ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელ წყაროზე
- სახელმწიფომ უნდა დაიწყოს კომპენსაციის გაცემა

გარდა ამისა, მთავარი აქტივობები, რაც სახელმწიფომ უნდა მოახდინოს, პრობლემის გადაჭრის ერთიანი ჩარჩო მექანიზმის შექმნაა, რომლის ფარგლებშიც მოხდება კომპენსაციამდე საჭირო საკითხების მოგვარება:

- საბჭოთა ანაბრების სრული ინვენტარიზაცია
- საბჭოთა ანაბრების მფლობელთა ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნა
- საბჭოთა ანაბრების დაანგარიშება და კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა
- კომპენსაციის გაცემის გრაფიკის და წესის დამტკიცება
- კომპენსაციის განხორციელების პროცესში სახელმწიფო და საზოგადოებრივი მონიტორინგის უზრუნველყოფა<sup>135</sup>

საქართველომ უნდა გაიზიაროს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გამოცდილება იმ მიმართულებითაც, რომ მკაცრად განსაზღვროს კომპენსაციასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საკომპენსაციო თანხების გაცემის პროცესის დროში გონივრული განაწილება
- საკომპენსაციო თანხების მიმღებ ბენეფიციართა კატეგორიის მიხედვით დაყოფა
- კომპენსაციის გაცემის ოპტიმალური სქემის/გეგმის შექმნა

<sup>134</sup> საქართველომ საბჭოთა ანაბრები შიდა ვალში კანონით, 1998 წელს აღიარა.

<sup>135</sup> აღნიშნული მოქმედებების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაცაა ანაბრების შემსწავლელი კომისიის შექმნა, რომელიც საქართველოში 2004 წლიდან უკვე მოქმედებს. ამასთან, მნიშვნელოვანი კომპონენტია ანაბრების შიდა ვალში გამოცხადება, რომელიც ქვეყანამ 1998 წლის კანონით უკვე მოახერხა.

- კომპენსაციის გაცემის პროცესში მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკ ფაქტორების გაანალიზება
- ინფლაციური პროცესების ხელოვნურად პროვოცირებისა და შესაბამისი ფინანსების დეფიციტის წარმოქმნის საფრთხის კონტროლი.

საბჭოთა ანაბრების პრობლემის დაძლევის პროცესი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დადგენისა და დაზუსტების მიმართულებითაც შრომატევადი იქნება, რადგანაც საკითხის მიმართ კონცეპტუალური დამოკიდებულება ვერ ჩამოყალიბდება, თუკი არ მოხდება ანალიზი – რამდენი მეანაბრეა საქართველოში, როგორ უნდა დადგინდეს მოქალაქის მეანაბრეობის ნამდვილობა, თუკი შესაბამისი მტკიცებულებები გამქრალია, რეალურად, რამდენს შეადგენს სავალოდ არსებული თანხა, რომელი სოციალური ჯგუფი აღმოჩნდება კომპენსაციის პროცესში პრიორიტეტული და სახელმწიფოს მხრიდან რა გონივრული ვადები იქნება დასახელებული იმისთვის, რომ აღებული ვალდებულება შესრულებულად გამოცხადდეს.

ერთი მოსაზრებით, საქართველოს სახელმწიფო შემნახველ სალაროებში 2.5 მილიონი მეანაბრე ირიცხება, ხოლო კერძო კომერციულ ბანკებში 50 ათასი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 20 მარტის ინფორმაციით,<sup>136</sup> „ყოფილი საბჭოთა მეანაბრეების მიმართ არ განხორციელებულა პერსონიფიცირება. სამინისტროში არ არსებობს ზუსტი მონაცემი იმის თაობაზე, თუ რამდენი მოქალაქეა საბჭოთა ანაბრის მფლობელი.“

2013 წლის 18 თებერვალს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიმართ დასმული იქნა შემდეგი სახის საკითხები:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით, საბჭოთა კავშირის რამდენი მეანაბრე საქართველოს მოქალაქეა ფიქსირებული და რეგისტრირებული. გთხოვთ, მიუთითოთ, რა სამართლებრივ საფუძვლებს ეყრდნობა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის მონაცემი?
2. წარმოადგენს თუ არა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერესს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს მოახდინოს საბჭოთა ანაბრის მქონე საქართველოს მოქალაქეთა ცალკე რეგისტრირება და ბაზის შექმნა?!
3. როგორია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დამოკიდებულება და პოზიცია, უნდა არსებობდეს თუ არა ყოფილი საბჭოთა მეანაბრე საქართველოს მოქალაქეთა ბაზა?

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) 2013 წლის 25 თებერვლის #11-06/383 წერილის თანახმად, „საქსტატს არ მოეპოვება ინფორმაცია საბჭოთა კავშირის მეანაბრე საქართველოს მოქალაქეების რაოდენობასთან დაკავშირებით. ამასთან, მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის მიერ აღწერის თარიღის დადგენის შემდეგ, დაინტერესებულ მხარესთან განხილვისა და გაეროს რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე დადგინდება კითხვარში შესატანი კითხვების ჩამონათვალი.“ საქსტატის განმარტებით, კითხვაზე: უნდა არსებობდეს თუ არა ყოფილი საბჭოთა მეანაბრე საქართველოს მოქალაქეთა ბაზა, „აღნიშნული კითხვა სცილდება საქსტატის კომპეტენციას.“<sup>137</sup>

<sup>136</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს 2013 წლის 20 მარტის #01-02/23205 წერილი

<sup>137</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის 2013 წლის 25 თებერვლის #11-06/383 წერილი.

პრობლემურ საკითხთა ჩამონათვალს განეკუთვნება მენაბარეები, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რეგიონში. ეკონომიკის ექსპერტი, ლევან კალანდაძე აღნიშნავს, რომ ამ მხრივ, საქართველოს, სხვა ყოფილი მოძმე რესპუბლიკებისგან განსხვავებით, სერიოზული პრობლემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებთან დაკავშირებით აქვს და თუ ეს საკითხი, სახელმწიფოთა დონეზე, მაგალითად, რუსეთთან არ მოგავრდება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა ბაზების მოპოვება გართულდება.<sup>138</sup>

ამ მიმართულებით, პრობლემათა ჩამონათვალს ემატება აღნიშნული რეგიონებიდან, 1990–იანი წლების ომის შედეგად ადგილნაცვალი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მოქალაქეთა მეანაბრეობის საკითხიც.

კვლევის ფარგლებში, 2013 წლის 13 თებერვალს მომზადებული წერილით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წინაშე დასმული იქნა შემდეგი სახის საკითხები: ა) არსებობს თუ არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის სტატისტიკა ან/და მიახლოებული მონაცემი, 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით, რამდენი ადგილნაცვალი პირია ყოფილი საბჭოთა ანაბრის მფლობელი; ბ) არსებობს თუ არა სამინისტროსთვის კონცეფცია/ხედვა, როგორ შეიძლება ადგილნაცვალ პირებში დადგინდეს საბჭოთა ანაბრების ფლობის ზუსტი/მიახლოებული სტატისტიკა და გ) რა ინიციატივებსა და წინადადებებს განიხილავს სამინისტრო იმისთვის, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებული პირები აღმოჩნდნენ პირველი რიგის მეანაბრეები, რომლებმაც, შესაძლებელია, მიიღონ ანაბრის კომპენსაცია. წერილის პასუხად, 2013 წლის 27 თებერვალს, ორგანიზაციამ მიიღო შეტყობინება, რომ „სამინისტროს არ მოეპოვება არანაირი სახის ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულ პირების მიერ საბჭოთა ანაბრების ფლობელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.“<sup>139</sup> უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 მარტის #136 ბრძანებულების თანახმად, რომლითაც დამტკიცდა ანაბრებზე რიცხული ფულადი გაცემის წესი, უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული თანხის მიმღებ დევნილ პირველი ჯგუფის ინვალიდ მეანაბრებს.

გარდა ამისა, სამინისტროს წინაშე დასმულ იყო შეკითხვა, თუ რა რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მოქმედი სახელმწიფო კომისიის მიმართ 2004 წლის 15 ნოემბრიდან 2013 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით, რომლის მიმართაც, სამინისტრომ დუმილი ამჯობინა. მოგვიანებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზაციისთვის მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად დადგინდა, რომ სახელმწიფო შიდა ვალის შემსწავლელი კომისიის მიმართ, სამინისტროს ასეთი სახის წინადადებით არ მიუმართავს.

2013 წლის 18 თებერვალს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე დაისვა შეკითხვა, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რა სტრატეგიითა და ფორმით გეგმავს ან/და შეუძლებლად მიიჩნევს მოახდინოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ადგილნაცვალი პირების ყოფილი საბჭოთა მეანაბრედ ცნობა. სამინისტროს 2013 წლის 20 მარტის #01–02/23205 წერილის თანახმად, გვეცნობა, რომ „მიმდინარეობს მსჯელობა ამ საკითხზე, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.“<sup>140</sup>

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საბჭოთა ანაბრების თემასთან პირდაპირ დაკავშირებულია, საკომპენსაციო თანხის ოდენობას ეხება. 2002 წელს შექმნილმა 90–იანი წლების პირველ ნახევარში

<sup>138</sup> [http://www.for.ge/view.php?for\\_id=21508&cat=9](http://www.for.ge/view.php?for_id=21508&cat=9)

<sup>139</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილის 2013 წლის 27 თებერვლის №06–06/24227 წერილი.

<sup>140</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს 2013 წლის 20 მარტის #01–02/23205 წერილი

ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელმა კომისიამ გამოაქვეყნა, რომ სავალო თანა შეადგენს 502 მილიონ ლარს, თუმცა ექსპერტულ წრეებში, ჯერ-ჯერობით, კვლავ არ არის ერთიანი აზრი საკომპენსაციო თანხის რეალურ ციფრებთან დაკავშირებით.

მაღხაზ ცისკარიშვილი, საკომპენსაციო ფონდის თავმჯდომარე მიუთითებს, რომ მენაბრების საკითხი ღიადაა დარჩენილი, ხოლო ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიცაა, რომ სავალოდ დასახელებული თანხა ნდობას არ იმსახურებს და შესასრულებელი ვალდებულება 502 მილიონზე მეტია. „ჩვენი გათვლით ეს თანხა შეადგენს დაახლოებით 12-15 მილიარდ ლარს. ეს არ არის ის ციფრი, რომელიც სახელმწიფომ ვერ შეიძლება დაფაროს. მითუმეტეს, ჩვენ ვსაუბრობთ ნაწილის ანაზღაურებაზე და არა სრულ დაფარვაზე. ამდენად, გონივრულ ციფრამდე მისვლა სრულიად შესაძლებელია. ამასთან, გაეროს 1945 წლის ნორმის დეკლარაცია ითვალისწინებს, რომ „იმ შემთხვევაში, თუ პირმა ან პირთა ჯგუფმა განიცადა ზარალი, ხელისუფლების წევრთა დანაშაულებრივი უმოქმედობის ან დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად, მთავრობა ვალდებულია შექმნას საკომპენსაციო ფონდი, რომლის საშუალებითაც აკუმულირებას გაუკეთებს სახსრებს ზარალის ასანაზღაურებლად“. ამდენად, ხელისუფლება ვალდებულია კომპენსაცია გასცეს.“<sup>141</sup> დასახელებული ციფრების მიმართ უნდობლობას გამოხატავს საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გია თოფურიაც, რომელიც ამბობს, რომ „არსებული ციფრი, რომლითაც გამქრალი ანაბრების მოცულობაა გამოსახული, ანუ ის, რაც სახელმწიფოს ვალად აქვს აღიარებული, ნდობას არ იმსახურებს და იგი ხელახლა დასათვლელია. გარდა ამისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სერთიფიკატები და სხვა ფასიანი ქაღალდები, მაგალითად, შემნახველი ბანკის სერთიფიკატები, ესეც მნიშვნელოვანი საკითხია. ეს თანხა დათვლილი არ არის.“<sup>142</sup>

ამასთან, საქართველოს სახელმწიფოს, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აკისრია ვალდებულება საბჭოთა ანაბრების კომპენსაციის ბენეფიციარი ჯგუფების დასახელებასთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით, სწორად შერჩეული პრიორიტეტების შერჩევისთვის. ამასთან, საზოგადოებისთვის შეთავაზებულ უნდა იქნეს გონივრული ვადა, რათა სახელმწიფომ ეფექტურად შეძლოს ვალდებულების შესრულება და პროცესი დამოკიდებული არ აღმოჩნდეს ფუჭ მოლოდინებზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ აჩვენა, რომ გონივრული ვადა თითქმის არსად არ არის დაცული. იმ ქვეყანებში, სადაც საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების საკითხი დღის წესრიგში დგას, პროცესი მაინც თვითდინებასაა მიცემული. ანაბრების ანაზღაურების პროცესი ყველაზე თვალსაჩინოდ და შეუქცევადი ტემპით, მხოლოდ ერთადერთ სახელმწიფოში – აზერბაიჯანში მიმდინარეობს, რომელმაც ვალდებულების შესრულება 2013 წლის ბოლომდე დაისახა. ამიტომაც, მნიშვნელობა აქვს ხელისუფლება ჩამოყალიბდეს რეალისტურ გათვლებზე და გონივრულ ვადებზე, იმ სოციალური ჯგუფების შერჩევაზე, რომლებიც იქნებიან პირველი რიგის კომპენსაციის მიმღები. მითუმეტეს, საქართველოს 1997–98 წლებში ბენეფიციართა შერჩევის გამოცდილება გააჩნია. აგრეთვე, არსებობს არაერთი შეხედულება და პრაქტიკაც, თუ რამდენად მართებულად მოხდა საკომპენსაციოდ შერჩეული წრე და რა ნაკლოვანებები არსებობდა ვალდებულების შესრულების პროცესში.

რა გარემო პირობების შედეგად მოხდა საბჭოთა ანაბრების გაუფასურება და რა შესაძლებლობა გააჩნია საქართველოს სახელმწიფოს შიდა ვალში აღიარებული ვალდებულების შესასრულებლად, რა ფორმით უნდა გადაწყდეს საბჭოთა ანაბრების გასტუმრების პრობლემა – 2013 წლიდან საკითხი კვლავ აქტუალური გახდა ქართველი ექსპერტებისთვის და თემით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე მიუთითებს, რომ ანაბრების გაუფასურების მიმართულებით, ჰიპერ-ინფლაცია არის პროცესი, რომელიც მაშინ

<sup>141</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი მაღხაზ ცისკარიშვილის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან

<sup>142</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი გია თოფურიას მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან

განვითარდა და ინფლაცია გამომდინარეობდა სხვადასხვა ფაქტორიდან, რამაც ერთიანად დააზარალა იმ პირთა წრე, რომელიც მთალი საქართველო იყო. „მიმაჩნია, რომ ინფლაცია იყო იმ პერიოდში არსებული ეკონომიკური გუნდის არასათანადო გამოცდილებისა და დაბალი კვალიფიკაციის შედეგი. მაშინ ჩვენ ვთქვით, რომ გვინდოდა დამოუკიდებლობა და „ბორჯომით“ გავიტანთ თავს. ამან გამოიწვია ის, რომ დავტოვეთ სამანეთო ზონა და არავინ არ გათვალა, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას. ქვეყანას გააჩნდა ვალდებულებები, სჭირდებოდა ფული და ეს ფული ფიზიკურად არ გაგვაჩნდა. ასევე, ალბათ, არავინ დავობს იმაზე, რომ ინფლაციის შესახებ მაშინდელ მოქმედ ასზე მეტ კერძო კომპანიას ჰქონდა ინფორმაცია. ბუნებრივია, ვისაც ინფორმაცია გააჩნია, ის უფრო მეტ სარგებელს იღებს. ზოგადად ჰიპერ-ინფლაციის ბუნებაა ასეთი, რომ ის იწვევს საზოგადოებაში რესურსების გადანაწილებას. 1990-ანი წლების დასაწყისში, ჩვენ დავრჩით ფულის გარეშე და ქვეყანაც აწარმოებდა ორ ომს. საქართველო ყოფილი საბჭოეთიდან ყველაზე მეტად დაზარალებული აღმოჩნდა, ომის თვალსაზრისითაც, ტერიტორიების დაკარგვითაც და ეკონომიკური შედეგებითაც. შესაბამისად, სადღეისოდ, საინტერესოა საზოგადოებამ იცოდეს ხელისუფლების პოზიცია, თუ რა ფორმით შეძლებს სახელმწიფო ანაბრების, როგორც შიდა ვალის გასტუმრების შესაძლებლობას. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ ბევრი კითხვა არსებობს საკითხის მოუგვარებლობაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, ამ თემას ჩამოვაცილოთ პოლიტიკური ნაწილი. თუ ეს გახდა პოლიტიკური თემა, ვერასდროს ვერ დავიბრუნებთ ანაბრებს და ვერც დაიწყება ჯანსაღი პროცესი. იმასაც არავინ უნდა ელოდეს, რომ პრობლემის გადაჭრა მოხდება უსწრაფესად. პროცესი გრძელვადიანია და შესაძლებელია 10 წლის განმავლობაში გაგრძელდეს. უნდა შემუშავდეს ახალი მეთოდოლოგია, დაანგარიშება, მაგრამ ისტორიულ სიღრმეებში წასვლა არ იქნება მომგებიანი. შესამუშავებელია მოდელი და ოპტიმალური პოზიციის დაჭერა.“<sup>143</sup>

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი, იურისტი ლია მუხაშავრია აღნიშნავს, რომ ანაბრების დაბრუნების შესახებ საქართველოშიც და ევროსასამართლოშიც შეტანილი სარჩელები წარუმატებელი იყო, მაგრამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ეთხოვოს პარლამენტს მთავრობასთან ერთად, გონივრულ ვადაში შეიმუშაოს ან მიიღოს სათანადო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების სამართლიანად დაბრუნებას „ეს გადაწყვეტილება ძალაშია, არავის გაუუქმებია, გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას ან გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამიტომ ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია მოვიფიქროთ, რა შეიძლება იყოს გადაწყვეტის გზა. ეს არ არის წმინდა სამართლებრივი საკითხი, მაგრამ სამართლებრივი საკითხები შეიძლება გახდეს სერიოზული პოლიტიკური საკითხი, თუკი საზოგადოებას ექნება დაკვეთა და პოლიტიკოსებს ექნებათ კონკრეტული დღის წესრიგი, რომელზეც მათ პასუხი უნდა გასცენ. თუკი ბუნებაში ატომი და მოლეკულა არ იკარგება, ამდენი უბედურება, ეს ამდენი ფინანსური რესურსი და ეს ამდენი ტრაგედია, ცხადია, ასე არ ჩაივლის. სწორედ ახლა გაჩნდა ქვეყანაში ის განცდა, რომ ეს ჩვენი სახელმწიფოა, ჩვენი ბიუჯეტია, ჩემი ხაზინაა. ამიტომაც ანაბრების საკითხი უცილობლად საჭიროებს დარეგულირებას. ჩვენი შემდგომი საუბარი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მოვიფიქროთ გამოსავალი ისე, რომ ჩვენი ბიუჯეტი არ დავანგრიოთ. არსებობს მოსაზრება, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე, საპროცესო შეთანხმებებით, ბიუჯეტში შეტანილი 140 მილიონ ლარზე მეტი უნდა დაბრუნდეს, ჯერ კიდევ არის დარჩენილი ე.წ. სახელმწიფო ქონება, რომლის პრივატიზაციაც არ მომხდარა, სახელმწიფოს არ მოუხდენია ამ ქონების აქციებად გამოცემა. შესაძლებელია, მთავრობამ ანაბრების კომპენსირების ნაწილში, ამ შესაძლებლობების გამოყენებაზეც იფიქროს. იქნებ აქციების სახით აუნაზღაუროს მეანაბრებს მიყენებული ზიანი, ხოლო თუ ეს არ იქნება საკმარისი და ალბათ არ იქნება, მაშინ სახელმწიფომ, შესაძლებელია იფიქროს წიაღისეულის და ბუნებრივი სიმდიდრის ბრუნვაში გაშვებაზეც ანუ მისი ყიდვა-გაყიდვა, ვიცით, არ შეილება, სახელმწიფოს მისი მხოლოდ სარგებლობის უფლების გაცემა შეუძლია. ამიტომაც, თუკი წიაღისეული და ბუნებრივი სიმდიდრე აქციების სახით გამოვა, გავა ბრუნვაში და დაურიგდება ყოფილ მეანაბრეებს, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, თუმცა ყველაფერი მოსაფიქრებელია, ყველა აზრს და ხედვას უნდა

<sup>143</sup> გაზეთი „ახალი თაობა“, 10 აპრილი, 2013, #84, ამონარიდი ირაკლი ლექვინაძის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 30 მარტს თბილისში გამართული კონფერენციიდან.

მივცეთ არსებობის უფლება. საკითხი უნდა შეისწავლონ ეკონომისტებმა და იურისტებმა. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ სასამართლოებიც, რომ შეცვალონ ანაბრების კომპენსაციის საკითხისადმი მიდგომა და ჩამოყალიბებული პრაქტიკა.“<sup>144</sup>

ვასილ მაღლაფერიძე, რომელიც 2004 წელს, საქართველოს პარლამენტში, 1992–93 წლებში მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების გამომწვევი მიზეზების მომხსენებელთა საპარლამენტო ჯგუფს ხელმძღვანელობდა, განმარტავს, თუ რატომ გაქრა ანაბრები. „არსებობს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ობიექტური მიზეზია მომხდარი ინფლაცია და საბჭოთა კავშირის ნგრევა, რომელსაც ჩვენ ვერ შევაჩერებდით, თუმცა სახელმწიფოები ვალდებულია საკუთარი მოსახლეობისთვის გათვალისწინოს და ადვილად გადასატანი გახადოს მოსალოდნელი შედეგები. საქართველოში საწინააღმდეგო მოხდა. შერბილების ნაცვლად გაიძარცვა მოსახლეობა. როგორ მოხდა პოლიტიკური ცვალებადობის პირობებში კატაკლიზმები, უნდა შეისწავლონ ფინანსისტებმა. იურისტებმა უნდა შეისწავლონ, როგორ ხდება კრიმინალი. ამის პარარელურად, სპეციალისტებმა უნდა იფიქრონ, როგორ მოხდეს კომპენსირება და დაანგარიშება. მართალია, კომპენსირება, ალბათ, მთლიანობაში, სრულად ვერ მოხდება, მაგრამ გარკვეულწილად, ეს შესაძლებელია. ეს მოემსახურება საკითხის მიმართ სამართლიანობის აღდგენას, თუმცა პროცესის განვითარებისთვის, საჭიროა პოლიტიკური ნება, ხელისუფლების სურვილი. ფინანსისტებმა და იურისტებმა პოლიტიკის გარეშე უნდა მიუღწეონ საქმეს, თუმცა შედეგები, მაინც, საბოლოოდ, პოლიტიკურ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანს. მაშინ, როდესაც ინფლაციური პროცესი განვითარდა, არ მოხდა თანხების მოცულობის დაანგარიშება მანეთებში. არ იქნა ამისთვის სხვადასხვა მაჩვენებლების მხედველობაში მიღება. პარლამენტში, როდესაც ანაბრების საკითხზე 2004 წელს მომხსენებელთა ჯგუფი შეიქმნა, ჩვენ დავდეთ იმ 500 ფირმის სახელი, რომლის მიმართაც, წესით, შესაბამისს სტრუქტურებს კითხვები უნდა დაესვათ, რადგანაც ყველა აღიარებდა, რომ მომხდარი იყო დანაშაული, თუმცა პასუხისმგებლობის საკითხის დასმა გასულ ხელისუფლებაში არ უცდიათ. საკითხს ჰყავდა თავისი იდეოლოგიური დამცველები. ასეთი მიდგომებით ახალი კაპიტალიზმის ჩამოყალიბების მცდელობებს ავლენდნენ. დარწმუნებული ვარ, გაიხსნება ამ ხუთასი ფირმის გვარები და ყველაფერი გახდება ნათელი. ეს თანამედროვე ისტორიის ყველაზე დიდი შტრიხი იქნება. „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობდა, რომ ანაბრების გაცემის ვალდებულება მათი ტვირთი არ იყო, მაგრამ აღიარება მაინც მოხდა, რომ კოლექტიული დანაშაული იქნა მომხდარი. „ნაცმოძრაობამ“ მიაღწია, რომ არ წასულიყო ძიება და არ დასახელებულიყო გვარები. დღეს ადამიანების ნაწილს წარმოადგენს აქვს, რომ რადგანაც ანაბრები სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარა, უნდა გაისტუმროს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ შიდა ვალი შეიძლება იყოს სამიდღემშიო. შიდა ვალი დაბრუნდება თუ არა, პოლიტიკური საკითხია. ხელისუფლებას ურჩევნია, ანაბრების გაცემაზე ფიქროს, მაგალითად, პრიორიტეტი სამედიცინო დაზღვევის ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობა, სხვა ინფრასტრუქტურული საკითხები გახადოს. ამით უფრო მოიგებს ამომრჩევლის გულს. შესაბამისად, ანაბრების გაცემა ხელისუფლების კეთილი ნების საკითხია.“<sup>145</sup>

ელგუჯა მექვაბიშვილი, რომელიც 2002 წლის 20 მარტს, 90–იან წლების პირველ ნახევარში ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი კიდევ ერთი კომისიის თავმჯდომარედ მუშაობდა, საბჭოთა ანაბრების გაუფასურების სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე დღესაც საუბრობს. „ერთობლიობაში, ობიექტური მიზეზი იყო ფაქტობრივად ის, რომ დაიშალა უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, იყო ერთიანი ეკონომიკა, ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და, შესაბამისად, ფულის ემისია, რომელიც, მოგეხსენებათ, მოსკოვის ცენტრალურ ბანკში ხდებოდა, შეწყდა. საქართველოს არ ჰქონდა თავისი, დამოუკიდებელი ბანკი და საქართველოს ცენტრალურ ბანკს ეწოდებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის კანტორა და ფაქტობრივად, ფულის ემისია და ფულადი მასის რეგულირება საქართველოში არ ხდებოდა. ამიტომ, საბჭოთა კავშირის დაშლამ, ურთიერთობის

<sup>144</sup> გაზეთი „ახალი თაობა“, 10 აპრილი, 2013, #84, ამონარიდი ლია მუხაშავრიას მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 30 მარტს თბილისში გამართული კონფერენციიდან.

<sup>145</sup> გაზეთი „ახალი თაობა“, 10 აპრილი, 2013, #84, ამონარიდი ვასილ მაღლაფერიძის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 30 მარტს თბილისში გამართული კონფერენციიდან.

გაწყვეტამ სხვადასხვა დარგებს შორის, გამოიწვია მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციული კრიზისი და ამ კრიზისის ერთ-ერთი დიდი გამოხატულება იყო ის, რომ ფაქტობრივად, ჩვენ საკუთარი ფულის ემისიის წყაროს გარეშე დავრჩით. ამას, თან დაერთო ძალიან რთული პოლიტიკური სიტუაციები, სამოქალაქო ომი, საქართველოში შეიქმნა კრიზისული სიტუაცია, რომლის გამოხატულება იყო ჰიპერინფლაცია. ამ მაღალი დონის ინფლაციამ, ფაქტობრივად, ის ფული, რომელიც წლების განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეების მიერ ანაბრებზე იყო შეტანილი – გაუფასურდა. შესაბამისად, მისი დაბრუნება რომც მომხდარიყო იმ პერიოდში, ეს იქნებოდა გაუფასურებული ფული, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით, მოსახლეობისთვის არაფერ სასარგებლოს არ შექმნიდა.”<sup>146</sup>

მიხეილ ჯიბუტი, „საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, პროფესორი, მიიჩნევს, რომ „მეანაბრების პრობლემა, რომლებმაც თავიანთი ფული მიაბარეს სახელმწიფო დაწესებულებას, არის უკვდავი თემა და აუცილებელია შესრულდეს ის ვალდებულება, რაც სახელმწიფომ აიღო თავის თავზე. ჩვენ ვართ მემკვიდრეები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილ ტერიტორიაზე, სადაც წარმოიშვა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და შესაბამისად, მემკვიდრეობითობის პრინციპით, ის ვალდებულება, რაც ჰქონდა საბჭოთა კავშირს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, გადმოდის საქართველოს ხელისუფლებაზე. თუ რა დაემართა საბჭოთა ანაბრებს, აქ მრავალი საკითხია, თუმცა უმთვრესია, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კატაკლიზმებში, ანაბარი და ის ფულადი თანხა, რომელიც იღო ანაბრებზე, მისი მნიშვნელობა და სიმძიმე „აორთქლდა“, თუმცა არ გამქრალა. ეს „აორთქლება“ დაკავშირებული იყო ერთის მხრივ საბჭოთა რუბლის ზონის დაშლასთან, შემდეგ რუბლის კუპონით შეცვლის პერიოდთან, შემდეგ კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადებასთან და ყველა იმ პერიპეტეიბთან, რაც იყო ინფლაციური და საბჭოთა კავშირის დროს სხვადასხვა რეფორმების შედეგი.”<sup>147</sup>

ზურაბ გვასალია, „საქართველოს ბანკების ასოციაციის“ პრეზიდენტის მოსაზრებით, „პირველ რიგში, სახელმწიფოს ღირსების საქმეა ანაბრების საკითხის გადაჭრა. ბევრი არასამართლიანი შეფასება ისმის ხოლმე, თუნდათ პერსონალიების ძებნა, რაც არასწორია, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, პერსონალიებს მაინც ვერ გადავაბრალე. ჩვენთვის ძალიან ბევრი ციფრია საეჭვო, 12 მილიონი მეანაბრე ყავდეს უკრაინას, ამხელა ქვეყანას და 2.5 მილიონი საქართველოს, ეს ცოტა არ იყოს, დამაფიქრებელია. ჩემი თვალითაც მაქვს ნანახი ცარიელი ბეჭედდარტყმული წიგნაკები იყიდებოდა, რომლებსაც მარტო შევსება სჭირდებოდა. ეს იმ სიას, ალბათ, თავიდან ბოლომდე თავდაყირა დააყენებს, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც პრეტენზიას გამოთქვამენ და ამიტომ არის ძალზე ფრთხილი მიდგომა საჭირო. ციფრი, თუ რამდენი არის საქართველოს მოქალაქეების ანაბრები, ჩემთვის გაუგებარია. ძალიან დიდი დრო გვაქვს დაკარგული იმისთვის, რომ პროცესები სწორად და სამართლიანად წარმართულიყო და დღეს ეს პრობლემა საქართველოში არ ყოფილიყო. როგორი ფორმაც არ უნდა მოვებნოთ, საბოლოოდ მაინც ბიუჯეტს მივადგებით, ყველაზე უმტკივნეულო გზა უნდა ავირჩიოთ, რათა ეს ნაკლებ ტვირთად დააწვეს სახელმწიფოს. ეს არ შეიძლება ერთჯერადად, მყისიერად იქნეს გადახდილი და, ბუნებრივია, ეს პროცესი დროში გაიწელება. ამაზე ფიქრი უფრო დეტალურად შეგვეძლება მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მკვეთრად გამოხატავს თავის ნებას. ნების გამოხატვა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ დაიწყო ამაზე მუშაობა ფორმალურად, არ შეიძლება ამ საკითხის მემკვიდრეობით მუდმივად გადაბარება.”<sup>148</sup>

საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, პროფესორ სოლომონ პავლიაშვილის აზრით, „დაწყებული 1995 წლიდან, როდესაც საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, ანაბრების თემა აქტუალური

<sup>146</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი ელგუჯა მექვაბიშვილის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან.

<sup>147</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი მიხეილ ჯიბუტის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან.

<sup>148</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი ზურაბ გვასალიას მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან.

გახდა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პოლიტიკური ქულების ჩაწერისთვის გაკეთებული. შემდგომში ეს თემა გააქტიურდა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. შეიქმნა კომისია და 97-98 წლებში ეს თემა იყო ძირითადი პოლიტიკური მანიპულაციების საკითხი. გამოკვეთილად იყო საუბარი, თუ როგორ უნდა მოეხდინა ქვეყანას ამ ვალის ანაზღაურება. მექანიზმები ვალის გასტუმრებასთან დაკავშირებით იყო მრავალფეროვანი. საბოლოოდ, სახელმწიფომ აიღო 502 მილიონი ლარი შიდა ვალად და დაიწყო გადახდა, თუმცა მალევე შეწყდა. პროცესი ბევრ პრობლემას უკავშირდებოდა, ძალიან ბევრი წიგნაკი გაყალბებული იყო. ასევე, არსებობდა ფინანსთა სამინისტროში კომისია, რომელმაც ძალიან ბევრი ყალბი დოკუმენტი გამოავლინა. მაშინ ყალბი ბეჭედის დარტყმა არ იყო პრობლემა. ამიტომ, იმ ადამიანებმა, ვინც დღეს მუშაობენ ამ კომისიაში, უნდა გაითვალისწინოს, რომ ანალოგიური პრობლემები დღესაც შეიქმნება თანხის გაცემის დროს. თავის დროზე, ამასთან დაკავშირებით, მუშაობდა ძალოვანი სტრუქტურები, მაგრამ შედეგი ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ამიტომ ეს პრობლემა დგას. ვიყავი ინიციატორი, რომ კომპენსირება წილებით და აქციებით მომხდარიყო, მაგრამ აქაც წავაწყდით გარკვეულ წინააღმდეგობას, როგორ შეიძლება ეს პროცესი განვითარდეს, როდესაც არ არის ჩამოყალიბებული მეორადი ბაზარი, როცა არ ხდება აქციების კოტირება? აქ შეიძლება მეორე უკიდურესობაში გადავვარდეთ. მეორეც - რის აქციებს ვთავაზობთ? ძალიან ღრმად უნდა გავითავისოთ ყველა ეს საკითხი. მიმაჩნია, ის აღიარებული 502 მილიონი ლარი, გასტუმრებული იქნას იმ ფორმით, რა ფორმითაც იქნა აღიარებული.<sup>149</sup>

ანზორ საკანდელიძე, რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარე მიუთითებს, რომ საქართველოში ორ მილიონზე მეტი მეანბრე იმყოფებოდა, თუმცა მეანბრეების ამჟამინდელი რიცხოვნობის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. „საჭიროა აღიწეროს ეს ადამიანები. აღწერა უნდა დაიწყოს ცოცხალი მეანბრეებით და ისინი უნდა გამოცხადდნენ თავისი შემნახველი სალაროს წიგნაკით, რომელიც იქნება დამტკიცებული ნოტარიულად. ასევე, თუ პირდაპირი მფლობელი აღარ არის ცოცხალი, უნდა იყოს მისი მემკვიდრეობის ნოტარიულად დამტკიცებული საბუთი. როდესაც ჩვენ ამ შეკრებილ შემნახველ ანბრებს წარვადგენთ ფინანსთა სამინისტროში და მის შესაბამისად ავიღებთ საგადასახადო თამასუქებს, რაზედაც არის ჩვენი შემოთავაზებული პროგრამა,<sup>150</sup> ეს უნდა იყოს იურიდიულად დამტკიცებული. ჩვენს მიერ არის პროგრამა დამუშავებული და დაპატენტებულიც, რომელიც ანბრების კომპენსირების გარდა მეწარმეობის ხელშეწყობასაც მოიცავს. კერძოდ, იდეა მდგომარეობს საგადასახადო თამასუქების გამოშვებაში, რომლებიც დაზარალებულ მეანბრეებს გადაეცემათ და მათ მიერ ახალი საწარმოს შექმნის შემთხვევაში, ამ თამასუქით, შესაძლებლობა მიეცემათ წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულება ჩაითვალოს. მეანბრეებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა ეს თამასუქი გაყიდონ, როგორც ფასიანი ქაღალდი და ამით ხელი შეეწყობა მეორადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. ჩვენ რაც არ უნდა ვიწვალოთ, რაც არ უნდა პოსტსაბჭოური ქვეყნების გამოცდილება გადმოვიღოთ, პრობლემას ვერ მოვაგვარებთ. ამ გზით წასვლა ჩვენთვის აუცილებლად იქნება საზიანო. ბიუჯეტიდან დაფინანსებაც და პრივატიზაციის გამოყენებაც არის გზა, საიდანაც არაფერი გამოვა. ამიტომ, ჩვენ ავირჩიეთ საგადასახადო თამასუქების შემოღების მოდელი, რომელიც არ ითხოვს არავითარ საბიუჯეტო დაფინანსებას, თუმცა ჯერ-ჯერობით, საჭიროა ვალად აღიარებული 502 მილიონი ლარის ინდექსირება და შემდგომ მიღებული თანხის საგადასახადო თამასუქებად გამოცემა.“<sup>151</sup>

პროფესორ გიორგი ცაავას შეხედულებით, საანბრო საქმე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური საკითხია და მისი განაღდება აუცილებელიცაა. „შესაძლებელია, როგორც საბიუჯეტო, ისე სხვა წყაროს არჩევა. ჩვენ ეს იდეა კომისიას ადრეც შევთავაზეთ, თავიდან კომისიას მოეწონა, მაგრამ სადღაც ზედა

<sup>149</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი სოლომონ პავლიაშვილის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან

<sup>150</sup> 2012 წლის 3 იანვარს საქპანტეტმა #5042 დაარეგისტრირა ანზორ საკანდელიძისა და სხვათა ავტორობით მომზადებული სამეცნიერო მეთოდური ნაშრომი: „სახელმწიფო მიზეზით დაზარალებულ მეანბრეთა საკომპენსაციო ფონდის პროგრამის ძირითადი ასპექტები.“

<sup>151</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი ანზორ საკანდელიძის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან

ემელონებში იდეა დაიბლოკა. მხედველობაში იყო მეანაბრეების ნაწილისათვის ინფლაციური პროცესების თავიდან არიდების მიზნით დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობებში ფართების მიცემა ანაბრებზე არსებული ნაშთიდან გამომდინარე. ამის განხორციელება ახლაც შესაძლებელია და იმედია, კომისია ამას გაითვალისწინებს. ეს საქმე დასასრულამდე უნდა მივიდეს და თუ მართლაც ასე მოხდება, ამ საკითხებს ფინანსთა სამინისტრომ უნდა უხელმძღვანელოს, რადგანაც მის შიდა ვალშია და მის ბალანსზეა ეს აღრიცხული. მონაწილეობა უნდა მიიღოს, ასევე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, როგორც კონსტიტუციის მიხედვით, ფულის მიმოქცევაზე პასუხისმგებელმა ორგანომ. მთავარი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მისი კომისიის ამუშავებაა და არქივის გადამოწმებაა”.<sup>152</sup>

ლია ელიავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი საბანკო-საფინანსო საკითხებში, საზოგადოებას ანაბრების კომპენსაციის საკუთარ ხედვას სთავაზობს. „საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფო ქონების ინტენსიური გასხვისება ხდებოდა. ლიტვის მაგალითზე დაყრდნობით, მიმაჩნია, რომ სახელმწიფო ქონების გასხვისებით მიღებული თანხები, რომლებიც აკუმულირებული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ანგარიშებზე, სავსებით შესაძლებელია გამოვიყენოთ საბჭოთა ანაბრების კომპენსირებისთვის. ისმის კითხვა: რატომ? მოგეხსენებათ, საპრივატიზაციო სავალუტო შემოსულობები პირდაპირ ილექება ეროვნული ბანკის ანგარიშებზე და მისი ლარის ეკვივალენტი გადადის ბიუჯეტში. პრაქტიკულად, ფული, რომელიც ეროვნულ ბანკს გააჩნია, არის მიმატებული საერთაშორისო სავალუტო რეზერვს, ფული არის გატანილი ქვეყნიდან, არ არის გასაჯაროებული ინფორმაცია, თუ სად არის დაბანდებული ჩვენი საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, რომელ კერძო ფირმებსა თუ რომელ ფონდებშია ან ვინ ხეირობს ამ ფულით. რატომ უნდა ხეირობდეს ვიღაც უცხოელი საქართველოს ეროვნული სიმდიდრით, როცა შეიძლება მისი გამოყენება ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ? სავალუტო რეზერვების ნაწილი არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანხები. ის, რაც საქართველოს ეკონომიკიდანაა აკრებილი, მისი განკარგვის უფლება ეროვნულ ბანკს გააჩნია. დღეისათვის სავალუტო რეზერვები 3 მილიარდი დოლარია. მეთოდოლოგიით, რომლითაც ფორმირდება რეზერვები, ის ტოლი უნდა იყოს ქვეყნის იმპორტის 3-4 თვის მოცულობის. საქართველოს დღევანდელი საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 2-ჯერ აღემატება ამ მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ მოცულობას, ამიტომ მისი ნაწილის დახარჯვა ქვეყნის ეკონომიკისათვის იქნება სავსებით მიზანშეწონილი. ბუნებრივია, როცა ჩვენ ხელს ვახლებთ სავალუტო რეზერვებს, ეს არ არის ბიუჯეტის ფული და ეს იქნება ინფლაციური ფული. ისმის კითხვა: სჭირდება თუ არა ეკონომიკას ინფლაციური ფული? პასუხი ცალსახაა, სჭირდება და ეს აუცილებელიცაა. რატომ? იმიტომ, რომ ქვეყანაში მძვინვარებს დეფლაცია. დეფლაცია, რომელიც სპობს თანდათან ქვეყნის ეკონომიკას და თუ ის გაგრძელდება დიდი ხნის განმავლობაში, ეს ნიშნავს ქვეყნის რეალური სექტორის ნგრევას. თუ რეზერვების ნაწილი დაიხარჯება მოსახლეობის ანაბრების კომპენსირებისთვის ამით შეიძლება ორი ამოცანის ერთდროულად გადაწყვეტა: პირველი – დაზარალებული მეანაბრეების კომპენსირება; მეორე – ეკონომიკის სტიმულირება.“<sup>153</sup>

ექსპერტი. სტატისტიკოსი სოსო არჩვედის აზრით, „ყველაფრის დათვლა შეიძლება, გააჩნია პირობითობას და სიზუსტეს. თავის დროზე, საქართველოში ანაბრების თანაფარდობა შინამეურნეობათა რაოდენობასთან დაახლოებით შეადგენდა 80%-ს, ხოლო საშუალო ანაბრის სიდიდით, საქართველო მეორე ადგილზე იყო მაშინდელ მოკავშირე რესპუბლიკებში. დღეს პრობლემის გამწვავება და აქტუალობის გაზრდა უკავშირდება ორ მომენტს: ერთი, ეს არის სამართლიანობის აღდგენის საერთო პათოსი და მეორე ის, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა გაცილებით უფრო

<sup>152</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი გიორგი ცაავას მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან

<sup>153</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი ლია ელიავას მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან

მძიმეა, მაშინდელ პოსტსაბჭოთა სივრცესთან შედარებით, როგორც იყო 90-იანი წლების დასაწყისში.<sup>154</sup>

ლევან კალანდაძე, ეკონომიკის ექსპერტი ამბობს, რომ „რაიმე უნივერსალური მიდგომა ანაბრების საკითხთან დაკავშირებით, არ არსებობს, მაგრამ არსებობს უნივერსალური ნაბიჯები, რომელიც ხელისუფლებას აქვს გადასადგმელი. პირველი უკავშირდება სამართლებრივი საკითხების მოგვარებას, მეორე საკითხი გახლავთ გარკვეული პროცედურების შემუშავება ანუ რა მოდელი შეიქმნას და მესამე ის ნაბიჯი, რაც ყველამ გაიარა – ამ მოდელის ამოქმედება.“<sup>155</sup>

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, 2013 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, საბჭოთა ანაბრების თემა ქართველი პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო დაპირებების შემადგენელ ნაწილად იქცა. ანაბრებთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესის ისტორიას თუ გავყვებით, ადვილი შესამჩნევია დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობების გადაწყვეტილებები და ცალკეული პოლიტიკური პარტიების განცხადებებიც. ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა მთავრობამ საბჭოთა ანაბრების მიმართ გასტუმრების ვალდებულება 1992 წლის მარტში, მინსკში ხელმოწერილი შეთანხმებით დაადასტურა, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, საბჭოთა ანაბრები სახელმწიფომ შიდა ვალში აღიარა და მოახდინა კომპენსირების თავდაპირველი გაცემა, თუმცა ვალდებულება ბოლომდე ვერ შესრულდა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევას, წინ უძღოდა წინასაარჩევნო პროგრამაში დაპირებაც საბჭოთა ანაბრების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თუმცა მიხეილ სააკაშვილის მთავრობა, 2004–2012 წლებში, მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნით შემოიფარგლა, რომელსაც საბჭოთა ანაბრების პრობლემის მოგვარების კუთხით, არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია. 2013 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოსულ კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი - ქართულ ოცნებას“ მოსახლეობისათვის წინასაარჩევნო პროგრამაში, საბჭოთა ანაბრების ანაზღაურების პირობა არ მიუცია, რაც აიხსნა პრაგმატული პოლიტიკით.

2013 წლის 11 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის<sup>156</sup> მიმართ გაგზავნილ იქნა შემდეგი სახის მიმართვა:

1. აპირებს თუ არა საქართველოს მთავრობა საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ დაბრუნების/ანაზღაურების/კომპენსაციასთან მიმართებით მუშაობას?
2. საქართველოს გადაწყვეტილება საბჭოთა ანაბრების ქვეყნის საშინაო ვალად აღიარების შესახებ, იყო სამართლებრივი ვალდებულება, შეცდომა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება? არის თუ არა საბჭოური ანაბარი რეალურად საქართველოს ვალი?

<sup>154</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი სოსო არჩვაძის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან

<sup>155</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 30 მაისი, #326, 2013, ამონარიდი ლევან კალანდაძის მოხსენებითი გამოსვლიდან 2013 წლის 24 მაისს თბილისში გამართული კონფერენციიდან

<sup>156</sup> კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის შეხედულება, რომელიც გამოთქმულია საბჭოთა ანაბრების პრობლემის სამართლებრივი გზით რეგულაციის საკითხებზე 2003 წელს, გაზეთ „24 საათთან“ შეფასებაში. დავით უსუფაშვილის აზრით, სამოქალაქო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით ნებისმიერ მენაბრეს შეუძლია პრეტენზიის წაყენება რუსეთის მიმართ. „*მე ფული ჩავაბარე სრკ-ს შემნახველ ბანკს. რუსეთი არის მისი სამართალმემკვიდრე. მე ვითხოვ რუსეთისაგან, რომ თუ მან ჩემდამი ვალდებულება მერე სხვას გადააბრალა – ეს მისი საქმეა. რუსეთმა უნდა უზრუნველყოს ჩემთვის ამ ფულის დაბრუნება და თუ უნდა საქართველოს მთავრობას გამოართვას, თუ უნდა სხვას – მე არ მაინტერესებს.*“ გაზ. „24 საათი“, 29 ივნისი, 2003, #176

3. უნდა ანაზღაურდეს თუ არა საქართველოს მეანაბრეთა დანაკარგი? თუკი ასეთი შესაძლებლობა არსებობს, როგორ გესახებათ საქართველოს მიერ ვალდებულების შესრულების დრო, ფორმა და სტრუქტურა?
4. აპირებს თუ არა საქართველოს პარლამენტი საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ დაბრუნების/ანაზღაურების/კომპენსაციასთან მიმართებით მუშაობას? შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას?

საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 8 აპრილის #12502 წერილის თანახმად,<sup>157</sup> საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე მიმართვა დამისამართდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის პოზიციას, საკითხზე საკანონმდებლო ორგანოს კომუნიკაცია არ უწარმოებია. მიუხედავად აღმასრულებელი ხელისუფლების საკითხის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულებისა, 2013 წლის 19 მარტს, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, მთავრობის სხდომის დასრულების შემდგომ, ქვეყანაში საბჭოთა ანაბრების საკითხის გააქტიურების შეფასებისას, გააკეთა პოლიტიკური განცხადება: „არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც, ეს ანაბრები აყვანილია საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალში, თუმცა, ერთი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს ეს ზუსტად დათვლილი. ამიტომ ფინანსთა სამინისტროში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს სახელმწიფოს შიდა ვალზე. ჩვენ უნდა გადავთვალოთ. ჩვენი ამოცანაა, უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ და შემდეგ ვიფიქროთ იმაზე, თუ რა მექანიზმები შეიძლება გამოიძებნოს ამისთვის. სხვადასხვა გათვლები არსებობს. თავისთავად არავის აქვს იმის ილუზია, რომ ბიუჯეტი ერთ წელიწადში, მით უმეტეს წელს, მოახერხებს ამის გასტუმრებას, მაგრამ ჩვენ ინსტიტუციურად უნდა შევხედოთ ამ პრობლემას და ერთხელ და სამუდამოდ, საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რამდენი გვაქვს საშინაო ვალი“.<sup>158</sup>

2013 წლის 11 მარტს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის, ორგზის საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისა და საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის, პარლამენტის უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძის მიმართ გაგზავნილ იქნა შემდეგი სახის მიმართვა:

1. როგორია საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ კომპენსაციასთან დაკავშირებით? რა საფუძვლებს ეყრდნობა პრეზიდენტის ხედვა?
2. საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ დაბრუნების დაპირება უცხო არ არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომელიც 2003 – 2012 წლებში ანხორციელებდა საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას. რატომ ვერ მოახერხა მთავრობამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პროგრამის ამ დანაპირების შესრულება ქვეყნის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში, რა იყო დანაპირების შეუსრულებლობის მიზეზები – პოლიტიკური ნება, არარსებული საკანონმდებლო ბაზა თუ არასწორი ეკონომიკური გათვლები?<sup>159</sup>
3. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, იყო არაერთი დაპირება საბჭოთა ანაბრის გაცემასთან დაკავშირებით. 1997 წელს მიღებულ იქნა განკარგულება და პირველ ეტაპზე, მოქალაქეთა გარკვეულ სოციალურ წრეზე მართლაც გაიცა საბჭოთა ანაბრის კომპენსაცია. რატომ არ აღმოაჩნდა მაშინ სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა, რომ დაწყებული პროცესი ვალდებულებების შესრულებამდე მიეყვანა?<sup>160</sup>

<sup>157</sup> საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 8 აპრილის #12502 წერილი.

<sup>158</sup> იხ. წყარო: <http://www.pirweli.com.ge/?menuid=21&id=28825>

<sup>159</sup> ორგანიზაციამ აღნიშნული კითხვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

<sup>160</sup> ორგანიზაციამ აღნიშნული კითხვით მიმართა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს.

4. საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ დაბრუნების დაპირება უცხო არ იყო თქვენი პოლიტიკური ხელისუფლებისთვის. რატომ ვერ მოახერხა „ვარდების რევოლუციის“ გზით საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულმა თქვენმა ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დანაპირების შესრულება – რა იყო დანაპირების შეუსრულებლობის მიზეზები – პოლიტიკური ნება, არარსებული საკანონმდებლო ბაზა თუ მთავრობის არასწორი ეკონომიკური გათვლები?<sup>161</sup>
5. საქართველოს საპარლამენტო უმცირესობა – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აპირებს თუ არა საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავებას საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ კომპენსირების/გაცემის შესახებ? თუკი საპარლამენტო უმცირესობა – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ გეგმავს საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ კომპენსირების/გაცემის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავებას, დაუჭერდა თუ არა ასეთ საკანონმდებლო ინიციატივას მხარს?<sup>162</sup>

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, მიმართვას მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ უპასუხა.<sup>163</sup> აგრეთვე, მიმართვას უპასუხა „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარემ და პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა,<sup>164</sup> რომლის მიმართაც, 2013 წლის 18 თებერვალის წერილით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საბჭოთა ანაბრების გასტუმრებასთან მომზადებულ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის ინიცირებაც, თავის დროზე, პარლამენტში უნდა მომხდარიყო. კობა დავითაშვილის 2013 წლის 5 ივნისის #17489/3–24 წერილის თანახმად გვეცნობა, რომ „მივესალმებით კვლევას საბჭოთა ანაბრების გაუფასურების გამომწვევ სამართლებრივ მიზეზებთან დაკავშირებით. ჩვენ ჩვენის მხრივ შევეცადეთ მოგვეძიებინა თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია. პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტისა და პარლამენტის არქივის სამსახურის ცნობით, საქართველოს პარლამენტში, 1999 წლამდე არსებული ყველა დოკუმენტაცია, გადაგზავნილია

<sup>161</sup> ორგანიზაციამ აღნიშნული კითხვით მიმართა საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს

<sup>162</sup> ორგანიზაციამ აღნიშნული კითხვით მიმართა საქართველოს პარლამენტის უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს. მიუხედავად საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის მხრიდან პასუხის გაუცემლობისა, „გურია ნიუსთან“ კომენტარში დავით ბაქრაძემ განაცხადა: „ანაბრების თემა, ერთის მხრივ, ძალიან მტკივნეული და მეორეს მხრივ, ძალიან რთულია. ეს ის პრობლემაა, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა ოჯახს ეხება საქართველოში, მაგრამ რეალურად, რომ შევხედოთ, საქართველოს ბიუჯეტი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებს საბჭოთა ანაბრების გასტუმრებას თანხის რაოდენობიდან გამომდინარე. თუ ახალი მთავრობა საბჭოთა ანაბრების თემას „დაძრავს“, ამას მივესალმებით.“

<sup>163</sup> „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ პარტიის გენერალური მდივნის 2013 წლის 21 მარტის #3/401 წერილის თანახმად, „წამოჭრილი პრობლემა, რომ რთულია, საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი დასკვნების გაკეთება, კარგად ესმოდათ საარჩევნო ბლოკ „ბურჯანაძე – დემოკრატების“ ლიდერებს და ფუჭი დაპირებები მოსახლეობისათვის არც მიუციათ.“

<sup>164</sup> „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე, კობა დავითაშვილი, 1990–იანი წლებიდან მოყოლებული, სახელმწიფოს მიერ საბჭოთა ანაბრების გასტუმრების მომხრეა. მან 2004 წელს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების ერთ-ერთ მიზეზად საბჭოთა ანაბრების გასტუმრებაზე უარი დაასახელა. 2007 წელს, პარტიის ბეჭდვურ გამოცემაში გამოქვეყნებულ წერილში: „როგორ დავიბრუნოთ ანაბრები?“, პარლამენტარი მთავრობას მენაბრეებისთვის საკომპენსაციოდ მიწის გადაცემის ინიციატივით მიმართავდა. „მიწის გადაცემა მენაბრეთათვის ვალის გასტუმრების ანგარიშში ქართული დემოკრატიის მყარ პოლიტიკურ საყრდენზე დაფუძნებას ნიშნავს.“ 2012 წლის 16 ნოემბერს, მოქალაქე თ. კოპალეიშვილმა განცხადებით მიმართა კობა დავითაშვილს და „ხალხის პარტიის“ დაპირების შესრულება შეახსენა. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, „ხალხის პარტია“ საქართველოს პარლამენტში არჩეული კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ წევრი სუბიექტი გახდა. 2012 წლის 27 დეკემბრის #10571/3–24 წერილით, კობა დავითაშვილი მოქალაქეს შემდეგი განცხადებით გამოეხმაურა: „გაცნობებთ, რომ „ქართული ოცნების“ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ანაბრების დაბრუნება. ანაბრების დაბრუნება უნდა მომხდარიყო პრივატიზაციიდან მიღებული სახსრებით. სამწუხაროა, მაგრამ საპრივატიზაციო არაფერი დარჩა, რადგანაც წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გაყიდა ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლამდე.“

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში<sup>165</sup> ამასთან, საბჭოთა ანაბრების კომპენსაციის შესახებ მომზადებული კანონპროექტის მოწოდება ეთხოვა „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარესაც,<sup>166</sup> თუმცა პარტიამ წერილი კომუნიკაციის გარეშე დატოვა.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ბოლო წლების მანძილზე, სწორედ აღნიშნული პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები ცენტრალურ საკითხად სახავდა საბჭოთა ანაბრების დაბრუნების საკითხს. საბჭოთა ანაბრების კომპენსირების საკითხი ამომრჩეველთა მიმხრობის კარგ საშუალებად ჩამოყალიბდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან, როდესაც საბჭოთა ანაბრების პრობლემის მიმართ, საჯარო დისკუსია კომპეტენტურმა წრეებმა, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებმა და კვალიფიციურმა ექსპერტებმა დაიწყეს, ანაბრების კომპენსირების საკითხს ჩამოშორდა პოლიტიკური სპეკულაცია, მოხერხება პრობლემის გამომწვევი და შემდგომი მიზეზების დანახვა, გადაჭრის შესაძლებლობებზე საქმიანი მსჯელობა და გაჩნდა წინაპირობები საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტილებების პროცესში სამოქალაქო ინიციატივები გაიზიაროს.

2013 წლის 11 მარტს, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიმართ, ხოლო 2013 წლის 3 აპრილს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წინაშე გაგზავნილ იქნა შემდეგი სახის მიმართვა:

1. როგორია თქვენი კომიტეტის დამოკიდებულება/პოზიცია საბჭოთა ანაბრის საქართველოს მოქალაქეთა მიმართ დაბრუნების/ანაზღაურების/კომპენსაციასთან დაკავშირებით?
2. საქართველოს გადაწყვეტილება საბჭოთა ანაბრების ქვეყნის საშინაო ვალად აღიარების შესახებ, იყო სამართლებრივი ვალდებულება, შეცდომა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება? არის თუ არა საბჭოური ანაბარი საქართველოს ვალი?
3. განსაზღვრავდნენ თუ არა საქართველოში, 1990–იან წლებში კომერციული ბანკები საბანკო ბაზარზე საკანონმდებლო წესებს?
4. როგორია თქვენი კომიტეტის პოზიცია და დამოკიდებულება – 1990–იან წლების საქართველოში, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მოქალაქეთა დანაზოგის გაუფასურებაში. ფიქრობთ თუ არა, რომ 1990–იანი წლების ინფლაცია იყო დანაშაული. ვინ შექმნა ხალხისთვის წამგებიანი ასეთი გარემო?
5. უნდა ანაზღაურდეს თუ არა საქართველოს მენაბრეთა დანაკარგი? ემხრობით თუ არა ინდექსაციის ისეთ მექანიზმს, როდესაც ხელისუფლება საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, მოქალაქეებს, ვთქვათ, შესთავაზებდა საწარმოთა აქციებს და სხვა.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს საკუთარი პოზიცია არ წამოუდგენიათ, თუმცა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის შეხედულება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, საზოგადოებისთვის, ჯერ კიდევ 2013 წლის მარტში გახდა ცნობილი. საგაზეთო ინტერვიუში კომიტეტის თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა საბჭოთა ანაბრების თემის გააქტიურებასთან დაკავშირებით და განაცხადა: „ჩვენ, „ქართულმა ოცნებამ“, იმ გუნდმა, რომელიც ეკონომიკურ

<sup>165</sup> კობა დავითაშვილის 2013 წლის 5 ივნისის #17489/3–24 წერილი.

<sup>166</sup> „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე, შალვა ნათელაშვილი, საბჭოთა ანაბრების გაუფასურებას, ყველა თავის საჯარო გამოსვლაში, ედუარდ შევარდნაძის მთავრობის სხვადასხვა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებს უკავშირებს. ანაბრების თემა პარტიის მუდმივი საკითხია. კვლევის ფარგლებში, სხვადასხვა საგაზეთო მასალიდან, ცნობილი გახდა, რომ პარტიას გააჩნდა საკონსტიტუციო სარჩელი და კონსტიტუციური კანონპროექტი. მიმართვის მიზანიც აღნიშნული წინადადებების მოწოდების მცდელობა იყო.

საკითხებზე ვმუშაობდით, გავითვალისწინეთ, რომ ეს საკმაოდ რთული საკითხი იყო. ამიტომ, „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობისათვის რაიმე განსაკუთრებული პირობა არ მიუცია იმაზე, რომ ამ ვალს მოკლე ხანში გადავიხდიდით, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ საკითხის მოგვარებას არ ვეცდებით. პირველ რიგში, ჩასატარებელია ანაბრების ინვენტარიზაცია ანუ რეალურად ვინ არის და რამდენია ეს ხალხი. ამავე დროს, ჩასატარებელია ინდექსაცია. უნდა გავარკვიოთ, რა თანხაზეა საუბარი. შეთანხმება მისაღები უნდა იყოს ორივე მხარისთვის. ამას ერთბაშად, რომ ვერ გაიტუმრებს სახელმწიფო, ალბათ დაზარალებულებისთვისაც გასაგები უნდა იყოს. მთავრობა ახალია და თავისი კონკრეტული დაპირებები აქვს პენსიების გაზრდაზე, სოციალურ ვალდებულებებზე, ჯანდაცვის რეფორმებზე, თუმცა ვალდებულებები არსებობს და გარკვეული საბაზისო საქმიანობის ჩატარება შეიძლება, რაც ეხება ინვენტარიზაციას და ინდექსაციას.“<sup>167</sup>

2013 წლის 11 მარტს, საქართველოს სახალხო დამცველის მიმართ გაიგზავნა ოთხი შეკითხვა, რომელიც საბჭოთა ანაბრების, როგორც მოქალაქეთა საკუთრების უფლების ნამდვილობის დადგენას ემსახურებოდა,

1. როგორია საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის შეფასება – საქართველოს სახელმწიფოს მიერ შეუსრულებელი ვალდებულება საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ანაზღაურდეს შიდა ვალად აღიარებული საბჭოური ანაბარი, არღვევს თუ არა საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას?
2. როგორია საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის ხედვა – ამ შეუსრულებელი ვალდებულებით, ილახება თუ არა საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები?
3. როგორია საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის პოზიცია და დამოკიდებულება – უნდა მოხდეს თუ არა საქართველოს მოქალაქეთათვის იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მათ 1990–იანი წლებში ანაბრების გაუფასურებით მიაღწათ?
4. აპირებს თუ არა საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი ანაბრების დაბრუნების/კომპენსაციის საკითხზე მუშაობას (საკითხის შესწავლას) საკუთრების უფლების დაცვის კონტექსტში და შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებას საკანონმდებლო ორგანოს ან/და მთავრობის მიმართ?

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 14 აპრილის #2014/04-12/0699-13 წერილის თანახმად, „იმისთვის, რათა სამართლებრივი თვალსაზრისით დადგინდეს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევის არსებობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანუ სახელმწიფოს რა ვალდებულებაზეა საუბარი.“<sup>168</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის განმარტებით, „სახელმწიფოს მხრიდან საშინაო ვალად აღიარებულია ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის არის ცნობილი, სახელმწიფოს მიერ ანაბრების ოფიციალური ინდექსაცია ჯერ არ განხორციელებულა. არსებობს, მხოლოდ სავარაუდო გათვლები. ამრიგად, სანამ არ მოხდება აღნიშნული ანაბრებით გათვალისწინებული თანხების ინდექსაცია და მათი კონკრეტული თანხებში გამოხატვა და შესაბამისად, საკუთრების უფლების ობიექტის ზუსტი განსაზღვრა, ამ ეტაპზე რთულია ვისაუბროთ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ საკუთრების უფლებასთან პირდაპირ მიმართებაზე. ანალოგიური შინაარსის მიმართვა გააჩნია. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციის პირველი

<sup>167</sup> ინტერვიუ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარესთან, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 13 მარტი, #316, გვ. 8

<sup>168</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2013 წლის 18 აპრილის #2014/04-12/0699-13 წერილი.

დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებით. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლი და მის საფუძველზე მიღებული, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ იძლევა საკუთრების უფლების ობიექტის პირდაპირი განსაზღვრის და მისი ზუსტი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის და ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიზნებისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონი ანაბრების საფუძველზე წარმოშობილ დავალიანებას აღიარებს, როგორც სახელმწიფო საშინაო ვალს, არსებობს, ერთი მხრივ, მეანაბრე მოსახლეობის კანონიერი ინტერესი, ხოლო, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, რომ განხორციელდეს ამ ანაბრების ინდექსაციისათვის ეფექტური მექანიზმის შექმნა, მათი შემდგომი სამართლიანი ინდექსაცია და წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა.“<sup>169</sup>

საქართველოს სახალხო დამცველი აპარატი კითხვაზე: ილახება თუ არა სახელმწიფოს მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულებით საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები, განმარტავს, რომ „სანამ არ შესრულდება „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულებები, მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები იქნება განუხორციელებელი. აქვე მხედველობაშია მისაღები ის ბუნდოვანებაც, რომელიც ახასიათებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის შინაარსს. როგორც კანონის 48-ე მუხლის მეორე პუნქტშია აღნიშნული, „ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად.“ უნდა აღინიშნოს, რომ კანონის დებულებაში ნახსენები პრეზიდენტის ორივე ბრძანებულება ძალადაკარგულია და უკვე დიდი ხანია აღარ მოქმედებს. ამასთან, ის მოქმედებები, რასაც ეს ბრძანებულებები ითვალისწინებდა, არ შესრულებულა. ამრიგად, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლი ტექნიკურად და შინაარსობრივად საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარია. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ კონკრეტული მოქმედებების განხორციელების ცალსახა ვალდებულება, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტდა ანაბრების დაბრუნებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემას.“<sup>170</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 1990-იან წლებში ანაბრების გაუფასურებით მოქალაქეებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას განმარტავს, რომ „პრობლემა საკმაოდ რთული საკითხია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დასმული კითხვები შეეხება უშუალოდ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილ ანაბრებს, რაც განხორციელდა საბჭოთა მანეთში. ამდენად, ანაბრების გაუფასურების საკითხზე მსჯელობა საბჭოთა, ხოლო შემდგომ რუსული რუბლის გაუფასურების პროცესისაგან იზოლირებულად არ იქნება მიზანშეწონილი. ამასთან, საეჭვოა, რომ საქართველოს სახელმწიფოს შემდგომი რაიმე სახის ზემოქმედება მოეხდინა ამ ეკონომიკურ პროცესებზე. ცალკე შესწავლის საგანი უნდა იყოს, აგრეთვე, საქართველოს ე.წ. გარდამავალი ეროვნული ვალუტის – კუპონის ჰიპერინფლაციის საკითხი და ამ პროცესის გავლენა უშუალოდ საბჭოთა ანაბრებზე. ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პოზიციით, ზემოთაღნიშნული პრობლემები უნდა იქნეს შესწავლილი დეტალურად შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს ანაბრების ინდექსაციის სამართლიანად განხორციელება. გიდასტურებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღებს მონაწილეობას ყოფილ სახელმწიფო

<sup>169</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2013 წლის 18 აპრილის #2014/04-12/0699-13 წერილი.

<sup>170</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2013 წლის 18 აპრილის #2014/04-12/0699-13 წერილი.

ბანკებში შეტანილი ანაბრების დაბრუნების საკითხთან დაკავშირებული პროცესების შემდგომ შესწავლაში.<sup>171</sup>

2013 წლის 11 მარტს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიმართ დასმული იქნა შემდეგი სახის შეკითხვა:

- როგორია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის შეფასება – სახელმწიფოს მიერ შეუსრულებელი ვალდებულება ანაზღაურდეს საბჭოთა ანაბარი, არღვევს თუ არა საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას? ამ შეუსრულებელი ვალდებულებით, ილახება თუ არა საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები?

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილს მიენიჭა #21209 ნომერი, თუმცა კომიტეტმა საკუთარი პოზიცია არ წარმოადგინა.

საქართველოს მიერ საბჭოთა მენაბრეთა მიმართ ვალდებულება უკვე აღიარებულია ქვეყნის შიდა საერთო ვალად და შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარების გზები, ისევე შიდა რესურსებით უნდა ვეძებოთ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და ზოგადად, ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზა, ვალდებულების შესრულების აუცილებელ კომპონენტებად მის დროულ, ჯეროვან და დაქმულ დროსა და ადგილას შესრულებას განსაზღვრავს. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ რამდენად სამართლიანი იქნება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არსებული სიტუაცია პირდაპირ და უპირობოდ დავუქვემდებაროდ აღნიშნულ პრინციპებს, თუ რამდენად მომგებიანი იქნება ამ ვალდებულების დროულად შესრულება და რა თანმდევი ეკონომიკური შედეგები შეიძლება ახლდეს მას მოსალოდნელი მაღალი ინფლაციის რისკის გათვალისწინებით, თუმცა ცალსახაა, რომ ეს ვალდებულება მენაბრეების წინაშე სახელმწიფომ თავად იკისრა, გამოვიდა სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც მოვალე მხარე და შესაბამისად, მთავრობა პასუხისმგებელია უზრუნველყოს აღებული ვალდებულების სრულად შესრულება, ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა განსაზღვროს სამოქმედო გეგმა იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც მთელ ამ პროცესს თან სდევს.

<sup>171</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2013 წლის 18 აპრილის #2014/04-12/0699-13 წერილი.

## თავი მეცხრე

### დასკვნა

1. საქართველოს მიერ საბჭოთა ანაბრების გაუფასურება 1990–იან წლებში განვითარებული ჰიპერინფლაციური მოვლენების შედეგია. საქართველოში ინფლაცია გამოიწვია სისტემურმა ცვლილებებმა (ერთიანი საბჭოთა კავშირის დაშლამ, საქართველოს გამოძევებამ სამანეთო ზონიდან) და არასწორმა ფულად–საკრედიტო პოლიტიკამ (საქართველოში კანონის უზენაესობის უგულვებელყოფა) რომელზედაც პასუხისმგებლობა ეკისრება მაშინდელ საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას.
2. საქართველოს მიერ საბჭოთა ანაბრების შიდა ვალში დატოვება, მოგვიანებით კი შიდა ვალად აღიარება (1992 წლის მინსკის შეთანხმება, 2001 წლის შეთანხმება „პარიზის კლუბთან“, 1998 წლის კანონი „შიდა ვალის შესახებ“) წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მცდარ სამართლებრივ გადაწყვეტილებას და ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯი წარმოადგენდა პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებას. საქართველოსთვის საუკეთესო მაგალითი უნდა გამხდარიყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე ორი რესპუბლიკის – აზერბაიჯანისა და ლიტვის სახელმწიფოების პოლიტიკა. აზერბაიჯანმა საბჭოთა ანაბრები შიდა ვალში არ აიღო, თუმცა სახელმწიფომ საკუთარი მოქალაქეების მიმართ კომპენსაციის ვალდებულება კეთილი ნების გამოხატულებად აქცია, ლიტვის რესპუბლიკას კი მოთხოვნის დაყენება დღემდე რუსეთის ფედერაციის მიმართ გააჩნია. საქართველოს სახელმწიფოს, ლიტვის მსგავსად, გააჩნდა ლეგიტიმური უფლება და არგუმენტაცია, რათა რუსეთის ფედერაციისგან კომპენსაცია საბჭოთა ოკუპაციის გამოც მოეთხოვა, რაც სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, დღეს იქნებოდა კარგი ინსტრუმენტი დეოკუპაციის თემებზე სასაუბროდ.
3. 1990–იან წლებში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყო სწორი ფულად–საკრედიტო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა ქართული ანაბრის დაცვასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის ერთადერთი სამართალმემკვიდრისგან – რუსეთის ფედერაციისგან იმედგაცურება საბჭოთა ანაბრების გადახდაზე უარის თქმით, საქართველოს მენაბრეებს აუნაზრაურებელი დარტყმა უკვე საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მიაყენა. ქვეყნის მთავრობამ მოქალაქეებს დანაზოგები ხელმეორედ გამოართვა, თანხები კი ჰიპერინფლაციის შედეგად გაუფასურდა. შეფასებულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი, 1992–1993 წლებში უგულვებელყოფდა რა მასზე კანონით დაკისრებულ ფუნქციებს, საკრედიტო რესურსებს მიმართავდა არასწორად და ახორციელებდა გაუმართლებელ ლიბერალურ ფულად–საკრედიტო პოლიტიკას, რითაც სახელმწიფომ განიცადა კოლოსალური მატერიალური ზარალი.
4. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების გაუფასურებით, საქართველოს მენაბრეების მიმართ ჩადენილია დანაშაული, რომლის მიმართაც, ერთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება საბჭოთა კავშირის ერთადერთ სამართალმემკვიდრეს – რუსეთის ფედერაციას, მეორე შემთხვევაში კი – საქართველოს სახელმწიფოს. თუკი საბჭოთა ანაბრების გაუფასურება საბჭოთა იმპერიის დაშლის და განვითარებული ეკონომიკური პროცესის შედეგი იყო, პოსტსაბჭოთა ქართული ანაბრების დაკარგვა საქართველოს სახელმწიფოს მაშინდელი უფლებამოსილი საჯარო პირების

გადაწყვეტილებების შედეგად მოხდა. მიუხედავად წარსული ისტორიული ფაქტებისა და გარემოებებისა, ეკონომიკური სტაბილურობისა და სამოქალაქო თანხმობის პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროა, საქართველოს სახელმწიფომ აღნიშნული საქმის მიმართ, საკანონმდებლო დონეზე მოამზადოს გადაწყვეტილება, რომელიც ამნისტირებას გაუკეთებს 1990–იანი წლების პოსტსაბჭოთა ანაბრების დაკარგვის ფაქტს, სახელმწიფო თვითკრიტიკულად შეაფასებს პროცესში დაშვებულ შეცდომებს და ისტორიული სამართლიანობის გათვალისწინებით, დაზარალებულის სტატუსს მისცემს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრის მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს.

5. საქართველოს ხელისუფლებამ 1990–იანი წლებიდან დღემდე, ფაქტობრივად, ვერ უზრუნველყო საბჭოთა ანაბრების გასტუმრებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება. სახელმწიფომ საბჭოთა ანაბრები შიდა ვალში გამოაცხადა და ამით პროცესი სტატიკურ მდგომარეობაში დარჩა. მიღებულმა კანონმა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ ვერ უზრუნველყო საბჭოთა ანაბრების გასტუმრების ქმედითი საფუძვლების შექმნა. მართალია, საქართველოს მთავრობამ 1997–98 წლებში კომპენსირების პირველი თანხების გადახდა დაიწყო, მაგრამ ვალდებულების შესრულება ღირსეული კომპენსაციის მოდელთან დაახლოებულიც არ იყო. ანაბრების თემა წინასაარჩევნო პერიოდების მთავარი დაპირების საგანი გახდა. არც ერთ სამთავრობო პარტიას პრობლემის გადაჭრის ქმედითი ღონისძიებებისთვის არ მიუძღრათ, რაც ამომრჩევლების მიზანმიმართული მოტყუების ფაქტად გადაიქცა. 2004 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელსაც 2013 წლის 20 მარტის მდგომარეობით, საერთოდ არ უმსჯელია საბჭოთა ანაბრების კომპენსაციის ან/და პრობლემის მოგვარებისთვის აუცილებელი კომპლექსური ღონისძიებების საჭიროების შესახებ, რაც მეტყველებს საბჭოთა ანაბრების პრობლემის მიმართ, 2004–2012 წლებში მოქმედი ხელისუფლების რეალურ დამოკიდებულებაზე. მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს არც ერთ მთავრობას პრიორიტეტულად არ გაუხდია საბჭოთა ანაბრების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების საკითხი და იძლევა კარგ ტესტს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოსული მმართველი პარტიისთვის. იქნება კარგი მაგალითი საქართველოს ყველა მთავრობისთვის, რომელიც საბჭოთა ანაბრების პრობლემის მოგვარების მიმართ საკუთარ პოზიციას გამოთქვამს და შესრულებას შეუდგება.

## თავი მეათე

### რეკომენდაციები

#### საბჭოთა ანაბრის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით, საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას

##### საქართველოს მთავრობის მიმართ

**რეკომენდაცია #1** – მთავრობამ საბჭოთა ანაბრების კომპენსირების პროცესი უნდა დაიწყოს ახალი სოციალური პროგრამის ფარგლებში, სადაც შესაძლებელია კომპენსაციის იდეა გამოიხატოს, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით, სხვადასხვა სოციალური ხასიათის შედავათებით, საამისოდ, საჭიროა დაიწყოს მუშაობა საბჭოთა ანაბრების მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებისთვის სტრატეგიულ სამოქმედო დოკუმენტზე, რომელიც სახელმძღვანელო გახდება საქართველოს მთავრობისთვის და უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარების სისტემის და მეთოდის შემუშავებას. ასეთი დოკუმენტი/გეგმა არ არსებობს.

**რეკომენდაცია #2** – დაიწყოს საბჭოთა ანაბრების სრული ინვენტარიზაცია და ანაბრების მფლობელთა ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნა. არ არსებობს მონაცემი, რამდენი მენაბრე ჰყავს საქართველოს. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობას ვთავაზობთ პრობლემის მოგვარებას 2014 წელს დაგეგმილი საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ღონისძიების ფარგლებში, რომელიც მენაბრეთა რაოდენობის დადგენის ეფექტურ გზად მიგვაჩნია. სპეციალური კითხვარი, რომელიც უნდა მომზადდეს ექსპერტების მონაწილეობით, შეძლებდა სახელმწიფოსთვის დაედგინა საბჭოთა ანაბრის მფლობელი საქართველოს მოქალაქეები, რაც, სხვა შემთხვევაში, მოითხოვდა შრომატევად ცალკე საქმიანობას და ფინანსურ რესურსს. საყოველთაო აღწერის შედეგად დადასტურებული საბჭოთა ანაბრის მქონე მოქალაქეთა რაოდენობა შექმნიდა სრულყოფილ სახელმწიფო რეესტრს და მოხდებოდა ახალი მონაცემების შედარება არსებულ მონაცემთან.

**რეკომენდაცია #3** – მთავრობამ მკაფიოდ უნდა დაადასტუროს საბჭოთა ანაბრების შიდა ვალში არსებული 502 მილიონი ლარის ციფრთან დაკავშირებით, საკუთარი ნდობა ან/და სავალო თანხის ახალი მონაცემისთვის შექმნას ახალი ინდექსაცია. აღნიშნული პროცესი ყველაზე სენსიტიური და საპასუხისმგებლო ეტაპია, რადგანაც დაკავშირებულია კომპენსაციის სამართლიან მოდელთან და სახელმწიფო ბიუჯეტის გადახდისუნარიანობასთან. საბჭოთა ანაბრის კვლევის პროცესმა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გამოცდილება საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, გვაფიქრებინებს, რომ მართებული იქნება მთავრობამ მიიღოს ერთჯერადი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების გადაწყვეტილება. გადახდის ერთჯერადი მოდელის შემთხვევაში, მიზანშეწონილია განისაზღვროს საკონპენსაციო თანხის სამი ოდენობა, რომელიც დაზარალებულ მენაბრეებზე გაიცემა მათი კუთვნილი ანაბრის ოდენობის გათვალისწინებით. (მაგალითად, მინიმალური – 700 აშშ დოლარი; საშუალო – 1000 აშშ დოლარი და მაქსიმალური ანაბრის მქონე მოქალაქისთვის – 1500 აშშ დოლარი) ერთჯერადი საკომპენსაციო ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, საზოგადოებას უნდა დაუსაბუთდეს ქვეყნის ბიუჯეტის შესაძლებლობის და ეკონომიკური გამოწვევების საკითხი, სახელმწიფომ კი, ვალდებულება, ერთხელ და სამუდამოდ, პირნათლად შეასრულოს. ამის მიუხედავად, ისტორიული სინამდვილისთვის, პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია სავალედ მიჩნეული თანხის დადასტურებას, ხოლო თუკი მთავრობა ერთჯერადი კომპენსაციის წინადადებაზე უარს იტყვის, ექსპერტებთან ერთად, უნდა შეჯერდეს ახალი ინდექსაციის მოდელი.

**რეკომენდაცია #4** – მთავრობამ საბჭოთა ანაბრების კომპენსაცია უნდა დაუქვემდებაროს გონივრულ ვადებს და საქართველოს მეანაბრე მოსახლეობისთვის ცნობილი გახდეს კომპენსაციის მიღების პერიოდი და ვადები. საქართველოს წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გათვალისწინებით, ამასთან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, კონპენსაციის პროცესის საერთო პერიოდად საკმარისად მიგვაჩნია 10 წელიწადი. მთავრობამ უნდა მოახდინოს კონპენსაციის გრაფიკის შედგენა, კონპენსაციის პროცესი დაყოს შესაბამის ეტაპებად, სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად უზრუნველყოს საკომპენსაციო თანხების გათვალისწინება, ვალდებულების შესრულებისთვის ალტერნატიული ფინანსური წყაროს მოძიება. მთავრობა უფლებამოსილია შექმნას საქართველოს მეანაბრეთა სახელმწიფო ფონდიც, სადაც ყოველწლიურად მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ანაბრის თანხის ჩარიცხვა. ამასთან, თუკი მთავრობა კომპენსაციის უნაღდო ანგარისშწორების (სოციალური შეღავათების) მოდელსაც გაიზიარებს, კონკრეტული ვალდებულების განხორციელება შესაძლებელია დაექვემდებაროს კონკრეტულ ახალ ვადებს, თუმცა ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების შესრულება სრულად უნდა ემთხვეოდეს კომპენსაციის ვალდებულებისთვის დაგენილ საერთო 10-წლიან პერიოდს.

**რეკომენდაცია #5** – მთავრობამ უნდა განსაზღვროს კომპენსაციის მიმღებთა რიგითობა, რომელიც პრობლემის გადაჭრის პროცესში, ასევე ცენტრალური მნიშვნელობის საკითხია. უნდა მოხდეს საკომპენსაციო თანხის მიმღები პირების დაყოფა ჯგუფებად – მათი სოციალური კუთვნილებისა და ასაკობრივი ნიშნით. (მაგალითად: 1960 წლამდე დაბადებული პირები – პირველი ჯგუფი, 1960–70 წლებში დაბადებული პირები – მეორე ჯგუფი, 1980–იან წლებში დაბადებული პირები – მესამე ჯგუფი) კომპენსაციის მიმღები ჯგუფები, აგრეთვე უნდა დაიყოს სხვადასხვა სოციალური ნიშნით. (მაგალითად: პენსიონერები, მარჩენალდაკარგული პირები, სოციალურად დაუცველები, ტერიტორიულ მთლიანობაში გარდაცვლილ პირთა ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მრავალშვილიანთა ოჯახები, უმუშევრები) საკითხის ისტორიული სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, მთავრობამ კომპენსაცია უნდა გასცეს კომპენსაციის გაცემის პერიოდში გარდაცვლილი მეანაბრის ოჯახის პირველი რიგის მემკვიდრეებზე. ამ თვალსაზრისით, საქართველოსთვის სახელმძღვანელო დოკუმენტად შეიძლება წარმოვიდგინოთ ლიტვის რესპუბლიკის გამოცდილება და ლიტვის პარლამენტის მიერ მიღებული 1997 წლის 5 ივნისის კანონი. ამასთან, კომპენსაციის გაცემის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეორე გარემოებაც – *მეანაბრე ოჯახის პრინციპი*. თუკი ოჯახში რამდენიმე მეანაბრეა, შესაძლებელია სახელმწიფომ გასცეს მხოლოდ ერთი მაქსიმალური ზღვრული თანხა, რადგანაც მოცემული შემთხვევისთვის, გასათვალისწინებელია ქვეყნის ბიუჯეტის შესაძლებლობები და სხვა სოციალური ჯგუფის რიგითობის ინტერესებიც.

**რეკომენდაცია #6** – მოხდეს საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის დებულებაში არსებითი და პრაქტიკული ცვლილებების განხორციელება, უნდა გაფართოვდეს კომისიის სხდომებზე დამსწრე პირთა თანამონაწილეობის წრეც. დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი მოითხოვს ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რადგანაც კომისიის სხდომაზე სამინისტროებიდან, უწყებებიდან, საწარმოებიდან მოწვეული პირები, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში არ უნდა ესწრებოდნენ, ხოლო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს იმ ორგანიზაციათა ჩამონათვალიც, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კომისიის საქმიანობაში მათი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მიხედვით. დებულებამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, თუ ვინ იგულისხმებიან სხდომებზე დასწრების უფლების სტატუსით დაინტერესებულ და უფლებამოსილ პირებში – უშუალოდ ხელმძღვანელი პირები თუ უწყებების რიგითი წარმომადგენლებიც. აგრეთვე, შესაცვლელია კომისიის საქმიანობის ზოგადი წესიც. მოქმედი რედაქციით, კომისიის სხდომები იმართება პერიოდულად, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების შესაბამისად, რაც არასწორი მიდგომაა კომისიის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. კომისიას უნდა გააჩნდეს სხდომების მოწვევის კონკრეტული გრაფიკი და არ უნდა მოქმედებდეს პერიოდულობის პრინციპით, რომელიც, შესაძლებელია, ერთი წლის მანძილზე, არც კი იქნა შეკრებილი. მიზანშეწონილია სხდომების მოწვევა 3

თვეში ერთხელ. სხდომების მოწვევა უნდა გადავიდეს სავალდებულოობის პრინციპზე. კომისიის სხდომა იყოს საჯარო. ან კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე, პრესაში. მნიშვნელოვანია, კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა. ის ფაქტი, რომ კომისიის საქმიანობა არაეფექტურია, ამის მაგალითია კომისიის მხოლოდ 7 სხდომა 2004 წლიდან 2013 წლის 18 თებერვლამდე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს „საშინაო ვალის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ამოცანების გადაჭრას.

**რეკომენდაცია #7** – მთავრობამ საქართველოს ეროვნულ ბანკს დაავალოს დოკუმენტის/ანგარიშის მომზადება საბჭოთა კავშირის პერიოდში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ბანკში გადარიცხული ანაბრების ოდენობისა და მეანაბრეთა ვინაობების შეძლებისდაგვარად დადგენის მიზნით, სახელმწიფოში არსებული საარქივო მონაცემებისა და მოქალაქეების მიერ დაცული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიხედვით. ამასთან, ეროვნულ ბანკს უნდა დაევალოს პოსტსაბჭოთა საქართველოს პირობებში არსებული სახელმწიფო-კომერციული ბანკებში შესული ანაბრების ოდენობის, მეანაბრეთა რიცხოვნობისა და ვინაობის დადგენა შესაბამისი ბანკების საარქივო მონაცემების, სამართალმემკვიდრე ბანკებში არსებული მონაცემებისა და მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი და დაცული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიხედვით. ამასთან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკების სამართალმემკვიდრე ბანკების დადგენა და დასკვნის მომზადება 1990–იან წლებში წარმოებული ფულად–საკრედიტო პოლიტიკის შედეგებთან დაკავშირებით.

**რეკომენდაცია #8** – მთავრობამ უნდა მიიღოს დადგენილება პოსტსაბჭოთა ანაბრების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკების სამართალმემკვიდრე ბანკების მიმართ უნდა მოხდეს არსებული ვალდებულებების ჩამოწერა, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფო საჭიროება, რაგანაც 1990–იან წლებში მოსახლეობის მიერ შეტანილი დანაზოგების გაუფასურებას წინ უსწრებდა სახელმწიფოს არასწორი ფულად–საკრედიტო პოლიტიკა და დამდგარი ჰიპერინფლაციური მოვლენები. სახელმწიფოს მხრიდან 1990–იანი წლების დანაზოგების მიმართ ანაზღაურების ვალდებულების გაჩენა კვლავ გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკის რღვევას და გააჩენს ხელახალი ინფლაციის საფუძვლებს. ანაზღაურების დაპირება იქნება მხოლოდ პოპულისტური პოლიტიკური განცხადება და არა პრაგმატული ხედვა ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარებისთვის. სახელმწიფომ ერთხელ უკვე დაუშვა სერიოზული შეცდომა, რომლის გამეორების უფლება ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას არც დაზარალებულმა პოსტსაბჭოთა ანაბრის მფობელმა მოქალაქეებმა უნდა მისცეს, რაც იქნება მაღალი სამოქალაქო ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მანიშნებელიც.

**რეკომენდაცია #9** – მთავრობამ, თუკი არ იქნება მხარდაჭერილი 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ღონისძიების დროს საბჭოთა მეანაბრეების რიცხოვნობის დადგენა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ დეპარტამენტს დაავალოს მეანაბრეთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შექმნა.

**რეკომენდაცია #10** – მთავრობამ საჯარო განცხადება უნდა მოამზადოს საბჭოთა ანაბრების კომპენსირების პროცესში, რომ კომპენსაცია გავრცელდება წარმოშობით აფხაზი და ოსი მოქალაქეების მიმართ, რადგანაც საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ–ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით. მთავრობამ აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების მიმართ უნდა მიიღოს კომპენსაციის მიღების სპეციალური დათქმები, რაც უნდა შეფასდეს, როგორც ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მომენტი და მხოლოდ სოციალური დიალოგის შესაძლებლობა. მთავრობამ აღნიშნული საკითხი უნდა დააყენოს სახელმწიფოთა დონეზე, მათ შორის რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის დიალოგის პროცესში.

**რეკომენდაცია #11** – მთავრობამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაავალოს, 1990–იან წლებში, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, ხოლო 2008 წლის აგვისტოს რუსეთ–საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა საბჭოთა მენაბრედ ნამდვილობის დადასტურება და მათი რიცხოვნობის დადგენა საარქივო მონაცემების, სამართალმემკვიდრე ბანკებში არსებული მონაცემებისა და აღნიშნულ ბანკებში მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი და დაცული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიხედვით და შედარებით.

**რეკომენდაცია #12** – მთავრობამ უნდა წარმოადგინოს ხედვა, კომპენსაციის გაცემის პროცესში, საქართველოს მენაბრე იმ მოქალაქეთა ვინაობის, რიცხოვნობისა და დანაზოგების რაოდენობის შესახებ, რომლებიც კომპენსაციის გაცემის პერიოდში მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. აღნიშნული სოციალური ჯგუფი უნდა პერსონიფიცირდეს კომპენსაციის მიმღებთა რიგითობის მიხედვით. ამ მიმართულებით, მთავრობამ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში უნდა დაავალოს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

**რეკომენდაცია #13** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციაში, შეიქმნას საბჭოთა ანაბრების პრობლემათა გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება ექსპერტებით, სპეციალისტებით და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, შესაძლებელია, განსაკუთრებული აზრის სტატუსით, მოწვეულ იქნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან სამთავრობო თუ კერძო საექსპერტო წარმომადგენლებიც. სამუშაო ჯგუფს უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივი მონიტორინგის ფუნქცია.

**რეკომენდაცია #14** – მთავრობამ საბჭოთა ანაბრების კომპენსაციის ვალდებულების შესრულებასთან, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორემებთან და საბჭოთა ანაბრების პრობლემის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მოქალაქეების მიმართ საჯარო განცხადება უნდა მოამზადოს 2013 წლის 31 დეკემბრამდე. საჯარო ინფორმირების შემდგომ უნდა დაიწყოს ვალდებულების მყისიერი შესრულება.

## საქართველოს პარლამენტის მიმართ

**რეკომენდაცია #15** – პარლამენტმა საბჭოთა ანაბრების კომპენსირების განხორციელებისთვის შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და მიღებულ იქნეს კანონი „ყოფილი საბჭოთა კავშირის მენაბრეთა დანაზოგის აღდგენის შესახებ“. კანონის მიღება მნიშვნელოვანია, რათა განისაზღვროს პროცესის ყველა ეტაპი და საკანონმდებლო დონეზე გადაწყდეს შიდა ვალში აღებული საკითხის მიმართ კონკრეტული უფლება–მოვალეობანი, კომპენსირების შინაარსი, ფორმა და ვადები, ინდექსაციის მექანიზმი, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის რიგითობა და მათ მიმართ საჭირო დათქმები. მნიშვნელოვანია, კანონმა დაზარალებულის სტატუსს მიანიჭოს, როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა ანაბრის მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს.

**რეკომენდაცია #16** – პარლამენტმა ძალადაკარგულად უნდა გამოაცხადოს ყველა ის საკანონმდებლო აქტი, რომელიც 1990–იანი წლებიდან არსებობს, თუმცა მხოლოდ ფორმალურად. ამასთან, განხორციელდეს ცვლილებები მოქმედ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონში, რომლის 48–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სავალ ვალდებულებების დაფარვა უნდა მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად, მაშინ, როდესაც პრეზიდენტის ეს ბრძანებულებები ძალადაკარგულია და უკვე დიდი ხანია აღარ მოქმედებს.

**რეკომენდაცია #17** – პარლამენტმა უნდა მიიღოს დადგენილება „1990–იან წლებში საქართველოს მოქალაქეთა გაუფასურებული ანაზრის შესახებ,“ რითაც სახელმწიფო თვითკრიტიკულად შეაფასებს პროცესში დაშვებულ შეცდომებს. თუკი მთავრობის დადგენილებით მოხდება ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკების სამართალმემკვიდრე ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებების ჩამოწერა, პარლამენტმა უნდა მიიღოს 1990–იანი წლების მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჰიპერინფლაციური პროცესების გამოწვევისა და დანაშაულებრივი ფულად–საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართული კერძო და საჯარო პირების ერთჯერადი ამნისტირების აქტი.

## **საქართველოს სასამართლოების მიმართ**

**რეკომენდაცია #18** – საქართველოს საერთო სასამართლოებმა, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უზრუნველყონ საქმისწარმოების რეესტრის განახლება და საბჭოთა ანაზრების საქმეების სისტემატიზაცია. ასეთ სტატისტიკას მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს შეფასებებისთვის, ასევე აკადემიური, სამეცნიერო და ექსპერტული საზოგადოებისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია ასეთი სტატისტიკა არსებობდეს საქართველოში, რადგანაც კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სასამართლოები მსგავს სტატისტიკურ მონაცემებს არ ფლობდნენ. არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირების და ასეთი სტატისტიკის შემთხვევაში, ისინი ანაზრების დაბრუნების სასარჩელო მოთხოვნით, გამუდმებით არ მიმართავდნენ საერთო სასამართლოებს და საკონსტიტუციო სასამართლოს, თუკი ცხადი იქნებოდა ერთგვაროვან საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილება და სასამართლოს დასაბუთება. მოხდებოდა დაზარალებულ მეანაზრეთა ადამიანური და ფინანსური რესურსის დაზოგვა.

**ორგანიზაცია კვლევის მომზადების მიმდინარეობისას  
სამართლებრივი დახმარებისთვის მადლობას უხდის:**

ა/ო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“

ა/ო „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს“

ა/ო „ახალგაზრდები – სამართლიანობისთვის“

ა/ო „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – აფბას“

**საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფისთვის:**

საქართველოს პარლამენტს,  
საქართველოს მთავარ პროკურატურას,  
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს,  
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს,  
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს,  
საქართველოს ეროვნულ ბანკს,  
საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს,  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს,  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს,  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს,  
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს,  
პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“

**ყოფილი საბჭოთა კავშირის შემდეგი ქვეყნების  
უფლებამოსილ უწყებებსა და პირებს**

მოლდოვას საკანონმდებლო ორგანოს და უზენაეს სასამართლოს  
ბელორუსიის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაეს სასამართლოს  
ესტონეთის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაეს სასამართლოს  
ლიტვის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაეს სასამართლოს  
ლიტვის ფინანსთა სამინისტროს  
ლატვიის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაეს სასამართლოს  
აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოს  
ყაზახეთის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაეს სასამართლოს

ქ–ნ *ირმა ვირბიცკაიტეს*, ლატვიის უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი კვლევისა და მიმოხილვის დეპარტამენტის მრჩეველს კერძო სამართალში.

ქ–ნ *დიანა კავალიაუსკიენეს*, ლატვიის უზენაესი სასამართლოს რეესტრის ხელმძღვანელს

ქ–ნ *სარა სილვერს*, ესტონეთის პარლამენტის (რიიგიკოგუ) კანცელარიის იურიდიულ საკითხთა მრჩეველი.

ქ–ნ *მარი-ლის ლიპსტოკს*, ესტონეთის უზენაესი სასამართლოს იურიდიულ საკითხთა მრჩეველს.

ბ–ნ *გიორგა სტანისლავციუს*, მოლდავეთის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის იურიდიულ საკითხთა მრჩეველს პარლამენტაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.  
ქ–ნ *რენატა ჯუზიკიენეს*, ლიტვის უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი კვლევისა და მიმოხილვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს.  
ბ–ნ *ალგიმანტას რიმკუნას*, ლიტვის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ვიცე–მინისტრს.

**საორგანიზაციო და საინფორმაციო უზრუნველყოფის  
საკითხებში დახმარებისთვის:**

ბათუმის, ქუთაისის, გორისა და ახალციხის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებს  
საკონსულტაციო ჯგუფს „ჯეპრას“  
სასტუმრო „ძველ მეტეხს.“  
„საქართველოს ფოსტას“  
რადიო „კომერსანტს“  
რადიო „თავისუფლებას“  
ტელევიზია „ობიექტივს“  
გაზეთ „ბანკები და ფინანსებს“

**პირებს, რომლებმაც მოგვაწოდეს კვლევისთვის საინტერესო  
დოკუმენტაცია და ინფორმაცია:**

ბ–ნ ვასილ მაღლაფერიძეს  
ბ–ნ ირაკლი ლექვინაძეს  
ქ–ნ ლია მუხაშავერიას  
ქ–ნ ნათია კაციტაძეს  
ბ–ნ ნიკა კვარაცხელიას  
ქ–ნ ქეთევან ნუცუბიძეს  
ბ–ნ თამაზ კოპალეიშვილს  
ბ–ნ გიული ჩხაიძეს  
ბ–ნ ამირან ნორაკიძეს

## ორგანიზაციის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094  
მისამართი: ძველი თბილისის რაიონი, ძმ.ზუბალაშვილების ქ., №36, 0160, თბილისი, საქართველო  
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;  
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი  
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი  
ვებ-გვერდი: www.barristers.ge  
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi  
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი  
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

*„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი  
წარმოდგენილი კვლევის მიმართ.*

*თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის  
ელექტრონულ ვერსიას, გთხოვთ ორგანიზაციას  
დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:  
pryoungbarristers@yahoo.com*